ალექსანდრე შენგირი

კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება

თბილისი
2002 წ.

ყველა დონეზე კორუფციის — ამ ერთ-ერთი უაღრესად მწვავე სოციალური პრობლემის თანამედროვე ზედაპირი ამ წიგნის მთავარი ამოცანაა.

წინამდებარე ნაშრომში სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციების, სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სხვა სამართლებრივი დოკუმენტების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, საზოგადოებრივი აზრის, პრესის მასალების, საერთაშორისო და რეგიონალური კონვენციების, იურიდიული და პოლიტოლოგიური ლიტერატურის გამოყენებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია კორუფციის, როგორც თანამედროვე დანაშაულის დედააზრი, მისი მრავალსახეობა და მახასიათებლები, გაანალიზებულია კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკური, ეკონომიკური,, სამართლებრივი და ორგანიზაციული პრობლემები. ცალკე თავად და ორ პარაგრაფადაა გამოყოფილი კორუფცია საქართველოში და მოცემულია ცდა დახასიათებული იქნეს კორუფციის ქართული ფენომენი.

განკუთვნილია სამართალმცოდნეობისა და პოლიტოლოგიის სპეციალობების სტუდენტებისათვის, პედაგოგებისათვის, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, ყველა მათთვის, რომელთაც აღელვებთ ერთ-ერთი ყველაზე საშიში სენის — კორუფციის დაძლევის პრობლემა.

ავტორი მადლობას უხდის თვალსაჩინო მეცნიერს სისხლის სამართალში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ოთარ გამყრელიძეს წიგნზე მუშაობის პროცესში სასარგებლო რჩევებისათვის.

რედაქტორები: გიორგი ნადარეიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
მიხეილ მახარაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი: ოთარ გამყრელიძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წინათქმა

როგორც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ისე მთელ მსოფლიოში კორუფციამ მეტად საშიში ხასიათი მიიღო, მან ფართოდ გაიდგა ფესვები ხელისუფლების ყველა განშტოებასა და საზოგადოების ყველა ფენაში. კორუფციამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა კანონის უზენაესობას, დემოკრატიას, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობას, თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას, სახელმწიფოებრივი მართვის პრინციპებს, დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას, საზოგადოების ზნეობრივ საფუძვლებს.

გასულ, XX საუკუნეში მსოფლიო მასშტაბით უამრავი მასალა დაგროვდა, გამოიცა წიგნები, გამოქვეყნდა სტატიები, ჩატარდა შინაარსიანი სამეცნიერო კონფერენციები, პარლამენტთა მოსმენები, „მრგვალი მაგიდები“, შემუშავდა საერთაშორისო და რეგიონალური კონვენციები, ხელშეკრულებები, რეკომენდაციები კორუფციის დაძლევისა და მასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

მიუხედავად ამისა კორუფციასთან ბრძოლის პრაქტიკული, პოზიტიური შედეგები ძალზე უმნიშვნელოა ან საერთოდ არ იგრძნობა, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე ცალკეულ სახელმწიფოებში. რატომ? წინამდებარე ნაშრომის ავტორი შეეცდება პასუხი გასცეს ამ კითხვას საქართველოსა და არა მხოლოდ საქართველოს მაგალითზე.

კორუფცია (ლათ. მოსყიდვა) არ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ სამართალდარღვევათა ერთობლიობას. კორუფციული ურთიერთობანი გადაიქცა ცხოვრების ჩვეულებრივ წესად, კორუფციული აზროვნება შეეზარდა საზოგადოებრივ ცნობიერებას. კორუფცია მრავალ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს ეროვნული კატასტროფითა და გადაგვარებით დაემუქრა. საქართველოში (სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც) კორუფციის მასშტაბები არამც თუ მცირდება, არამედ ყოველდღიურად იზრდება და ეს ხდება ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში.

ბოლო ათი წელია კორუფციის თემა არ ჩამოდის გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებიდან, ტელეარხებიდან. კორუფციაზე ლაპარაკობენ ყველგან და ყოველთვის, პოლიტიკოსები, კერძოდ დეპუტატები, მწე-

რლები, ჟურნალისტები, კრიმინოლოგები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ობივატელები და ყველა, ვისაც კი არ ეზარება ამ თემაზე საუბარი. როგორც უკვე ითქვა, იწვევა კონფერენციები, სხვადასხვა ქვეყნებში ღებულობენ სპეციალურ კანონებს, ყალიბდება საზოგადოებები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს კოლოსალური მუშაობა კორუფციის მხილებისა და მისი დაგმობისათვის. მაგრამ აი პარადოქსი: რაც უფრო დიდი და მასშტაბურია ასეთი ფაცი-ფუცი კორუფციის გარშემო, კორუფციის მით უფრო მეტი ფაქტები ვლინდება. ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ყველა ეს ხმაური კორუფციის გარშემო, მხოლოდ ამ უკანასკნელის „წისქვილზე" ასხამს წყალს. ამას ვგრძნობთ საქართველოს მაგალითზე. ასეთ შემთხვევაში კანონზომიერად ისმის კითხვა: ჩვენ რას ვაკეთებთ, არ ვაშინებთ საკუთარ თავს ამ გაუთავებელი აურზაურით კორუფციაზე? არ ადუნებს ბიუროკრატია კორუფციის წინააღმდეგ აუცილებელი ბრძოლის გაუთავებელი რეკლამირებით ჩვენს ყურადღებას და წუხილს კორუფციის ფართოდ გავრცელების გამო, ყველა დონეზე და ყველა სახელმწიფო ორგანოში?

ამ სოციალური, დღეს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიში ბოროტმოქმედების ისტორიულად მუდმივი მოვლენის შესახებ ნაწერი ქაღალდების მთელი „მთების" არსებობის მიუხედავად, კორუფცია აღმოჩნდა მაინც ნაკლებად შესწავლილი და ნაკლებად გაცნობიერებული ჩვენი დროისათვის, სწორედ როგორც (განსაკუთრებით) სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი. აი პრობლემის მეორე პარადოქსი. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მრავალი ავტორის თეორიული კვლევის შედეგები. ნაშრომთა დიდი ნაწილი საბოლოო ანგარიშით იზღუდება სახელმწიფო მოხელეთა კორუმპირებულობის ცალკეული ფაქტების მხილებით, ჩამოთვლითა და კვალიფიკაციით, წინადადებებით მათი დაუშვებლობის შესახებ მომავალში. რამდენად უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს ამ პრობლემის შემეცნებასა და გაცნობიერებაში წინ წაიწიეს კანონმდებლებმა.

დღეს მსოფლიოში თითქმის არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამათუიმ ფორმით საკანონმდებლო დონეზე არ არსებობდეს ასახული კორუფიასთან ბრძოლის პრობლემა. მართალია ხშირ შემთხვევაში კანონები ნაკლებადეფექტიანია, მაგრამ ეს უფრო მეტად აღმასრულებელი ხელისუფლების ბრალია, ვიდრე საკანონმდებლოსი.

როგორი დონისაც არ უნდა იყოს კორუფცია, მისი ფართოდ გავრცელება დღეს არავისში ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტი, არც თუ იშვიათად კეთდება უფრო „მძიმე" დასკვნები: „ნამდვილი ეროვნული უბედუ-

რების ხასიათს იძენს კორუფციის გავრცელება, კერძოდ მისი შეჭრა ხელისუფლების ყველა ეშელონში".[1]

რამდენად ღრმადაა შეჭრილი კორუფცია ჩვენს ცხოვრებაში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არავის არ შეუძლია გაგვცეს. რა თქმა უნდა შეიძლება მოყვანილ იქნეს მექრთამეობისათვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის სტატისტიკა, მაგრამ რამდენი ასეთი დანაშაულია აღურიცხავი?..

კორუფცია რომ შეჭრილია მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა რგოლში, ეს დღეს რაიმე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. მექრთამეობის გზით ხორციელდება პრივატიზაციის, კრედიტების, სესხების, სახელმწიფო დოტაციათა, საგარეო-ეკონომიკურ გარიგებათა და ა. შ., გამოყოფის, განაწილების, გამოყენების პროცესი.

მექრთამეთა, კორუმპირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაურბის იურიდიულ პასუხისმგებლობას, ვინაიდან თანამდებობის პირთა მოსყიდვის ფაქტები, მათი კორუფციული ქმედება, მექრთამეობა თავის დროზე არ ვლინდება სამართალდაცვის ორგანოთა მიერ. ამასთან სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც აღძრულია კორუფციული დანაშაულისათვის თანამდებობის პირთა მიმართ, წყდება კორუმპირებულ სტრუქტურათა ზემდგომ ხელმძღვანელთა ზეგავლენით, ან კიდევ სისხლის-სამართლებრივი ხასიათის ნორმების არასრულყოფილობის მომიზეზებით. მხოლოდ საქმეთა მცირე ნაწილი და ისიც ხელისუფლების დაბალი ეშელონებიდან იგზავნება სასამართლოში.

თანამედროვე სამართლებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში პირობითად კორუფცია დონის მიხედვით ორადაა გაყოფილი. პირველად აღიარებულია წერილი, ყოველდღიური და მეორედ მსხვილი, ე. წ. „ელიტური" კორუფცია. გამოდის, რომ არსებულა „არაელიტური" და „ელიტური" კორუფცია. კორუფცია ძირითადად და უწინარეს ყოვლისა თანამდებობრივი დანაშაულია, სახელმწიფო ხელისუფლებაში მყოფ მაღალჩინოსანთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებაა და ამდენად ყურადღების გამახვილება შეიძლება უწინარეს ყოველისა „ელიტურ", ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლებაში არსებულ (ზოგიერთ ქვეყანაში გაბატონებულ) კორუფციაზე და მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გაძლიერებაზე, ხოლო ე. წ. „არაელიტური", წვრილი კორუფცია „ელიტურითაა"

---

1 ა. ი. სუხარიოვი. ჩდილოვანი ეკონომიკა კანონიერების ასპექტში (რუს.), მ., 1998, გვ. 24.

ნასაზრდოები და წარმოებული, პრინციპით „თევზი თავიდან იხრწნება“.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით პირველი, ე. წ. „არაელიტური“ კორუფცია ყოველდღიურად იწოვს და „ხრავს“ ადამიანთა მატერიალურ რესურსებს, მეორე, ე. ი. „ელიტური“ განუხრელად „წარბშეუხრელად ყლაპავს“ სახელმწიფო და კერძო ეკონომიკის უზარმაზარ „ნაჭრებს“. ორივე ერთად კი ულმობლად უთხრის ძირს საზოგადოების სამართლებრივ საფუძვლებსა და სახელმწიფო ხელისუფლებას. როდესაც დაძლეული იქნება კორუფცია სახელმწიფო ხელისუფლებაში, თავისთავად დაიძლევა „ქვემდგომი“, ე. წ. წვრილი კორუფცია, როდესაც აღიკვეთება მაღალჩინოსანთა კორუფცია, ცხადია, ველარავინ გაბედავს „ქვემოთ ხელმრუდობას“.

მსხვილი, სახელმწიფო ხელისუფლებაში არსებული „ზედაფენური“ კორუფცია ხასიათდება ამ ბოროტმოქმედების ჩადენის სუბიექტთა მაღალი სოციალური მდგომარეობით, ქმედების მოქნილი ინტელექტუალური ხერხებით, ქვეყნისათვის უზარმაზარი მატერიალური, ფიზიკური და მორალური ზარალით, განსაკუთრებული ლატენტურობით, ამ მძიმე სენით დაავადებული მთელი რიგი ქვეყნების ხელისუფალთა გაუგონარი შემწყნარებლობით და შემგუებლური დამოკიდებულებით კორუფციულ დამნაშავეთა მიმართ. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად საშიშია სწორედ კორუფცია „ზემოთ“, სახელმწიფო აპარატში, ხოლო წვრილი ე. წ. ყოველდღიური კორუფცია იოლად დასაძლევია თუ კი მეტ-ნაკლებად დაიძლევა კორუფციული დანაშაული „ზემოთ“, სახელმწიფო ხელისუფლებაში. კორუფციული ქმედება „ზემოთ“ როგორც წესი ხორციელდება მეტად რთულ, ამასთან სპეციფიკურ პირობებსა და უაღრესად კონფიდენციალურ ფორმებში. „იქ“ კორუფციას ახასიათებს შემრიგებლური ბუნება და განუწყვეტლივ იცვლის სახეს, სრულყოფილდება, თავს მოხერხებულად და საიმედოდ იცავს. ამდენად, არაპროფესიონალებისათვის იგი ძნელად ამოსაცნობია.

კორუმპირებული ბიუროკრატია ჭკვიანია, მდიდარი და ძალაუფლების მქონეა. ქმედებათა ლატენტურობა მისი ძირითადი საზრუნავია. სწორედ ამიტომაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება რამდენადმე სრული მონაცემები კორუფციის შესახებ.

სახეზეა მსოფლიო პარადოქსი: ყველა აშკარად და დაუფარავად აღიარებს (ხელისუფლების მაღალი ეშელონების ჩათვლით) საზოგადოების გამხრწნელი და დამანგრეველი მზარდი კორუფციის შესახებ, მილიონობით ადამიანებია შეწუხებული და გატანჯული მისი ულმობელი

„წნეხისაგან“, ხოლო ოფიციალური კრიმინალური და სასამართლო სტატისტიკა (როგორც მსოფლიო ისე შიდასახელმწიფოებრივი) ცხადყოფს გამყიდველობის მრავალ შემთხვევას და მაინც არ არსებობს რამდენადმე სრული, ობიექტური მონაცემები კორუფციის შესახებ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში.

მაღალი თანამდებობის პირთა გახმაურებული მხილებანი სხვადასხვა ქვეყნებში (მათ შორის მდიდარსა და ცივილურში) სისტემატურად ქვეყნდება გაზეთებში და გადაიცემა ტელევიზიით, მაგრამ როგორც წესი ყოველივე ეს მთავრდება მხოლოდ საგაზეთო და ტელეხმაურობებით. მრავალ ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში კორუფცია გახდა ნორმა და არა გამონაკლისი, უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლების სამივე განშტოებაში.

რომელი ქმედება უფრო საშიშია საზოგადოებისათვის, როდესაც ავტოსაგზაო პოლიციის თანამშრომელი მოძრაობის წესების დარღვევის საბაბით მძღოლისაგან 3-5 ლარს იღებს, თუ სახელმწიფო მოხელის მიერ ქრთამის სახით ასეულ ათასობით თანხის აღება, თუ ბიუჯეტიდან მილიონების „მოტეხვა“?.

საყოველთაოდ ცნობილია ჭეშმარიტება: ხელისუფლების საფუძველია მისი ავტორიტეტი. ჩვენთან ეს პირამიდა გადაბრუნებულია: თანამდებობის პირთა ავტორიტეტს ხელისუფლება განაპირობებს. სწორედ ხელისუფლება, როგორც უძლიერესი მაგნიტი, თავისკენ იზიდავს ანგარებიანებს, ვიგინდარებს, ცინიკოსებს, ზნეობისაგან შორს მდგომთ და პირფერებს.

ამასთან, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი მოხელის პატიოსნება და უანგარობა უმეტესწილად განისაზღვრება თვით ხელისუფლების მაღალი ზნეობრიობით და პატიოსნებით. კიდევ უფრო მეტი: მოხელის პატიოსნება, რომელიც მოხვდა კორუმპირებული ხელისუფლების სისტემაში დიდი რისკია მისი კარიერისათვის და თვით სიცოცხლისათვისაც კი, „მგლებთან რომ იცხოვრო, მგლური კანონებით უნდა მოქმედებდე“.

დიდი ხანია აღიარებულია ის უდაო ჭეშმარიტება, რომ ყველგან, როგორც ავტოკრატულ, ისე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხალხს მართავდა და მართავს უმცირესობა. მაგრამ საქმის დედაარსი სწორედ ის არის თუ როგორია ეს უმცირესობა (სამწუხაროდ, კერძოდ საქართველოში იგი მთლიანად კორუმპირებულია (იხ. ეროვნული ანტიკორუფ-

ციული პროგრამა)[1], როგორია მისი სინდისიერების, გამყიდველობის, მეერთამეობის და მასზე სოციალური კონტროლის დონე.

რეალური და ცხადია, არა „ფასადური“ დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა ხელისუფლების უშუალო დამოკიდებულება ამომრჩეველთა ხმებზე. ძველი დროიდან ამბობენ „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო (ხალხისა)“. სამწუხაროდ ჩვენთან იგი ჯერ-ჯერობით წარმოადგენს „ხმას მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. არაერთხელ ვყოფილვართ იმის უტყუარი მოწმე თუ როგორ ეშინია, კანკალებს გაკოტრებული მმართველი „ელიტა“ არჩევნების წინაშე. მისი წარმომადგენლები როგორ ემუდარებიან ამომრჩევლებს, რას აღარ პირდებიან (მუდმივ ელექტროენერგიას, ხელფასების მომატებას, ასეულ ათასობით სამუშაო ადგილებს და ა. შ.), ოღონდ ხმა მისცენ, არცთუ იშვიათად მათხოვრის დონემდეც კი დადიან, რათა როგორმე საწადელს მიაღწიონ. შემდეგ? შემდეგ ავიწყდებათ ყოველივე და განაგრძობენ წინანდელ ბინძურ, ავადსახსენებელ საქმიანობას, პირადი გამდიდრების მიზნით, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

კორუფცია, როგორც ასეთი არსებობს და არსებობდა ყველა ქვეყანაში უძველესი დროიდან. იგი არ წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ან დსთ-ის სხვა ქვეყნების ხვედრს. თვით რესპექტაბელური ევროპული კომისია 1999 წელს იძულებული გახდა მთელი შემადგენლობით გადამდგარიყო კორუფციული ნეპოტიზმის[2] გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით. უკანასკნელ წლებში კორუფციული სკანდალი მოედო დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებს (საფრანგეთს, ინგლისს, გერმანიას და ა. შ., აგრეთვე იაპონიას). კორუფციამ შეიძინა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი, არამედ გლობალური მასშტაბები. რამდენადაც გაშორდა იგი ეროვნულ ფარგლებს, ამდენად გლობალურ მიდგომას მოითხოვს. კორუფციის გზით მოხვეჭილი ბინძური შემოსავალი ჩართულია როგორც მსოფლიო, ისე ეროვნულ ნაკადებში.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა ორიენტაციის აღება კორუფციაზე, არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ, არამედ როგორც საერთაშორისო

---

1. იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 1 ნოემბერი, 2000 წ.

2 ნეპოტიზმი (დათ.), ნათესავებისა და ნაცნობების სამსახურებრივი მფარველობა.

მოვლენაზე. ამდენად მას უნდა მივუდგეთ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომაც ცხადია, მის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ფარგლებით. ეს იქნებოდა XX საუკუნისა და ახალი საუკუნის ამ ყველაზე „განუკურნებელი“ სოციალური სენის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ერთერთი მნიშვნელოვანი პირობა.

აქტიური ტრანსეროვნული ბრძოლა კორუფციასთან მთელ მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში გაიშალა XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და ახალი საუკუნის დასაწყისში, როდესაც კორუფციამ შეიძინა მყარი ტრანსეროვნული ნიშნები. კორუფციამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა კანონის უზენაესობას, კანონიერებას, დემოკრატიას და ადამიანის უფლებების დაცვას, ხელისუფლებისადმი ნდობას, სახელმწიფო მმართველობის პრინციპებს, თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას. იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას და მსოფლიო თანამეგობრობის ზნეობრივ საფუძვლებს.

არსებულ რეალიათა ანალიზი, კორუფციის დასაძლევად მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად განსახორციელებელი ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და გაფართოებას, ნიადაგის მომზადებას მასების, უწინარეს ყოვლისა სამართალდაცვის ორგანოების დარაზმვისათვის თანამედროვეობის ამ „განუკურნებელი სენის“ წინააღმდეგ. ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი გარკვეული წვლილი შეუძლია შეიტანოს საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის პრაქტიკულმა რეალიზაციამ.

მეცნიერ სამართალმცოდნეებს, პოლიტოლოგებს, ეკონომისტებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა წარმომადგენლებს თავიანთი რეკომენდაციებით, წინადადებებით შეუძლიათ ხელი შეუწყონ ანტიკორუფციული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რომლის როლი ჩვენთან მართალია წინააღმდეგობრივად და ნელა, მაგრამ მაინც იზრდება.

კორუფციის დონის მიხედვით მეტად თუ ნაკლებად სუფთა ქვეყნების გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს, რომ ანტიკორუფციული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში იწყება თავისებური მიჯნა, როდესაც პოლიტიკურ, მმართველ და ეკონომიკურ „ელიტას“ (ხოლო კორუფციის საწინააღმდეგო რეალური ორგანიზაცია პირველ რიგში მასზეა დამოკიდებული) აღარ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ხალხის მოსაზრებასა და პროტესტებს (როგორც ჩვენთანაც დედაქალაქში ჰქონდა

ადგილი ხელისუფლების დისკრეციულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ საპროტესტო ანტიკორუფციულ გამოსვლებს).

როგორც ჩანს, ყოველივე ეს ნიადაგს მოამზადებს კორუფციის წინააღმდეგ ახალი, სამკვდრო-სასიცოცხლო ლაშქრობისათვის, მის საბოლოოდ დასაძლევად როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გადასარჩენად.

კორუფციის თემა დღეს ყველაზე მწვავე და აქტუალურია. კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი სოციალური მოვლენის შეფასებისათვის განსაკუთრებული კრიტერიუმი, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, სიმართლეა. დიახ, სიმართლე ამ შემთხვევაში კორუფციის შესახებ. სიმართლე მეცნიერებაში გულდასმითი კვლევა-ძიების გზით მიიღწევა და არც თუ იშვიათად „ეკლიან ბილიკებზე" გავლასაც მოითხოვს. ასეთი „საზომი" მთლიანად ესადაგება ისეთ საშიშ სოციალურ მოვლენასა და თანამდებობრივ ბოროტმოქმედებას, როგორიც კორუფციაა, რომელმაც გაიდგა ფესვები და მეტად „ნოყიერი ნიადაგი" ჰპოვა ფართოდ გავრცელებისათვის საქართველოში.

წინამდებარე ნაშრომი კორუფციის შესახებ ქართულ ენაზე ამ სოციალური მოვლენის მონოგრაფიულად შესწავლისა და ანალიზის ფაქტობრივად პირველი ცდაა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია განსაკუთრებით თავისუფალმა პრესამ, (გაზეთები: „რეზონანსი", „ალია", „კვირის პალიტრა", „ახალი ვერსია", „ახალი თაობა" და ა. შ.), რომელიც გაბედულად ამხელს საქართველოში მაღალ მოხელეთა კორუფციულ დანაშაულობებს. შესაძლებელია კორუფციის მრავალსახეობათა ანალიზმა მკითხველში დაუკმაყოფილებლობის გრძნობა წარმოშვას, მაგრამ გასათვალისწინებელია ობიექტური გარემოებაც: კორუფციის თითქმის ყველა სახეობა ლატენტურია, ამიტომ ძნელად გამოსავლენი და გახსნადია, ხოლო გამოუვლენელი და აღურიცხავი კორუფციული დანაშაული კი იმას ნიშნავს, რომ იგი არც არსებობს და მის მიმართ არც უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და არც უნდა ჩატარდეს გამოძიება. ამიტომ დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული კორუფციული დანაშაულის ფაქტების გამოვლენა, მათ შესახებ წერა და ანალიზი. კორუფციაზე ზოგადი მსჯელობა, მხოლოდ ხალხში მითქმა-მოთქმაზე დაყრდნობა, რეალურად არაფრის მომცემია ამ მძიმე სენისა და თანამდებობრივი ბოროტმოქმედების დაძლევისათვის.

ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული და კრიტიკულად გაანალიზებული საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს კონსტიტუციები, საკანონმდებლო აქტები, იურიდიული და პოლიტოლოგიური ლიტერატურა, პერიოდული პრესა, კორუფციის შესახებ საერთაშორისო კონვენციები, კონფერენციების, პირადი დაკვირვების შედეგად შეგროვილი მასალები და ა. შ.

თუ წინამდებარე ნაშრომი ოდნავ მაინც შეუწყობს ხელს ზოგიერთი წინადადებით, რჩევით, რეკომენდაციით ანტიკორუფციული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, კორუფციისადმი საერთო-სახალხო მოუთმენლობის, სიძულვილის ატმოსფეროს შექმნას, კორუფციის წინააღმდეგ რეალურ ბრძოლას საქართველოში, ავტორი თავის ძირითად მიზანს მიღწეულად ჩათვლის, რისი განსჯაც მკითხველისათვის მიგვინდვია.

თავი პირველი

კორუფცია — უმძიმესი დანაშაული და თანამდებობრივი ბოროტმოქმედება

§ 1. დანაშაულის ზოგადი დახასიათება

დანაშაულის ჩადენა იურიდიული ფაქტია, რომელსაც ლოგიკურად მოსდევს სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობათა აღმოცენება დამნაშავესა და სახელმწიფოს შორის, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს. ცხადია, სისხლის სამართლის ყოველი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაულია. დანაშაული არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც სასჯელის მუქარით იკრძალება სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება (უმოქმედობა), რომელიც თუმც ფორმალურად შეიცავს რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ თავისი მცირე მნიშვნელობის გამო არ შეუქმნია ზიანის სერიოზული საფრთხე პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

დანაშაულის ასეთი განსაზღვრა ფორმალურ-მატერიალურია, რამდენადაც შეიცავს დანაშაულის როგორც ფორმალურ (სისხლის სამართლის მართლწინააღმდეგობრივ), ისე მატერიალურ (საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის) საშიშნიშნებს. დანაშაულის უცილობელი ნიშანია აგრეთვე ბრალეულობა.

ხელყოფის ობიექტის მიხედვით დანაშაული იყოფა: დანაშაულად პიროვნების წინააღმდეგ, დანაშაულად საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ, დანაშაულად სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ და ა. შ. ბრალის ფორმების შესაბამისად დანაშაული იყოფა წინასწარ განზრახულად და გაუფრთხილებლობით ჩადენილად.

ამრიგად, დანაშაულის ნიშნებია: საზოგადოებრივად საშიში ქმედება (ე. ი. არსებითი ზიანის მიყენება ან მუქარა არსებითი ზიანის მისაყენებლად პიროვნების, საზოგადოებისა ან სახელმწიფოსათვის); მართლწინააღმდეგობრივი ქმედება (ე. ი. ისეთი ქმედება, რომელიც კანონით გათვალისწინებული სასჯელის მუქარით აკრძალულია და განსაზღვრავს, თუ საზოგადოებრივად როგორი საშიში ქმედება არის დანაშაულებრივი); ბრალეულობა (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ პირს, რომლის ქმედება დანაშაულებრივია განზრახ ან გაუფრთხილებლობით). საზოგადოებრივად საშიში ქმედების აკრძალვა საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს დანაშაული სხვა სამართალდარღვევებისაგან.

ჯერ კიდევ რომაელი იურისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ნიშნებს, რომლებიც მიჯნავდნენ დანაშაულს დანარჩენი სამართალდარღვევებისაგან (დელიქტებისა და სხვათაგან). რომის სამართლის მიხედვით სამართალდარღვევა, რომელსაც მოსდევს სისხლის სამართლებრივი დასჯა იწოდებოდა Crimen-ად (კრიმენ). კერძო სამართლის (deliktum) სამართალდარღვევებისაგან განსხვავებით დანაშაული იყოფოდა ტრადიციულად და საგანგებოდ. პირველი გათვალისწინებული იყო ძველი სამართლით (iusVetus) და პირველ ყოვლისა კანონებით და მას ჰქონდა მყარად განსაზღვრული სახელწოდება. ასევე მკაცრად და ზუსტად იყო აღწერილი შესაბამისი ქმედებაც. მეორე წესდებოდა იმპერატორთა დადგენილებებით და არ იყო მკაცრად ფორმალიზებული, უშვებდა პასუხისმგებლობის შერბილებას ან პირიქით, პასუხისმგებლობის გამკაცრებას გარემოებათა შესაბამისად, ითვალისწინებდა მოსამართლის შეხედულებას სასჯელის ზომის გამოყენებაში. ორივე შემთხვევაში დანაშაულის აღიარებას წინ უსწრებდა იმ გარემოებათა გამორკვევა, რომლებიც აუცილებელია ქმედებათა (ე. ი. საბაბი, პიროვნება, ადგილი, დრო, შედეგები, თვისება და ა. შ.) დანაშაულებრივად აღიარებისათვის.

დანაშაულს, მის სერიოზულ საფრთხეს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის განსაზღვრავს სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც სისხლის სამართალია. იგი ჩვე-

ულებრივ განიხილება იურიდიულ ნორმათა[1] სახით, რომლებიც განსაზღვრავენ ქმედებათა დანაშაულებრივ ხასიათსა და დასჯადობას. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის გარდა სისხლის სამართალი არის აგრეთვე მეცნიერება და შესაბამისი სასწავლო იურიდიული დისციპლინა.

სისხლის სამართლის ნორმათა შორის ჭარბობს ე. წ. ნორმა–აკრძალვები. გარდა ამისა სისხლის სამართლის საგნობრივ შინაარსს ქმნიან ნორმა-პრინციპები, სახელდობრ სამართლიანობის პრინციპი და ბრალის პრინციპი.

საბჭოთა პერიოდში სისხლის სამართალი განიხილებოდა როგორც სამართლის ისეთი დარგი, რომლითაც აღიარებული იქნებოდა თუ რა ქმედებაა მიჩნეული დანაშაულებრივად და რა სასჯელი უნდა იქნეს გამოყენებული დამნაშავის მიმართ. ხოლო თვით სისხლის სამართალი განისაზღვრებოდა როგორც სისტემა იმ სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც დადგენილი და სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ და განსაზღვრულია თუ რომელი ქმედებაა ყველაზე უფრო საშიში მშრომელთათვის და სოციალისტური მართლწესრიგისათვის.

როდესაც საკითხი დგება ამა თუ იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ლოგიკის ძალით უნდა გაირკვეს თვით სისხლის სამართლის ცნება. იგი განისაზღვრება ორი ძირითადი კატეგორიით — „დანაშაულითა“ და „სასჯელით“. ამასთან, წინათ სისხლის სამართლის ნორმების ერთობლიობა (სისტემა) შეიძლებოდა დადგენილიყო მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ და უნდა გამოეხატა მშრომელთა (ხალხის) ინტერესები, ხოლო დანაშაულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო მხოლოდ საზოგადოებრივად ყველაზე საშიში ქმედება. დამახასიათებელია, რომ ჯერ კიდევ იმ დროისათვის სისხლის სამართალი განიხილებოდა როგორც ქცევის დადგენილ წესთა ერთობლიობა.

ამიტომ არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ დღესაც რუსეთის, საქართველოს სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების იუ-

---

1 სამართლის ნორმებია ქცევის სავალდებულო წესები, რომლებიც დადგენილია ან სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ და უზრუნველყოფილია მისივე იძულებით. სამართლის ნორმების არსებობის ფორმებია შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე სამართლის სხვა წყაროები.

რიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართალის ცნების განსაზღვრა არც ისე მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. ასე მაგალითად, ერთი რიგის ავტორები თვლიან, რომ „სისხლის სამართალი ერთიანი სამართლებრივი სისტემის დამოუკიდებელი სფეროა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ერთგვაროვან ნორმათა ერთობლიობას. ეს ნორმები შეიცავენ ისეთ ნიშნებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ სამართალგამომყენებელს აღიაროს ქმედება დანაშაულებრივად და განსაზღვროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და ფარგლები",[1] სხვებს სისხლის სამართალი ესმით, როგორც „ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ დადგენილი და ხალხის ნების გამომხატველი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, სასჯელების სახეებსა და წესს, სხვა სისხლისსამართლებრივ ზომებს, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობებს".[2]

არის ისეთი მოსაზრებაც, რომლითაც, „სისხლის სამართალი არის სამართლის ისეთი დარგი, რომელიც აერთიანებს იმის დამდგენ ნორმებს, თუ როგორი ქმედება ითვლება დანაშაულებრივად, როგორია ამისათვის სასჯელი, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების რა საზომები გამოიყენება პირთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. განისაზღვრება აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ამ პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები".[3]

სისხლის სამართლის პრინციპებიდან, რომლებიც კანონმდებლობის წესითაა განმტკიცებული, პირველ ადგილზეა კანონიერების პრინციპი, ხოლო კანონიერება მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც არცერთი დანაშაული არ დარჩება დაუსჯელი და გაუხსნელი.

---

1 ი. ი. კაზაჩენკო, სისხლის სამართალი როგორც სისხლისსამართლებრივი რეგულირების ინსტრუმენტი (რუს.), გ. 1997, გვ. 5.

2 ლ. ა. პრობოროვი, სისხლის სამართლის ცნება, მისი ამოცანები (რუს.), სარატოვი, 1997, გვ. 6.

3 ა. ვ. ნაუმოვი, რუსეთის სისხლის სამართალი (რუს.), გ. 1996, გვ. 14.

სისხლის სამართლის ნებისმიერი „ნორმალური“ კოდექსი დანაშაულის მთავარ ნიშნად განსაზღვრავს მართლწინააღმდეგობრივ ქმედებას. დანაშაული მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლწინააღმდეგობრივი შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის გამოწვევის კონკრეტული საფრთხე შექმნა.

სისხლის სამართალში ძირითადი ცნება დანაშაულის ცნებაა. საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში დანაშაული განსაზღვრულია როგორც „მართსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. ესაა ფორმალურ-მატერიალური განსაზღვრა, რამდენადაც შეიცავს როგორც ფორმალურ (სისხლის სამართლებრივ მართლსაწინააღმდეგოს), ისე ბრალეულ ქმედებას, რომელიც საზოგადოების, ქვეყნის, პიროვნების წინააღმდეგაა მიმართული.

უახლეს რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის ცნებაში ჩადებულია „საზოგადოებრივად საშიში ქმედება“ და იგი აღიარებულია დანაშაულის მატერიალური განსაზღვრის ძირითად ნიშნად და ამასთან დანაშაულის აუცილებელ ნიშნად აღიარებულია ბრალეულობაც, რაც როგორც ვნახეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიცაა მოცემული.

აქვე უნდა ითქვას, რომ საკითხი დანაშაულის ნიშნად საზოგადოებრივად საშიში ქმედების აღიარების შესახებ ბოლომდე დღესაც არ არის გადაწყვეტილი. დანაშაულის განსაზღვრაში „საზოგადოებრივად საშიში“ ქმედების ნიშნის აღიარებაზე უარს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში თავისი საფუძველი მაინც აქვს. გასათვალისწინებელია, რომ თვით კატეგორია „საზოგადოებრივად საშიში“ ძნელად გახსნადია. როგორც ცნობილია 1960 წლის საბჭოთა სს კოდექსში „საზოგადოებრივად საშიში“ ნიშანი „გახსნილი“ იყო ძირითად ობიექტთა ჩამოთვლის გზით, რომლებსაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედება. საკუთრივ თვით დანაშაულის დედაარსი განსაზღვრაში არასაკმარისადაა ახსნილი. დანაშაულის განსაზღვრა საქართველოს სს მოქმედ კოდექსში უფრო ლაკონიურია და უფრო გასაგებია, როგორც სამართალგამომყენებელთათვის, ისე მოქალაქეებისათვის.

საზოგადოებრივად საშიში ქმედება, როგორც დანაშაულის უცილობელი ნიშანი, საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ამოღებულია და მის ნაცვლად აღიარებულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რაც თავისთავად საზოგადოებრივად საშიშ ქმედებადაც უნდა ჩაითვალოს. ხოლო საზოგადოებრივად საშიში ქმედების გამოცხადება დანაშაულის აუცილებელ ნიშნად არ უნდა აღიარდეს მართლზომიერად, ვინაიდან იგი ზოგადია და რამდენადმე ბუნდოვანია, თავისთავად ბოლომდე ვერ ხსნის დანაშაულის ბუნებას. ამასთან ერთად საქართველოს სს კოდექსში ნაკლებად მნიშვნელოვანი ქმედება არ ითვლება დანაშაულად. მე-7 მუხლის მეორე ნაწილით აღიარებულია: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე".

ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც ვხდავთ, აქ განმარტებულია როგორც მისი ჩამდენის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რამეთუ ქმედებას არ გამოუწვევია ზიანი (ცხადია პიროვნებისათვის, ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის) ან არ შეუქმნია მისი რეალური საფრთხე.

ამრიგად, კატეგორია „საზოგადოებრივად საშიში" მაინც სადავოა. მას არ შეუძლია ახსნას დანაშაულის შინაარსი. საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ავტორებმა იოლად გადაწყვიტეს ეს პრობლემა, საერთოდ ამოიღეს კოდექსიდან „საზოგადოებრივად საშიში" ქმედება და ამდენად არც მისი ახსნა გახდა აუცილებელი. მის დატოვებას სს კოდექსში გამართლება არ ჰქონდა: სამართალგამომყენებლებზე რომ არაფერი ვთქვათ, უბრალო მოქალაქეებისათვის იგი გაუგებარი გახდა.

ზოგიერთ სამართალმცოდნეს ეს ნიშანი სს კოდექსში მოქმედად მიაჩნია. ღირს კი, რომ ამ ნიშანს ჩამოვეკიდოთ, როგორც „წყალწაღებული ხავსს", მით უფრო, რომ მისი არსე-

ბობა დანაშაულის განსაზღვრაში არ დაგვეხმარება პრობლე-
ების გადასაწყვეტად, რომლებიც დგას სამართალგამომყენე-
ბლების წინაშე. ზოგიერთი სპეციალისტი იურისტი შიშობს
თუ კი დანაშაულის ცნებიდან გამოვრიცხავთ „საზოგადოებრი-
ვად საშიში“ ქმედების ნიშანს, ეს კანონმდებელს ჩიხში მოაქ-
ცევს. მაშინ თითქოს მას აღარ შეუძლია განსაზღვროს საზო-
გადოებრივად საშიში ქმედების ხასიათი და დონე. მაგრამ სა-
ზოგადოებრივად საშიში ქმედების შენარჩუნება დანაშაულის
განსაზღვრაში სრულიადაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ
სისხლის სამართლის კანონში არ შეივიდეს ქმედებანი, რომელ-
თაც ასეთი თვისება არ ახასიათებს. ახლანდელი სინამდვილე
და განსაკუთრებით კი არც თუ შორეული წარსული ამის არა-
ერთ მაგალითს იძლევა. მეორე, მაგალითად ევროპის უმეტესი
ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით დანა-
შაულის განსაზღვრაში არსად არ არის ნახსენები საზოგადო-
ებრივად საშიში ქმედების ნიშანი, მაგრამ ეს როდი უშლის მათ
ხელს გადაწყვიტონ დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანები.
ამასთან აღნიშნული ნიშანი დანაშაულში ეჭვმიტანილს ბრალ-
დებისაგან თავის დაღწევის გარკვეულ „კოზირს“ აძლევს.

კანონმდებელი უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიდეს ჭე-
შმარიტებიდან. თუკი დანაშაული — სისხლის სამართლის კა-
ნონით დასჯის მუქარით აკრძალული ქმედებაა, მაშინ ცხა-
დია, თვით ასაკრძალავი ქმედება უნდა იყოს დანაშაულებ-
რივი ყველა მისი ნიშნებით. კანონმდებლის განსაკუთრებუ-
ლი თვისებაა. შეეძლოს იგრძნოს, შეიცნოს, ზოგჯერ გამო-
იცნოს, მიხვდეს (პროგნოზირება მოახდინოს), გამოავლინოს
დანაშაული მრავალ ქმედებათა შორის. საკუთარი სამართალ-
შეგნების, საკუთარი რწმენის გარდა ამ შემთხვევაში მას არ
შეუძლია სხვა რამით იხელმძღვანელოს.

ცხადია, დანაშაულის ცნებიდან საზოგადოებრივად საში-
ში ქმედების გამორიცხვა არ არის იოლად გადასაწყვეტი სა-
კითხი. ეს უდაოდ გამოიწვევს შეხედულებათა გადასინჯვას
ისეთ კატეგორიებზე, როგორიცაა ბრალი, შერაცხადობა და
ა. შ. ამიტომ ასეთი გადასინჯვისაკენ პირველი ნაბიჯი შეიძ-
ლება იყოს დანაშაულის განსაზღვრაში მატერიალური და ფო-
რმალური ნიშნების თანაფარდობისადმი მიდგომის რამდენად-

მე შეცვლა. ალბათ საჭირო იქნება ხელი ავიღოთ ამ ნიშანთა ურთიერთკავშირის არსებულ გაგებაზე, როდესაც განსაზღვრას საფუძვლად აქვს დადებული მატერიალური ნიშანი (საზოგადოებრივად საშიში ქმედება), ხოლო ფორმალური ნიშანი (სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობრიობა) ცხადდება მისგან ნაწარმოებად. როგორც ჩანს, სამართლებრივ სახელმწიფოში პირველი ადგილი უნდა დაიკავოს მართლწინააღმდეგობრიობის ნიშანმა. და მართლაც ასე იქნება. ეს დროის მოთხოვნაა. ჩვენ დროს ხომ არ გაუსწრით? ალბათ მაინც და მაინც არა. სს ნებისმიერი კოდექსი დანაშაულის ჩადენის თავისებური შემაკავებელი ინსტრუმენტია. აქვე დგება დანაშაულის კატეგორიათა საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსით აღიარებულია (გერმანული მოდელის გათვალისწინებით) დანაშაულის სამი კატეგორია: ა. ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ. მძიმე დანაშაული; გ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედების დონისა და ხასიათის შესაბამისად დანაშაული განიყოფება ნაკლებად მძიმე დანაშაულად, საშუალო სიმძიმის დანაშაულად, მძიმე დანაშაულად და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად. ამ სახითაც მისაღებია დანაშაულის კატეგორიათა განსაზღვრა, მაგრამ რეალური ცხოვრების გათვალისწინებით უფრო ზუსტი იქნებოდა დანაშაული შემდეგ კატეგორიებად განისაზღვროს: ა. მსუბუქი დანაშაული (ალბათ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ნაცვლად); ბ. საშუალო სიმძიმის დანაშაული (მსუბუქსა და მძიმეს შორის შუალედური ხასიათის დანაშაული); გ. მძიმე დანაშაული, და დ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ვფიქრობთ დანაშაულის კატეგორიათა აღნიშნული განსაზღვრა უფრო მეტად ახასიათებს ცხოვრების რეალიებს.

მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსებში აღიარებულია დანაშაულის მხოლოდ ორი კატეგორია. მაგალითად, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის 1985 წელს მიღებული (ძალაში შევიდა 1986 წელს) სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ორ კატეგორიას აღიარებდა: ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულს. შემდეგში უკვე

ამ ქვეყნის 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ერთბაშად ოთხი კატეგორიაა (ისე როგორც რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში): ნაკლებად მძიმე დანაშაული; მძიმე დანაშაული; უფრო მძიმე დანაშაული(?!); განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

როდესაც დანაშაულს ვეხებით, როგორი ხასიათის არ უნდა იყოს იგი, კორუფციული, ორგანიზებული თუ სხვა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს პიროვნების ბრალეულობის დონე, რომელიც ჩადის ამა თუ იმ სახის დანაშაულს.

უნდა გავიცნობიეროთ ის ჭეშმარიტება, რომ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად ფუძემდებლური კატეგორიის სახით აღიარებულია პიროვნების სუბიექტური ბრალი.

სისხლის სამართლის მეცნიერებით და ცხადია, სისხლის სამართლის ნებისმიერი კოდექსით დამნაშავედ ითვლება პირი, რომელმაც დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა შეგნებულად (განზრახ) ან გაუფრთხილებლობით. სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე სწორედ ბრალია. იგი ნიშნავს პირის მიერ თავისი ქმედებისა და მასთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დაუშვებლობის გაცნობიერებას (შეგნებას, გაგებას). ბრალი პირის იურიდიული პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა.

სისხლის სამართალი ითვალისწინებს ბრალის ფორმებსა და მათს გავლენას პირის პასუხისმგებლობის დონეზე. სისხლის სამართლით თვით ბრალი განიხილება როგორც პირის ფსიქიკური[1] დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისა და მისი შედეგისადმი, რომელიც გამოიხატება მისი განზრახ ან გაუფრთხილებელი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (ქმედება ან უმოქმედობა). დანაშაული განზრახ ჩადენილად ითვლება, თუ კი მისმა ჩამდენმა შეიგნო თავისი ქმედების ან უმოქმედობის საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, წინასწარ განსაზღვრა პიროვნებისათვის, საზოგადოები-

---

1 ფსიქიკა (ბერძნ. სულიერი) სულიერ პროცესთა და მოვლენათა (შეგრძნება, აღქმა, ემოცია, მესსიერება და ა. შ.) ერთობლიობა; 2. ადამიანის სულიერ თვისებათა ერთობლიობა, მისი სულიერი ორგანიზაცია, სულიერი წყობა.

სათვის მისი საშიში შედეგი და სურდა იგი (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა საშიში ხასიათის შედეგის დადგომას, მაგრამ არ სურდა იგი (არაპირდაპირი განზრახვა).

დანაშაული ითვლება გაუფრთხილებლობით ჩადენილად თუ მისმა ჩამდენმა წინასწარ გაითვალისწინა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ასეთ შედეგს თავიდან აიშორებდა. ასეთი ქმედება კვალიფიცირდება როგორც დანაშაულებრივი თვითდაჯერებულობა, როდესაც პირი ვერ ითვალისწინებს და არ ფიქრობს საშიში შედეგის დაწყების შესაძლებლობას. თუმც შეძლებდა ან შეეძლო წინასწარ განესაზღვრა, რაც დანაშაულებრივი დაუდევრობის ტოლფასია. როგორც წესი, დანაშაული იდება ან განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი აყალიბებს დანაშაულის შემადგენლობას ისეთნაირად, რომ მართლსაწინააღმდეგო და საშიში ქმედების თუ უმოქმედობის მიმართ ბრალი გამოიხატება წინასწარ განზრახვის ფორმით, ხოლო დაწყებული შედეგების მიმართ — გაუფრთხილებლობის ფორმით. ასეთ სიტუაციაში აღმოცენდება ბრალის რთული ან შერეული ფორმა. ქმედებებში ბრალეული პირის არ არსებობისას საქმე შეეხება შემთხვევას — კაზუსს, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.[1]

ბრალის ფსიქოლოგიური შინაარსი შეიცავს პიროვნების ნებისყოფისა და ცნობიერების (შეგნების) განსაზღვრულ მდგომარეობას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ბრალის ფორმების — წინასწარ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრაში, თვით იმის გათვალისწინებით, რომ განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი აქტის ფსიქოლოგიური მექანიზმები პრინციპულად სხვადასხვანაი-

---

1 სამოქალაქო სამართალში ბრალი — სამოქალაქო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის პირობაა: სახელშეკრულებო თუ სხვა მოვალეობების შეუსრულებლობა ან არასაკმარისად შესრულება, უკანონო გარიგება, ქონებრივი ზიანის მიყენება და ა. შ., მაგრამ ეს ცალკე საკითხია.

რია. სისხლის სამართლის თეორიაში ბრალი, როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი განიხილება ცნებებში, რომლებიც შეეხებიან პიროვნების ფსიქიკის სხვადასხვა ფორმებს — ცნობიერებისა და ნებისყოფის ელემენტების სახით.

ფსიქოლოგიური თეორიის თვალსაზრისით ბრალი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს დანაშაულის ჩამდენი პირის ცნობიერებაში. რუს მეცნიერ სამართლმცოდნე ვ. ტკაჩენკოს მიაჩნია, რომ „ბრალის განსაზღვრა შეიძლებოდა როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ობიექტური ნიშნებისადმი."[1] მაგრამ ბრალის „სისხლის სამართლებრივი ცნება არ დაიყვანება აზრობრივ პროცესებამდე. იგი შეიცავს აგრეთვე ნებელობით კომპონენტს, ესაა განზრახ ჩადენილი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით იკრძალება".[2]

ბრალის სისხლისსამართლებრივი პრინციპის შესაბამისად და დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრით იგი წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების განუყოფელ თვისებას და დანაშაულის ნებისმიერი შემადგენლობის უცილობელ ნიშანს.

ბრალი სამართლებრივი კატეგორიაა. იგი ყველგანაა ფიქსირებული სისხლის სამართლის კოდექსებშიც და სხვა ნორმატიულ აქტებშიც. მაგრამ მისი განსაზღვრა არსად არ არის მოცემული. რფ 1994 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით შეიცავდა ბრალის განსაზღვრას. მუხლი 27-ე „ბრალი და მისი ფორმები" გვამცნობს: „ბრალი — პირის შეგნებული — ნებელობითი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც დანაშაულს სჩადის, რაც განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში გამოიხატება". ასეთი განსაზღვრა მართალია ზოგადია, მაგრამ იგი სხვა მხრივაც მოიკოჭლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბრა-

---

1 ვ. ტკაჩენკო, ბრალი, ცნება, სახეობები, ვილნიუსი 1989 (რუს.), ტ. 22, გვ. 20.

2 ო. სიტკოვსკაია, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის ფსიქოლოგიური კომენტარი (რუს.), მ., 1999, გვ. 40.

ლის, როგორც პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაგება არ ასახავს ფსიქოლოგიურ რეალიებს, რამდენადაც ბრალი თავისთავად მდგომარეობა კი არ არის, არამედ პროცესია, რომლის მსვლელობაშიც აღმოცენდება განზრახვა, ჩადენილი იქნეს საშიში ქმედება. ამიტომ ბრალი წარმოადგენს ქმედებისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას. მაგრამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე შინაარსობრივად განისაზღვრება არა მხოლოდ ბრალით, არამედ მოტივითაც და მიზნითაც.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა განთქმულია თავისი რესპექტაბელურობით და ამდენად სანიმუშოა სხვა ქვეყნების კანონმდებელთათვისაც.

დანაშაულის მთავარ მოტივად თანამედროვე გერმანულ სამართალს მიაჩნია ნებელობითი (ნებისყოფითი) ქმედება ან უმოქმედობა, ე. ი. შეგნებული ქცევა, რომელიც განაპირობებს დანაშაულებრივი შედეგის დაწყებას. ყველა შეუგნებელი ქმედება, ან აგრეთვე ისეთი, რომელიც ფიზიკური იძულების გავლენითაა ჩადენილი, მოკლებულია სისხლის სამართლებრივ დედააზრს და არ იმსახურებს დასჯადობას. სისხლისსამართლებრივი ქმედების შემადგენელი ელემენტები ტრადიციულია: ობიექტური და სუბიექტური მხარეებია პირის დამოკიდებულება საკუთარი ქცევისადმი, რომელიც სუბიექტურ მხარეს შეადგენს და მას დანაშაულებრივი ხელყოფის შეფასებაში აქვს მეორაღი მნიშვნელობა, ე. ი. სამართლებრივი ინტერესი შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ კონკრეტული საქციელის (ქმედების) ჩადენის შემდეგ.

გერმანული კანონმდებლობით, რამდენადაც საქმე ეხება პირის ნებელობით ქცევას, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი (იურიდიული პირის პასუხისმგებლობა რეგულირდება სამართლის სხვა დარგებით). ამასთან ფიზიკური პირი უნდა იყოს შერაცხადი — ფსიქიკურად ჯანმრთელი, ნორმალური ადამიანი, რაც გამოიხატება მის უნარში ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებას და დაარეგულიროს იგი საკუთარი სურვილისამებრ. პირის

შერაცხადობის შესახებ საკითხი დგება მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რამდენადაც შერაცხადობა ბრალისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. მხოლოდ ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი თავისი საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის და მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სისხლის სამართლებრივი სასჯელი.

შერაცხადობის ცნება გერმანიის კანონმდებლობაში არ არის ახსნილი: „ბრალის გარეშე მოქმედებს ის, ვინც დანაშაულის ჩადენისას პათოლოგიური, ფსიქოლოგიური მოშლილობის, ცნობიერების ღრმად დარღვევის ან სუსტი გონების ან სხვა მძიმე ფსიქიკური გადახრის შედეგად უუნაროა შეიგნოს ქმედების მართლწინააღმდეგობრიობა ან მოქმედებდეს ამის გაგებით“.[1]

გერმანულ სამართალში ბრალის ფორმას აქვს აგრეთვე დამოუკიდებელი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყებად: დანაშაულებრივად, უწინარეს ყოვლისა, ითვლება შეგნებული ქმედება, ხოლო გაუფრთხილებლობა აღიარებულია ასეთად საერთო წესიდან გამონაკლისის სახით. წინასწარი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შინაარსი კანონში არ არის ახსნილი.

გერმანიის სისხლის სამართალში ბრალი ფსიქოლოგიური კონცეფციის თვალსაზრისით განისაზღვრება პირის ფსიქიკური დამოკიდებულებით მის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი. თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობრიობის შეგნება პირის მიერ არ წარმოადგენს წინასწარი განზრახვის სავალდებულო კომპონენტს, მაგრამ გათვალისწინებულია ინფორმირებულობა ასეთი სახის ქცევის აკრძალვაზე. ამ გარემოებას დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს და არსებით გავლენას ახდენს დასჯადობაზე.

წინასწარი განზრახვის შინაარსის ანალიზისას ფსიქოლოგიური კონცეფციის მომხრეები გამოყოფენ ორ დამოუკიდებელ ელემენტს: ინტელექტუალურს (ჩადენილის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება) და ნებელობითს (ჩასადენის

---

1 ციტ. ა. ნერსესიანი. დასჯადობის საკითხები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ამშ-ის სისხლის სამართალში (რუს.), მ., „ნაუკა“, 1992, გვ. 46.

სურვილი). არ არის სავალდებულო, რომ ეს ორივე შემადგენელი იმყოფებოდეს თანაბარ პროპორციაში, რაც სწორედ განზრახვას სხვადასხვანაირს ხდის ამა თუ იმ დანაშაულის მიმართ და საშუალებას იძლევა გაიყოს იგი ორ სახეობად (პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა).

თანამედროვე პირობებში თეორია და პრაქტიკა განასხვავებს განზრახვის მხოლოდ ორ სახეობას: პირდაპირსა და არაპირდაპირს, რომლის აზრობრივი განსაზღვრა ანალოგიურია საბჭოთა სამართალშიც. გერმანიის ზოგიერთი მეცნიერი წინადადებას აყენებს გაიყოს პირდაპირი განზრახვა ორად: ა. პირმა იცის ჩასადენი ქმედების საშიში ხასიათი და შეგნებული აქვს როგორ შეასრულოს იგი და როგორ მიიღოს მის მიერვე განსაზღვრული შედეგი, ბ. პირმა იცის ქმედების საშიშროებაც და ისიც თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ქმედებას.

როგორც ვხედავთ პირდაპირი განზრახვის ანალოგიური განმარტება ხელოვნურია და ნეგატიურ გავლენას ახდენს სასამართლო შეფასებაზე, რამდენადაც პრაქტიკულად არარაობამდე დაჰყავს პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის განსხვავება. როგორც ვნახეთ არაპირდაპირი განზრახვისას პირს არ სურს საზიანო შედეგების დაწყება, მაგრამ განურჩევლად ითვალისწინებს მათი დაწყების ალბათობას (ე. ი. მისთვის სულერთია თუ რა შედეგი დაიწყება).

ბრალის შემდეგ ფორმას გერმანულ სისხლის სამართალში წარმოადგენს გაუფრთხილებლობა, რომელიც შემდეგნაირად ხასიათდება: პირი საერთოდ წინასწარ ვერ ხედავს მის მიერ ჩადენილი ქმედების ნეგატიური შედეგების დაწყებას (გაუფრთხილებლობის გაუცნობიერებლობა) ან დასაშვებად მიაჩნია დანაშაულებრივი შედეგის დაწყება და დაუსაბუთებლად იმედი აქვს მოვლენათა ხელსაყრელ განვითარებაზე (თვითდაჯერებულობა).

საერთოდ, პრაქტიკულად ბრალის ძირითადი შინაარსის განსაზღვრა გერმანული სამართლის მიხედვით ცოტათი თუ განსხვავდება ამავე საკითხზე საბჭოთა სამართალში არსებული თვალსაზრისისაგან. მაგრამ არის ერთი არსებითი თავისებურება, რომელიც განაპირობებს გერმანულ სამართალმცოდნეთა ცდებს, გადაუხვიონ ბრალის ტრადიციულ გაგებას. მხედველობაშია, მაგალითად გამტყუნების, საყვედურის,

ბრალის დადების ნიშანი, რომელიც ახასიათებს ბრალს ისეთ ელემენტებთან ერთად, როგორიცაა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. იგი იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავეს შეიძლება უსაყვედურო, დატუქსო იგი, დაგმო მისი მოქმედება ჩადენილის გამო და ა. შ. მისთვის შექმნილ ცხოვრებისეულ სიტუაციაში პირს შეეძლო არ დაერღვია კანონი, რომ ამის სერიოზული მიზეზი მისთვის არ იყო. რა თქმა უნდა არ იქნებოდა მართლზომიერი იმის აღნიშვნა, რომ მითითებული ნიშანი მოკლებული იყოს საღ აზრს.

უნდა ითქვას, რომ საყვედურის, დაგმობის ნიშნის შეტანას ბრალის ცნებაში არ შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს თვითნებობა, არ მოასწავებს ქმედების სისხლისსამართლებრივი კონცეფციიდან გადახვევას.

ასე რომ, მოსამართლეთა მიერ აღნიშნული მომენტის გათვალისწინება არ შეუშლის ხელს სისხლის სამართლის საქმის ობიექტურად განხილვას და კანონიერი განაჩენის გამოტანას ნებისმიერ, მათ შორის კორუფციულ დანაშაულზე.

აშშ-ის სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელია დანაშაულის, როგორც ასეთის, ცნების ნორმატიული განსაზღვრის არ არსებობა, რაც უმთავრესად აიხსნება ინგლისის ზოგადი სამართლის გავლენით. დანაშაულის თვით ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი, როგორიცაა ქმედების მართლწინააღმდეგობრიობა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს გერმანიის სისხლის სამართლის მთელს შინაარსს, მოკლებულია ამერიკის კანონმდებლის ყურადღებას. აშშ-ის სამართლებრივი სისტემის აგების სპეციფიკა საშუალებას აძლევს ყოველ შტატს გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა, მათ რიცხვშია ცდები, მოგვცეს დანაშაულის ცნების ნორმატიული განსაზღვრა. ასე მაგალითად, კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა შემდეგ ვარიანტს: „დანაშაულად, ან საჯარო სისხლის სამართლის დარღვევად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია ან არ არის ჩადენილი როგორც სამართლის ნორმის დარღვევა, რომელიც კრძალავს ან აწესებს (ადასტურებს) მის მოხდენას, აგრეთვე რომლისთვისაც მსჯავრის დადების შემდეგ (დამნაშავეს) ენიშნება ერთ-ერთი შემდეგი სასჯელიდან: 1. სიკვდილით დასჯა; 2. თავისუფლების აღკვეთა; 3.

ჯარიმა; 4. თანამდებობიდან გადაყენება; 5. უფლების ჩამორთმევა დაიკავოს თანამდებობა მოცემულ შტატში, სადაც სარგებლობს ნდობით ან აქვს მოგება".[1]

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაში გამოყოფილია ქმედების მართლწინააღმდეგობრიობის ნიშანი—ქმედების ჩადენის ფორმა: ქმედება ან უმოქმედობა, რომელთა შემდეგაც საჭიროა მისი ჩადენისათვის შესაძლო სასჯელთა ჩამოთვლა, რაც სრულიადაც არ არის დაკავშირებული დანაშაულის შინაარსის ახსნასთან. ფორმალური განსაზღვრის არასრულყოფილობა ცხადად იგრძნობა და ასეთი მტკიცების სასარგებლოდ არგუმენტების მოტანა არ არის მიზანშეწონილი მათი დამთხვევის სახით შეფასებებთან, რომლებიც გერმანულ სისხლისსამართალშია ამ საკითხზე მოცემული.

სისხლის სამართალში უფრო ოპტიმალურადაა აღიარებული განსაზღვრა, რომელიც მოცემულია ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის 1967 წლის კოდექსში. საკუთრივ დანაშაულის ნაცვლად იქ გამოყენებულია ცნება „სისხლის სამართლის სამართალდარღვევა", რომელიც იყოფა: 1. საკუთრივ დანაშაულად; 2. დარღვევად; 3. საგზაო გადაცდომებად.

სისხლის სამართლის მეცნიერების ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა დანაშაულის მომზადება და მცდელობა.

მხოლოდ დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედების დასჯა არ არის საკმარისი დანაშაულის აღსაკვეთად. დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია დანაშაულის დასჯადობა არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დამთავრებულია და მისი მავნე შედეგი სახეზეა, არამედ უფრო ადრინდელი დროიდან, როდესაც ხორციელდება ქმედება დანაშაულის ჩასადენად, თუნდაც მას ფაქტობრივი შედეგი არ მოჰყვეს. სხვა სიტყვებით სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელი ვათვალისწინებულია არა მხოლოდ დამთავრებული დანაშაულისათვის, არამედ დაუმთავრებელისათვისაც, ე. ი. წინასწარი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

---

1 ციტ. ა. ნერსესიანი, დასჯადობის საკითხები კფრ-ისა და აშშ-ის სისხლის სამართალში (რუს.), მ., „ნაუკა", 1992, გვ. 53.

დაუმთავრებელი დანაშაული მთელ რიგ პრობლემებს აყენებს სისხლის სამართლის მეცნიერების წინაშე. უნდა გაირკვეს: ჯერ-ერთი, რაში მდგომარეობს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლები და განსხვავდებიან თუ არა ისინი დამთავრებული დანაშაულისათვის წაყენებული პასუხისმგებლობის საფუძვლებისაგან? რომელი საფეხურიდან უნდა დაიწყოს დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედების დასჯადობა? როგორია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა? და ა. შ.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი სამართალი, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას მხოლოდ დანაშაულის მავნე შედეგს ანიჭებდა, დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას არ იცნობდა.

სამართალში თანდათან დამკვიდრდა აზრი, რომ პირს შეიძლება პასუხი მოეთხოვოს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ქმედება განპირობებულია მისი ბრალით, ე. ი. დასაგმობი ფსიქიკური დამოკიდებულებით თავისი ქმედებისადმი და მით გამოწვეული შედეგებისადმი.

დამნაშავის დასჯისათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ წმინდა შემთხვევით გარემოებას, განხორციელდა თუ არა მავნე შედეგი. თუ პიროვნების ქმედება მიმართული იყო დანაშაულის ჩადენისაკენ, მაგრამ, მავნე შედეგის განხორციელებას ხელი შეუშალა რაიმე, გარეშე, მისი ნებისაგან დამოუკიდებელმა გარემოებამ, უსამართლობა იქნება ასეთი ქმედების ჩამდენი არ დაისაჯოს. ასე წარმოიშვა დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება.

ძველი სამართალი არ ცნობდა დანაშაულის არც მომზადებას და არც მცდელობას. დანაშაულად ითვლებოდა მაგალითად მოკვლის მიზნით იარაღით ხელში პირის სიარული, ამავე მიზნით საწამლავის შეძენა, დამზადება, შენახვა ან გადაცემა და ა. შ. ვინაიდან რომის სამართალი დანაშაულის მცდელობის ცნებას არ იცნობდა, ამიტომ ყველა აღნიშნული ქმედება ისჯებოდა არა როგორც დაუმთავრებელი დანაშაული, არამედ როგორც დამთავრებული და დამოუკიდებელი დანაშაული. ასე იყო ადრინდელი შუა საუკუნეების სამართალშიც. აქაც კანონმდებლები ითვალისწინებდნენ დანაშაულის ისეთ

შემადგენლობებს, რომლებიც შედეგს არც მოითხოვდა. აქაც მითითებული ქმედებანი ისჯებოდა, როგორც დამთავრებული, დამოუკიდებელი დანაშაული. დაუმთავრებელ დანაშაულებრივ ქმედებას თანამედროვე სისხლის სამართალში დანაშაულის შეკვეცილ შემადგენლობას უწოდებენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-VI თავი სპეციალურად დაუმთავრებელ დანაშაულს ეძღვნება. შესაბამისად ასეთი დანაშაულის ოთხი ელემენტია აღნიშნული: დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა; პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის და ასეთი დანაშაულის ჩადენისათვის ნებაყოფლობით ხელის აღება.

კოდექსში (მე-18 მუხლი, პირველი ნაწილი) ნათქვამია, რომ დანაშაულის მომზადებად ითვლება მისი ჩადენისათვის პირობების წინასწარი განზრახვით შექმნა, ამასთან **„სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ** (ხაზი ჩვენია, ა. მ.) მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის“ (ნაწილი მეორე). კოდექსით დანაშაულის მცდელობად ჩათვლილია განზრახი ქმედება დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ თუ იგი ბოლომდე არ არის მიყვანილი, პირს არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თუ პირმა დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი ან თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს არ წარმოადგენს (მუხლები — მე-20, 21-ე, შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე ნაწილები).

დაუმთავრებელი დანაშაული მთლიანად და სავსებით ვრცელდება როგორც კორუფციულ, ისე ორგანიზებულ დანაშაულზე, ცხადია, მათი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით.

§ 2. კორუფციის დედაარსი და ძირითადი მახასიათებლები

შილერს თავისი დრამის „ვერაგობა და სიყვარული“ (1784 წ.) მეორე მოქმედების დასკვნით სცენაში ასეთი სურათი აქვს დახატული: ფერდინანდი ცდილობდა რა თავიდან აეცილებინა მამა-პრეზიდენტის ბოროტი ბრალდებები და როდესაც თავის დასაცავად ყველა არგუმენტი ამოწურა, ყურში ჩაჰყვირა: „მთელ ქალაქს ვუამბობ, თუ როგორ აღწევენ პრეზიდენტობას“.[1] ამ მუქარამ გაჭრა.

დღეს, როგორ, რა გზით ხდებიან პრეზიდენტებად, პრემიერმინისტრებად, პარლამენტარებად, მინისტრებად ან მათ მოადგილეებად? მოქმედებს მათი ბოროტმოქმედების გამომჟღავნების მუქარა? რა არის კორუფცია, რას წარმოადგენს იგი საერთოდ? სხვადასხვა ენაზე არსებული განმარტებითი ლექსიკონები ძირითადად მას ერთნაირად ახასიათებენ, როგორც ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც გამოიხატება ერთის მხრივ თანამდებობის პირის მიერ მისთვის მინიჭებულ უფლებათა ბოროტად გამოყენებაში, პირადი გამდიდრების მიზნით, ხოლო მეორეს მხრივ, კორუფცია არის დანაშაულებრივი, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება პოლიტიკის ან სახელმწიფო მმართველობის სფეროში თანამდებობის პირთა მიერ მათთვის მინიჭებულ უფლებათა და სახელისუფლო შესაძლებლობათა ბოროტად გამოყენება პირადი გამდიდრებისათვის ან თვით მათი მოსყიდვა სხვათა მიერ ანგარების მიზნით, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

როგორც ვხედავთ კორუფცია სახელმწიფო თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებად ითვლება.

კორუფციის ყველაზე ახლო სინონიმია გამყიდველობა (მექრთამეობა), მაგრამ იგი მნიშვნელოვნად უფრო ფართო ცნება გახდა და თანამედროვე პირობებში, მან ახალი ნიშნები და თვისებები შეიძინა.

---

1 ფრიდრიხ შილერი, რჩეული თხზულებანი, სამ ტომად, ტომი 1, თბილისი, 1961 წელი, გვ. 556.

კორუფცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სოციალურ-სამართლებრივი ან კრიმინოლოგიური მოვლენა, რომელიც შეიცავს მართლსაწინააღმდეგო, საზოგადოებრივად საშიშ, ბრალეულ ქმედებათა ერთობლიობას და აღიარებულია დანაშაულებრივად მსოფლიო პრაქტიკაში. არსებობს კორუფციის მრავალი განსაზღვრა, რომელთა მარტო ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. არსებული, მოკლე, მაგრამ ზუსტი და ტევადი განსაზღვრა, რომელიც გამოიყენება გაეროსა და ევროსაბჭოს დოკუმენტებში გვამცნობს: „კორუფცია არის სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტმოქმედება პირადი, მესამე პირთა ან ჯგუფთა სარგებლიანობის მიღების მიზნით“. ამ განსაზღვრით კორუფცია გამოდის ჩვეულებრივი მექრთამეობის ფარგლებიდან. მას გარდა იგი შეიცავს ნეპოტიზმს (ლათ. ნათლიმამობა, ნათესავების, ნაცნობების სამსახურებრივი მფარველობა და ა. შ.) და პირადი, კერძო სარგებლიანობისათვის საჯარო საშუალებათა უკანონოდ მითვისების მრავალრიცხოვან ფორმებს.

როგორ ესმის საერთაშორისო თანამეგობრობას კორუფცია? როგორც ითქვა კორუფციის მრავალი განსაზღვრა არსებობს. ამათგან უნდა გამოიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. მიუხედავად ამისა სამართლებრივი სიზუსტე და სრული გარკვეულობა ამ მოვლენის გაგებაში მაინც არ არსებობს. რასაკვირველია კორუფცია უფრო სინთეთიკური, სოციალური ან კრიმინოლოგიური ცნებაა, ვიდრე „წმინდა“ სამართლებრივი. სწორედ ამიტომაც იგი განხილულ უნდა იქნეს, არა როგორც დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა, არამედ როგორც მონათესავე ქმედებათა ერთობლიობა.

ასეთნაირად გაგებული კორუფცია აგრეთვე გამოდის ჩვეულებრივი მექრთამეობის ფარგლებიდან. ამასვე ადასტურებს ინგლისელი მეცნიერი ჯ. ნაი. მის მიხედვით კორუფცია თავის თავში შეიცავს მექრთამეობის (გასამრჯელოს მიცემა თანამდებობის პირის გადაცდენისათვის თავისი მოვალეობიდან) ნეპოტიზმს და კერძო გამოყენების მიზნით საჯარო საშუალებათა უკანონო მითვისებას. იგივე დასტურდება აგრეთვე კორუფციის შესახებ ევროსაბჭოს სადისციპლინოთაშორისი ჯგუფის განსაზღვრით: კორუფციას წარმოადგენს მექ-

რთამეობა და პირთა სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელთაც დაკისრებული აქვთ განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულება სახელმწიფო ან კერძო სექტორში, რასაც მოსდევს მოვალეობათა დარღვევა, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ სახელმწიფო თანამდებობის პირის, კერძო თანამშრომლის, დამოუკიდებელი აგენტის სტატუსით და მიზნად ისახავს ნებისმიერ უკანონო სარგებელთა მიღებას თავისთვის და სხვებისთვის.

ანალოგიური იდეაა ჩადებული სახელმძღვანელოში, რომელიც მოამზადა გაეროს სამდივნომ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე. მას კორუფციის ცნებაში შეაქვს: 1. ქურდობა, დატაცება და თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო საკუთრების მითვისება; 2. სამსახურებრივი მდგომარეობით ბოროტად სარგებლობა გაუმართლებელ პირად უპირატესობათა მიღებისათვის (შეღავათები, პრივილეგიები) ოფიციალური სტატუსის უკანონოდ გამოყენების შედეგად; 3. საზოგადოებრივ მოვალეობასა და პირად ანგარებას შორის ინტერესთა კონფლიქტი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენის კრიტერიუმად მთელ რიგ შემთხვევაში წამოყენებულია არა მიღებული გადაწყვეტილების საზოგადოებრივად სარგებლიანობის შეფასება, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობა: თანამდებობის პირს არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება მთელი ინფორმაციის წარდგენის გარეშე. თუ ეს პირობა დარღვეულია, პირი შეიძლება ცნობილი იქნეს დამნაშავედ. ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ფარული აუქციონები საქართველოში, რომლებიც თავის დროზე ქონების მართვის სამინისტრომ ჩატარა. კორუფციის ანალოგიურ სახეობებს უკავშირდება ინფორმაციის წარუდგენლობა ფინანსურ აქტივებზე, მოვალეობებზე (ვალდებულებებზე), კავშირებზე, თანამდებობის დაკავებისას და ყოველწლიურ ანგარიშიანობაზე. ამასთან მათთვის არანაკლები სანქციებია გათვალისწინებული, ვიდრე კორუფციის ტრადიციული სახეებისათვის.

2000 წლის მარტში ქ. სარატოვში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის პრობლემებზე შემდგარ კონფერენციაზე კორუფცია განისაზღვრა, როგორც უწინა-

რეს ყოვლისა თანამდებობრივი დანაშაული, რომელიც ხშირად მექრთამეობას უკავშირდება.

არსებული კორუფციული დანაშაულობანი ხშირად ეკონომიკური ხასიათის დანაშაულთა სტრუქტურაში ანალიზდება. აქვე უნდა ითქვას, რომ საშიშ კორუფციულ ქმედებათა შეტანა ეკონომიკის სფეროში მომხდარ დანაშაულობებში პირობითია. ასეთი პირობითობა პრაქტიკულად გამართლებულია, რამდენადაც ისეთი კორუფციული ხასიათის დანაშაულობანი, როგორიცაა მექრთამეობა, კომერციული მოსყიდვა, საკუთრების უფლებათა უკანონოდ მითვისება, გაფლანგვები, უდიდეს ზიანს აყენებენ არა მხოლოდ სახელმწიფო და კერძო ინტერესებს, არამედ აგრეთვე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას. მექრთამეობას, კომერციულ მოსყიდვას, მითვისებას თუ გაფლანგვებს, როგორც წესი არ ყავს უშუალო დაზარალებულები (მაგალითად, ქრთამის მიმცემი არ ითვლება დაზარალებულად, რამდენადაც საპასუხო სარგებლობას მოელის), რომელთაც შეეძლებათ განაცხადონ მათ წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ. ასეთი სახის დანაშაულთა რეგისტრაცია არსებითად ხდება შსს ეკონომიკურ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის მიერ, მათი ოპერატიული გამოვლენის საფუძველზე. ამასთან ბევრი კორუფციული ქმედება რჩება ლატენტური. როგორც საერთოდ მიღებულია რეგისტრირდება და ვლინდება დანაშაულთა არა უმეტეს 5 პროცენტი, ხოლო მექრთამეობა, კომერციული მოსყიდვა, ქონებრივი ხასიათის მითვისებები და გაფლანგვები კიდევ უფრო ნაკლები აღირიცხება. ამიტომ რეგისტრირებული კორუფციისადმი კრიტიკული მიდგომაა საჭირო. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით კორუფციული დანაშაული პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეიცავს მთელ რიგ ქმედებებს, რომლებიც კერძოდ გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავის შესაბამის 161, 162 მუხლებსა და ზოგიერთ სხვა მუხლებში, აგრეთვე საარჩევნო კანონში, რომლებშიც აღნიშნულია გარკვეული სასჯელები ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებათა და უფლებათა დარღვევისათვის. ესაა, კერძოდ ზოგიერთი დანაშაული ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას საარჩევნო დოკუმენტების ფალსიფიკაცია და ხელი-

სუფლების „მოსყიდვის“ სხვა ფორმები. ეს კი უნდა განისაზღვროს როგორც კორუფციის განსაკუთრებული სახეობა — პოლიტიკური კორუფცია: ტრადიციული თანამდებობრივი დანაშაულობანი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, სახელმწიფო სამსახურისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (ბოროტმოქმედებანი, მექრთამეობა, მითვისებები, სამსახურებრივი სიყალბე და ა. შ.); დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (მითვისება ან გაფლანგვა და ა. შ.); დანაშაული კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში სამსახურის წინააღმდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კორუფცია არ წარმოადგენს დანაშაულის ცალკე, დამოუკიდებელ შემადგენლობას, არამედ იგი კრებითი ცნებაა, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ თანამდებობრივ დანაშაულს. კორუფციის ყველაზე ტიპიური გამოვლინებებია: მოხელეთა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა მოსყიდვა, მექრთამეობა; პროტექციონიზმი — მუშაკთა დაწინაურება ნათესაური, პირადი ერთგულებისა და მეგობრული ნიშნების მიხედვით. კორუფცია ფართო გავრცელებას პოულობს ბიუროკრატიის მომძლავრებისა და განსაკუთრებულ სოციალურ ფენად მისი გადაქცევის პირობებში. კორუფცია იქცა ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების განუყოფელ ელემენტად და პირობად, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების დეგრადაციის, საზოგადოებრივი ზნეობის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

ყოფილ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის წლებში, ი. სტალინის გარდაცვალებამდე ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც ცნობილია, მოხელეებს მთელ რიგ შეღავათებს აძლევდა (რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა), რომლებიც ერთი მხრივ გარანტირებულად სრულდებოდა სახელმწიფოს მიერ, ხოლო მეორე მხრივ ეფექტიანად კონტროლირდებოდა. ამიტომ რაიმე საბაბი ქრთამისათვის არც კი არსებობდა.

კორუფციამ ფართო გავრცელება ჰპოვა ქვეყანაში ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ვოლუნტარიზმისა და განსაკუთრებით უძრაობისა და ე. წ. დიდი გარდაქმნის პერიოდში,

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისა და მართლწესრიგის სრული მოშლის შედეგად, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა პარტიული და სახელმწიფო ბიუროკრატიის გახრწნა, კორუფციის გამოსვლა საზოგადოებრივი კონტროლისა და კრიტიკის ყველა სფეროდან.

არც თუ იშვიათად დასავლეთში გამყიდველობას ეთიკურ კატეგორიას აკუთვნებენ. ჩვენ დროში მსოფლიოს ყველა ქვეყნის გამოცდილება მჭევრმეტყველურად ადასტურებს, რომ კორუფცია არა მხოლოდ და სრულიადაც არა იმდენად ეთიკური, რამდენადაც ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური კატეგორიაა. იქ სადაც თანამდებობის პირს (უპირატესად მაღალჩინოსანს) გადაუხდიან ქრთამს, მას შეუძლია გვერდი აუაროს ყოველგვარ კანონს, ტრადიციებს და მიანიჭოს ქრთამის მომცემთ სრულიად დაუმსახურებელი პრივილეგიები, რომლებსაც იყენებენ ეს უკანასკნელნი ანგარებითი მიზნებისათვის. აი, აქედან იწყება კორუფცია.

კაცობრიობას თავისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში ყოველუთვის მოსდგამდა ამა თუ იმ დონის, სხვადასხვა სახეობისა და მასშტაბის კორუფცია, მაგრამ მას არასოდეს ჰქონია ისეთი ფართო ხასიათი და მასშტაბები, როგორც ჩვენ დროში. ამასთან დღეს გამყიდველობა (მექრთამეობა) ვლინდება არა მხოლოდ დიდი ხნიდან ცნობილ, არამედ ბევრად უფრო დახვეწილ ფორმებში, სახელმწიფო ხელისუფლების ფართოდ გამოყენების მიზნით გარკვეული წრეების (ან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების) ინტერესებისათვის.

ავიღოთ მაგალითად მოსყიდვა (კორუფციის უშუალო ობიექტი): რომელიღაც თანამდებობის პირს (იგი შეიძლება იყოს მინისტრი, გუბერნატორი, ქალაქის მერი ან თვით პრეზიდენტი და ა. შ.) სთავაზობენ ფულად თანხას ქრთამის სახით, რათა ქრთამის მიმცემმა მიიღოს საპასუხო სამსახური, დაწინაურდეს ან სხვა სოლიდური თანამდებობა მისცენ. ასეთი ქმედება (ორივე მხრიდან) კვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით, როგორც დანაშაული, ხოლო თუ საარჩევნო (პრეზიდენტის, დეპუტატების ასარჩე-

ვად და ა. შ.) კამპანიის ფონდში შეტანილი იქნა ფული, მოსყიდვის ასეთი ფორმა კანონიერად ითვლება.

ანგარიშგასაწევია კორუფციის დახასიათება ამერიკული კომუნისტური მიმართულების ჟურნალ „პოლიტიკალ ეფერსში“: „კაპიტალიზმი წარმოშობს კორუფციას, ისევე როგორც მოგებას. ეს თავისებური კორუფციული შეზეთვა აუცილებელია სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის არსებობისათვის“.

კორუფციის შესახებ უფრო ვრცელი განსაზღვრაა მოცემული ევროსაბჭოს საერთაშორისო დისციპლინური ჯგუფის მიერ. ეს განსაზღვრა იწყება მექრთამეობით, რომელიც და „ნებისმიერი სხვა ქმედება პირთა, რომელთაც ეკისრებათ განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულება სახელმწიფო ან კერძო სექტორში, რასაც მოსდევს ამ ვალდებულებათა დარღვევა პირთა მიერ, რომლებიც დაკისრებული აქვთ თანამდებობის პირის, კერძო პირის და სხვა სახის ურთიერთობათა სტატუსით და მიზნად აქვთ დასახული უკანონო სარგებელთა მიღება საკუთარი თავისა და სხვებისათვის“.

არსებითად ასეა კრიმონოლოგიურ მეცნიერებაშიც, რომლითაც კორუფცია გაგებულია როგორც ისეთი სოციალური მოვლენა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ან სხვა რწმუნებების ბოროტად გამოყენებით სხვადასხვა ფორმებში, პირადი სარგებლიანობის მიღების მიზნით ან მესამე პირთა ინტერესებისათვის, რაც ორმხრივ უკანონო გარიგებას ემყარება. ამის შედეგად, სახელმწიფო ან სხვა სამსახურში მყოფი პირები არალეგალურად „ყიდიან“ დაინტერესებულ პირებს თავიანთ რწმუნებებს, ხოლო სხვა პირები „ყიდულობენ“ აღნიშნულ რწმუნებებს სარგებლიანობის მიღების მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობის მიერ სამართლებრივი რეგულირების ისეთი მეთოდით, როგორიცაა აკრძალვა, დარეგულირებულია მხოლოდ კორუფციული ქმედებანი, რომლებიც საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათით და დონით მართლწინააღმდეგობრივს, ე. ი. სამართალდამრღვევთა ყველაზე ძნელ სახეობებს — დანაშაულობებს მიეკუთვნება.

ამრიგად, სამართალგამომყენებლის თვალსაზრისით თა-

ნამედროვე ეტაპზე კორუფციასთან ბრძოლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მეთოდებით.

მრავალრიცხოვან ავტორთა საწინააღმდგოდ, რომლებიც კორუფციაზე წერენ, რუსი მეცნიერი იურისტი გ. მიშინი სხვანაირად ხსნის თვით ტერმინს Cozzuptio (ლათ.). იგი აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი „წარმოშობილია ორი ფუძე სიტყვისაგან coz (გული, სული, გონება, გონი) და ruptum (გაფუჭება, დანგრევა, გახრწნა). ამიტომ მისი აზრით კორუფციის დედაარსი საჯარო და სხვა მოსამსახურეთა მოსყიდვაში, გამყიდველობაში კი არ არის, არამედ ამა თუ იმ ობიექტის, მათ რიცხვში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ერთიანობის დარღვევაშია (დეზინტეგრაცია, გახრწნა, დაშლა).[1]

ავტორის მოსაზრებით აღნიშნული ცნების ფასი იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს „უნივერსალურ, არსებითად ზოგადმეცნიერულ კატეგორიას, რომელიც გამოიყენება ობიექტის (სისტემის) დახასიათებლად, მის ფუნქციონალურ კავშირთა ასპექტით“.[2] რომ მას შეუძლია გამოვიდეს შესაბამისი სისტემის ინტეგრალურ მახასიათებლად. მისივე აზრით კორუფცია, როგორც სოციალური ფენომენი, ვლინდება კოლექტიურ მიზანდასახულობათა დარღვევაში.

ცხადია, კორუფციის შესახებ მრავალრიცხოვან განსაზღვრასთან ერთად აღნიშნულსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ძირითად აქცენტს კორუფციის ტერმინოლოგიურ მხარეზე აკეთებს, რითაც არსებითად შეუძლებელია მისი მრავალმხრივი, მრავალსახეობრივი შინაარსის ანალიზი, მეტადრე ჩვენს დროში, როდესაც კორუფციამ ბევრი ახალი თვისება და ნიშანი შეიძინა.

---

1 იხ. კორუფცია: პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (ქ. მოსკოვი, 9-10 სექტემბერი. 1999 წ.), ვ. ვ. ლუნიოვის რედაქტორობით (რუს.), მ. იურისტი, 2001 წ., გვ. 264 (შემდეგ: კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული).

2 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (ქ. მოსკოვი, 9-10 სექტემბერი, 1999 წ.), ვ. ვ. ლუნიოვის რედაქტორობით (რუს.), მ., იურისტი, 2001 წ., გვ. 264.

ჩინეთში, მაგალითად ბოლო დრომდე კორუფციის სინონიმად იყენებდნენ „ცუდ სტილს“. ქვეყანაში კორუფციის ფართოდ გავრცელებასთან ერთად ხშირად გამოიყენებოდა ცნება „გახრწნა“, მაგალითად „სოციალური გახრწნა“, „სახელმწიფო მოსამსახურეთა გახრწნა“, „სასამართლო გახრწნა“ და ა. შ. ჩინეთში სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის განვითარების შედეგად გახრწნა, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენა სულ უფრო მეტად სერიოზული და საშიში ხდება. სასამართლოს გახრწნა წარმოადგენს მის ერთ ტიპიურ გამოვლენას.[1]

1979 წელს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელმა კრებამ მიიღო ქვეყნის სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომლითაც კორუფცია და მექრთამეობა საერთო სისხლისსამართლებრივი ანგარებითი და თანამდებობრივი დანაშაულისაგან ცალკე განიხილება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ჩინეთში კორუფციამ სულ უფრო საშიში ხასიათი მიიღო. ამ მძიმე სენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით 1988 წლის 21 იანვარს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა მიიღო დამატებითი დადგენილება „კორუფციის დასჯადობის შესახებ“. ამ დადგენილებით მექრთამეობა და კორუფცია გაერთიანდა. 1997 წელს სჩსწ მეხუთე კრებამ მიიღო ქვეყნის გადამუშავებული სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც გარკვევით განისაზღვრა კორუფციის დედაარსი. მას მიეკუთვნა შემდეგი დანაშაულობანი: მექრთამეობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, მოსყიდვა, ფულის გადამალვა უცხოურ ბანკებში, სახელმწიფო ქონებისა და ჯარიმების უკანონო განაწილება და ა. შ.

ჩინეთის სს კოდექსში გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი კორუფციული დანაშაულისათვის. თუ ასეთი დანაშაული განსაკუთრებით მძიმეა, ხოლო კორუფციის მასშტაბები დიდი, მაშინ დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა.[2]

---

1 იხ. კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (ქ. მოსკოვი, 9-10 სექტემბერი, 1999 წ.), ვ. ვ. ლუნიოვის რედაქტორობით (რუს.), მ., იურისტი, 2001 წ., გვ. 260.

2 იხ. იქვე, გვ. 141.

ჩინეთის სისხლის სამართლის 1999 წელს მიღებული ახალი კანონის მერვე თავში მოცემულია კორუფციის ცნება. „კორუფციული დანაშაულია, როდესაც სახელმწიფო მუშაკები იყენებენ (თავის სასარგებლოდ) თანამდებობრივ რწმუნებებს, იტაცებენ, ითვისებენ მოტყუების გზით ან იყენებენ საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ მითვისების სხვა ხერხებს“.[1]

ამ განსაზღვრიდან გამომდინარე, ჩინელ მეცნიერ სამართალმცოდნეთა მოსაზრებით კორუფციას აქვს შემდეგი მახასიათებლები: ჯერ-ერთი, მისი სუბიექტები უსათუოდ სახელმწიფო მოხელეებია (თანამდებობის პირები); მეორე, სამსახურებრივი მდგომარეობის აუცილებელი გამოყენება; მესამე, დანაშაულის ობიექტური მხარე აუცილებლად გამოიხატება მითვისებით, დატაცებით, მოტყუების, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფორმებში ან სხვა უკანონო საშუალებათა გამოყენებაში საზოგადოებრივი ქონების ან ფულადი სახსრების მითვისების მიზნით; მეოთხე, აუცილებელ შედეგს წარმოადგენს საზოგადოებრივი ქონების ან ფულის მითვისება; მეხუთე, სუბიექტური მხარე ხასიათდება წინასწარ განზრახვით.[2]

უკანასკნელ წლებში ჩინეთში კორუფციულმა დანაშაულმა სულ უფრო და უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. 1993 წლის იანვრიდან 1997 წლის ოქტომბრამდე რეგისტრირებული იყო მთელ ქვეყანაში 290.513 საქმე კორუფციულ დანაშაულზე. 1998 წლის განმავლობაში რეგისტრირებული იყო 35.084 საქმე კორუფციის შესახებ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 40.162 კაცის მიმართ. ეკონომიკური ზარალი შეადგენს 43 მილიარდ იუანს. 103 დამნაშავე თანამდებობის პირია, რომლებიც ირიცხებიან დეპარტამენტებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მოხელეებად.[3]

ჩინელი მეცნიერები დანაშაულის (მეტადრე კორუფციული დანაშაულის) ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად საბაზ-

---

1 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის. მასალების კრებული (ქ. მოსკოვი, 9-10 სექტემბერი. 1999 წ.). ვ. ვ. დუნიოვის რედაქტორობით (რუს.), მ., იურისტი, 2001 წ., გვ. 141.

2 იხ. იქვე.

3 იხ. იქვე. გვ. 141-142.

რო ეკონომიკის უარყოფით ეფექტს და მისი ექსპლოატატორული იდეებით განხრწნას ასახელებენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კორუფცია ბაზარზე, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. გამწვავებული კონკურენციის პირობებში ზოგიერთი საწარმო ჩინეთში ყველგან პროტექციას მიმართავს, ეძებს კავშირებს, იპოვებს სესხს ქრთამის შემწეობით, მიმართავს რა პარტიულ და სამთავრობო ორგანოებში მოსყიდვას, რომლებიც წყვეტენ ფულის, მატერიალურ ფასეულობათა და ობიექტების განაწილების საკითხებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო მოხელეები მოექცნენ მექრთამეობის ქსელში.

ჩინელ მეცნიერ სამართალმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ მექრთამეობის დაძლევა და თავიდან აცილება სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის ობიექტური მოთხოვნაა. ამიტომ საჭიროა გაბედულად მოქმედება, ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება. სასჯელი შეფარდებული უნდა იქნეს დემოკრატიის განვითარებასთან, ეფექტიანი საზედამხედველო სისტემის შექმნასთან, პოლიტიკური თვისებისა და პროფესიული მორალის ამაღლებასთან.

როგორც ძველები ამბობენ, „კანონი შიშს გვრის დამნაშავეებს, სოლო მორალი აფერხებს დანაშაულის ჩადენას, სასჯელი წყვეტს დანაშაულს". ამ გამონათქვამს ხშირად იმეორებენ ჩინელი იურისტები. მათივე მოსაზრებით მექრთამეობის აღმოცენებისა და განვითარების შესაკავებლად აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი იურიდიული სისტემის შექმნა. ამ მიზნით აღიარებულია მთელ რიგ სისტემათა (კანონმდებლობა, კანონის შესრულება, ზედამხედველობა და ა. შ.) შემცველი იურიდიული მექანიზმის შექმნა. მას შეეძლება მაქსიმალურად შეაკავოს და თავიდან აიცილოს მექრთამეობა, განახორციელოს სახელმწიფო საქმეების მართვა კანონთა შესაბამისად. ამასთან აუცილებელია ზედამხედველობის გაძლიერება კანონთა შესრულებაზე.[1]

ისტორიულად კორუფცია წარმოიშვა სახელმწიფოსა და

---

1 იხ. კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (ქ. მოსკოვი, 9-10 სექტემბერი, 1999 წ.). ვ. ვ. ლუნიოვის რედაქტორობით (რუს.), მ., იურისტი, 2001 წ., გვ. 216-217.

ბოხელეობის აღმოცენებისთანავე. იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში ეგვიპტისა და ჩინეთისათვის, საბერძნეთისა და რომისათვის და ა. შ. კორუფცია ტერმინოლოგიურადაც და შინაარსობრივადაც ფართო მნიშვნელობის, აგრეთვე მრავალსახეობის შემცველია. აქვე უნდა ითქვას, რომ ტერმინოლოგიურად იგი ნიშნავს, როგორც ვნახეთ, გაფუჭებას, მოსყიდვას, დამახინჯებას, გაუკუღმართებას, გახრწნას და ა. შ. ე. ი. ყოველივე ცუდს, უვარგისსა და საშიშს.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იმსხვრეოდნენ, იღუპებოდნენ და ხელახლა ყალიბდებოდნენ ცივილიზაციები, ქვეყნები, იცვლებოდნენ დინასტიები, სოციალური წყობილება, ხოლო კორუფცია არა მხოლოდ დარჩა „წარბშეუხრელი“, არამედ მან შეიძინა არნახული ტრანსეროვნული ხასიათი, გამოიწვია რა მსოფლიო საზოგადოებრიობის სერიოზული შეშფოთება. კორუფციის სერიოზული საფრთხე — მის მრავალრიცხოვან ნეგატიურ შედეგებში უნდა ვეძიოთ.

კორუფცია დღეს საქართველოსა და სხვა პოსტსოციალისტური სახელმწიფოების მთავარი თავსატეხი პრობლემაა. რუსეთში, საქართველოში სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ალბათ ბალტიის რესპუბლიკების გამოკლებით) არსებული კორუფციული დანაშაული გადაიქცა არა მხოლოდ ჩვენი ისტებლიშმენტის,[1] არამედ ბევრი სხვა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. ამის ნათელი ილუსტრაციაა კერძოდ ამას წინათ აშშ-ში გახმაურებული სკანდალი, „ბენკ აფ ნიუ-იორკის“ საფირმო გაერთიანებაში დანაშაულებრივ კაპიტალთან დაკავშირებით. ამ საქმის გამო მოხსენებულია რუსეთის ყოფილი და მოქმედი ჩინოვნიკები, მათთან დაახლოებულნი.

კორუფცია მრავალსახოვანია: ჯერ-ერთი, იგი არ იფარგლება მექრთამეობით, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით და ყოველთვის როდი აღიარდება სისხლის სამართლებრივი ენით; მეორე, სტატისტიკა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ აღნიშნულ შემთხვევაში

---

1 ისტებლიშმენტი (ინგ.), დადგენა, დაფუძნება, დანესებულება. საზოგადოებაში ხელისუფლებისა და მართვის სისტემა; საზოგადოების მმართველი ელიტური ფენები.

გვიჩვენებს მხოლოდ აისბერგის ზედაპირს. ამასთან აღიარდება ძალიან ცოტა საქმე, სასამართლომდე მიდის კიდევ უფრო ცოტა, ხოლო რეალური სასჯელი გამოაქვთ პასუხისგებაში მიცემულთა მხოლოდ მეოთხედისათვის; დაბოლოს მესამე, ანალოგიურ დანაშაულთა ლატენტურობის უაღრესად მაღალი დონე არ იძლევა მთლიანად ობიექტური სურათის დანახვის საშუალებას.

რჩება საექსპერტო შეფასების მეთოდი. მკვლევარები ერთსულოვნებია: კორუფციის დონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში უაღრესად მაღალია. არსებობს ყველა იმის საფუძველი ითქვას, რომ კორუფციის დონე ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. არაპირდაპირ ეს იმითაცაა დადასტურებული, რომ სამართალდაცვის ორგანოებში დაგროვდა უამრავი მასალა, რომელიც თავის საათს, ე. ი. გამომზეურებას ელოდება ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემდეგ.

რაოდენობრივის გარდა აუცილებელია გავითვალისწინოთ, აგრეთვე თვისებრივიც — ხელისუფლების თუ რომელ ეშელონებში უფრო შეიჭრა კორუფციის ჟანგი. თუ თავისუფალ პრესას დაუჯერებთ საქართველოს მაგალითზე: დღეს არ არსებობს არც ერთი, ხაზგასმით აღინიშნება, არც ერთი პირველი ხელმძღვანელი ქვეყანაში, რომელსაც ბრალი არ მიუძღოდეს ამა თუ იმ ბოროტმოქმედებაში. ამ ბრალდების სარწმუნოება და მტკიცებულება როგორც წესი არავის არ აღელვებს. დიდი შეცდომა იქნება იმაზე ფიქრი, რომ ეს მხოლოდ ჩვენი საშინაო „საკადრო“ პრობლემაა. დასავლეთში ზუსტად იცნობენ ჩვენს ჩინოვნიკებს თავიანთი მთელი „სიძლიერითა“ და „სისუსტეებით“, თუ რამდენს და რისთვის იღებენ. როგორც ჩანს ყველა საერთაშორისო გაიძვერა და თაღლითი (და არა მხოლოდ ისინი) სიამოვნებით და როგორც ჩანს საკმაოდ ეფექტიანად სარგებლობს სათანადო ინფორმაციით.

ამ რამოდენიმე წლის წინათ აშშ-ში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთში კორუფციის მდგომარეობის მონაცემთა შესწავლისა და ორი — ღია და დახურული ბანკის დაარსებისა და დაფინანსების შესახებ. პირველი გათვალისწინებული იყო ყველასათვის, მეორე კი იმათთვის, ვისაც იგი საქმის

გამო სჭირდებოდა. ერთერთ საუბარში რუსეთის წარმომადგენელს განუცხადეს: „ეს თქვენ შესახებაა (მონაცემებზე), მაგრამ არა თქვენთვის". სხვა სიტყვებით, ეს უკვე სახელმწიფო პოლიტიკაა.

კორუფცია მუდმივია, ისე როგორც საერთოდ თვით დამნაშავეობა (საქმე ეხება წარსულსა და აწმყოს და არა კაცობრიობის მომავალს). მაგრამ კორუფცია, ჯერ-ერთი უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე საერთოდ სისხლისსამართლებრივი დამნაშავეობა. ეს იმითაც აიხსნება, რომ, როგორც წესი ბოლო წლებში აქაც გამოჩნდა „სისხლიანი" ტენდენციები. მეორე, საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის უფრო მოთმინებით ეკიდებოდა და ეკიდება კორუფციას, ვიდრე ელემენტარული ხულიგნობის ფაქტებს. მესამე, კორუფცია ყოველთვის ატარებს ფუნქციურ, გარკვეულად აუცილებელ ხასიათს, იგი წარმოადგენს მაქსიმალური მოგების, სარგებლიანობის მიღების აბსოლუტურად აუცილებელ და ყველაზე ეფექტიან, თუმც ბინძურ ხერხს, საკუთრების უსამართლო გადანაწილების პირობებში. მეოთხე, კორუფციონერებს აქვთ ხელისუფლებაზე გავლენის განხორციელების დიდი შანსი, არც თუ იშვიათად თვითონ წარმოადგენენ ხელისუფლებას. აგრეთვე მათ აქვთ რეალური შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ხოლო ამ უკანასკნელთ თავის მხრივ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლს კორუფციის მხილებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ერთი, ისინი რა თქმა უნდა დიდ როლს ასრულებენ კორუფციონერთა გამომჟღავნებაში. ძალიან ხშირად ეს გამომჟღავნება მიმდინარეობს ჟურნალისტის შინაგანი უკმაყოფილების ძალით არსებული სიტუაციის გამო, ამიტომაც მხილებისას თვით ფაქტი გამოიყენება, როგორც თავისებური პროტესტი, აღშფოთება შექმნილი მდგომარეობით. შეორე, მი-ის საშუალებანი იყენებენ შეკვეთილ მასალებსაც, რომლებშიც წარმოჩენილია ესა თუ ის პირი, როგორც „საჭირო", ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი. საზოგადოების კორუფციით გახრწნის პროცესში აქტიურად ერთვებიან შეგნებულად თუ შეუგნებლად თვით ჟურნალისტები. მესამე, მი-ის საშუალებანი თავიანთი პირდაპირი მოწოდებით ინფორმაციას აწვდიან

საზოგადოებას მიმდინარე პროცესებზე, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს თვალყური მიადევნონ აღნიშნულ პროცესებს და აირჩიონ მოქმედების ხაზი. სამწუხაროდ სარწმუნო და ყოვლისმომცველი ინფორმაციები სულ უფრო ცოტაა, ხოლო ხმაურიანი ჭორები სულ უფრო მეტი.

ცხადია, ნებისმიერი სახელმწიფო უნდა შეებრძოლოს კორუფციას, თუნდაც თვითგადარჩენის მიზნით. ჯერ-ჯერობით ამის სურვილის აშკარა დეფიციტია. ასეთი კურსის (მხოლოდ დეკლარაციებით, ბრძანებულებებით და ა. შ. „ბრძოლა" კორუფციის წინააღმდეგ) — გაგრძელებისა და მოვლენათა განვითარების უკიდურეს შემთხვევაში მოხდება საზოგადოების ღეგრადირება, ხოლო სახელმწიფო როგორც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, გაქრება. მის ადგილს დაიკავებს ახალი სახელმწიფო, მაგრამ ეს პროცესი აუცილებლად წარიმართება სისხლისღვრებისა და მრავალი უბედურების გზით. ცხადია, ეს არ მოხდება დღეს ან ხვალ, როგორც ყოველგვარი სოციალური პროცესი, ეს პროცესიც ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივია.

ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის გაფართოებას და კრიმინალურ სტრუქტურათა კაპიტალის ზრდას მოსდევს ბრძოლა ხელისუფლებისათვის, მისწრაფება, ზეგავლენა მოხდეს პოლიტიკურ და მართვითს გადაწყვეტილებებზე. კრიმინალთა შეღწევის შედეგად ხელისუფლების არჩევითს ორგანოებში, კორუფცია „ჩაეხუტა" საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელშეუხებლობას, რამაც განაპირობა ყველაფრის ნებადართულობა და დაუსჯელობა. აღმოცენდება როგორც შედეგი მოსახლეობის ნდობის კატასტროფიული დაცემა წარმომადგენლობითი დაწესებულებისადმი.

კორუფციითაა დაავადებული მთელი რიგი ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი ვერტიკალი. სახელმწიფო მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში, სადაც ნაწილდება ფინანსური თუ სხვა მატერიალური რესურსები, სახეზეა თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მაგალითად, ერთი მხოლოდ რუსეთის საანგარიშო პალატის მონაცემებით 1998 წელს დანიშნულების ადგილამდე არ მივიდა საბიუჯეტო სამსახურებიდან 51 მილიარდი მანეთი, რაც საკმარისი იქნებოდა წლიური

ხარჯებისათვის ქვეყნის დაცვაზე, კულტურაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალურ მომსახურებაზე მთლიანად.

გრძელდება კორუმპირებულ ჩინოვნიკთა შეზრდის პროცესი კრიმინალთან, პირველ რიგში ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან. მეტად საშიში დონითაა კრიმინალიზებული საკრედიტო-ფინანსური და საგარეო-ეკონომიკური, ასევე სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის სფერო. გრძელდება კრიმინალის შეჭრა სათბობ ენერგეტიკულ, რესურსების მომპოვებელ და გადამამუშავებელ კომპლექსებში.

კორუფციასთან ბრძოლის რუსეთის სახელმწიფო დუმის კომისიამ 1998 წლიდან 1999 წლამდე შეამოწმა მასალები: 1. რუსეთის პრეზიდენტისა და მისი ოჯახის მიმართ: ა. ელცინის სახელზე ანაბრის არსებობაზე ლონდონის „ბარკალაი-ბანკში", 5 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით; ბ. ოჯახის წევრთა მიერ (ტ. დიაჩენკო) 6 მილიონ მარკად გერმანიაში სახლის, 25 მილიონ ფრანგულ ფრანკად ნიცაში სახლის და მოსკოვის ოლქის ოდინცოვოს რაიონში სახლის შეძენის შესახებ; გ. რუსეთის ბიუჯეტიდან თანხების დატაცებისა და აშშ-ის, ესპანეთის, კვიპროსის, ბალტიის ქვეყნების ბანკებში მთავრობის ჩინოვნიკებისა და ელცინის საარჩევნო შტაბის წევრთა მიერ ასეული მილიონობით ამერიკული დოლარის შეტანის შესახებ.

2. მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის (ამჟამად უკრაინაში რუსეთის ელჩის) ვ. ჩერნომირდინის მიმართ, რომლის განკარგულებითაც სახელმწიფო ფონდიდან 2,5 მილიონი ტონა ნავთობი გადაიგზავნა ექსპორტის სახით საბაჟო გადასახადის გარეშე, რამაც ქვეყანას 100 მილიონი ამერიკული დოლარის ზარალი მოუტანა. აგრეთვე მის მიერ 1995 წელს ფედერალური ბიუჯეტიდან გადარიცხული იქნა 4,9 მილიონი დოლარი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „რუსეთ-ამერიკის პარტნიორობის ცენტრის" ანგარიშზე, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

დუმის კომისიის მუშაობის შედეგების მიხედვით რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა აღძრეს სისხლის სამართლის საქმეები 45 ფაქტზე, ჩატარდა კორუფ-

ციაში ეჭვმიტანილ საპასუხისმგებლო თანამდებობის პირთა გამოძიებამდელი შემოწმება. სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის ბ. ელცინის, მთავრობის ყოფილი თავმჯდომარეების ვ. ჩერნომირდინის, ს. კირიენკოს, მთავრობის ვიცე პრემიერების ე. გაიდარისა, ა. ჩუბაისის და სხვების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილი გახდა სახელმწიფო სახსრების დატაცების ფაქტები დადასტურდა, მაგრამ „მაღალჩინოსნებს“ გაუფრთხილდნენ, აშკარა სისხლის სამართლის დამნაშავეებს „მოეფერნენ“, ისინი ციხეში არ წასულან, ზოგიერთი მათგანი დღესაც მაღალ თანამდებობაზეა. როგორც ჩვენთან, ისე რუსეთშიც ბატონობს მისი „უდიდებულოსება“ დაუსჯელობის სინდრომი.

შ. მონტესკიე ამბობდა: „საუკუნეთა გამოცდილებით ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც აღჭურვილია ძალაუფლებით, იხრება მისი ბოროტად გამოყენებისაკენ და მიდის ამ მიმართულებით მანამდე, ვიდრე არ მიაღწევს მისთვის მიჩენილ ზღვარს“.[1]

პოლიტიკურ-სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით არსებობს კორუფციის რამოდენიმე დონე, რომ კორუფცია შეიძლება იყოს „ზედაფენური“ (ე. წ. „ელიტური“) და „ქვედაფენური“, ე. წ. „დაბალი“, ყოველდღიური. პირველი მოიცავს პოლიტიკოსებს, მაღალ და საშუალო მოხელეებს და ხასიათდება გადაწყვეტილებათა მიღებით, რომლებიც დიდად ფასობენ (სახელმწიფო შეკვეთები, საკუთრების ფორმათა შეცვლა და ა. შ.). მაგალითად რუსეთის შს სამინისტროში არსებობს ოპერატიული ცნობა ქრთამის შესახებ 300 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით, რომელიც მიღებული აქვს მაღალი თანამდებობის მოხელეს. მეორე დონის კორუფცია არსებითად გავრცელებულია საშუალო (არსებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ესაა სწორედ საშუალო დონის კორუფცია. ა. მ.) და დაბალ მოხელეებზე და დაკავშირებულია მუდმივ, რუტინულ ურთიერთობასთან მოხელეებსა და მოქალაქეებს შორის (ჯარიმები, რეგისტრაციები, გადასახადები და საბაჟო მოსაკრებლები, არმიაში გაწვევისაგან

---

1 შ. მონტესკიე, თხზ., (რუს), ტ., 1955, გვ. 289.

გათავისუფლება და ა. შ.). რუსეთის, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება, ამ სახელმწიფოთა უუნარობა უზრუნველყონ სახელმწიფო მოსამსახურეები არა მხოლოდ ღირსეული გასამრჯელოთი, არამედ თუნდაც მინიმალური ხელფასით, აიძულებს მათაც და სხვებსაც მიმართონ სისტემატურ სამართალდარღვევებს, რომელთაც მოსდევს მასობრივი, წვრილი კორუფცია, რომელიც თუმც პირობითად კორუფციის მესამე და არა მეორე დონისაა.

მასობრივი წვრილი, დაბალი ყოველდღიური, „საყოველთაურო“ კორუფცია რა თქმა უნდა საშიშია, მაგრამ დასაძლევად შედარებით იოლია, ვიდრე მაღალი „ზედაფენური“ ან შუათანა კორუფცია. წვრილი კორუფცია საშიშია, იმდენად, რამდენადაც ჯერ-ერთი, ჰქმნის ხელსაყრელ ფსიქოლოგიურ ფონს კურუფციის სხვა ფორმების არსებობისათვის და მეორე, წარმოადგენს „ზედაფენური“ კორუფციის თავისებურ ბაზას და უწყობს ხელს მის „გასუქებას“.

გამოკითხულ მოქალაქეთა უმრავლესობა (80%) თვლის, რომ კორუფცია აღმოუფხვრელია და ვერ წარმოუდგენია საზოგადოების არსებობა მექრთამეობისა და კორუფციის გარეშე. მხოლოდ 20 პროცენტი გამოკითხულთაგან თვლის, რომ კორუფცია შესაძლებელია კონტროლს ექვემდებარებოდეს, ხოლო განსაზღვრულ პირობებში (ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება) შესაძლებელია მასთან წარმატებული ბრძოლაც.

ქვემდგომი, ყოველდღიური, წვრილი კორუფციის თავისებური მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მხრიდან მინიმალური რისკის პირობებში მას გააჩნია სპეციფიკური ღირებულება სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვიტოს მრავალი პრობლემა, რომლებიც აღმოცენდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, აგრეთვე საშუალებას იძლევა მცირედის გადახდით კანონთა და ინსტრუქციათა წვრილი დარღვევებით გარკვეული სარგებლის მისაღებად. რესპონდენტთა ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ ყოველ მოხელეს აქვს საკუთარი „ფასი“, რომ ნებისმიერ თანამდებობის პირს შეუძლია აიღოს ქრთამი

და მხოლოდ 48,5 პროცენტი თვლის, რომ მხოლოდ მათგან ზოგიერთს შეუძლია ამის გაკეთება.

რუსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ტექნოლოგია — XI საუკუნე“ ექსპერტთა გაანგარიშებით მთელ ქვეყანაში წვრილი მეწარმეების მიერ ჩინოვნიკებისათვის მიცემულ ქრთამზე მოდის თვეში არა ნაკლებ 500 მილიონი ამერიკული დოლარი, ე. ი. წელიწადში 6 მილიარდი დოლარი. ეს კი წვრილი დონის კორუფციის ფარგლებში ვერ მოთავსდება. ამას ემატება „ზედა ეშელონებში“ სახელმწიფო მოხელეთა მიერ ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტის, სახლმწიფო ქონების ძარცვა, კანონსაწინააღმდეგო ლობირება, სახელმწიფო ქონების გადატანა სააქციონერო საზოგადოებაში და მისი გამოყენება ანგარებითი მიზნით. კორუფციისაგან პირდაპირი დანაკარგები რუსეთის მაგალითზე 20 მილიარდ დოლარამდეა წელიწადში. კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ ზარალს (მოსახლეობის რაოდენობაზე გაანგარიშებით) აყენებს კორუფცია საქართველოს, რამდენადაც ამ „შავი ჭირის“ დონე საქართველოში კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში. აქაც და იქაც როგორც ითქვა, ხომ დაუსჯელობის სინდრომია გამეფებული.

კორუფციის სფეროში მეტ-ნაკლებად ჩაბმულია ადამიანთა უზარმაზარი მასა, დაწყებული უბრალო მოქალაქეებიდან დამთავრებული მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებით. მიუხედავად ამისა ოფიციალურად პოლიტიკური პრაქტიკით, საზოგადოებრივი მორალითა და პრესით კორუფცია კატეგორიულადაა დაგმობილი და ცხადდება საზოგადოებრივად სრულიად მიუღებლად, ფაქტობრივად იგი წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების ნაწილს, თუმც „დაავადებულსა“ და „ხორცმეტს“, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას და საზოგადოებას გადაშენებით ემუქრება.

მექრთამეობა, თანამდებობრივი რწმუნებების ბოროტად გამოყენება, გაიძვერობა და ა. შ., სწორედ ესაა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კორუფციის კონკრეტული გამოვლენისათვის. ამასთან ერთად მთელ რიგ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში შეინიშნება თანამდებობის, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირთა კორუმპირებულობის მრავალრიცხოვანი კავშირები, ფაქტები, ის უდიდესი ზიანი, რომელ-

საც აყენებენ ქვეყანასა და საზოგადოებას მრავალრიცხოვანი ორგანიზებულ-კორუმპირებული ჯგუფები.

მაინც როგორ უნდა გავიგოთ ბოლოს და ბოლოს კორუფცია? როგორც ვნახეთ არსებობს მისი მრავალი განსაზღვრა სხვადასხვა დონეზე და სრული სიცხადე და სამართლებრივი სიზუსტე არ არსებობს და არც ერთში არ არის იგი თანამიმდევრულად დაცული, რამეთუ არსებობს კორუფციის მრავალი სახეობა და იგი „ქამელეონივით" სულ განსხვავებულ „ფერებსა" და თვისებებში გვევლინება. როგორც ითქვა კორუფცია უფრო სინთეთიკური ცნებაა. ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ქმედებათა მონათესავე სახეების ერთობლიობა. უფრო ზოგადად კიდევ ერთი (!!) მოკლე განსაზღვრით კორუფცია უნდა გავიგოთ როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლობის მიღების მიზნით.

საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა და ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ კორუფცია ეოფილ სსრ კავშირში „გაიფურჩქნა" ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ვოლუნტარიზმის, ე. წ. უძრაობისა და ე. წ. დიდი გარდაქმნის პერიოდში, ხოლო კულმინაციურ წერტილს მიაღწია სსრ კავშირის ფორსირებული დაშლის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, განსაკუთრებით კი დანაშაულებრივი პრივატიზაციის შედეგად.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება სახელმწიფო აპარატის (ასეა ბევრ ქვეყანაში) მასობრივი, საყოველთაო კორუმპირებულობის, შეუძლებლობის შესახებ მოსყიდვის გარეშე მიაღწია საკუთარ უფლებათა განხორციელებას. მაგალითად ჩვენთან, საქართველოში ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ფართოდ გავრცელებული გამოთქმები: „თუ არ გადაიხადე რამდენიმე ათასი, ისე ვერ მიაღწევ კუთვნილ თანამდებობას", „ხშირად ცოდნაც არ ჭრის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხავად", „დღეს ქრთამის გარეშე შეუძლებელია რაიმე საკითხის გადაწყვეტა კანონის ფარგლებში". ამის შემდეგ კორუფციასთან რომელ ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი და ძნელია ამ გამონათქვამთა კომენტირება, მათ საპირისპიროდ კონტრარგუმენტების გამოძებნა.

ჩვენ დროში მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არსებობს კორუფციის გარეშე. ცნობილია კორუფციის არსებობა ისეთ ქვეყნებშიც კი როგორიცაა საფრანგეთი, აშშ-ი, იაპონია და სხვ. მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მისი დონე განსხვავებულია. თუ როგორ მასშტაბებს შეუძლია მიაღწიოს კორუფციამ, ამაზე მეტყველებს ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა ნიგერია, კოლუმბია, ბოლივია. ეს ქვეყნები ალბათ რუსეთთან, საქართველოსთან და ზოგიერთ სხვა პოსტსაბჭოთა და აფრიკის ქვეყნებთან ერთად ყველაზე უფრო კორუმპირებული ქვეყნებია მსოფლიოში.

როგორც ვხედავთ, კორუფციას ადგილი აქვს როგორც დემოკრატიულ, ისე არადემოკრატიულ სახელმწიფოებში. მაგრამ კორუფციის ხასიათი განსხვავებულია. არადემოკრატიულ სახელმწიფოებში მისი ხასიათისა და დონის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია კორუმპირებული ხელისუფლება, ხოლო დემოკრატიულ სახელმწიფოებში კორუფციისათვის შექმნილია პირობები თვით პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის მიერ. იგი მნიშვნელოვან შესაძლებლობებს უქმნის კორუფციის ძირითად ფაქტორებს — მსხვილ კომპანიებსა და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ბოროტმოქმედების ჩადენისა და დაუსჯელობისათვის. ფინანსურ დაწესებულებათა კრიმინალიზაცია სტიმულს აძლევს კაპიტალის მასობრივ „გაქცევას“, გადინებას საზღვარგარეთ.

სახელმწიფოს მიერ კორუფციული პრაქტიკის ცალმხრივი კრიმინალიზაცია აყენებს მის კომპანიებს არახელსაყრელ და არათანაბარ მდგომარეობაში. პრობლემის გადაწყვეტის გზაა — სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედება. ამ გზაზე არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომლებიც იცავენ ეროვნული ბიზნესის ინტერესებს სხვა სახელმწიფოთა ინტერესების საზიანოდ და საბოლოო ანგარიშით საკუთარი ინტერესების საზიანოდაც.

აშშ-ში 1980 წელს კანონის მიღების შემდეგ საგარეო კორუფციის შესახებ ადმინისტრაცია დაჟინებით მოითხოვდა ანალოგიური ღონისძიების მიღებას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) სხვა წევრების მიერ. ეს ორგანიზაცია მრეწველობის მხრივ განვითა-

რებულ ქვეყნებს აერთიანებს. აშშ-ის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ 1980 წლის კანონი ამერიკულ კომპანიებს არასელსაყრელ პირობებში აყენებს. მხოლოდ შვეიცარიამ და ნორვეგიამ აღნიშნული ორგანიზაციის წევრებიდან მხარი დაუჭირეს საერთაშორისო-სამართლებრივი აქტის მიღების იდეას კორუფციის აქტების კრიმინალიზაციის შესახებ, რომლებიც საზღვარგარეთ ხორციელდება. ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ საფრანგეთის, ინგლისისა და გფრ-ის ჩათვლით, აგრეთვე იაპონიამ განაცხადეს, რომ მათ ამის გაკეთება არ შეუძლიათ, თუმც უკვე მოგვიანებით, 1996 წელს პრინციპულად აღიარეს ხელშეკრულების დადების აუცილებლობა, რომელიც საზღვარგარეთ კორუფციის კრიმინალიზაციას მოახდენდა.

ამრიგად, კორუფცია სახელმწიფოს თანხვედრია მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მან გამოავლინა ადაპტაციის არაჩვეულებრივი უნარი ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმისა და საზოგადოების ცხოვრების ცვალებადი პირობებისადმი. ჩვენ დროში კორუფცია ხასიათდება იმით, რომ იგი პასუხობს მსხვილი კაპიტალისა და ორგანიზებული დამნაშავეობის ინტერესებს და შესაბამისად მათი მხარდაჭერით სარგებლობს.

კაპიტალისათვის კორუფციას აქვს მნიშვნელობა გაველისა და მოგების თვალსაზრისით. იგი აფართოებს თავის გავლენას სახელმწიფოზე და მის ფინანსურ რესურსებზე, მაგრამ მის გარეშეც კაპიტალს შეუძლია წარმატებით განახორციელოს თავისი ნორმალური საქმიანობა. კორუფცია კაპიტალს აძლევს ზემოგებისა და მისთვის სასარგებლო სტრუქტურებზე ზეგავლენის განხორციელების საშუალებას.

როდესაც ვეხებით კორუფციასთან ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი წარმოადგენს ისეთ სერიოზულ დაავადებას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა — ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, სულიერ სფეროებს მოიცავს. თავისთავად სამართალი ძირითადად მიმართულია სიმპტომთა და არა თვით ამ სენის წინააღმდეგ. ამის მიუხედავად სახელმწიფო და სამართალი კორუფციის მკვებავი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გარდაქმნის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. მხო-

ლოდ პარადოქსი ის არის, რომ კორუფციასთან ბრძოლაში ხელისუფლება როგორღაც საკუთარ თავს, საკუთარ მძლავრ ბიუროკრატიულ აპარატს ებრძვის. ყოველივე ეს ბუნებრივია სერიოზულად აძნელებს ბრძოლას ამ ბოროტებასთან, მაგრამ არ ხდის მას შეუძლებელს. ამ საქმეში წარმატება დამოკიდებულია შესაბამის გარდაქმნებზე მთლიანად საზოგადოებაში, ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში.

როგორც გამოცდილება ადასტურებს, ამ მიზნის მიღწევა იოლ საქმეს, როგორც იტყვიან, „რუსთაველის გამზირზე" გასეირნებას არ წარმოადგენს. მით უფრო პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა სახელმწიფოებს კარნახობს მჭიდრო თანამშრომლობას, რამეთუ კორუფცია დღეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს. ამ საფრთხის მთელი სერიოზულობა აისახა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში, კერძოდ, 1999 წლის ევროპულ კონვენციაში კორუფციის შესახებ ხაზგასმულია, რომ კორუფცია საფრთხეს უქმნის კანონიერებას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, ძირს უთხრის პატიოსნებას და სოციალურ სამართლიანობას, ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას და საფრთხის წინაშე აყენებს დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურობას და საზოგადოების მორალურ საფუძვლებს.

კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა ხაზგასმით აღინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. ამას ეძღვნება გენერალური ასამბლეის მთელი რიგი რეზოლუციები. 1998 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა სპეციალური მოხსენება გააკეთა კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ. მოხსენებაში წამოყენებული იქნა წინადადება სპეციალური დოკუმენტის შემუშავების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობდა კორუფციის შესახებ გენერალური ასამბლეის დეკლარაციის რეალიზაციას, კორუფციისა და მექრთამეობის კრიმინალიზაციას.

აშშ-ში 1925 წლიდან არსებობს კანონი კორუფციის შესახებ, რომელიც კრძალავს კორპორაციათა შენატანებს პრეზიდენტისა და კონგრესის წევრთა კანდიდატების საარჩევნო ფონდებში. მაგრამ კანონები თავისთავად და პოლიტიკური

ცხოვრება კი მაინც თავისი „გამოცდილი“ გზით მიდის. მართალი რომ ითქვას დრო და დრო ადგილი აქვს კორუფციულ ქმედებათა განსაკუთრებით ძლიერ ხმაურიან და შთამბეჭდავ გამომჟღავნებასაც.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ბლოკის შეფასებით კორუფცია თანამედროვე აშშ-ში იძენს ნიშნებს, რომლებიც შეგვახსენებენ ასი წლის წინანდელ პერიოდს.[1] ხოლო დევიდ კაპლანის მტკიცებით ამერიკის ფედერალურ ორგანოებს მიაჩნიათ, რომ თაღლითებმა რუსეთიდან და მათმა პარტნიორებმა ამერიკაში შეაღწიეს ქვეყნის ფინანსური სისტემის მაღალ სტრუქტურებში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 1998 წელს დაფიქსირებულია უცხოეთის ფირმების მიერ ამერიკის თანამდებობის პირთა მოსყიდვის შემთხვევები საერთაშორისო კონტრაქტების დადებისას თითქმის 30 მილიარდ დოლარის ოდენობით.[2]

აშშ-ის სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლები სკინერი, ოკლახობი და სხვები აღიარებენ, რომ კორუფცია ნებისმიერი მოღვაწეობის განუყოფელ ნიშნად იქცა, სადაც კი საჭიროა მიწის ნაკვეთების გამოყოფა მშენებლობისათვის, გადასახადებით დაბეგვრა, ქონების შეფასება მთავრობის წარმომადგენელთა მიერ და ა. შ. მარტო 5 წლის მანძილზე გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში აღიძრა 1500-ზე მეტი საქმე კორუფციული დანაშაულის ბრალდებით სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიმართ. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აშშ-ი მდიდარი და ეკონომიკურად მძლავრი სახელმწიფოა. იქ კორუფციას წარმატებით ებრძვიან და ჯეროვანი საკანონმდებლო ბაზაც გააჩნიათ, მაგრამ კორუფცია მაინცაა გავრცელებული ხელისუფლების ყველა დონეზე. ბოლო წლების მონაცემებით აშშ-ი კორუფციის მაღალი დონის მიხედვით მსოფლიოს 99 ქვეყანას შორის მე-18 ადგილზეა. აშშ-ს ყველა საშუალება აქვს წარმატებით ებრძოლოს კაცობრიობის ამ „თანდაყოლილ სენს“,

---

1 იხ. კორუფცია და ბიუროკრატია: სათაურები და დაძღევის გზები (რუს.), მ., 1998, გვ. 48.

2 იხ. ტ. ფრაი, უშიშარ მექრთამეს საზოგადოება სიღატაკეში შეყავს. როსიისკაია გაზეტა, 17 დეკემბერი, 1998.

მიაღწიოს მის „მოსათმენ დონეს". ამ უძლიერესი ეკონომიკისა და ტექნიკის ქვეყანაში კორუფცია ვერ ახდენს ისეთ ნეგატიურ გავლენას სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორც ამას აქვს ადგილი მსოფლიოს სხვა, კერძოდ აფრიკისა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. აშშ-მა თავისი უდიდესი ეკონომიკური სიძლიერე დადასტურა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტით მიყენებული ნგრევის მძიმე შედეგების მოკლე დროში ლიკვიდაციის მაგალითზე. საერთაშორისო ორგანიზაციები გარკვეულ დახმარებას უწევენ კორუფციით ყველაზე დაზარალებულ სახელმწიფოებს. მაგალითად, 2001 წლის პირველ ნახევარში მსოფლიო ბანკმა რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად მოამზადა პროექტი ქვეყანაში კორუფციის შესწავლისათვის. კვლევა მიმდინარეობდა ინვესტორთა, მეწარმეთა, უბრალო მოქალაქეთა საერთო-ეროვნული გამოკითხვის ფორმით. რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აზრით, კორუფციის კერები უმთავრესად ის სფეროები, რომლებიც დაკავშირებულია საბიუჯეტო სახსრების განაწილებასა და ქვეყნის ბუნებრივ რესურსებთან.

კორუფცია რა დონისაც არ უნდა იყოს, დამღუპველია უწინარეს ყოვლისა ჩამორჩენილი და სიღატაკის ზღვარს მიღწეული ქვეყნებისათვის. იგი მათ დეგრადაციითა და მოსპობით ემუქრება, როგორც ეს დაემართა აფრიკის ზოგიერთ ქვეყანას, აღიგავა რა პირისაგან მიწისა.

როლან დიუმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანსუა მიტერანის — საფრანგეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის მეგობარი-მრჩეველი და საყვარელი მინისტრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თავისი სიცოცხლის ბოლოს მას გაასამართლებდნენ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს. დიუმა უმთავრესად იმან დაღუპა, რომ ქვეყანაზე ყველაზე მეტად ქალები და ფული უყვარდა. ფულს კი იგი შოულობდა ქრთამის შემწეობით. ახლა იგი უკვე ყველაფერს უნდ გამოეთხოვოს თავისი ხანდაზმულობის ჟამს.

პროკურორმა მისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 150 ათასი დოლარის შემცველი ჯარიმა მოითხოვა. ეს სას

ჯელი მას შეეფარდა იმისათვის, რომ დიუმა მრავალი წლის მანძილზე იღებდა ქრთამს ნავთობის კომპანია „ელფ-აკიტენის“ ხელმძღვანელებისაგან. ქრთამს იგი თავისი მეგობარი ქალის ქრისტინა დევიეუონკურის შემწეობით იღებდა. ამასთან ერთად დიუმა ლობირებდა მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას სახელმწიფო კომპანიებში, ახორციელებდა მეტად საეჭვო სამხედრო კონტრაქტებს. ადამიანები, რომლებიც მას ქრთამს აძლევდნენ, დღეს დიუმას გვერდით სხედან ციხეში, ისე როგორც მისი მეგობარი ქალი, რომელიც „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ სამუშაოდ ფრანგულ ნავთობკომპანია „ელფ-აკიტენში“ მიიღეს კონსულტანტად, სადაც 8 მილიონი დოლარის უკანონო გზით მითვისება მოასწრო, აქედან 3 მილიონი უკვე სახელმწიფოს დაუბრუნა. პროკურორმა მისთვის სამი წლით პატიმრობა და 350 ათასი დოლარი ჯარიმა მოითხოვა.

პროკურორის მოთხოვნას დიუმა თავშეკავებულად და ღიმილითაც კი შეხვდა. გამოცდილმა ადვოკატმა, რომელმაც პრაქტიკულად ყველაფერი იცის საფრანგეთის ბოლო 20 წლის პოლიტიკურ სამზარეულოზე ერთბაშად გაიცნობიერა, რომ მას ციხეში ჯდომა დიდხანს არ მოუწევს. მართალია საფრანგეთის იუსტიცია დამოუკიდებელია, მაგრამ მაინც შემწყნარებლურია, განსაკუთრებით კი გარდაცვლილი, მაგრამ დიდი პრეზიდენტის მეგობართა მიმართ.

„ელფ-აკიტენის“ პროცესმა საბოლოოდ მოჰფინა შუქი პოლიტიკურ-ფინანსური კორუფციის რეალურ პრაქტიკას. ამ პროცესზე თავის დროზე ბევრი დაიწერა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ყურადღების ცენტრში იდგა სწორედ მიტერანის პირადი მეგობარი როლან დიუმა. იგი როგორც ნიჭიერი ადვოკატი, თავის დროზე პიკასოს დამცველი იყო, ხოლო როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ვადადგომა მოუხდა „ელფ-აკიტენის“ დოსიესთან დაკავშირებით.

2001 წლის მაისის ბოლოს სასამართლომ როლან დიუმას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 5 მილიონი ფრანკის ჯარიმა დააკისრა.

კორუფციასთან დაკავშირებით ამ ორიოდე წლის წინათ

რუსეთში მოეწყო საინტერესო გამოკითხვა დევიზით „კორუფცია“:

1. თვლით თუ არა თქვენ, რომ რუსეთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა მსოფლიოში?

1. დიახ — 40%, 2. არა — 15,8%. 3. არ ვიცი — 44,2%.

2. კორუფციის დონე უფრო მაღალია — ახლა თუ სსრ კავშირში?

1. ახლა — 75,5%.

2. სსრ კავშირში არსებობის ყოველ დროს — 3,7%.

3. სსრ კავშირში მხოლოდ ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში — 3,7%.

4. სსრ კავშირში მხოლოდ ბრეჟნევის და გორბაჩოვის დროს — 9%.

5. მხოლოდ გორბაჩოვის დროს — 6,8%.

6. არ ვიცი — 6,3%.

3. თვლით თუ არა შს ორგანოებს სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე კორუმპირებულ ორგანოებად?

1. დიახ — 12,1%.

2. არა — 78,9%.

3. არ ვიცი — 9%.

4. მუდმივია დამნაშავეობა?

1. დიახ — 91,6%.

2. არა — 5,8%.

3. არ ვიცი — 2,6%[1]

§ 3. კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული

ხშირ შემთხვევაში კორუფცია ორგანიზებული დანაშაულის ფორმით ხორციელდება. როგორც პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, ორივე განუკურნებელ სენად მოევლინა კაცობრიობას, ცალკეულ ქვეყნებსა და ხალხებს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთრივ ორგანიზებული დანაშაული მთელი

---

1 იხ. კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების. კრებული, გვ. 295.

რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ორგანიზებული დანაშაულის ცნების განსაზღვრის შემუშავება მეტად რთული და მრავალმხრივი პრობლემა აღმოჩნდა. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ გაეროს VIII კონგრესის (ჰავანა, კუბა, 1990 წ. 27-08) მიერ აღინიშნა: „ერთი დებულებით შეუძლებელია განისაზღვროს ორგანიზებული დანაშაულის მრავალრიცხოვანი სახეობები, რომელთაც განაპირობებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური და ა. შ.“[1]

ექსპერტთა კომიტეტმა სისხლის სამართლისა და ორგანიზებული დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებზე, რომელიც ევროპის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა 1997 წლის 1 აპრილს, აგრეთვე მიიღო დადგენილება არ ეცადათ ორგანიზებული დანაშაულის ზუსტი განსაზღვრა.

ამიტომაც, როგორც ჩანს აღნიშნულ საკითხზე არ არის შეხედულებათა ერთსულოვნება არც ერთი ქვეყნის სამართალმცოდნეებში. ეს გარემოება უმთავრესად იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული დანაშაულის ცნებისადმი მიდგომა ხდება სხვადასხვა პოზიციიდან. ზოგიერთი ავტორი ემყარება ორგანიზებული დანაშაულის გაგებას ტრადიციული დანაშაულის ნიშანთა საფუძველზე.

ორგანიზებული დანაშაულის განსაზღვრისას უნდა გამოიყოს ის სპეციფიკური ნიშნები (კრიტერიუმები), რომლებიც დამახასიათებელია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის (გაერთიანებებისათვის, ამხანაგობებისათვის და ა. შ.). ამ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნეს დანაშაულებრივ ჯგუფთა იდენტიფიკაცია, რითაც ისინი შეიძლება კვალიფიცირებული იქნენ როგორც „ორგანიზებული ჯგუფები“. მათთვის დამახასიათებელ კრიტერიუმებად შეიძლება ჩაითვალოს: წინასწარ განზრახული, წინასწარ დაგეგმილი დანაშაულებრივი ქმედება; შეთანხმება მუდმივი ხასიათის დანაშაულებრივ საქმიანობაზე; დანაშაულის ორგანიზაცია პირთა შეკავშირების საფუძველზე, მათ შორის დანაშაულებრივი როლების გამიჯვნა, ურთიერთობათა იერარქიული სისტემა; დანაშაულებრივ ჯგუფთა (გაერთიანე-

---

1 ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის საკითხები (რუს.), მ., 1996, გვ. 8.

ბათა) მყარი ხასიათი; დაცვის წინასწარი ღონისძიებების მიზანმიმართული შემუშავება, პასუხისგებაში მიცემისაგან თავის დაღწევისათვის; ხშირ შემთხვევაში მისი მჭიდრო კავშირი კორუფციასთან.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლი 35-ე, მესამე ნაწილი) მოცემულია აღნიშნული ჯგუფის შესაბამისი განსაზღვრა, ნათქვამია, რომ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფად იწოდება პირთა მყარი ჯგუფი, რომელიც წინასწარი შეთანხმებით გაერთიანდა ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ამ ცნების განსაზღვრა მოცემულია აგრეთვე რუსეთის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1995 წლის 25 აპრილის № 5 დადგენილებაში. აქ აღნიშნულია: „ორგანიზებული ჯგუფი გაგებული უნდა იქნეს როგორც ორი, ან მეტი პირის მყარი ჯგუფი, რომლებიც გაერთიანდნენ წინასწარი განზრახვით ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. როგორც წესი, ასეთი ჯგუფი ხასიათდება ორგანიზებულობის მაღალი დონით, გეგმიანობით და დანაშაულის ზედმიწევნით მომზადებით, როლების განაწილებით თანამონაწილეთა შორის და ა. შ.“.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ჩამოყალიბებულია ორგანიზებული ჯგუფისა და დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) ცნება, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში — კრიმინალიზებულია დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შექმნა და კიდევ სხვა სპეციფიკური ორგანიზებული ქმედებანი.

საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილით სწორადაა ახსნილი ორგანიზებული ჯგუფების დანაშაულებრივი ბუნება. აქ ნათქვამია: „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად“. ასეთი ჯგუფები უნდა განისაზღვროს როგორც „დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფები“. მოცემული ნორმის მთავარი ნიშანია „დარაზმულობა“, რომელიც განასხვავებს ორგანიზებულ დანაშაულებრივ გა-

---

1 რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი (რუს.), ბ., 1995, №7.

ერთიანებას (ამხანაგობას) ორგანიზებული ჯგუფისაგან. მაგრამ დარაზმულობის, როგორც ნიშნის ოფიციალური გაგება არ არსებობს. რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სს კოდექსებში „ორგანიზებულობა“ ნიშნად კვალიფიცირდება. და მიუხედავად ამისა ორგანიზებული დანაშაული თავისი სპეციფიკით მაინც განსხვავებული უნდა იქნეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქიანობისაგან.

ამრიგად, როგორც აშკარად ჩანს თვით „ორგანიზებულობის“ ერთერთი ძირითადი ნიშანია „სიმყარე“, აგრეთვე „ორგანიზებულობის“ მაღალი დონე (ეს მეორე ნიშანია), შემდეგ სიზუსტე, გეგმიანობა, გამბედაობა და ა. შ. ცხადია, სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ორგანიზებული ჯგუფის „ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს“, რომელთა როლიც დანაშაულებრივ ქმედებაში საჭიროებს ზუსტ სამართლებრივ კვალიფიკაციას.

ორგანიზებული დანაშაული შეიძლება კვალიფიცირდეს შემდეგი მთავარი ნიშნებით: ჯერ-ერთი, ფინანსურ-მატერიალური ბაზის არსებობა; მეორე, დანაშაულებრივი ორგანიზაციის იერარქიული სტრუქტურა; მესამე, კორუფციულ კავშირთა არსებობა სახელმწიფო ორგანოებთან; მეოთხე, დანაშაულებრივი ქმედების მყარი ხასიათი; მეხუთე, დანაშაულებრივ ჯგუფთა ტენდენცია ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ; მეექვსე, გავლენის სფეროთა გადანაწილება დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფებს შორის.

აღნიშნული ფუნდამენტალური ნიშნები: სიმყარე, მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა შეფასებითია და მას მოსდევს არაერთმნიშვნელოვანი გაგება, როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

ზემოთ მითითებულ გაეროს სამდივნოს დოკუმენტში საერთოდ ორგანიზებული დანაშაული დახასიათებულია როგორც „მოღვაწეობის რთული სისხლისსამართლებრივი სახეობა, რომელიც ხორციელდება ფართო მასშტაბის ორგანიზაციებისა და სხვა ჯგუფების მიერ, რომელთაც აქვთ შინაგანი სტრუქტურა, ღებულობენ ფინანსურ მოგებას და იხვეჭენ ძა-

ლაუფლებას უკანონო საქონლისა და მომსახურების ბაზრების შექმნისა და ექსპლოატაციის გზით".[1] ორგანიზებული დანაშაულის ამ განსაზღვრაში აქცენტი კეთდება ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების საბოლოო შედეგზე — ფინანსური მოგების მიღებაზე. ორგანიზებული დანაშაულის ამ ობიექტზე მიუთითებდნენ სხვა სამართალმცოდნეებიც. აშშ-ის მთელ რიგ შტატებში (ნიუ-იორკი, პენსილვანია, კალიფონია) შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით ორგანიზებული დანაშაული განსაზღვრულია როგორც „ჯგუფი პირებისა, რომლებიც მოქმედებენ კანონგარეშე, ფინანსური სარგებლიანობის მოხვეჭის მიზნით, იმყოფებიან მუდმივ დანაშაულებრივ გარიგებაში და შეუძლიათ განახორციელონ პოლიტიკური მოსყიდვა და კონტროლი თავისი საქმის წარმატებითი გაგრძელებისათვის".[2]

როგორც ვხედავთ, ეს განსაზღვრა არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ პოლიტიკურ მოტივსაც შეიცავს. აღნიშნული და სხვა ანალოგიური განსაზღვრებიდან გამომდინარე ორგანიზებული დანაშაული შეიძლება გაგებული იქნეს როგორც დამნაშავეთა მყარი და მართვადი გაერთიანებანი ან ჯგუფები, რომლებიც ეწევიან დანაშაულებრივ ქმედებას როგორც ბიზნესით, ისე სხვა ბერკეტების გამოყენებით და ქმნიან სოციალური კონტროლისაგან დაცვის სისტემას კორუფციის შემწეობით.

ამრიგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი შემოსავლების მიღება ხდება მაქსიმალურად უშიშარი ხერხებით. სწორედ ეს მიზანი განსაზღვრავს მისი მიღწევის საშუალებებსა და მეთოდებს. ამ მიზნის მიღწევის ერთერთი საშუალებაა ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად.

ორგანიზებული დანაშაულის აღმოცენებას ორგანიზებულ გაერთიანებათა ფორმით, რომლებიც განსხვავდებიან ტრადიციული სისხლისსამართლებრივი დანაშაულებრივი

---

1. ორგანიზებული დამნაშავეობასთან ბრძოლის საფუძვლები (რუს)., მ., 1996, გვ. 8.

2 ციტ. ბ. ნურგალიევი, ორგანიზებული დანაშაულებრივი მოღვაწეობა (რუს.), ყარაგანდა, 1997, გვ. 17.

ჯგუფებისაგან, ხელი შეუწყო სისხლის სამართლის პოლიტიკისა და ეკონომიკის გარკვეულმა ლიბერალიზაციამ ყოფილ საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 60-80-იან წლებში. აღნიშნულ წლებში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის გატარებამ განსაზღვრა სამართალდაცვის ორგანოთა მოღვაწეობის ამორფულობა „კანონიერ ქურდთა“ და დამნაშავეთა სამყაროს სხვა ლიდერთა მიმართ. 60-იანი წლების მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ტერმინები და განსაზღვრებანი ორგანიზებული დანაშაულის ცალკეული ფორმების შესახებ დაყვანილია ცნებამდე „ბანდა“, „მსჯავრდებულთა ბრბო“. ამავე კოდექსის ზოგად ნაწილში აღნიშნული იყო ტერმინი „ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი“, მისი ბუნების აუხსნელად. ამიტომაც იგი ეპიზოდურად გამოიყენებოდა ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმები, როგორიცაა „დაჯგუფება“, „ქურდების ბრბო“, „დანაშაულებრივი ორგანიზაცია“, იგულისხმებოდა უნივერსალური ცნებით „პირთა ჯგუფის წინასწარი გარიგება“. ამას მოჰყვა ყურადღების შესუსტება, ფაქტობრივად კი პასუხისმგებლობის მოხსნა დანაშაულის ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ფუნქციურად ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების სიმყარე ვლინდება შემდეგ სახეობებში: დანაშაულებრივი კაპიტალის შექმნა და გაძლიერება; დანაშაულებრივ საშუალებათა დანერგვა და ლეგალიზაცია ბიზნესში; დანაშაულებრივი სახსრებისა და ბერკეტების ბრუნვის უშიშროებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა; დანაშაულებრივი შემოსავლების მიღება ლეგალიზებული კაპიტალიდან და მისი გამოყენება პოზიციების გასაძლიერებლად სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში და ა. შ.

დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის მონაწილენი ვალდებული არიან დაიცვან ქცევის პრინციპები და ნორმები, რომლებსაც ადგენს ლიდერი ან ჯგუფის ხელმძღვანელი. ამასთან დაკავშირებით, როგორც ამას ადასტურებს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო პრაქტიკა, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არ არღვევენ შინაგან ჯგუფურ პრინციპებს, არ მიმართავენ მათი ამხანაგების გა-

ცემას, როგორი სიტუაციაც არ უნდა შეიქმნას. ნათქვამი საშუალებას იძლევა კრიმინალურ ასპექტში განხილულ იქნეს ორგანიზებული ჯგუფი, როგორც რამდენიმე პირის წინასწარ გაერთიანება კრიმინალურ შემოსავალთა მიღების მიზნით პირადი გამდიდრებისათვის, შეგნებული, მართლსაწინააღმდეგო, ერთობლივი, წინასწარგანზრახული, მიზანმიმართული, აქტიური დანაშაულებრივი ქმედების გზით.

ცალკეულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებში ლიდერები დეტალურად გეგმავენ კრიმინალური „ოპერაციების" ჩატარებას, იყენებენ რა ამისათვის მობილურ ტრანსპორტს, კომპიუტერულ საშუალებებს, კორუმპირებულ კავშირებს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებთან. ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებათა ასეთი სახეობა უნდა მიეკუთვნოს თანამონაწილეობის განსაკუთრებულ ფორმას — დანაშაულებრივ გაერთიანებას.

სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურებში მყოფი კორუმპირებული ელემენტები ტოტალურ კორუფციას უჭერენ მხარს და ხელს უწყობენ სახელმწიფო საკუთრების ხარჯზე კაპიტალის პირვანდელ დაგროვებას კომერციულ, კრიმინალურ სტრუქტურებში.

კომერციულ-კრიმინალური სტრუქტურები — ესაა ფაქტობრივად ორგანიზებულ-დანაშაულებრივი გაერთიანებები, რომლებიც აბანდებენ კრიმინალურ კაპიტალს ოფიციალურ ბიზნესში, ე. ი. სამეწარმეო საქმიანობაში. კომერციულ-კრიმინალურ სტრუქტურათა შერწყმის შედეგად სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების თანამდებობის კორუმპირებულ პირებთან წარმოიქმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირების სწორედ ახალი სახეობა — დანაშაულებრივი გაერთიანება. ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობას მოაქვს უზარმაზარი შემოსავალი, როგორც ლიდერებისათვის, ისე დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებისათვის, მათს რიცხვში კორუფციონერთათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ უშიშროებრიობას, დანაშაულებრივი ქმედების აქტიურობას, იყენებენ რა ამისათვის, როგორც ტრადიციულ, ისე კორუმპირებულ ქმედებათა ახალ სახეობებს: სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის

პირის მოღვაწეობაში ჩარევას კომერციულ-კრიმინალურ სტრუქტურათა ინტერესებისათვის, გამოქომაგება-მფარველობას, შენიღბვას, დაცვას, ლობირებას და ა. შ.

მექრთამე-კორუფციონერი ერთდროულად ორ სამსახურშია: ოფიციალურში (სახელმწიფო სამსახური) და არაოფიციალურში, ე. ი. კრიმინალურ სამსახურში. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის წევრი მ. ერთ-ერთი დიდი რესტორანის ფაქტობრივი მეპატრონეა, წილი შეუდის კონტრაბანდული გზით მიღებული ბენზინიდან და ამ დანაშაულებრივ ქმედებას თვითონ ლობირებს. ასევეა არაერთი სხვა პარლამენტარი, რომელთაც სავაჭრო თუ სხვა მაღალ შემოსავლიანი ობიექტები სიდედრების, სიმამრების და ა. შ. სახელზე აქვთ გაფორმებული, საიდანაც უზარმაზარი ფულადი შემოსავალი შემოუდით.

როგორც კორუფცია, ისე მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზებული დამნაშავეობა ჩვენ დროში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ქმედითი და ეფექტური ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ. ერთმანეთთან „გადაჯაჭვული" ორივე ეს მეტად საშიში დანაშაული იმყოფება მთელი რიგი ქვეყნების მთავრობათა რეალური კონტროლის გარეშე.

ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის შინაარსისა და მექანიზმის გაგება შესაძლებელი გახდა იტალიაში ამასწინანდელ გამოკვლევათა შედეგად მიღებული მონაცემებით. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო კორუფციის საფუძვლიანი ანალიზი, ადრე უცნობი გზებისა და ხერხების გამოყენებით, რის შედეგადაც დადგინდა კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის პრობლემათა მსგავსება. იტალიის იუსტიციამ მარჯვედ გამოიყენა მსგავსი მეთოდები როგორც ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ისე კორუფციასთან საბრძოლველად.

კორუფციასა და ორგანიზებულ დამნაშავეობას შორის ფაქტობრივად წაშლილია განსხვავება, კორუფციული ქმედების შედეგად მიღებული უზარმაზარი თანხების გადატანის

გზით მსოფლიოს წამყვან საბანკო ცენტრებში. ორგანიზებულ დამნაშავეობასა და კორუფციას შორის დაყოფა ქრება სხვა პარამეტრებითაც. ფინანსურ განაკვეთთა ზრდის კვალობაზე კორუფცია ხშირად ხორციელდება ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ე. ი. მოვლენით, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ორგანიზებული დამნაშავეობისათვის. თავის მხრივ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, რომელთა შემოსავლები ტრადიციული საქმიანობიდან მცირდება უფრო ეფექტიანი სამართალდაცვითი მოღვაწეობის შედეგად, აშშ-სა და ევროპის ცალკეულ ქვეყნებში მიმართავენ უფრო შემოსავლიან ფინანსურ დამნაშავეობას.

ამიტომ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა უნდა გახდეს სისხლის სამმართლებრივი და კრიმინალისტური[1] ციკლის ყველა მეცნიერების შესწავლის ობიექტი. მაგალითად სისხლის სამართლის მეცნიერება შეისწავლის ორგანიზებულ დამნაშავეობას სისხლის სამართლებრივ ქმედებათა მონაწილეობის ფორმების და სახეობების, მათი ელემენტების პოზიციიდან, პასუხისმგებლობას დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, ამხანაგობების, ორგანიზაციების მიერ. კრიმინალისტიკა იკვლევს სტრუქტურულ ელემენტებს ორგანიზებულ, დანაშაულებრივ საქმიანობაში, ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთა, ორგანიზაციების ფორმირების კანონზომიერებებს, გამოძიების მეთოდიკისა და ტაქტიკის საკითხებს. ინფორმაცია აუცილებელია მთლიანად ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობისა და მისი ცალკეული სახეობების კრიმინალისტური დახასიათებისათვის, ამის საფუძველზე მეთოდური რეკომენდაციების გამოსამუშავებლად, ასეთი დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენისათვის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტი-

---

1 კრიმინალისტიკა (ლათ. Criminalis, რომელიც დანაშაულს შეეხება) გამოყენებითი იურიდიული მეცნიერებაა, რომელიც ამუშავებს სპეციალური ხერხების, მეთოდებისა და საშუალებების, სასამართლო მტკიცებულებათა შეკრების, ფიქსაციის, გამოკვლევისა და გამოყენების სისტემას. ეს ხერხები და მეთოდები გამოიყენება სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიებისა და გახსნისათვის, აგრეთვე სისხლის სამართლის, რიგ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვისას.

კული ღირებულების შემცველია ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების ცნების საკანონმდებლო დამკვიდრება. ასე მაგალითად, უკრაინის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში უკრაინელი სამართალმცოდნის ვ. პ. კორჟის აზრით საჭიროა დამკვიდრდეს ცნებითი აპარატი ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის, დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზაციის შესახებ.

კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის მასობრივი გავრცელება სხვა ცნობილ მიზეზებთან ერთად სერიოზული სახელმწიფოებრივი შეცდომებისა და სახელისუფლებო ბოროტმოქმედებითაა განპირობებული. კერძოდ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში: ესაა, ჯერ-ერთი, საბაზრო ეკონომიკის მეტისმეტი იდეალიზაცია და რეკლამირება, მისი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფაქტობრივი არ არსებობა (ვაუჩერებისა და საპრივატიზაციო ბარათების დარიგება მოსახლეობისათვის ხელისუფლების მხრიდან ხალხის აბუჩად აგდება იყო და მეტი არაფერი). იმედები საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებისა და თავისუფალ განვითარებაზე ფუჭი გამოდგა. შესაძლოა (რაც არაა გამორიცხული, ხელისუფლების მხრიდან) ეს შეცდომები დაშვებული იქნა შეგნებულად, კაპიტალის რაც შეიძლებოდა სწრაფად დაგროვებისა, კერძო საკუთრებისა და მესაკუთრეთა კლასის დამკვიდრების მიზნით; მეორე, ძალისმიერი ოპერატიული სტრუქტურების შემცირებამ გამოიწვია ის, რომ სპეციალისტები წავიდნენ ეკონომიკის სფეროში სამუშაოდ, რომელიც არ რეგულირდება და არ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმეში ორგანიზებული დამნაშავეობის მიმართ შემსრულებელთა და მონაწილეთა სახით ფიგურირებენ სამართალდაცვის ორგანოთა და ძალოვან სტრუქტურათა ყოფილი და მოქმედი მუშაკები. სწორედ ისინი უწყობენ ხელს ჩრდილოვანი ეკონომიკის შექმნას და მის შერწყმას სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ამრიგად ისინი ჩაერთნენ კრიმინალურ საქმიანობაში და ხელი შეუწყვეს საზოგადოების კრიმინილიზაციას; მესამე, სასამართლო ორგანოთა არც თუ სწორი პოზიცია, რომლებიც მოითხოვენ კერძო

საკუთრების ხელშეუხლებლობას, ფაქტობრივად მისი მფლობელების—კრიმინალური ძალების მიმართ; მეოთხე, ორგანიზებული დამნაშავეობა ვლინდება ძირითადად სხვადასხვა იურიდიულ პირთა მოღვაწეობის სახით, რომლებიც აყალიბებენ დამნაშავეთა ჯგუფებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გადასამალავად, ვალუტის გადაგზავნისათვის საზღვარგარეთ, ნარკოტიკების, ალკოჰოლური სასმელების უკანონო ბრუნვისათვის და ა. შ. ეს პირები, როგორც წესი ჩრდილში იმყოფებიან, იმალებიან ანალოგიურ კომპანიათა, მათ მიერ დაყენებული „ხელმძღვანელებისა“ და წარმომადგენელთა ზურგს უკან. მათი გამოვლენა დ პასუხისგებაში მიცემა უაღრესად გაძნელებულია.

ორგანიზებულმა დამნაშავეობამ, ისე როგორც კორუფციამ საერთაშორისო, გლობალური ტრანსეროვნული სასიათი მიიღო.

ევროკავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციის „ტანსპარენსი ინტერნეიშნლი“ (საერთაშორისო საჯაროობა), ამერიკის სახელმწიფოთა, ევროსაბჭოს მთელი რიგი ამასწინანდელი დოკუმენტები მიზნად ისახავენ საერთაშორისო ძალღონის გამოყენებას კორუფციის წინააღმდეგ. მრავალი ანტიკორუფციული ღონისძიება განსაკუთრებული სიზუსტით ემთხვევა ღონისძიებებს, რომლებიც წამოყენებულია ან ხშირად გამოიყენება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

§ 4. დროული და სწორი აღრიცხვა — ნებისმიერი დანაშაულის გახსნის წინაპირობა

დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის, კერძოდ, კორუფციული და ორგანიზებული დანაშაულის სწრაფ და სწორ აღრიცხვასა და სრულად გახსნას.

სამწუხაროდ ჩვენთან (და არა მხოლოდ ჩვენთან) დანაშაულისა და მისი გახსნის მდგომარეობის დროული და სწორი აღრიცხვის პრაქტიკა, როგორც იტყვიან, „ორივე ფეხით მო-

იკოჭლებს". ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ დანაშაულის თვით გახსნის ცნება საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას. დღეს ხშირად წერენ ერთად ორ სიტყვას: „გახსნა" და „გამოძიება". დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ორგანიზაციაზე მსჯელობისას უნებლიედ გვიხდება დაფიქრება, თუ რა არის აქ პირველადი და რა მეორადი (თუმც დანაშაული იხსნება საქმიანი, საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ). აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა რწმენა, რომ დანაშაულის გახსნას უნდა აწარმოებდნენ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოთა წარმომადგენლები (რომ ეს მათი ძირითადი ამოცანაა), ხოლო გამოძიებას — საგამოძიებო ორგანოები (გამომძიებლები — ეს მათი ამოცანაა). სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში, დაახლოებით ასე განისაზღვრებოდა დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის ეტაპები.[1] თუ კანონის დედაარსიდან გამოვალთ პრობლემისადმი ასეთნაირად მიდგომა ძირშივე შემცდარია. სისხლის სამართალწარმოების წინაშე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად დგას ერთი—ერთადერთი, მთავარი ამოცანა—დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა. ეს პროცესი (დიახ! დანაშაულის გახსნა პროცესია და არა ერთდროული აქტი, „ერთმოქმედებიანი სპექტაკლი") შეიცავს წინასწარ გამოძიებას, მოკვლევის ორგანოთა საქმიანობას, რომელთაც უმთავრესად ეკისრებათ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი დანაშაულის და იმ პირთა გამოვლენის მიზნით, რომლებიც მასში მონაწილეობდნენ და სასამართლო გამოძიებას, რომელიც თავისი განაჩენით საბოლოოდ წყვეტს საკითხს პირთა ბრალეულობისა და დასჯის შესახებ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. მხოლოდ სასამართლოს გა-

---

1 ამავე მოსაზრებას იზიარებენ დღესაც საქართველოს შსს ორგანოები. ტელევიზიით, პრესით თუ რადიოთი ცხადდება დანაშაულთა მრავალრიცხოვანი ფაქტები, მათ შორის თუ რამდენი „გაიხსნა" და რამდენი ღარჩა „გაუხსნელი". არადა თავდაპირველი გამოძიება (მოკვლევა) კი არ ხსნის დანაშაულს, არამედ პირობებს ამზადებს მისთვის. ჯეშმარიტებას თუ არ გვინდა ვუღალატოთ, გამოძიებაც და მოკვლევაც ერთ ორგანოში უნდა გაერთიანდეს, რამეთუ მოკვლევა ხომ იგივე გამოძიებაა. მათს გათიშვას დანაშაულის თავდაპირველ (წინასწარ) გახსნაში შეიძლება მხოლოდ ხელი შეუშალოს.

მამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ დანაშაული გაიხსნა. ეს მთლიანად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

როგორც ვხედავთ კონკრეტული დანაშაულის გახსნით დაკავებულია სისხლის სამართალწარმოების ყველა მონაწილე. მათი საქმიანობის შეფასება რეალურად შესაძლებელია საბოლოო შედეგების მიხედვით და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება დანაშაული გახსნილად. თუმცა ეს არ გამორიცხავს შუალედურ ოპერატიულ მონაცემებს წინასწარი შეფასებისათვის. ამის შემდეგ დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს შეფასდეს თითოეული ორგანოს წვლილი დანაშაულის გახსნაში. როდესაც დანაშაულის გახსნაში მონაწილე ყველა ორგანო ორიენტირებული იქნება საბოლოო შედეგებზე, ეს ხელს შეუწყობს მათ შორის ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

ამჟამად დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს გახსნილ დანაშაულთა რიცხვის უბრალო შეჯერება (პროცენტებში) აღრიცხვაზე აყვანილ დანაშაულთა საერთო რიცხვთან. მთელი პრობლემა ის არის, რომ დანაშაულთა რეგისტრაციისა და გახსნის ეფექტიანობა ფასდება ერთი და იგივე ორგანოების მიერ. ეს კი საქმისათვის საზიანო და ამდენად მიუღებელია. ამას დამაჯერებლად ადასტურებს აღრიცხვისაგან დანაშაულთა დამალვის დღემდე დაუძლეველი მანკიერი პრაქტიკა. პოლიციის მუშაკთა მთელი თაობა განებივრებული იყო (და დღესაც არის) სინამდვილის შელამაზების უწყებრივი სტატისტიკით. პროცენტომანია და კუდაბზიკობა (მოჩვენებითობა) იქამდე დავიდა, რომ მკვლელობები ხშირ შემთხვევაში რეგისტრირდებოდა როგორც მხოლოდ სხეულის დაზიანება, რომელსაც შემდეგ სიკვდილი მოჰყვა. ან კიდევ თუ აღმოჩნდა დაღუპულის სხეულის ცალკეული ნაწილები, აღარ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე მკვლელობაზე, ან ასეთი აღძვრა გადაჰქონდათ და არც თუ იშვიათად გადააქვთ გვიანი საანგარიშო პერიოდისათვის. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დანაშაულთა რეგისტრაციისა და აღრიცხვა-მოწესრიგების შედეგად აღუ-

რიცხავ დანაშაულთა რიცხვი მკვეთრად ეცემა, იკლებს თვით დანაშაულთა რაოდენობაც.

აი, რატომ უნდა დადგეს პირველ ადგილზე დანაშაულის გახსნისა და მისი გახსნილობის კრიტერიუმების თვით ცნების გარკვევა. ამ ზოგადი საკითხის გაურკვეველად ძალზე ძნელია კონკრეტული დანაშაულებრივი პრობლემის გადაწყვეტა. ძირფესვიან შეცვლას საჭიროებს სისხლის სამართლის სტატისტიკისადმი მიდგომა. საქმე ისეთნაირად უნდა მოწესრიგდეს, რომ პოლიციის მუშაკები თვითონ დაინტერესდნენ ყოველი სამართალდარღვევის რეგისტრაციით, რომელსაც ცხადია, აქვს დანაშაულის ნიშნები, რამდენადაც რაოდენობამ უნდა განსაზღვროს დანაშაულთან ბრძოლის სოციალური დაკვეთა, სამართალდაცვის ორგანოთა დატვირთვა და მათი დაფინანსება. დანაშაულის გახსნისადმი ასეთი მიდგომა იქნება მეცნიერული. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის პრაქტიკა. ეს სამსახური არ არის (არც უნდა იყოს) დაინტერესებული რეგისტრაციისაგან დანაშაულის დამალვით, პირიქით, მისი აქტიურობის მთავარი მაჩვენებელია გამოვლენილ დანაშაულთა რაოდენობა პრინციპით: „რაც მეტია — მით უკეთესია“.

თავისთავად დაუდევრად იქცევიან სამართალდაცვის ორგანოთა ის მუშაკები, რომლებიც ამახინჯებენ დანაშაულთა სტატისტიკურ მონაცემებს და რეგისტრაციას. ამის გამო მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არ იქნებოდა მართლზომიერი. სასჯელს არ შეუძლია მთლიანად გამორიცხოს აღრიცხვიანობის დამახინჯება. უფრო იოლია აღმოფხვრა პირობებისა, რომლებიც ამ მანკიერ მოვლენას წარმოშობენ.

როგორც პრაქტიკული გამოცდილება ცხადყოფს, სამართალდაცვის ორგანოები აწარმოებენ ჩადენილ დანაშაულთა არა უმეტეს 5-10 პროცენტის რეგისტრაციას, მათ შორის კორუფციული დანაშაულია 2 პროცენტამდე. ამას თავისთავად ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი განაპირობებს, მაგრამ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: ჩვენი სამართალდაცვის ორგანოებმა რომ მოახდინონ დანაშა-

ულებრივ ქმედებათა ძირითადი მასის რეგისტრაცია, ისინი ასეთ სიმძიმეს დღევანდელი მათი სოციალური დაუცველობის პირობებში ნამდვილად ვერ გაუძლებენ.

ოპერატიული მუშაკები და გამომძიებლები არც თუ იშვიათად დიდი ხნის მანძილზე მუშაობენ ფიზიკური ძალის გამოფიტვამდე და ეს სერიოზული სირთულეა კრიმინალური სტატისტიკის ობიექტივიზაციის გზაზე, მთლიანად და განსაკუთრებით კორუფციული დანაშაულის სფეროში. ამასთან საჭიროა გავიცნობიეროთ უდაო ჭეშმარიტება, რომ საქმე მარტო ციფრობრივ მონაცემებში როდია, არამედ, თუ ამ ციფრებს იქეთ რა იმალება. მართლმსაჯულება იწყება არა ჩადენილი დანაშაულიდან, არამედ დანაშაულის რეგისტრაციიდან. არ არის რეგისტრაცია, არც არის დანაშაული და არც არის მართლმსაჯულება.

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისათვის აქვს მის დროულ რეგისტრაციასა და ობიექტურ გამოძიებას.

ამრიგად, დამნაშავეობის, მეტადრე კორუფციის აღრიცხვას არ შეიძლება მიუდგეთ როგორც ფორმალურ პროცედურას. ცნობილია, რომ გამოძიებას ექვემდებარება მხოლოდ რეგისტრირებული ქმედება. ეკონომიკური დანაშაულობანი და კორუფცია ხასიათდება აღრიცხვის არასისრულით და რეგისტრაციის ფრაგმენტულობით, როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე მთლიანად მსოფლიოში.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ კორუფცია განირჩევა არა მხოლოდ შენიღბვით, არამედ შეთანხმებული ქმედებითაც. მას როგორც ცნობილია არა აქვს მიდრეკილება გასაჩივრებისადმი, რამდენადაც დამნაშავე მხარეები ღებულობენ სარგებლიანობას უკანონო გარიგების ხარჯზე. თვით ქრთამის გამოძალვაც კი ყოველთვის როდია გასაჩივრებული, რამდენადაც ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებში (მაგ. საქართველოში) ბოლომდე არ ენდობიან კორუფციასთან ბრძოლის მეთოდებს, რისი საკმაო საფუძველი აქვთ. სახელმწიფო მოსამსახურეთა კორუფციული ქმედებანი ჩვეულებრივ ხორციელდება რთულ სპეციფიკურ და კონფიდენციალურ პირობებში და ამდენად პროფესიონალებისათვის მეტად ძნელია „გზის გაგნება". ამასთან კორუფციას აქვს განსაკუთრებული შემგუებლობის

უნარი. იგი განუწყვეტლივ იცვლის სახეს და სრულყოფილდება. ლატენტურობა მისი დამახასიათებელი თავისებურებაა. ამიტომ არსად არ არის თუნდაც დაახლოებითი მონაცემები ამ მოვლენაზე, მეტადრე დამნაშავე პირებზე, რომლებიც სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ. მათგან მხოლოდ ერთეულებს, ძირითადად ყველაზე დაბალი კატეგორიის მუშაკებიდან ენიშნებათ რეალური სისხლისსამართლებრივი სასჯელი.

კორუფციის ბირთვი და უშუალო ადრესატი მექრთამეობაა. მაგრამ თვით ეს ქმედებაც არ ფიქსირდება წამყვანი ქვეყნების კრიმინალურ სტატისტიკაში. აშშ-ში მაგალითად მექრთამეობა აღირიცხება ეჭვმიტანილთა პატიმრობის მიხედვით და ქვეყნდება მხოლოდ საერთო გრაფაში: „ყველა სხვა დანაშაულობანი“, საიდანაც მექრთამეობის გამოყოფა შეუძლებელია. ამავე დროს კი აშშ-ის კანონთა კრებულის მე-2 თავში „ქრთამის მიცემა, მოსყიდვა და ინტერესთა კონფლიქტი“ არის 25-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას მექრთამეობის სხვადასხვა ფორმისათვის. 1989 წელს აქ მიღებული იქნა „დამატებითი კანონი“ კორუფციასთან ბრძოლის შესახებ. ამის გარდა ყოველ შტატს აქვს საკუთარი კანონები, რომლებიც მიმართულია ამ მოვლენის წინააღმდეგ.

საფრანგეთის სისხლის სამართლის სტატისტიკაში მექრთამეობა „მიმალულია“, იგი არ ჩანს ცალკე, სხვა ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულობების გრაფაში. ინგლისსა და უელსში დანაშაულთა რეგისტრაციაში არ არის მონაცემები ჩინოვნიკთა კორუფციული დანაშაულის შესახებ. მხოლოდ იაპონიაში ქვეყნდება ეს მონაცემები ცალკე, მაგრამ არა აღრიცხულ დანაშაულთა სიაში, არამედ ეჭვმიტანილთა საერთო რაოდენობაში, რომელთა საქმე განხილული იყო სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ.

ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, კანადა, გფრ და სხვ.) საერთოდ არ ავსებენ გრაფას მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ. ქვეყნების უმრავლესობამ (ინგლისი, უელსი, საფრანგეთი, იტალია, შვეცია, შვეიცარია, საბერძნეთი, ესპანეთი, ფინეთი და სხვა) დააფიქსირა მონაცემები პირთა შე-

სახებ, რომლებიც მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მექრთამეობისათვის ან კიდევ მსჯავრდებულია. და მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანა (ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ნორვეგია, თურქეთი, ისრაელი, ჩეხეთი, ავსტრია) აღრიცხავს საერთოდ კორუფციის შემთხვევებს.

მექრთამეობისათვის მსჯავრდებულთა რიცხვის უმეტესი ნაწილი ქვეყნების მიხედვით შეადგენდა ეჭვმიტანილთა რაოდენობის ნახევარზე არა უმეტესს. მაგრამ ადგილი ჰქონდა სხვა მონაცემებსაც. ისრაელში მაგალითად 1990 წელს რეგისტრირებული იყო მექრთამეობის 165 შემთხვევა, რის გამოც პასუხისგებაში იქნა მიცემული 183 ეჭვმიტანილი. დასაჯა (წინა წლის გათვალისწინებით) 212 კაცი. რუმინეთში მაგალითად 1986 წელს აღრიცხულია მექრთამეობის 18.649 შემთხვევა, მაგრამ საქმეში გადიოდა მხოლოდ 2665 ბრალდებული და ბოლოს აღირიცხა 636 მსჯავრდებული რეგისტრირებულთაგან (3,4%).[1]

როგორც გამოცდილება ადასტურებს არ შეიძლება დანაშაულის დონესა და ხარისხზე მსჯელობა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის მონაცემთა მიხედვით, რამდენადაც ეს მონაცემები არ ასახავენ არც ფაქტობრივად ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას, არც დამნაშავეთა რიცხვს. ერთი სისხლის სამართლის საქმით შეიძლება მთელი რიგი დელიქტების[2] გამოძიება. ამასთან ყველა ისინი მართალია მთავრდება საბრალდებო დასკვნებით, მაგრამ სასამართლოში გაგზავნილ ყველა საქმეზე როდი გამოაქვთ საბრალდებო განაჩენი. აღნიშნული მონაცემებით შეიძლება წარმოიშვას არასწორი წარმოდგენა ნამდვილ დამნაშავეობაზე ჩვენ ქვეყანაში, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საერთოდ.

სტატისტიკაში სარწმუნოდ და სრულად უნდა აისახოს ნებისმიერი დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის ჭეშმარიტი სახე და მისი დინამიკა. არ შეიძლება არ გავით-

---

1 იხ. ვ. ღუნიოვი, კორუფცია აღრიცხული და ფაქტობრივი, გოსუდარსტვო ი პრავო. 1996, № 8, გვ. 79-80.

2 დელიქტი (დათ.) დარღვევა, ბრალი. იგივეა, რაც ქმედება (სამოქალაქო, დისციპლინური სამართალდარღვევა), თვით დელიქტი არ გამოიყენება ჩვენ კანონმდებლობაში, მაგრამ ფართოდ იხმარება მეცნიერულ-სამართლებრივ ლიტერატურაში.

ვალისწინოთ, რომ დასაწყისში რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვიდან ცოტა როდი იხსნება აღრიცხვიდან, ძირითადად შემთხვევის ან შემადგენლობის არ არსებობის გამო.

სისხლის სამართლის პროცესის საწყის სტადიაზე შეუძლებელია სრული და ზუსტი მონაცემების არსებობა დანაშაულის ხასიათის, სახეობის, კვალიფიკაციის, განსაკუთრებით დამნაშავის პიროვნების თვისებათა შესახებ. ამიტომ დასკვნები, რომლებიც გაკეთებულია ანგარიშების საფუძველზე და აღნიშნულ სტადიაზეა შედგენილი, როგორც წესი დაუმთავრებელი ხასიათისაა. მხოლოდ საქმეზე განაჩენის გამოტანის დამამთავრებელ ეტაპზე ყველა მონაცემი დანაშაულისა და დამნაშავის შესახებ მრავალგზის შემოწმებული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მსვლელობაში იძენენ სარწმუნოობის მაღალ დონეს და გვაახლოვებენ ჭეშმარიტებასთან. აი, რატომ უნდა ხდებოდეს ნებისმიერი დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირების აღრიცხვა უმთავრესად განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, როდესაც საბოლოოდაა გახსნილი დანაშაული. ეს არის სწორედ რეალური ფაქტის რეალური აღრიცხვა. სწორედ ეს სტატისტიკა ითვლება ოფიციალურად, საერთო-სახელმწიფოებრივად. ასეთ აღრიცხვას უნდა აწარმოებდნენ სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის დამოუკიდებელი და არა სამართალდაცვის ორგანოები. სტატსამსახურის ტერიტორიულმა დანაყოფებმა თავის თავზე უნდა აიღონ ყოველგვარ სამართალდარღვევათა რეგისტრაცია კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით.

სამართალდაცვის ორგანოებს შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ საკუთარი უწყებრივი აღრიცხვა, რომელიც ასახავს საკუთრივ მათი მონაწილეობის შედეგებს დანაშაულის გამოვლენასა და გახსნაში.

სახელმწიფო და უწყებრივი ფუნქციების სწორად გამიჯვნისას რეალური შესაძლებლობა არსებობს შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოთა თანამშრომლების განტვირთვისათვის ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზისაგან, აგრეთვე იმ საჭირო დოკუმენტაციის მომზადებისაგან, რომელიც არ მოითხოვს დამნაშავეობასთან ბრძოლის ოპერა-

ტიულ-ტაქტიკური ამოცანების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

აუცილებელი ანალიტიკური მონაცემები დანაშაულის იმ პირთა შესახებ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, პრაქტიკული მოღვაწეობის საჭიროებისათვის და მეცნიერული მიზნით გამოყენებისათვის შეიძლება მიღებული იქნეს სტატისტიკური სამსახურის ორგანოებიდან. საკითხის ასეთი გადაწყვეტის პირობებში სამართალდაცვის, განსაკუთრებით შს ორგანოების თანამშრომლები მიიღებენ დროის დამატებით რესურსებს თავიანთი პირდაპირი ფუნქციების აღსრულებისათვის, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენასა და გახსნასთან.

როგორც ვხედავთ შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ გადაისინჯოს დანაშაულისა და მისი გახსნის მდგომარეობის აღრიცხვის არსებული სისტემა. ამჟამად ეს პირველი რიგის საკითხია ჩვენს კანონმდებლობაში, რამდენადაც შეეხება სამართალდაცვის ორგანოების მოღვაწეების ყველა მხარეს და უმთავრესად დაკავშირებულია დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების კრიტერიუმებთან და მონაცემებთან, რომლებიც, როგორც ცხადი ხდება, შორსაა სრულყოფისაგან. დღევანდელი ოფიციალური სტატისტიკის არასრულყოფილობა მნიშვნელოვანწილად აიხსნება სამართალდაცვის ორგანოებში დანაშაულისა და მისი გახსნის მდგომარეობის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემებისა და კრიტერიუმების არ არსებობით. აუცილებელია სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემთა დაგროვების, შეკრების, დამუშავებისა და ანალიზის პრინციპულად ახალი სისტემა კომპიუტერული ტექნოლოგიისა და მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ 1939 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში აღნიშნული იყო დანაშაულის აღრიცხვის აუცილებლობა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა მიხედვით. ჯერ კიდევ მაშინ ითქვა, რომ უმნიშვნელოვანესი სტადია, რომელზედაც დანაშაულის შემთხვევის გამოძიება ხდება ზედმიწევნით და განაჩენის გამოტანით აღრიცხვიდან ამოვარდნილია. მაგრამ იმ დროისათვის მთელი სასამართლო სტატისტიკა შინსახკომის ხელში იყო თავმოყრილი და გა-

საგები მიზეზებით დღეს ასეთი მოსაზრება უყურადღებოდ დარჩა. ამასთან, სისხლის სამართლის სტატისტიკა მაშინ გაიაიდუმლოებული იყო. ეს კი საშუალებას აძლევდა შს ორგანოებს მხარი დაეჭირათ ვერსიისათვის დანაშაულის ფაქტობრივი არ არსებობის შესახებ საბჭოთა კავშირში.

კიდევ უფრო ადრე ჰქონდა ადგილი დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის რადიკალურად შეცვლისა და მისი მთლიანად გადაცემის ცდებს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობაში 1927-1928 წლებში, როდესაც მუშადა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი სასამართლო და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობის შესწავლის პერიოდში წააწყდა მაშინ არსებული დანაშაულის აღრიცხვის დეფექტებს. აღნიშნული კომისარიატის 1928 წლის 18 ივლისის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ დანაშაულის უფრო სრული, დროული და სწორი აღრიცხვის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოთა მუშაობის შედეგებისა და აღრიცხვის ერთიანობის მიზნით, აგრეთვე მონაცემების არსებული მკვეთრი განსხვავებულობის გამო, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოთა ძირითადი რგოლების მუშაობაში ქვეყნის მასშტაბით აუცილებლად იქნა აღიარებული დანაშაულთა არსებული აღრიცხვის საქმის ძირეულად შეცვლა. როგორც ვხედავთ საკითხის ასეთნაირად დაყენება ახალი არ არის. დღეს ეს საკითხი მთავარ პრინციპად იქცა დანაშაულის დადგენასა და გახსნაში. დანაშაულის სახელმწიფო სტატისტიკური გაანგარიშება და რეგისტრაცია გადამწყვეტი უარი უნდა გახდეს მისთვის უწყებრივი ხასიათის მიცემაზე, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს. ამიტომ აუცილებელია ზუსტად გაიმიჯნოს სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკის დანიშნულება და მიზნები.

ახლა, როდესაც სისხლის სამართლის სტატისტიკა ღია და მისაწვდომი გახდა, დადგა დრო მისი წარმოების ფუნქციები სახელმწიფო სტატისტიკურ სამსახურს გადაეცეს. მხოლოდ მას შეუძლია მონაცემთა მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც პასუხობს თანამედროვე საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

რუსეთის, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრეზიდენტთა განკარგულებებში, კანონებში, სხვა სა-

შართლებრივ აქტებში საერთოდ არ არის ნახსენები სტატისტიკური სამსახური და არ არის აღნიშნული, რომ საჭიროა დანაშაულთა რეგისტრაციის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი დანაშაულის ზუსტად და დროულად აღრიცხვას, რაც მისი გახსნის წინაპირობაა.

აღარ შეიძლება დანაშაულის აღრიცხვა დაიჭსაქსოს უწყებრივ დონეზე, რაც იმის მომასწავებელია, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში ღრმადაა შეჭრილი ძველი სტერეოტიპები. საქმისათვის საზიანოა და აღარ შეიძლება დაშვებულ იქნეს, რომ შს სამინისტროს, გენერალური პროკურატურის ორგანოები ერთდროულად განაგრძობდნენ ბრძოლას დამნაშავეობასთან, ამ ბრძოლის გეგმასაც იმუშავებდნენ, მასაც ასრულებდნენ და ამასთან ერთად აწარმოებდნენ სისხლის სამართლის სტატისტიკას, ხოლო შემდეგ მისი მიხედვით ანგარიშს აბარებდნენ.

ორგანულ კანონში „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ აღნიშნულია, რომ გენერალური პროკურორი „უზრუნველყოფს სტატისტიკურ ანგარიშგებას, ორგანიზებას უწევს საპროკურორო და საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადებასა და სრულყოფას, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების გავრცელებასა და პრაქტიკაში დანერგვას“.[1]

დანაშაულის, მისი გახსნის მდგომარეობის, სისტემის აღრიცხვის მეთოდიკის შემუშავებას, სტატისტიკურ ანგარიშგებას და ა. შ. უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო სტატისტიკური სამსახური. არ უნდა შეადგენდეს აგრეთვე შს ორგანოების მოვალეობას დანაშაულის სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური ანგარიშგება.

ამასთან დაკავშირებით სასარგებლოა განვითარებული ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურთა გამოცდილების გამოყენება. აღრე ასეთ პრაქტიკას ადგილი არ ჰქონდა. ყურადღებას იმსახურებს, მაგალითად აშშ-ის და ინგლისის სპეციალისტთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პოლიციის აქტიურობა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას დანაშაულის დონეზე, რა-

---

1 საქართველოს კანონთა კრებული, თბ., 1999, გვ. 119.

მდენადაც ქვეყანაში მართლწესრიგი არ შეიძლება შეფასდეს როგორც მხოლოდ მისი მოღვაწეობის შედეგი. საზოგადოებაში მოქმედებენ სხვა ფაქტორები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ქცევას და ხელს უშლიან დანაშაულის ზრდას. ამ ფაქტორთა გამოვლენა იოლდება სოციალურ მოვლენათა კომპლექსური ანალიზისა და კორელაციური[1] ურთიერთობის დადგენის შედეგად აღრიცხვის სხვადასხვა ობიექტებს შორის, სახელმწიფო სტატისტიკის ფარგლებში.

სამართალდაცვის ორგანოთა აქტიურობის დონე შეიძლება განისაზღვროს მათი მოღვაწეობის შედეგების მიხედვით დანაშაულის გახსნის, სისხლის სამართლის სხვადასხვა პროცესუალურ სტადიაზე: 1. ფაქტობრივი ამბიდან, მის შესახებ მონაცემთა მიღებამდე და სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე (ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს საქმის ვითარების შესახებ მოკვლევის ორგანოთა აგენტურულ-ოპერატიულ საქმეში ჩახედულობა, რაც ადრე არასოდეს კეთდებოდა); 2. სისხლის სამართლის აღძვრიდან ბრალდების წაყენებამდე; 3. ბრალდების წაყენებიდან საბრალდებო დასკვნამდე; 4. საბრალდებო დასკვნიდან სასამართლოსათვის გადასაცემად გადაწყვეტილების მიღებამდე; 5. სასამართლო განხილვიდან განაჩენის გამოტანამდე; 6. განაჩენის გამოტანიდან მის შესვლამდე კანონიერ ძალაში, რომლის მიხედვითაც საბოლოოდ დგინდება დანაშაულის გახსნისათვის წარმოებული საქმიანობის შედეგები ყოველ აღნიშნულ სტადიაზე.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს არა მხოლოდ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა, არამედ გაირკვეს თუ რამდენი პირია მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, აგრეთვე რამდენი და რა სახის დანაშაულია ჩადენილი, რომლებიც დადგენილია გამოძიების მიერ, რამდენი პირი დასაჯა სასამართლომ.

წინააღმდეგ შემთხვევაში არამც თუ სრულ, არამედ მიახლოებით მონაცემებსაც კი ვერ მივიღებთ ჩადენილ დანაშაულთა და მათი გახსნის მდგომარეობის შესახებ.

---

1 კორელაცია (ლათ. Correlatio), თანაფარდობა, ურთიერთკავშირი, საგნების ან ცნებათა თანაფარდობა.

მაგალითად, არსებული მონაცემებით და თანამედროვე შეფასებებით კორუფციული დანაშაული, განსაკუთრებით ბექრთამეობა ვლინდება არა უმეტეს 1-2 პროცენტისა, ხოლო რეალურად სისხლის სამართლის სასჯელს იხდის 0,1-0,2 პროცენტი ფაქტობრივ კორუმპირებულთაგან. ეს შეფასების ოპტიმალური ვარიანტია.

კორუფციის არსებული რეგისტრაცია რომ ასახავდეს კორუფციული რეალიების თუნდაც ნახევარს ან მეოთხედს, მაშინ საზოგადოება ალბათ ვერც კი შენიშნავდა და ესოდენ მტკივნეულად აღიქვამდა მის არსებობას. არადა, ჩვენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით კორუფციული დანაშაულის ფაქტებს და სრულიად უიმედოდ ჩავიქნევთ ხოლმე ხელს: „საშველი არ არის!“

საერთაშორისო ორგანიზაციის ტრანსპარენსი ინტერნეშნლის მონაცემებით, რომელსაც ფილიალები აქვს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში, საქართველოს ჰქონდა (1999 წლის მდგომარეობით) ხელისუფლების კორუმპირებულობის ერთერთი არახელსაყრელი, არასასურველი ინდექსი — 2,4-ით (შეფასებები ეძლევა დესტაბილური სისტემის მიხედვით — 10 ბალი — არ არის კორუფცია, 0 ბალი აბსოლუტური კორუფცია), ამასთან ბოლო 15 წლის მანძილზე (ე. წ. დიდი გარდაქმნის დროიდან) ჩვენი ქვეყნის ინდექსი დაეცა ორჯერ მეტად. 1999 წელს საქართველოს მსოფლიოს 99 ქვეყნის სიაში ეკავა 84-ე ადგილი კორუფციის მაღალი დონის მიხედვით. ჩვენს შემდეგ განლაგდნენ უგანდა, ნიგერია. აღნიშნული წლისათვის კორუმპირებულობის რეიტინგის მიხედვით სიას სათავეში ედგა დანია, როგორც კორუფციულად ყველაზე სუფთა ქვეყანა.

აღნიშნული მონაცემების გამოყენებისას უნდა გავიცნობიეროთ, რომ ისინი შედგენილია საქმიანი წრეების წარმომადგენელთა გამოკითხვის საფუძველზე და განასახიერებენ „კორუფციის აღქმის ინდექსს“. აღნიშნული მონაცემები შეფასებითია. მათს შინაარსზე მადომინირებელ გავლენას ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებშიც მასალები პოლიტიკური ჯგუფების და თვით ქვეყნების ინტერესებისათვის ყოველთვის როდი შეიძლება იყოს საკმაოდ საიმედო.

კორუფციის რეალური და „დახვეწილი“ მრავალი ფორმა ზედმიწევნითაა შენილბული და საზოგადოებრივად მისი დიდი საფრთხის მიუხედავად მთელ რიგ ქვეყნებში არ შეიმჩნევა ხელისუფალთა რეალური მისწრაფება დააწესოს მის ცალკეულ გამოვლინებაზე სისხლის სამართლებრივი აკრძალვა. ეს არ არის შემთხვევითი ხარვეზები თუ უყურადღებობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ისინი მიზნობრივად გათვლილი და პროფესიულად მოფიქრებულია.

ჩვენთან, საქართველოში (როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით) კორუფციული და ორგანიზებული დანაშაულის პროგნოზი არ არის დამაიმედებელი. პესიმიზმს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ძალზე ძუნწადაა ასახული სახელმწიფო (აქ შეიძლება ითქვას არც არის) და უწყებრივ სტატისტიკაში გაფლანგვები, სახელმწიფო ქონების დატაცება, ხელისუფლებაში მყოფ პირთა მიერ კრედიტების დიდი რაოდენობით გატანა და დაუბრუნებლობა, კომერციული მოსყიდვა და ტრადიციული კორუფციული ქმედება—მექრთამეობა. უკანასკნელ წლებში ეს დანაშაულებრივი ქმედება ინტენსიურად იზრდებოდა და ცხოვრების წესადაც კი ხდებოდა (თუ უკვე გახდა), თუმც ვერ პოულობდა ადექვატურ რეგისტრირებულ ასახვას, მით უფრო რეალურ დაგმობას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

რეგისტრირებული მექრთამეობა, მაგალითად რუსეთში (უნდა ითქვას, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან ასეთი აღრიცხვა ყველაზე უკეთ რუსეთშია) 1991-2000 წლებში გაიზარდა 172,2%-ით. 1999 წელს აღინიშნა მექრთამეობის 6.871 ფაქტი, დაისაჯა 1500 ადამიანი (22%). მათ შორის იყვნენ ერთეულები, რომელთაც პასუხსაგები სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ (მსჯავრდებულთა 0,6%). კომერციული მოსყიდვა, რომელიც პირველად შემოვიდა იქ 1997 წლიდან (ჩვენთან შედარებით მოგვიანებით), 1999 წლისათვის გაიზარდა 163 პროცენტით. მითითებულ წელს აღრიცხული იქნა 1236 შემთხვევა. 1999 წლის განმავლობაში რუსეთის შსს-ს ძალისხმევით გადაიდგა ნაბიჯები დანაშაულთა რეგისტრაციის ობიექტივიზაციის თვალსაზრისით, მითვისებები და გაფლანგვები გაიზარდა 7,8 პროცენტით, მექრთამეობა 18 პროცენტით, ხოლო კომერციული მოსყიდვა 26,9 პროცენტით.

თუ თვალს მივადევნებთ საქართველოში კორუფციულ ქმედებათა საერთო დინამიკას, შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის ე. წ. „დიდი გარდაქმნის“ დასაწყისიდან 2000 წლის ჩათვლით, აშკარად შეიმჩნევა ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ტენდენცია: რეალური კორუფციული ქმედება ინტენსიურად იზრდებოდა, ხოლო მის მიმართ სოციალურ-სამართლებრივი კონტროლი კატასტროფიულად მცირდებოდა (შეიძლება ითქვას, ნულამდე დავიდა).

გასული საუკუნის ბოლოდან კორუფციის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და ბრძოლა ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ არსებითად დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სიტყვიერად, დეკლარაციული განცხადებებით, რაც რეალურად ვერ ძრავს კორუფციას „მკვდარი წერტილიდან“.

თავი მეორე

კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური პრობლემები

კორუფციასთან წარმატებითი ბრძოლისათვის დღეს წარუვალი მნიშვნელობა ენიჭება ამ მეტად საშიში სოციალური მოვლენის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური პრობლემების შესწავლას, სათანადოდ გააზრებასა და საფუძვლიან ანალიზს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ როგორც ჩვენთან, ისე სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების კრიმინოლოგიურ, სამართლებრივ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ისინი არასაკმარისადაა დამუშავებული და გაანალიზებული. ამის საჭიროებას დაბეჯითებით მოითხოვს, როგორც ჩვენი, ისე სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების რეალიები. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში როგორც ქვემოთ ვნახავთ შეუნელებელ ყურადღებას და ინტერესს იჩენენ აღნიშნული პრობლემების მიმართ და ჯეროვანი საკანონმდებლო ბაზაც გააჩნიათ.

საჭიროა გავიცნობიეროთ, რომ სისტემურ კორუფციასთან სდევს მრავალი და სერიოზული დანაკარგები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებში. საბოლოო ანგარიშით ყველა ამ დანაკარგს აქვს სერიოზული პოლიტიკური შედეგი: სახეზეა დემოკრატიის თანდათანობითი დისკრეტიზაცია, მცირდება ნდობა ხელისუფლების მიმართ, ქვეითდება რეალური პოლიტიკური კონკურენცია. სულ უფრო თავს იჩენს პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში ნოსტალგია მტკიცე ხელის შესახებ და ფაქტობრივად დამკვიდრდა მოსაზრება: ლიბერალებმა და „ახალმა დემოკრატებმა“ პოსტსოციალისტურ ქვეყნებს ბევრად უფრო მეტი ზიანი მოუტანეს, ვიდრე კომუნისტებმა. ფაქტობრივად ნულის ტოლფასი გახდა სახელმწიფო თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. გაჩნდა „ჩინური კედელი“ სახელმწიფო ხე-

ლისუფლებასა და ხალხს შორის, შეიქმნა უმუშევართა და ღატაკთა „სამრეწველო-სარეზერვო არმია“.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ჯერ კიდევ ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი, 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ფრანგული დეკლარაცია. ამ დეკლარაციის მე-15 მუხლში ნათქვამია: „საზოგადოებას აქვს უფლება მოსთხოვოს ანგარიში ნებისმიერი თანამდებობის პირს, მმართველობის მისთვის მინდობილი ნაწილისათვის“.[1]

ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაშია პასუხისმგებლობა თანამდებობის პირთა მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, ან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის ანგარებითი მიზნით, რაც თავისთავად კორუფციის ტოლფასია.

დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციებში, საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებულია თანამდებობის პირთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მინდობილ საქმისადმი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით (34-ე მუხლი) თანამდებობრივი მოვალეობის გადამეტებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები.[2] საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 56-ე მუხლით „მინისტრებს აკისრიათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას“.[3] იმავე კონსტიტუციის 57-ე მუხლი გვამცნობს: „მინისტრები შეიძლება გადასცეს სასამართლოს ეროვნულმა კრებამ. მათი საქმეები განსახილველად გადაეცემა ერის უზენაეს სასამართლოს“.[4]

ურიგო არ იქნებოდა ანალოგიური დაეფიქსირებინათ თუნდაც საქართველოს კანონმდებლებს სამართლებრივ აქ-

---

1 საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები (რუს.), მ., 1958, გვ. 44.

2 იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, თბ., 1999, გვ. 21.

3 საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები (რუს.), 1958, გვ. 32.

4. იქვე.

ტებში, ეგებ ოდნავ მაინც შეეკავებინათ თავი ჩვენს მინისტრებს კორუფციული დანაშაულის ჩადენისაგან, არადა, ბოლო წლებში ამის გამო რამდენი იყო მისაცემი სისხლის სამართლის პასუხისგებაში?

აშშ-ის კონსტიტუციით გათვალისწინებულია ნებისმიერი თანამდებობის პირთა უფლებების შეზღუდვა. მათი საქმიანობა ზედმიწევნით უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და მის საფუძველზე მიღებულ კანონებს. გათვალისწინებულია თანამდებობის პირის სამსახურიდან გადაყენება, „განსაკუთრებულად ცუდი საქციელის გამო ან თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში იმფიჩმენტის გზით"[1]. ამავე კონსტიტუციის მეორე მუხლის მეოთხე ნაწილში ნათქვამია: „პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და შეერთებული შტატების ყველა სხვა თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ იქნან თანამდებობიდან იმფიჩმენტის შედეგად, თუ ისინი მხილებული იქნებიან ღალატში, მექრთამეობაში, ან სხვა მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულში".[2]

მართალია იმფიჩმენტს აშშ-ში იშვიათად იყენებენ და იგი უკიდურეს ზომად ითვლება და მაინც კონსტიტუციური მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა, ამერიკის ისტორია იმფიჩმენტის მხოლოდ 17 შემთხვევას იცნობს.

ჩვენ დროში ყველა საფუძველია აღიარებული იქნეს პოლიტიკური კორუფციის არსებობა. იგი კორუფციის განსაკუთრებული ფორმაა და მოიცავს მმართველ თუ ოპოზიციურ ძალებს, პარტიებს, პოლიტიკური ბრძოლის კორუფციულ ფორმებს, ხელისუფლების დაუფლებისა ან შენარჩუნებისათვის. პოლიტიკური კორუფცია საფუძველს აცლის ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებს, ძირს უთხრის ხელისუფლებასა და მის ავტორიტეტს.

პოლიტიკური კორუფციის განხილვა შესაძლებელია ერთმანეთთან დაკავშირებული სამი პოზიციიდან. ეს არის სისხლის სამართლებრივი, მოტივაციური და შეფასებითი. სა-

---

1 ნარკვევები ამერიკის ხელისუფლების შესახებ., თბ., ავტორი რიჩარდ შრედერი, შევსებულია 1989 წელს, ნათან გლიკის მიერ, გვ. 21.

2. იქვე.

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას პოლიტიკური კორუფციისათვის. კოდექსით კონკრეტულად არ არის გათვალისწინებული დასჯადობა ასეთი სახის კორუფციისათვის.

პოლიტიკური კორუფციისადმი მოტივაციური მიდგომა ითვალისწინებს მოტივთა რეალურად არსებობას. იგი ბევრად უფრო ფართოა სისხლისსამართლებრივზე, რამდენადაც პოლიტიკური მოტივების გამო შეიძლება ჩადენილი იქნეს სხვადასხვა სახის კორუფციული ქმედებანი.

შეფასებითი მიდგომა გულისხმობს ხელისუფალთა მიერ ჩადენილი ქმედებისათვის პოლიტიკური მნიშვნელობის მინიჭებას, როდესაც ესა თუ ის კორუფციული დანაშაული კვალიფიცირდება, როგორც პოლიტიკური ხასიათის დანაშაული, ან სამართალდარღვევითი ქმედება, რომელიც ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო იდევნება და ასეთი ქმედება შეფასებულია როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორება. შეფასებითი მიდგომა ფართოდ გამოიყენება პოლიტიკური სპეკულაციისათვის, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში რეალურ კორუფციულ ქმედებათა გამო, ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ თითქოს მათ წინააღმდეგ ანგარიშსწორებას მიმართავენ პოლიტიკური მოტივების გამო. მაგალითად, საქართველოში „მხედრიონის“ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იყო არა პოლიტიკური, არამედ სისხლისსამართლებრივი ხასიათის.[1] ასე იყო კვალიფიცირებული როგორც ბრალდებაში, ისე განაჩენში.

თავისი სპეციფიკის გამო ისეთ მოვლენას, როგორიც კორუფციაა, იკვლევს სხვადასხვა პროფესიის ბევრი სპეციალისტი, რომელთა მოღვაწეობა მჭიდრო კავშირშია სამართალთან და პოლიტიკასთან. ამასთან განსახილველი ურთიერთკავშირი (კორუფცია, სამართალი, პოლიტიკა) აღელვებს როგორც პატიოსან, ისე უპატიოსნო პოლიტიკოსებს. პატი-

---

1 უცხოელი მკვლევარები „მხედრიონს“ ორი ძირითადი ნიშნით ახასიათებენ: ეკონომიკური სიძლიერე და პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ მისწრაფება, იხ. ა. მაჭარაშვილი, რუსეთის დამნაშავეობა (რუს.), მ., 1997, გვ. 9.

ოსანი პოლიტიკოსები მიმართავენ სამართალს, რათა ებრძოლონ კორუფციას, ხოლო უპატიოსნო პოლიტიკოსები ცდილობენ სამართლის ჩაყენებას მათს სამსახურში, რათა თავი დააღწიონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ზოგიერთი მკვლევარი კორუფციას ეტიმოლოგიურად[1] ორნაირი მნიშვნელობის ალიარებით: „გაფუჭება", „მოსყიდვა". ამავე მოსაზრების ერთ-ერთი ავტორი იძულებული ხდება დაასკვნას, რომ „სწორად უნდა ჩაითვალოს კორუფციის, როგორც სოციალური მოვლენის უფრო ფართო გაგება, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ მოსყიდვამდე, მექრთამეობამდე".[2] როგორც ჩანს კორუფციის მხოლოდ ამ მნიშვნელობათა შერჩევა დაკავშირებულია მცირე ლათინურ-რუსული ლექსიკონის გამოყენებასთან. შესაძლოა ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ მოსყიდვა და მექრთამეობა, როგორც ვნახეთ კორუფციის ყველაზე შესამჩნევი სახეებია, ზოგჯერ ყველა ანალოგიური მოვლენა ასოცირდება მათთან. სხვა უფრო ვრცელ განმარტებით ლექსიკონებში ზემოთაღნიშნული მნიშვნელობის გარდა (გაფუჭება, მოსყიდვა), მითითებულია ისეთებიც, როგორიცაა ცდუნება, დაცემა, გზას აცდენა, გაუკუღმართება და ა. შ. ყველა აღნიშნული ხელს უწყობს ცნების დედაარსის უფრო ღრმად გაცნობიერებას და კორუფციის შესახებ დისკუსიების ხასიათის უკეთ გაგებას.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, თუ რატომ ეკიდებიან კორუფციის პრობლემას ესოდენ სერიოზულად. ამის მრავალ მიზეზთაგან შეიძლება ორის გამოყოფა: ჯერ-ერთი, კორუფცია წარმოადგენს თავისებურ „კატალიზატორს" კიდევ ერთი უმძიმესი სოციალური ბოროტების—ორგანიზებული დანაშაულისათვის, რომელიც მის თავისებურ „გახრწნილ მდგმურთაგან", მისი ერთ-ერთი შემადგენელია; მეორე, კორუფცია შეიჭრა ხელისუფლების ყველა ეშელონში და ღებულობს (თუ უკვე მიიღო) ეროვნული და გლობალური უბედურების ხასიათს.

---

1 ეტიმოლოგია (ბერძ. სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა), სიტყვის წარმოშობა და მისი ნათესაური დამოკიდებულება სხვა სიტყვებთან.

2 ბ. ეოცენკინი, კორუფცია (რუს.), სპბ., 1998, გვ. 5.

ყალიბდება პარადოქსული სიტუაცია: ხელისუფლების ყველა განშტოება მოითხოვს უკომპრომისო ბრძოლას კორუფციასთან, ხოლო პოსტსოციალისტურ სახელმწიფოთა ყოველგვარი ძალისხმევა, რომელიც ასეთი ბრძოლისკენაა მიმართული იწვევს ემოციათა შიშნარევ ტალღას აპრობირებული საფრთხობელით: „ეს 37 წლისკენ დაბრუნებაა“, „ეს გამოიწვევს სამოქალაქო ომს“ და ა. შ.

არადა, დემოკრატიული კონსტიტუციებით, როგორც უკვე ვნახეთ, გათვალისწინებულია სოციალურ-პოლიტიკური კონტროლის სხვადასხვა ფორმები ნებისმიერ თანამდებობის პირთა მოღვაწეობაზე.

დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობაში ღიადაა განსაზღვრული თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ ქვეყნებში კორუფცია ბევრად უფრო დაბალი დონისაა, ვიდრე ჩვენთან და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

არის იმის რეალური საფუძველი მივიჩნიოთ, რომ კორუფციული სტიქია პასუხობს მმართველი, პოლიტიკური და ეკონომიკური „ელიტის“ განსაზღვრული ნაწილის ინტერესებს. ამასთან სახეზეა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უუნარობა, დაუჭიროს მხარი სამართლებრივ მართლწესრიგს და აღკვეთოს უკანონობა. ეს კი ხელს უწყობს „მმართველი სამეწარმეო“ ფენის წარმოშობას, რაც მყარ ნიადაგს უქმნის ახალი სახელმწიფოების „ელიტის“ ჩამოყალიბებას. მაღალ ჩინოსანთათვის სახელმწიფო სამსახურთან ერთად დამნაშავეთა სამყარო, ხელმძღვანელობა და მართვა გახდა ინტელექტუალური და პროფესიული უნარის გამოყენების მაღალმომგებიან, აბსოლუტურად უშიშარ სფეროდ. ამასთან ერთად შეინიშნება ასეთი კანონზომიერება: რაც უფრო მაღალია კორუფციონერის პოსტი, მით უფრო ღრმად ყოფს იგი ხელს სახელმწიფოს ჯიბეში (როგორც ჩვენთანაა, მაგალითად საბიუჯეტო სახსრებისა და მიზნობრივად მიღებული კრედიტების დატაცება), მით უფრო საიმედოდაა იგი დაცული სასჯელისაგან. ასწლოვანი სენტენცია „ერ-

თი ცალი პური თუ მოიპარე ციხეში წახვალ, ხოლო თუ რკინიგზა მოიპარე პარლამენტარი გახდები", განაგრძობს მოქმედებას.

კორუფცია ყველგან შემღწევი და განსაკუთრებით შემგუებელია. იგი იყენებს ყველა საშუალებას და ხერხს, რომლებსაც სახელმწიფო ან საერთოდ არ უწევს კონტროლს ან კიდევ სუსტად კონტროლდება. ამიტომ კორუფციის დაძლევისა და მასზე რეალური კონტროლისათვის აუცილებელია სამოქალაქო, საბიუჯეტო, ფინანსური, საბანკო, საგადასახადო, საბაჟო, სასაზღვრო, სავალუტო, სამემკვიდრეო, საბინაო, საოჯახო, სამიგრაციო, სანიტარული, სავაჭრო, ეკოლოგიური, სამხედრო და ა. შ., სამართლის ნორმების ურთიერთდამაკავშირებელი კომპლექსის გამოყენება. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის ადმინისტრაციული, ოპერატიულ-სამძებრო, სისხლის სამართლის პროცესუალური და სისხლის სამართლის ნორმები.

ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის გაცნობა კორუფციული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობაზე, გვკარნახობს ამ პრობლემისადმი დიფერენციული მიდგომის აუცილებლობას. ჯერ — ერთი, გამოუკლებლივ ევროპის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ ნორმებს პასუხისმგებლობის შესახებ სხვადასხვა ხასიათის კორუფციული დანაშაულისათვის. სხვა საქმეა, რომ ერთი რიგის ქვეყნებში (მაგ. იტალია, ინგლისი) ეს დანაშაული სახელდება სწორედ როგორც კორუფციული, ხოლო სხვებში (ესპანეთი, გფრ, საფრანგეთი და სხვ.) კანონმდებელი გვერდს უვლის ტერმინს „კორუფცია". მეორე, კორუფციული დანაშაულის შესაბამისი შემადგენლობების განსხვავების მიუხედავად, ყველა მისი მრავალსახეობა (გაუბრალოების გარკვეული წილით) მაინც შეიძლება განსაზღვრული იქნეს ორი კლასიკური შემადგენლობით: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ანგარებითი და

სხვა პირადი მიზნით და მექრთამეობა (როგორც ქრთამის აღება ისე მიცემა ან შუამავლობა ამ საქმეში); ეუროპული ქვეყნების კანონმდებლობანი ამ მხრივ განირჩევიან სპეციალურ ნორმათა ნაკრებით ასეთი დანაშაულისათვის (მისი სპეციფიკური სახეობებისათვის); მესამე, აუცილებელია აღინიშნოს აშკარა ტენდენცია ასეთ კანონმდებლობათა დაახლოებისა და მათ შორის პრინციპულ განსხვავებათა წაშლისაკენ. ასეთ ტენდენციას კინაღამ კანონზომიერად მოჰყვა საერთოევროპული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავება ევროსაბჭოს 1999 წლის კონვენციის ფარგლებში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კორუფციული დანაშაულისათვის.

კონვენცია ავალებს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს ასახონ საერთოევროპული ნორმები კორუფციული დანაშაულისათვის ეროვნულ კანონმდებლობებში.

თუ რა სახის განსხვავებებთან და საერთოსთან გვაქვს საქმე ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობებში, უმჯობესია მივმართოთ ცალკეული აქაური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებს კორუფციულ ქმედებასთან დაკავშირებით, კერძოდ, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის სათანადოდ განსაზღვრას. პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი ნორმა გვამცნობს: „ვინც საჯარო ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით მიიღებს ქონებრივ ან პირად სარგებლობას, ან სურს ასეთი სარგებლობა, იმსახურებს დასჯას“ (მუხლი 228, პარაგრაფი პირველი). სასჯელი ასეთი ქმედების ჩადენისათვის არსებითად იზრდება, თუ კი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გამოიხატება ქმედების ჩადენაში, რომელიც ერთდროულად არღვევს რომელიმე სპეციალურ საკანონმდებლო მოთხოვნას (აღნიშნული მუხლის მესამე პარაგრაფი). თუ საჯარო ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით, თანამდებობის პირი იღებს ქონებრივ სარგებელს, რომელსაც მნიშვნე-

ლოვანი ღირებულება აქვს, ან დაპირებას ასეთის მისაღებად, კიდევ უფრო მეტ მკაცრ სასჯელს იმსახურებს (მე-5 პარაგრაფი, 228 მუხლი).

კორუფციული დანაშაულისათვის ყოველთვის ცნობილია ორი მხარის არსებობა, მოსასყიდი თანამდებობის პირს გარდა უნდა იყოს მომსყიდველი მხარე. ამასთან დაკავშირებით პოლონეთის სს კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ქონებრივი ან პირადი სარგებლის მიღებისათვის ან მისაცემად დაპირებას პირისათვის, რომელიც საჯარო ფუნქციას ასრულებს (მუხლი 229).

უფრო ტიპიურია სხვადასხვა კორუფციულ ქმედებათა დაყოფა საკუთრივ თანამდებობრივ დანაშაულად და ქრთამის ღებად. ასე მაგალითად, მე-20 თავის პირველ განყოფილებაში შვეიცის სს კოდექსი ადგენს სასჯელს პირისათვის, რომელიც წინასწარი განზრახვით გამოიყენებს თავის სამსახურებრივ რწმუნებებს ან გაუფრთხილებლობით ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობებს და ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან სს კოდექსი სპეციალურად მიანიშნებს, რომ მითითებული თანამდებობრივი ბოროტმოქმედების სიმძიმე დამოკიდებულია მისი სერიოზულობის დონეზე, აყენებს რა ამასთან არსებით ზიანს დასაცავ ინტერესებს ან ამ ქმედებიდან უკანონო სარგებლის მოხვეჭას მოელის სერიოზული ზიანი რომელიმე კერძო პირთათვის ან მათ მიერ წარმოდგენილ სტრუქტურისთვის. ცხადია, ამ შემთხვევაში ასეთი თანამდებობრივი ბოროტმოქმედება სამართლიანად უნდა მიეკუთვნოს კორუფციულ დანაშაულს.

ამავე თავის მე-2 განყოფილება შვეიცის სს კოდექსში განსაზღვრავს პასუხისმგებლობას თანამდებობის პირის მიერ ქრთამის ღებისათვის. ამ ნორმის შესაბამისად მოსამსახურე, რომელიც მიიღებს, ან პირდება აიღოს ქრთამი ან მოითხოვოს იგი ან სხვა კანონით აკრძალული გასამრჯელო, ისჯება სწორედ როგორც ქრთამის ამღები. ამასთან კოდექსში სპეცია-

ლურად აღნიშნულია, რომ ქრთამის აღების შემადგენლობა განისაზღვრება იმისაგან დამოუკიდებლად, მიღებულია თუ არა იგი პირის მიერ ამა თუ იმ ქმედების ან უმოქმედობის ჩადენამდე.

ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სს კოდექსები გამოყოფენ კორუფციული თანამდებობრივი ბოროტმოქმედებისა და ქრთამის აღების რამდენიმე სახესხვაობას. ამასთან, ერთი რიგის ქვეყნების სს კოდექსებში აქცენტია გაკეთებული თანამდებობის ბოროტად გამოყენების დასჯადობაზე, ხოლო მეორე რიგის ქვეყნების სს კოდექსებში უპირატესად განსაზღვრულია ნორმები პასუხისმგებლობაზე ქრთამის აღებისათვის. ასე მაგალითად, შვეიცარიის სს კოდექსში მოცემულია სამი ნორმა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის. 312 მუხლში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს წევრები და თანამდებობის პირები ბოროტად იყენებენ ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მოვალეობებს, წინასწარი განზრახვით მიიღონ თავისთვის ან მესამე პირისათვის უკანონო სარგებელი ან მიაყენოს ზიანი სხვა პირს. ამავე კოდექსის 313 და 314 მუხლებში განსაზღვრულია სპეციალური ნორმები თანამდებობის ბოროტად გამოყენების სპეციფიკური სახესხვაობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. 313 მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას მოსაკრებლების უკანონოდ ამოღებისათვის. ამ შემთხვევაში იგულისხმება თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც თვითნებურად, სარგებლის მიღების მიზნით, ახდენს მოსაკრებლების ან გასამრჯელოს ამოღებას, რომლებიც არ ეკუთვნის მას ან აღემატება კანონიერ ნიხრს.

315 და 316 მუხლებში დადგენილია პასუხისმგებლობა ქრთამის აღების ორი სახესხვაობისათვის. 315 მუხლი განსაზღვრავს ე. წ. პასიური მოსყიდვის შემადგენლობას. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს

წევრები, თანამდებობის პირები, პირები, რომლებიც მოწოდებული არიან მართლმსაჯულების აღსასრულებლად, საარბიტრაჟო მოსამართლეები, ოფიციალურად დანიშნული ექსპერტები, თარჯიმნები, რომლებიც ქმედების ჩადენისათვის, რომელიც გამოიხატება მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევაში, წინასწარ მოითხოვენ მიიღონ ან აიძულონ დაპირდნენ საჩუქარს ან სხვა რომელიმე სარგებელს, რისი უფლებაც მათ არა აქვთ, დაისჯებიან.

316 მუხლი განსაზღვრავს საჩუქრის მიღების შემადგენლობას. იგი იქნება იმ შემთხვევაში, თუ 315 მუხლში მითითებული თანამდებობის პირები მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც არ არღვევს მათს სამსახურებრივ მოვალეობას, წინასწარ მოითხოვენ მიიღონ საჩუქარი ან აიძულონ დაპირდნენ რომელიმე სხვა სარგებელს, რისი უფლებაც არა აქვთ,მათ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

ევროპის ცალკეული ქვეყნების სს კოდექსებში ქრთამად ითვლება მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ გასამრჯელოს ან სხვა სარგებელთა მიღება ქმედების (უმოქმედობის) ჩადენისათვის, რითაც დაირღვა მისი სამსახურებრივი მოვალეობანი, ხოლო გასამრჯელოს ან სხვა სარგებლის მიღება ქმედებათა (უმოქმედობის) შესრულებისათვის, რომლებიც თანამდებობის პირის სამსახურებრივ კომპეტენციაში შედის, მის სამსახურებრივ მოვალეობათა დაურღვევლად, გამოიყოფა თანამდებობის ბოროტად გამოყენების სპეციალურ შემადგენლობად, რომელიც არ ითვლება ქრთამის ღებად. ასე მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სს კოდექსის 332 პარაგრაფის 1 ნაწილით მექრთამეობად გაგებულია ქმედება თანამდებობის პირის ან პირის მიერ, რომელიც უფლებამოსილია საჯარო მოვალეობათა შესასრულებლად, რომლებიც ღებულობენ დაპირებას სარგებლის მისაღებად, მოითხოვენ ან ღებულობენ მას გასამრჯელოს სახით, იმისათვის, რომ მათ ჩაიდინეს ან ჩაიდენენ (მომავალში)

ისეთ სამსახურებრივ ქმედებას, რითაც არღვევენ ან დაარღვევენ მომავალში თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს (ამავე პარაგრაფის მეორე ნაწილი პირველ ნაწილში მითითებული ქმედების გამო გაზრდილ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მოსამართლეებისათვის).

გფრ-ის სს კოდექსის 331 პარაგრაფი აყალიბებს ქრთამისაგან განსხვავებულ შემადგენლობას—სარგებლის მიღებას. ამ ნორმის შესაბამისად სასჯელს იმსახურებს თანამდებობის პირი ან პირი, რომელიც უფლებამოსილია საჯარო მოვალეობათა შესრულებისათვის და ღებულობს დაპირებას სარგებლის მისაღებად, მოითხოვს ან ღებულობს მას გასამჯრელოს სახით, იმისათვის, რომ მან ჩაიდინა ან მომავალში ჩაიდენს სამსახურებრივ ქმედებას. სასჯელები ასეთი ქმედებებისათვის მოსამართლეთა ან სამედიატორო მოსამართლეთა მიმართ იზრდება.

სარგებელთა უკანონო მიღება გამიჯნულია მექრთამეობისაგან საფრანგეთის სს კოდექსშიც. შესაბამისად მექრთამეობის შემადგენლობა 432 მუხლით ყალიბდება პირის ქმედებისაგან, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია და ასრულებს სახელმწიფო აპარატის დავალებას ან აღჭურვილია საზოგადოებრივი საარჩევნო მანდატით, რაც გამოიხატება საჩუქრების უკანონო მიღებაში ან გამოძალვაში პირდაპირ ან არაპირდაპირ საჩუქრების დაპირებების ან თავის შეკავებაში ამა თუ იმ ქმედებისაგან, რომელიც თანამდებობის პირის რწმუნებათა და მოვალეობათა წრეში შედის ან განპირობებულია მისივე საარჩევნო მანდატით ან კიდევ აღჭურვილია ამ მანდატით დაკისრებული ფუნქციებით, მისი დავალებით. მექრთამეობას საფრანგეთის სს კოდექსი აკუთვნებს აგრეთვე ისეთ სპეციფიკურ ანგარებით ბოროტმოქმედებას თანამდებობის პირის მიერ თავისი ნამდვილი ან გათვალისწინებული გავლენით (სწორედ თანამდებობის პირის გავლენით), როდესაც იგი მიიღწევა სხვა პირის მიერ სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან ჯილდოების, ფასეულობების ან ნებისმიერი სხვა სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღების სახით.

მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ყველაზე მეტ დიფერენციაციას, რაც გამოიხატება რვა სპეციალური ნორმის დადგენაში, იძლევა ესპანეთის სს კოდექსი. ასე მაგალითად, 419 მუხლის შესაბამისად მექრთამეობის შემადგენლობას აყალიბებს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურეთა ქმედებანი, რომლებიც პირადი სარგებლობის ან მესამე პირის სარგებლობის მიზნით შეეცდებიან ძიიღონ თვითონ ან შუამავლის მეშვეობით გასამრჯელო ან საჩუქარი, ან მიიღებენ წინადადებას ან დაპირებას იმისათვის, რომ განახორციელონ სამსახურებრივ მოღვაწეობაში რაიმე ქმედება ან უმოქმედობა, რომლებიც დანაშაულს შეადგენენ. 420 მუხლის შესაბამისად სასჯელი ქრთამის აღებისათვის კლებულობს, თუკი 419 მუხლში მითითებული ქმედება არ აყალიბებს დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას. 221 მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ავრცელებს თანამდებობის პირზე ან სახელმწიფო მოსამსახურეებზე, იმ შემთხვევაში, თუ კი მოთხოვნილ, მიღებულ და დანაპირებ საჩუქარს მიზნად ექნება დასახული აღნიშნულ პირთა უარი ქმედებისაგან, რომელიც თავისი პოსტის ძალით უნდა განეხორციელებია. 422 მუხლი ავრცელებს 419-421 მუხლების მოქმედებას ნაფიც მსაჯულებზე, საარბიტრაჟო (სამომრიგებლო) მოსამართლეებზე, ექსპერტებზე და ნებისმიერ სხვა პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ საჯარო ფუნქციების განხორციელებაში. 425 მუხლი ითვალისწინებს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის პასუხისმგებლობას, რომლებიც გამოძალავენ საჩუქრებს ან გასამრჯელოს, ან მიიღებენ ძვირფას ნივთს საჩუქრის სახით ან დაპირებას, ან განახორციელებენ მოქმედებას, რომელიც მათს სამსახურებრივ რწმუნებაში შედის ან მიიღებენ გასამრჯელოს უკვე ჩადენილი ქმედებისათვის. 426 მუხლი არსებითად ამცირებს სასჯელს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის მიერ საჩუქრების ან სხვა გასამრჯელოს მიღებისათვის, რომლებიც შეთავაზებულია მისი მოღვაწეობის პატივსაცემად ან ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

423 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისათვის, ე. ი. თანამდებობის პირის მოსყიდვისათვის. 424 მუხლი საგრძნობლად ამცირებს პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისათვის, თუ იგი გადაეცემა ბრალდებულის სასარგებლოდ მისი მეუღლისაგან ან სხვა პირისაგან, რომელიც მასთან მყარ კავშირშია, ნებისმიერი აღმავალი ან დაღმავალი ნათესავისაგან, ღვიძლი ძმისაგან ან ნაშვილები ძმისაგან, ან სხვა პირისაგან, რომელიც იმავე დონის ხათესაურ კავშირშია.

საფრანგეთის სს კოდექსისაგან განსხვავებით ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი თანამდებობის პირის მიერ თავისი გავლენის ბოროტად გამოყენებას არ აკუთვნებს მექრთამეობას, არამედ გამოყოფს გავლენას სპეციალურ შემადგენლობად. ასე მაგალითად, ესპანეთის სს კოდექსის 428 მუხლი ადგენს: სახელმწიფო მოსამსახურე ან თანამდებობის პირი, რომელიც გავლენას მოახდენს სხვა სახელმწიფო მოსამსახურეზე, გამოიყენებს რა თავის სამსახურებრივ რწმუნებებს ან სხვა მდგომარეობას, აწარმოებს პირადი ან იერარქიული კავშირის შემწეობით მასთან ან სხვა პირებთან გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც შეეძლება მოუხვეჭოს პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკონომიკური სარგებლობა თავისთვის ან მესამე პირისათვის. 429 მუხლი აწესებს კერძო პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს სახელმწიფო მოსამსახურეზე ან თანამდებობის პირზე, გამოიყენებს რა ამა თუ იმ მდგომარეობას, რომელიც გამომდინარეობს მისი პირადი კავშირიდან ამ ან სხვა თანამდებობის პირთან გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოუტანს სარგებლობას თავად მას ან მესამე პირს.

ცნობილია, რომ საზოგადოებისათვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კერძო სტრუქტურათა წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო მოსამსახურეთა და თანამდებობის პირთა მოსყიდვის სხვადასხვა ფორმები. ამას ადგილი აქვს როგორც განვითარებულ, ისე იმ ქვეყნებში, რომლებშიც საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ფალიბდება. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნების სამართალშემოქმედებითს გამოცდილებას, რო-

მელთა სისხლის სამართლის კოდექსებში განსაზღვრულია აღნიშნული კორუფციული დანაშაულის სპეციალური შემადგენლობები. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ესპანეთისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსთა პოზიცია. ესპანეთის სს კოდექსის 441 მუხლის შესაბამისად სასჯელს იმსახურებს თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც კანონით ან წესდებით ნებადაურთველ შემთხვევაში განახორციელებს პირადად ან შუამავლის შეწყობით პროფესიულ მოღვაწეობას ან მუდმივ თუ შემთხვევით დახმარებას აღმოუჩენს რჩევებით, კერძო საზოგადოებებს და კერძო პირებს ან იმყოფება მათს სამსახურში, საკითხებში, რომელთა გადაწყვეტაში მან უნდა მიიღოს მონაწილეობა ან მონაწილეობდა თავის თანამდებობრივ რწმუნებათა საფუძველზე, ან იმ საკითხებში, რომლებშიც რეკომენდაციას, იხფორმაციას იძლეოდა ან რომლებსაც იგი წყვეტდა დაწესებულებაში ან მმართველობითს ორგანოში, რომელშიცაა იგი დანიშნული ან რომელზედაცაა დამოკიდებული.

ესპანეთის სს კოდექსის 442 მუხლში გამოყოფილია კორუფციულ დანაშაულთა სპეციალური შემადგენლობა (441 მუხლით გათვალისწინებულთან შედარებით), რომლითაც თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც გამოიყენებს საიდუმლოებას, რის შესახებაც მან გაიგო თავის პროფესიული ან სამსახურებრივი რწმუნების საფუძველზე, ან განსაკუთრებულ ინფორმაციას ეკონომიკური სარგებლიანობის მიღების მიზნით, თავისთვის ან მესამე პირისათვის (განსაკუთრებულ ინფორმაციად აღიარდება კონკრეტული ხასიათის ყველა ინფორმაცია, რომელიც ითვლება ექსკლიუზიურად პროფესიის ან სახელმწიფო პოსტის საფუძველზე და რომელიც ოფიციალურად არ გადაცემულა, არ გამოქვეყნებულა და არ გავრცელებულა).

ანალოგიურ სპეციალურ ნორმებს ასეთი სპეციფიკური კორუფციული დანაშაულობების შესახებ, როგორც ითქვა, შეიცავს საფრანგეთის სს კოდექსი. ისინი აღიარებულია დანაშაულებრივად სარგებელთა უკანონოდ მიღების გამო. ასე მაგალითად, 432 მუხლი ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას, რომელიც როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წა-

რმომადგენელი ასრულებს სახელმწიფო ორგანოების დავალებას, ან აღჭურვილია საზოგადოებრივი საარჩევნო მანდატით, რომელიც იძენს, ღებულობს ან იცავს უშუალოდ ან არაპირდაპირ როგორც არ უნდა იყოს მონაწილეობის წილს საწარმოში ან ოპერაციაში, რომლებისთვისაც მას ამ ქმედების ჩადენის მომენტში თვალყური უნდა ედევნებინა ან უნდა უზრუნველეყო მთლიანად ან ნაწილობრივ მათი ხელმძღვანელობა. კანონის პირდაპირი მითითების ძალით ეს ნორმა ვრცელდება მერების, მათი მოადგილეების ან მუნიციპალური მრჩევლების მოქმედებაზე, რომლებიც სარგებლობენ მერის რწმუნებით, ან ცვლიან მერს კომუნასთან გარიგებით, რომლის მიერაა ისინი არჩეული, მოძრავი ან უძრავი ქონების გადაცემაზე, ან მომსახურებათა მიცემაზე ფარგლებში, რომლებიც აღემატება კანონით დადგენილ თანხას, აგრეთვე კომუნის კუთვნილი მიწის ნაკვეთების შესაძენად მშენებლობისათვის, რათა ააშენოს ამ ნაკვეთებზე საკუთარი სახლი, ან გააფორმოს კომუნასთან ამ ნაკვეთებზე საკუთარი სახლი ან იჯარით აღების შესახებ მუნიციპალური საბჭოს ნებართვის გარეშე ან მისი დარღვევით ან ასეთი ნებართვა თუ უკავშირდება ქონების წინასწარ შეფასებას. კრიმინალი შეიძლება აგრეთვე მდგომარეობდეს აღნიშნული პირების მიერ კომუნის კუთვნილი ქონების შეძენაში საკუთარი პროფესიული მოღვაწეობის ორგანიზაციისა და განვითარებისათვის უფრო იაფად, ვიდრე შეფასებული იყო სახელმწიფო ქონების საძსახურის მიერ და მუნიციპალური საბჭოს ნებართვის გარეშე.

432 მუხლის შესაბამისად ისჯება პირი, რომელიც ვალდებული იყო როგორც საჯარო თანამდებობაზე მყოფი, სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელი ან მოსამსახურე თავის მოვალეობათა ძალით, ან უზრუნველყოს თვალყური ან კონტროლი კერძო საწარმოზე, ან გამოთქვას თავისი მოსაზრება ოპერაციებზე, რომლებსაც ახორციელებს კერძო სექტორი, იძენს ან ეთანხმება მიიღოს მონაწილეობა მუშაობის, კონსულტაციების ან კაპიტალის ფორმით კერძო საწარმოში ხუთწლიანი ვადის გასვლამდე ამ მოვალეობათა შეწყვეტის შემდეგ. ამავე მუხლით ისჯება აგრეთვე ნებისმიერი მონაწილეობა, მონაწილეობა მუშაობის, კონსულტაციების ან კაპიტალის ფორმით კერძო საწარმოში, რომელიც ფლობს

სულ მცირე საერთო კაპიტალის 30 პროცენტს ან დადო კონტრაქტი, რომელიც შეიცავს საკუთრების განსაკუთრებულ უფლებას შეკვეთით ან ფაქტობრივად, ერთ-ერთ სსენებულ საწარმოსთან. იმავე 432 მუხლში აგრეთვე მითითებულია, რომ მისი მიხედვით კერძო საწარმოსთან გათანაბრებულია ნებისმიერი სახელმწიფო საწარმო, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას სექტორში, რომელშიც არსებობს კონკურენცია კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად. მითითებული დებულებები გამოიყენება აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, ნაციონალიზებულ საწარმოთა, შერეული ეკონომიკის კომპანიების მიმართ, რომლებშიც სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნით უშუალოდ ან არაპირდაპირ კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი და ცხადია, აღნიშნული ორგანიზაციების თანამშრომელთა, აგრეთვე სახელმწიფო ფირმების მიმართაც, რომლებიც მიეკუთვნებიან კავშირგაბმულობის სახელმწიფო სამსახურს.

იტალიის სს კოდექსი განასხვავებს ერთმანეთისაგან ქრთამის გამოძალვას და კორუფციას უშუალოდ როგორც ასეთს. ქრთამის გამოძალვად (მუხლი 317) გაგებულია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო მოსამსახურე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ბოროტად იყენებს რა თავის თანამდებობას ან რწმუნებებს, აიძულებს ან აგულიანებს ვინმეს მისცეს მას არაკუთვნილი ფულადი გასამრჯელო. კოდექსში კორუფცია როგორც თანამდებობრივი დანაშაული, კანონმდებლის მიერ კონსტრუირებულია ოთხ ვარიანტად: კორუფცია, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან (მუხლი 318); კორუფცია, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობას (მუხლი 319); კორუფცია, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს არამართლზომიერ გადაწყვეტილებათა შესრულებასთან (მუხლი 319); კორუფცია, ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის მუშაკთა შორის (მუხლი 320).

კორუფციად, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან გაგებულია მიღება ან თანხმობის მიცემა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ პირადად ან შუამავალთა მეშვეობით მისთვის არაკუთვნილი გასამრჯელოს მიღებაზე ფულადი ფორმით ან სხვა მომსახურების სახით მო-

მავალში რაიმე მოქმედების შესასრულებლად, რომელიც შედის მისი სამსახურებრივ მოვალეობათა წრეში.

კორუფცია, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობასთან, გამოიხატება სახელმწიფო მოსამსახურის მიერ გასამრჯელოს მიღებაში უმოქმედობისათვის ან ამა თუ იმ ქმედების შესრულების შეფერხების გამო, რომელიც მის მოვალეობათა წრეში შედის, ან კიდევ ქმედების განხორციელებისათვის, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობებს ეწინააღმდეგება. განსაკუთრებით მკაცრად ისჯება კორუფცია, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ არამართლზომიერ გადაწყვეტილებათა გამოტანასთან, ე. ი. გასამრჯელოს მიღების შემთხვევებში რომელიმე ზემოქმედებისათვის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაზე.

ნორმის გამოყოფის სპეციფიკა ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურთა მუშაკების კორუფციული დანაშაულის შესახებ მდგომარეობს მათი სასჯელის შემცირებაში ქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სს კოდექსის 318 და 319 მუხლებით (მაგრამ არა უმეტეს ერთი მესამედისა).[1]

კორუფციულ დანაშაულთა თავისებურება, როგორც ვნახეთ, ის არის, რომ ისინი ითვალისწინებენ ორი მხარის შეთანხმებას: ჯერ-ერთი, ეს არის სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს და მეორე, პირი (პირები), რომელიც დაინტერესებულია იმაში, რომ სახელმწიფო მოსამსახურემ მის სასარგებლოდ (ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციათა სასარგებლოდ) ჩაიდინოს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამსახურის ინტერესებს.

გფრ-ის სს კოდექსში ჩამოყალიბებულია თანამდებობის პირთა მოსყიდვის ორი დამოუკიდებელი ნორმა: სარგებლის მიცემის (333 პარაგრაფი) და მოსყიდვის, როგორც ასეთის შესახებ (334 პარაგრაფი). პირველი, დანაშაულის შემადგენლობას აყალიბებს ქმედება პირისა, რომელიც წინადადებას

---

1 იხ. პასუხისმგებლობა თანამედროვე დანაშაულისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში (პასუხისმგებელი რედაქტორი მ. რეშეტნიკოვი), (რუს.), მ., 1994, გვ. 11-17.

აყენებს, პირდება ან აძლევს გასამრჯელოს სახით თანამდებობის პირს ან პირს, რომელიც უფლებამოსილია სპეციალურად საჯარო მოვალეობათა შესასრულებლად. სასჯელი ძლიერდება, თუ ასეთი წინადადება, დაპირება ან სარგებელთა ფაქტობრივი მიღება ხორციელდება მოსამართლის ან სამედიატორო მოსამართლის მიერ.

აღნიშნული კორუფციული დანაშაულობებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ნორმათა შედარებას მივყავართ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ მათ მიერ გათვალისწინებული ქმედებანი წარმოადგენენ თანამდებობის (მასთან გათანაბრებულთა) პირთა მოსყიდვის სახესხვაობას. განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან აგრეთვე იმით, რომ შემადგენლობა გათვალისწინებულია პირველი ნორმით (სარგებლის მიცემა), არ უკავშირდება თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევას, მეორე კი (მოსყიდვა) აუცილებლად ითვალისწინებს მათს დარღვევას.

ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს კორუფციულ დანაშაულთა სუბიექტის განსაზღვრა. ეს სიძნელე გამოწვეულია კერძოდ ცვლილებებით პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებში, აქ არასახელმწიფო სექტორის აღმოცენებით. თუ ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილია დანაშაული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ცხადია, კორუფციულ დანაშაულთა სუბიექტია პირები, რომელთაც უკავიათ თანამდებობები, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში. მაგრამ იმისათვის, რომ აღიარებულ იქნეს პირი დანაშაულის სუბიექტად, აუცილებელია, რომ ჯერ-ერთი, დადგინდეს: მისი ქმედება ჩადენილია სახელმწიფო ორგანოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, მუნიციპალურ დაწესებულებაში და მეორე, რომ პირი სახელმწიფო მოსამსახურეა. ამიტომ ასეთ სუბიექტს არ წარმოადგენენ პირები, რომლებიც ეწევიან შრომითს საქმიანობას სააქციონერო საზოგადოებაში. არ არიან ასეთები პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებათა მეთაურები, რამდენადაც ისინი არ არიან სახელმწიფო მოსამსახურეები, ხოლო ფულის უკანონოდ მიღებისათვის, მაგალითად საარჩევნო კამპანიისათვის, მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფო მოსამსახურე ასრულებს ხელისუფლების ან ორგანიზაციულ-განმაკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათის ფუნქციებს.

კორუფციულ დანაშაულთა სუბიექტებს შორის ყველაზე საშიშს სამართალდაცვის ორგანოების მუშაკები და მოსამართლეები წარმოადგენენ, რამდენადაც სწორედ ისინი დგანან კანონის სადარაჯოზე. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მექრთამეობა მათს რიგებში არაიშვიათი მოვლენაა. ამასთან დაკავშირებით მათი სახელმიანობის განსაკუთრებული სპეციფიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაზრდა ქრთამის აღებისათვის მოსამართლის, პროკურატურის, გამომძიებლის ან პირის მიერ, რომელიც მოკვლევას აწარმოებს. ასეთ პრეცენდენტებს ადგილი აქვს საზღვარგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (ასეა მაგალითად იტალიის სს კოდექსის 319 მუხლში, ჰოლანდიის სს კოდექსის 364 მუხლში), რომელშიც გათვალისწინებულია მოსამართლის მიერ ქრთამის აღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაზრდა. სასარგებლო იქნებოდა საზღვარგარეთის ამ გამოცდილების ყურადღებით შესწავლა და გამოყენება.

საზღვარგარეთის ზოგიერთ უახლეს სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტთა წრე, მაგალითად მექრთამეობისათვის ფართოდაა წარმოჩენილი. მაგალითად, ესპანეთის 1995 წლის სს კოდექსის 419 და 426 მუხლები ითვალისწინებენ ქრთამის აღებისა და მიცემისათვის არა მხოლოდ თანამდებობის პირის, არამედ საერთოდ სახელმწიფო მოსამსახურის პასუხისმგებლობას. პროფესორ დაინის მოსსენებაში, რომელიც მან წარუდგინა ევროპულ ქოლოქვიუმს დამნაშავეობასა და სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაზე (ჰელსინკი, 1998 წ. 10-12 დეკემბერს), კორუფციის სუბიექტად დასახელებულია Decision maker (პირი, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში), ე. ი. არა ყველა სახელმწიფო მოსამსახურე, არამედ მათი უფრო ვიწრო კატეგორია.

იურიდიულ ლიტერატურაში მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული წინადადება მექრთამეობის სუბიექტის წრის გაფა-

რთოების შესახებ ყველა სახელმწიფო მოსამსახურემდე, მით უფრო, რომ კანონმდებელი უკვე წავიდა ამ გზით ზოგიერთ შემადგენლობაში, კერძოდ რუსეთის სს კოდექსის 288 (თანამდებობის პირის რწმუნებათა მითვისება) და 292 (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებში. ხომ ფაქტია, რომ დღეს მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ძირითადად აკისრებენ წვრილ ჩინოვნიკებს, პრობლემა კი ისაა, როგორ მიუახლოვდეთ პირებს, რომელთაც მაღალი პოსტები უკავიათ. ამის შესახებ აღინიშნა ზემოთ ნახსენებ პროფესორ დაინის მოხსენებაშიც და მოხსენების შესახებ იტალიელი პროფესორის საბინი ადამოლის კომენტარებში, რომ კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების გზები უნდა ეძიოთ საჯარო და კერძო სექტორების ყველაზე მაღალი დონის ლიდერთა ქცევის შეცვლაში.

ამრიგად, კორუფციასთან ბრძოლის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია უკომპრომისო ბრძოლაზე ამ სენის წინააღმდეგ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში სერიოზულ დავას იწვევს ქრთამისა და საჩუქრის გამიჯვნის საკითხი. ყველა ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკა მიდის ქრთამის საგნის ცნების მუდმივი გაფართოების გზით. რუსეთის სს კოდექსში (1996 წ.) მოცემულია საგნებისა და ქმედებათა ჩამოთვლა, რომლებიც შეიძლება დასახელდეს როგორც ქრთამი. სადაოა ორი საკითხი: როგორ გაიმიჯნოს ქრთამი საჩუქრისაგან და შეიძლება თუ არა განვიხილოთ მექრთამეობად ისეთი ქმედება, როგორიც არის უფრო მაღალ ან დიპლომატიურ (ან სხვა) თანამდებობაზე დანიშვნა განსაზღვრული სამსახურის ალმოჩენისათვის, ე. ი. ქმედებისათვის, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ მექრთამეობის „ლეგალურ“ ფორმას უწოდებენ.

რაც შეეხება მეორე საკითხს, რუსეთის სს კოდექსის 204 და 290 მუხლების შინაარსიდან თუ გამოვალთ, ანალოგიური ქმედებანი არ შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც მექრთამეობა, რამდენადაც დასახელებულ მუხლებს მხედველობაში აქვთ ქმედებანი, რომლებიც ჩადენილია „ქონებრივი ხასიათის“ სარგებლიანობის მიზნით, მაგრამ თავისი არსით ასეთი ქმედებანი ცხადია, კორუფციის ფორმებია, ე. ი. სახელმწიფო თანამდებობის გამოყენებაა ცალკე პირის ინტერესებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა იურიდიულ ლიტერატურაში ბოლომდე არ არის გარკვეული ქრთამისა და საჩუქრის გამიჯვნის საკითხი. ამ საკითხის მეტნაკლებ გადაწყვეტას ხელს უწყობს რუსეთის სს კოდექსის შესაბამისი მუხლი (575), საიდანაც გამომდინარე ასეთ მიჯნად შეიძლება აღიარებულ იქნეს შრომის ანაზღაურების ხუთი მინიმალური განაკვეთი.[1] მაგრამ გამოითქვა ამის საწინააღმდეგო და ალბათ დასაბუთებული შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ამ პრობლემის გადაწყვეტას მივუდგეთ ფორმალური პოზიციიდან და რომ თანხა ხუთ მინიმალურ განაკვეთამდე არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საჩუქარი, თუ კი ადგილი ჰქონდა გამოძალვის ფაქტს, ან ეს თანხა შემოთავაზებულია ამა თუ იმ, მაგალითად უკანონო ქმედებათა განხორციელებისათვის.[2] როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხში მეტი გარკვეულობის შეტანისათვის სასარგებლო იქნება სხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინება, მაგალითად აშშ-ისა, სადაც პრეზიდენტმა და მისი ოჯახის წევრებმა უნდა განაცხადონ საჩუქრის მიღების შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება 250 დოლარს, ხოლო სხვა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ეს ზღვარი უტოლდება 100 დოლარს.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ დანაშაულის სტადიის დადგენა დამოკიდებულია კანონმდებლის მიერ მისი შემადგენლობის კონსტრუქციაზე. ასე მაგალითად, პოლონეთის სს კოდექსის 228, ჰოლანდიის სს კოდექსის 362, შვეიცარიის სს კოდექსის 315 მუხლებით ქრთამის შეპირება აყალიბებს დანაშაულის დამამთავრებელ შემადგენლობას, რამდენადაც ამ მუხლებში დადგენილია, რომ დანაშაული წარმოშობს ამა თუ იმ სარგებელს, „ან დაპირება მის მისაცემად". რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 290 მუხლი ობიექტური მხრიდან მიუთითებს ქრთამის „მიღებაზე". „შეპირების" განმარტება როგორც ქმედებისა, რომელიც უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩადენისაკენ ეწინააღმდეგება

---

1 იხ. კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (1999 წ. 9-10 სექტემბერი) მასალების კრებული, 2001 წ. (რუს.), გ., გვ. 354.

2 იხ. ბ. ვოლჟენკინი, კორუფცია, სპბ., (რუს.). 1998, გვ. 35.

თავდასხმის ცნებას, რომელიც მოცემულია იმავე სს კოდექსის მესამე ნაწილის 30 მუხლით და პირველი ნაწილის 290 მუხლით. კომენტატორები განსაზღვრავენ თავდასხმას როგორც ქმედებას, რომლის შემწეობით პირი „იწყებს ან განაგრძობს ჩაფიქრებული დანაშაულის ობიექტური მხარის განხორციელებას“,[1] როგორც ისეთი ქმედებისა, რომელიც შედის „დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში“.

დღეს არავის, მეტადრე სპეციალისტ სამართალმცოდნეს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ კორუფციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს კანონს კორუფციის შესახებ, განსაკუთრებით მეტისმეტად კორუმპირებულ ქვეყნებისათვის. ასეთ მოსაზრებას ემხრობა ბევრი მკვლევარი, მაგრამ არის გამონაკლისიც. მაგალითად, რუსი სამართალმცოდნე ს. კელინა ყოველგვარი წინასწარი განმარტების გარეშე აღნიშნავს, რომ არც თუ იშვიათად გვხვდება ცალკეულ „ავტორთა მოსაზრებანი, რომლებიც თვლიან, რომ კორუფციასთან ბრძოლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის თითქმის მთავარი მიზეზია სპეციალური კანონის არ არსებობა კორუფციის შესახებ. ეს მოსაზრება დიდ ეჭვებს იწვევს. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახელმწიფო მოსამსახურე როდია კორუმპირებული. ამიტომ მათი ქცევა უნდა დარეგულირდეს არა ასეთი მეტად საშიში სახელწოდების კანონით, არამედ უფრო მშვიდი ხასიათის აქტებით — სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის კოდექსით, ან ეთიკური ნორმების კოდექსით, როგორც ესაა გაკეთებული ბევრ ქვეყანაში — საფრანგეთში, აშშ-ში, უნგრეთში და სხვ. სწორედ ასეთ აქტში უნდა დარეგულირდეს სახელმწიფო მოსამსახურეთა მოვალეობებისა და უფლებების ყველა დეტალი...“[2]

ავტორი მეტად მწვავე და საშურ პრობლემას წმინდა დოგმატური და პრაგმატისტული პოზიციიდან უდგება. საფრანგეთის, აშშ-ის, სხვა დემოკრატიული ქვეყნების მაგალითი,

---

1 რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, (რუს.), მ., 1999, გვ. 115.

2 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (რუს.), მ., 2001, გვ. 349-350.

როგორც იტყვიან, უმისამართოდაა მოყვანილი. იქ კორუფციასთან ბრძოლა სისხლის სამართლის კოდექსებით, სხვა სამართლებრივი აქტებით რეგულირდება და სპეციალური კანონები როგორც ჩანს ამისათვის არც არის საჭირო, მაგრამ ესეც არაა გამორიცხული მომავალში. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, აშშ-ში ჯერ კიდევ 1925 წელს მიიღეს სპეციალური კანონი კორუფციის შესახებ, რაც ავტორს როგორც ჩანს არ ცოდნია. სხვა ვითარებაა რუსეთში, საქართველოში, დანარჩენ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც „ყვავის“ კორუფცია, ხოლო სახელმწიფო აპარატი მთლიანად კორუმპირებულია. სწორედ ამ და სხვა ფაქტობრივად ჯერჯერობით არადემოკრატიულ, კორუმპირებულ ქვეყნებში საჭიროა მკაცრი საგანგებო კანონების მიღება და მათი რეალიზაცია.

მისივე აზრით, თუ კი კანონი კორუფციის შესახებ მაინც იქნება მიღებული (ბევრ ქვეყანაში მიღებულია), იგი უნდა იყოს მეორადი (ე. ი. მეორეხარისხოვანი?), რომელიც უშუალოდ იქნება გამოსული სახელმწიფო მოსამსახურეების შესახებ ქცევის კანონებიდან (ასეთი კანონები ბევრ ქვეყანაშია მიღებული). ასეთი კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს კორუფციასთან ბრძოლის ორგანიზაციას, მაგრამ არ უნდა შეიცავდეს სისხლის სამართლებრივი ხასიათის ნორმებს.[1]

ცხადია, ასეთი მოსაზრება სრულიადაც არ ითვალისწინებს მეტისმეტად კორუმპირებული ქვეყნების, კერძოდ თვით რუსეთის რეალიებს, ყოფილი და ახლანდელი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას.

მართალია, მაგალითად დღევანდელ ჩინეთში არსებობს კორუფციული ქმედების მრავალი სახეობა, ზოგიერთ მკვლევართა აზრით ყველაზე მეტად გავრცელებულია მექრთამეობა. ცნობილია, რომ გაბატონებული იდეოლოგია ჩინეთსა და რეგიონში იყო კონფუციანელობა, რომლის თანახმადაც ქვეშევრდომებმა მაღლა მდგომი უფროსები უნდა განიხილონ როგორც საკუთარი „მამები“ ან უკიდურეს შემთხვევაში, როგორც „უფროსი ძმები“. ამიტომ დასაგმობად აღიქმებოდა მათთან მისვლა არა საჩუქრით, არამედ სწორედ პირიქით, მისვლა საჩუქრის გარეშე. მაგრამ უკვე მოგვიანებით მისწრა-

---

1 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (რუს.), მ., 2001, გვ. 50.

ფებამ პროგრესისაკენ გააცნობიერა დასავლური კულტურის (რომლის იდეალიზაციაც დაუშვებელია) უკეთ გაგება, რომელთანაც ეს პროგრესი ასოცირდებოდა. დასავლეთში კი ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით მექრთამეობა და სხვა ბოროტმოქმედებანი სარგებლიანობის მიღების მიზნით ერთმნიშვნელოვნად დაგმობილია.

ჩინეთში მაგალითად, სოციალიზმის მშენებლობის წლებში მაო ძე-დუნის დროს ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება, თუმც ზოგიერთ შეღავათს აძლევდა ჩინოვნიკებს, რაც ერთი მხრივ სახელმწიფოს მიერ გარანტირებულად სრულდებოდა, მეორე მხრივ ეფექტიანად კონტროლირდებოდა, ამიტომ რაიმე საბაბი ქრთამისათვის უბრალოდ აღარც რჩებოდა. 1980-იანი წლებიდან „რეფორმებისა და ღია კარების“ პოლიტიკის დაწყების შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლება სერიოზულად დასუსტდა და შეღავათების მიცემა ჩინოვნიკებისათვის და მათი გაკონტროლება სულ უფრო და უფრო ძნელი გახდა. მიდრეკილება ბოროტმოქმედებისადმი გაიზარდა. ამასთან ერთად მოხდა ჩინეთის საზოგადოების მოდერნიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში უცხოეთის კაპიტალის შეჭრასთან, კომუნიკაციურ-საინფორმაციო გაცვლის გაფართოებასთან, სინამდვილის აღქმისა და შეფასების თანამედროვე დასავლური სტერეოტიპების გავრცელებასთან. ამან კი ხელი შეუწყო ადგილებზე მთელ რიგ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა გავრცელებას, რომელთა წინააღმდეგ გადასროლილია ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვის ძალები. კანონზომიერი შედეგი: კორუფცია გაიზარდა და გაფართოვდა ისეთი მასშტაბით, რომ ეს უკვე აღიქმება სერიოზულ დაბრკოლებად, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების თვითარსებობისათვის.

ჩინეთის ამერიკელი მკვლევარები კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთა გავრცელების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებენ აგრეთვე ფაქტობრივ შესაძლებლობას პარტიული და სახელმწიფო აპარატის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებისათვის თავი დააღწიონ სისხლის სამართლის სასჯელს. მაღალი მდგომარეობის ცალკეულ პარტიულ ჩინოვნიკებს, რომლებიც არღვევენ ნებისმიერ კანონს, შეუძლიათ მთლიანად დააღწიონ თავი სისხლის სამართლის სასჯელს და

პარტიული სასჯელი დაედოთ შინაპარტიული დებულებებისა და წესდების შესაბამისად. ერთი მხოლოდ ხუთწლედის მანძილზე (1993-1997 წ.წ.) პარტიულ-სახელმწიფო აპარატის 630 ათასი თანამშრომელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული მექრთამეობისათვის. ჩინეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის დირექტორის მოადგილეს იან ფანს მიაჩნია: ბოროტების ფესვი იმაშია, რომ ჩინეთში ბაზარზე გადასვლა ნაჩქარევად განხორციელდა, პოლიტიკური რეფორმების არარსებობის პირობებში, ჩინოვნიკებმა შეინარჩუნეს კონტროლი სახელმწიფო ქონებაზე და ბუნებრივ რესურსებზე. ამან მისცა მათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ ხელისუფლება საზოგადოებრივი სიმდიდრის კერძო კაპიტალად გადაქცევისათვის. ასეთი სახის ბოროტმოქმედებებმა შეიძინეს სხვადასხვა ფორმები — ექსპორტულ-იმპორტული ლიცენზიებით ვაჭრობიდან და სახელმწიფო საწარმოთა ფაქტობრივი გაკოტრებიდან, რათა უფასოდ გადასცემოდა ისინი კერძო პირებს.

თანამედროვე ეტაპზე ჩინეთის საზოგადოების ეკონომიკურ წრეებში ინტენსიურად მიმდინარეობს განაწილების მოქმედი სისტემის კრიტიკული გააზრება უფსკრულის იმ მზარდ გაღრმავებასთან დაკავშირებით, რომელსაც აღნიშნული სისტემა წარმოშობს სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. ბევრს ჩინეთში ეს სისტემა მიაჩნია უსამართლოდ, რომელიც ახშობს შრომითს აქტივობას, ხელს უწყობს კორუფციის, გამოძალვის გავრცელებას, მასობრივი უკმაყოფილების ზრდას, სოციალურ დაძაბულობას და არასტაბილურობას.[1] აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად ჩინეთში 1996 წლის იანვარში შეიქმნა ცენტრალური კომისია საზოგადოებრივი მართლწესრიგის გასაჯანსაღებლად.

ასეთი მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგებიდან შეიძლება დასახელდეს 1997 წლის მარტში ახალი რედაქციით ჩინეთის სს კოდექსის მიღება, რომლის კერძო ნაწილში გამოყოფილია 8 თავი „მექრთამეობისა და მოსყიდვის შესახებ", იგი შედგება 15 მუხლისაგან (მუხლები 382-396).

---

1 იხ. ვ. ოვჩინიკოვი, უმაღლესი ზომა ჩინოვნიკისათვის. როგორ ებრძვიან კორუფციას ჩინეთში, როსიისკაია გაზეთა, 10 მარტი, 1999 წელი.

ჩინეთის სახელმწიფო ცდილობს დასავლეთის მიერ თავს მოხვეული ინდივიდუალიზმის იდეოლოგიისა და სოციალური გაუცხოვების საპირისპიროდ აღადგინოს კოლექტივიზმის სულისკვეთება, ზრუნვა საზოგადო საქმისათვის, პატრიოტიზმის გრძნობა.

კორუფციამ გავრცელება ჰპოვა სამხრეთ კორეაში ერთბაშად იაპონიისაგან 1945 წელს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. ასლა ამ თანამდებობრივ დანაშაულს აქვს ფართო დიაპაზონი — წვრილი მოსყიდვიდან მსხვილ ქონების გაძარცვამდე.

საზოგადოებრივი გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა 1996 წლის ნოემბერში, კორეული ჟურნალის „ვინ"-ის მიერ სახელმწიფო მოსამსახურეთა კორუმპირებულობასთან დაკავშირებით, ადასტურებს პრობლემის უაღრესად აქტუალურობას სამხრეთ კორეაში. ყველაზე კორუმპირებულად მოსახლეობამ ჩათვალა სახალხო კრების წევრები (72,2) და უმაღლესი ჩინოვნიკები (71,2). მათ მიჰყვებიან საგადასახადო სამსახურის, პროკურატურის და პოლიციის მუშაკები.[1] თუმც სამხრეთ კორეას 1997 წელს ეკონომიკური განვითარების ტემპების მიხედვით მსოფლიოში მე-12 ადგილი ეკავა, კორუფციის მაღალი დონის მიხედვით მას უკავია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი. კორუფცია სამხრეთ კორეაში ქრონიკული მოვლენაა. ჯერ კიდევ პოლიტიკურმა ზედაფენამ (ე. წ. „ელიტამ") შექმნა უკანონო კავშირი მსხვილ ბიზნესთან. კორუფცია არ იზღუდება აქ ერთი ან ორი სფეროთი. იგი მსხვერპლად ხდის პატიოსან, შრომისმოყვარე ადამიანებს და იწვევს ქვეყნის ეკონომიკის გამოფიტვას.

კორუფციის პრობლემა ისეთი მწვავეა სამხრეთ კორეისათვის, რომ პრაქტიკულად იგი ყვავის ყველა დონეზე, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ მთავრობებში. ბევრ თანამდებობის პირს სამხრეთ კორეაში დღესაც მიაჩნია, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით მათი უპირატესობა ბუნებრივია, რამდენადაც მმართველი პოსტები უკავიათ.

---

1 იხ. კორუფციის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. მ., 2001, გვ. 199.

ამ ხალხში მორალი იმდენად დაეცა, როგორც აღნიშნავს სამართლის პროფესორი, სეულის ეროვნული უნივერსიტეტიდან კვონ ო-სონგი, „იმ მოსამსახურეებს, რომლებიც უარს ამბობენ ქრთამზე, უბრალოდ პატივს აღარ სცემენ, ხშირად თვლიან რა მათ უბრალოდ გულუბრყვილო ადამიანებად. ასეთი შეხედულების გავრცელების შედეგად მრავალი მოსამსახურე ივიწყებს თავისი მოღვაწეობის მიზანს, რომელიც გულისხმობს საზოგადოების სამსახურს უაღრესად პატიოსნად და წმინდად".[1] ასეთ სიტუაციაში სრულიად ბუნებრივად გამოიყურება კორეელ მოქალაქეთა მისწრაფება წინ აღუდგნენ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ასარჩევი ჩინოვნიკების მიმართ კაბინებში ხმების მიცემისას. თავის მხრივ მთავრობას კარგად ესმის თუ კი შექმნილ სიტუაციაში მან ვერ შეძლო საზოგადოებრივი ცვლილებების გატარება, დაკარგავს ხალხის მხარდაჭერას.[2]

კორეის გათავისუფლების შემდეგ მისმა პოლიტიკურმა ლიდერებმა უმთავრესად გამოიყენეს სამიდან ერთი მოდელი, ან მათი კომბინაცია საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად: 1. ისინი ბოროტად იყენებდნენ საკუთარ ხელისუფლებას მთავრობასა და პოლიციაზე კონტროლის გზით, გამარჯვებისათვის არჩევნებში; 2. მიმართავდნენ შეთქმულებებს ან 3. ეწეოდნენ ხმების ყიდვას. ამის გარდა კორეელი პოლიტიკური ლიდერების ახლანდელი თაობა მიისწრაფის რეგიონალური კონკურენციის გამოყენებისაკენ ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებისათვის თავიანთ ოლქებში.

ე. წ. პირველი რესპუბლიკის დასასრულს კორეის პრეზიდენტს ლი სინგ-მანს ბრალი დაედო თავისი რწმუნებების ბოროტად გამოყენებაში და იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მესამე რესპუბლიკის პრეზიდენტი პაკ ჩჯონ-ხი ხელისუფლებაში მოვიდა გადატრიალების შედეგად, რის გამოც განიცადა თავდასხმა თავისი უშიშროების სამსახურის უფროსის მხრიდან. არც თუ ისე დიდი ხნის (რამდენიმე წლის) წი-

---

1 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. მ., 2001, გვ. 199-200.

2 იხ. იქვე, გვ. 200.

ნათ მეხუთე და მეექვსე რესპუბლიკების პრეზიდენტები ჩონ დუ-ხვანი და რო დე-უ, შესაბამისად ციხეში ჩასვეს სამხედრო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის და სხვა დანაშაულობებისათვის, რომლებიც დაკავშირებული იყო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან. მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი კორეელი პრეზიდენტისათვის არ წაუყენებიათ არჩევნების „ყიდვის“ ცდის ბრალდება. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა მოსყიდვა ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე ხელისუფლების ბოროტად გამოყენება ან შეთქმულებები? რა თქმა უნდა არა. საქმე იმაშია, რომ ამომრჩეველების ყიდვა უბრალოდ შეუძლებელია, თუ არ მოხდა სპეციალური გარიგება პოლიტიკოსებსა და მსხვილ ბიზნესმენებს შორის, ხოლო კორუფციის გავრცელების შედეგად პოლიტიკოსებსა და საქმიან ადამიანებს შორის სახელმწიფო ეფლობა უპატიოსნობის ჭაობში. ამრიგად, „ამომრჩეველთა მოსყიდვა საფრთხეს უქმნის დემოკრატიას და უნდა დაისაჯოს“.[1]

აღნიშნულის მიხედვით ცხადი ხდება, თუ კანონმდებელი რატომ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ქრთამს საზოგადოებისათვის ისეთ მნიშვნელოვან კანონში, როგორიცაა 1994 წლის კანონი საზოგადოებრივ თანამდებობებზე არჩევნების შესახებ. ამ კანონის მე-16 თავში მოცემულია მუხლები (230-236), რომლებიც მიმართულია კორუფციული პრაქტიკის წინააღმდეგ. ქრთამის სხვადასხვა შემადგენლობა ცალკეა გამოყოფილი და საკმაოდ საფუძვლიან კვალიფიკაციას აძლევენ აღნიშნულ ქმედებას: ესაა, მაგალითად ქრთამი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უკანონო გამოყენებისათვის (მუხლი 235); ქრთამი კანდიდატის არჩევით თანამდებობაზე (მუხლი 232); წინადადებანი ქრთამის შესახებ ან სარგებლიანობა, მათ რიცხვში ქონებრივი (მუხლი 231). ზემოთ მითითებული საფრთხის გათვალისწინებით დემოკრატიის მშენებლობისათვის სამხრეთ კორეაში კანონმდებელი ადგენს მკაცრ სანქციებს დანაშაულისათვის, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, მუხლი 230, ნაწილი პირველი, ქრთამის მიღების წინადადებისათვის

---

1 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. მ., 2001, გვ. 199-200.

ან განსაზღვრული სარგებლიანობისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის სახით ხუთ წლამდე ვადას ან დიდ ჯარიმას — 10.000 000 ვონს — კორეულ ვალუტას. ამთავრებს ამ ჯგუფს 236 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ფულის ან ყველა სხვა 230-235 მუხლებით ანგარებითი მიზნით მიღებულის კონფისკაციას, ხოლო თუ ნატურით მიღებულის კონფისკაცია ვერ მოხერხდა — დამნაშავეს დაეკისრება მისი ღირებულების გადახდა. აღნიშნულ მუხლებში ტიპიურ სასჯელს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა 7 ან 10 წლამდე, ან ჯარიმა 30.000.000 ვონამდე.[1]

რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, თუ როგორ არის გადაწყვეტილი საკანონმდებლო წესით კორუფციასთან ბრძოლის საკითხი, არ შეიძლება უწინარეს ყოვლისა არ მოვიხსენიოთ კსდ რესპუბლიკის სს კოდექსის მე-6 თავის 2 განყოფილება, რომელიც შეეხება თანამდებობის პირთა დანაშაულობებს მოვალეობათა შესრულებისას (მუხ. 124-130). აქ, ისე როგორც სს კოდექსის სხვა მუხლებში დასახელებულია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი რწმუნებების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომელსაც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოყოლოდა სერიოზული შედეგები (მუხლი 124). ანალოგიურია 125 მუხლის შინაარსი სამსახურებრივ რწმუნებათა გადამეტების შესახებ. განსაკუთრებული მუხლები ეძღვნება მექრთამეობასთან ბრძოლას.

მთლიანად სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ კორუფციის გამოვლენისა და დანაშაულის მიმართ ეკონომიკის სფეროში, უნდა აღინიშნოს არც თუ ისე მოქნილი მიდგომა სასჯელთა არჩევისადმი, რომლებიც ატარებენ აშკარად გამოხატულ სადამსჯელო ღონისძიებათა ხასიათს: ასე მაგალითად, სასჯელთა მთელი სისტემა შეიცავს: 1. სიკვდილით დასჯას; 2. გამასწორებელ შრომას; 3. საარჩევნო უფლების ჩამორთმევას; 4. ქონების კონფისკაციას; 5. განსაზღვრული უფლების ჩამორთმევას და თანამდებობიდან გადაყენებას (2 განყოფილების, 27 მუხლი „სასჯელის შესახებ").

---

1 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ზ., 2001, გვ. 201.

სასჯელის ძირითადი სახეებია სიკვდილით დასჯა და გამასწორებელი სამუშაო. დანარჩენები წარმოადგენენ სასჯელის დამატებით სახეობებს, რამდენადაც სიკვდილით დასჯა პირდაპირაა დადგენილი სს კოდექსის მხოლოდ ოთხ მუხლში, რომლებიც არეგულირებენ ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულობებს, სხვა მუხლებისათვის ძირითადად და პრაქტიკულად სასჯელის ერთადერთ სახეობად რჩება გამასწორებელი სამუშაო. იცვლება მხოლოდ სასჯელის ვადა, რომელიც ეკონომიკური დანაშაულისათვის შეადგენს ხუთიდან 10 წლამდე. უკანონოდ მიღებულის კონფისკაცია მართალია გათვალისწინებულია მუხლით ქრთამის შესახებ, მაგრამ მთლიანად სს კოდექსის 27 მუხლის თანახმად, ეს სასჯელი, ისე როგორც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა (მუხლი 26) ატარებს შეზღუდულ ხასიათს და გამოიყენება მხოლოდ ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის.

ღონისძიებათა შორის, რომლებიც გათვალისწინებულია კორუფციის დასაძლევად სამხრეთ კორეაში ყურადღებას იმსახურებს, მაგალითად წინადადება სახელმწიფო ჩინოვნიკთა სპეციალური მომზადების შესახებ, მათი ეთიკური ცნობიერების ამაღლებისათვის კორუფციასთან ბრძოლაში. ასეთი მომზადება კორეელი მეცნიერის კიმ იანგ-ჩჯონგის აზრით უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ელემენტი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებაში.[1]

ახლა იაპონიის შესახებ. ცნობილი საბჭოთა იაპონიათმცოდნე ი. ლატიშევი აღნიშნავდა: „იაპონიაში მინისტრებისა და მმართველი პარტიის ლიდერთა მოსყიდვა პოლიტიკური ცხოვრების ჩვეულებრივ ნორმას წარმოადგენს“.[2]

პოლიტიკაზე გავლენისათვის აღნიშნული ხერხის გამოყენებით მსხვილი კორპორაციები და ფინანსური მაგნატები ხდებიან ორგანიზებულ დანაშაულებრივ გაერთიანებათა შემადგენელი, ქმნიან რა ორგანიზებული დამნაშავეობის რაღაც ხილულ ნაწილს.

---

1 იხ. კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. მ., 2001, გვ. 201.

2 ი. ა. ლატიშევი, მონოპოლიათა კავშირები იაპონიის სახელმწიფო და პოლიტიკურ აპარატთან (რუს.), მ., 1963, გვ. 9.

ფინანსური მაგნატები გამოხატავენ რა ორგანიზებულ-დანაშაულებრივ გაერთიანებათა ნებას, არც თუ იშვიათად იჭრებიან პარლამენტის საქმიანობაში, გამოდიან „ექსპერტთა“ როლში, ცდილობენ თავს მოახვიონ მას საკუთარი შეხედულებები და წინადადებები. დრო და დრო იაპონიის პრესა მიუთითებს ე. წ. ჩრდილოვანი კაბინეტის — პირთა ჯგუფის შესახებ, რომლებიც დგანან პრემიერ-მინისტრის ზურგს უკან, ფაქტობრივად კი სახელმწიფო პოლიტიკის ბედს წყვეტენ.

იაპონური კორპორაციები და ფინანსური მაგნატები პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკთა მოსყიდვის მიზნით 60 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავენ წელიწადში. ამასთან დაკავშირებით იაპონიის ფინანსთა სამინისტრომ თავისი მოსამსახურეებისათვის შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია 1997 წლის შემოდგომაზე, რომელიც უკრძალავდა საშუალო და დაბალი რგოლის მუშაკებს ხელმძღვანელობის მიერ არასანქციონირებულ უფასო დაპატიჟებებზე მიეღოთ მიწვევები კლიენტებისაგან გოლფ-კლუბებსა და სხვა გასართობ დაწესებულებებში. ეს არაორდინარული გადაწყვეტილება გამოწვეული იყო იმით, რომ კერძო ბანკების წარმომადგენლები რეგულარულად მიმართავდნენ ფინანსთა სამინისტროს რევიზორთა მოსყიდვას, რომლებიც მისი ცალკეული რგოლების მოღვაწეობის ინსპექტირებას ახდენდნენ.

იაპონელი მეცნიერის ტეცურო მუროფუსის აზრით, რაც უფრო ფართოა ინციდენტთა მასშტაბები პოლიტიკურ კორუფციასთან დაკავშირებით, მით უფრო ისინი მალე ჩაიხშობა, ვინაიდან გავლენიან პოლიტიკურ საქმოსნებს, რომელთა თანამზრახველებია მსხვილი კაპიტალისტები და მაღალი რანგის ჩინოვნიკები, სრული შესაძლებლობა აქვთ არ დაუშვან ან აღკვეთონ ინციდენტების გამოძიება, რომლებშიც ისინი არიან გარეული. თუ საჭირო იქნება თავიანთი ბატონობის აპარატის მთელი ძალების მობილიზაციას განახორციელებენ ამ მიზნით. ცხადია, რამდენადაც ეს საქმეები არ გამოიძიება, ამდენად ისინი არც ითვლებიან დანაშაულებრივად.

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსში (ისე როგორც ჩინეთისა და კორეის ანალოგიურ კოდექსებში) არის აგრეთვე ცალკე თავი, რომელიც მეკრთამეობას და ხელისუფლების

სხვა ბოროტმოქმედებას შეეხება. სკანდალებმა მრავალრიცხოვან ჩინოვნიკთა წინააღმდეგ განაპირობეს ძირითადად სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება და მიღება კორუფციის წინააღმდეგ. კანონპროექტი ჯერ კიდევ 1994 წელს იყო წარმოდგენილი, რომელშიც კერძოდ გათვალისწინებულია უკანონო გასამრჯელოთა მიღებისათვის კომპანიებისა და კერძო პირთაგან ძთელი რიგი სასჯელები. გასაგები მიზეზების გამო, რაც დაკავშირებული იყო მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა ძალისხმევასთან, კანონპროექტი დღემდე ვერ იქცა კანონად.

ბევრად უფრო დასაბუთებული და სასარგებლოა ჩინეთის მთავრობის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ტრადიციული იდეოლოგიის აღორძინება ადამიანთა აღსაზრდელად პასუხისმგებლობის ამაღლებული გრძნობით, თავისი ქვეყნისა და საზოგადოების მომავლისათვის ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ინდივიდუალისტური ეგოცენტრიზმის[1] პროპაგანდა. ეს იქნება საზოგადოებრივი მართლწესრიგის დამკვიდრების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი და შეამცირებს კორუფციას ყველა სფეროში, ვინაიდან ადამიანმა, რომლისთვისაც სამშობლო ყველაფერზე ძვირფასია, იცის, რომ დანაშაული, მეტადრე კორუფციული, სერიოზულ ზიანს აუენებს პირველ რიგში სწორედ მის სამშობლოს, საზოგადოებას.

იმედის მომცემია მსოფლიოს ზოგიერთი ნაკლებადკორუმპირებული ქვეყნის დაღებითი გამოცდილება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მსოფლიოს მე-12 კრიმინოლოგიურ კონგრესზე სეულში სინგაპურელი კრიმინოლოგის ჯ. ს. ტ. კუას გამოსვლა. სინგაპურის გამოცდილება შესანიშნავია იმით, რომ მან საშუალება მისცა ამ ქალაქ-სახელმწიფოს გამხდარიყო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა აზიაში, დაუთმო რა პირველი-მესამე ადგილები მსოფლიოში დანიას, შვეიცარიას და ავსტრიას. სინგაპურის და ზოგიერთი სხვა თითქმის მოლიანად კორუფცია-

---

1 ეგოცენტრიზმი (დათ. ეგო მე+ცენტრი), სამყაროს მიმართ დამოკიდებულება, რომელიც ხასიათდება მთელი ყურადღების გადატანით ინდივიდუალურ „მე"-ზე. ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის უკიდურესი ფორმა.

დაძლეული ქვეყნის გამოცდილება გვინერგავს რწმენას: თუ სახელმწიფო, მისი ხელისუფლება რეალურად დაინტერესდებიან არსებობითა და განვითარებით კორუფციის დაძლევა ფაქტი გახდება. მოკლედ, მე-12 კრიმინოლოგიურ კონგრესზე სინგაპურელი დელეგატის მიერ გაკეთებული მოხსენების საყურადღებო, დადებითი მომენტებია: ჯერ-ერთი, აუცილებელია განსაკუთრებული სიმკაცრე კორუფციული დახაშაულისათვის, უწინარეს ყოვლისა მაღალ ჩინოსან თანამდებობის პირთა მიმართ, გაზრდილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით; მეორე, შემაკავებელი ფაქტორის გასაძლიერებლად სასჯელის ზომა აქ გაიზარდა თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ან ჯარიმით 10.000 დოლარის ოდენობით, პლუს ქრთამის თანხის აუცილებელი გადახდით; მესამე, პროკურორს უნდა მიეცეს ნებისმიერი საბანკო, სააქციონერო და საანგარიშო მასალების შემოწმების შესაძლებლობა; მეოთხე, „ტვინის გადინების“ შემცირებისათვის კერძო სექტორში და კორუფციულ ქმედებათა სტიმულის შესამცირებლად პოლიტიკური ლიდერებისა და მაღალი თანამდებობის პირებს პერიოდულად ემატებათ ხელფასები.[1]

კორუფციის სამართლებრივი საფუძველი, როგორც უკვე ვნახეთ ორგანიზებულ დანაშაულთან შედარებით სხვანაირია. ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოცემული კორუფციის ცნება, რამდენადაც კორუფცია სოციალურ-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური და კრებითი ცნებაა. იგი შეიცავს უწინარეს ყოვლისა დანაშაულებრივ ქმედებას, სამართალდარღვევებსა და გადაცდომებს, რომლებიც დაკავშირებულია უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლებაში მყოფ მაღალ ჩინოსანთა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან პირადი ან ჯგუფური ანგარებითი მიზნებისათვის. კორუფციულ დანაშაულებრივ ქმედებას პირველ რიგში შეიძლება მიეკუთვნოს ქრთამის აღება, აგრეთვე მიცემა (საქართველოს სს კოდექსის მუხლები 38-39), თანამდებობის ბოროტად გამოყენება (იქვე, მუხლი 333), სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუ-

---

1 იხ. მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 2001, გვ. 212.

ხლი 337), კომერციული მოსყიდვა (მუხლი 221). რწმუნებათა ბოროტად გამოყენება კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვადასხვა სასიათის მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი და სამართალდარღვევები, რომლებიც პოლიტიკური კორუფციის საგანს შეადგენენ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ასეთი ქმედებისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა ქვეყნების, კერძოდ რუსეთის სს კოდექსის მუხლებით. ესაა სახელდობრ სხვისი ქონების მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მუხლი 160, ნაწილი მეორე), ქრთამის აღება თანამდებობის პირის მიერ (მუხლი 290), კომერციული მოსყიდვა (მუხლი 204), აგრეთვე თაღლითური მოქმედება პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მუხლი 159, ნაწილი მეორე), კონტრაბანდა, რომელიც განახორციელა თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (188 მუხლი).

კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულირებისათვის როგორც დავრწმუნდით დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალურად შესაძლო გარკვეულობას რეგულირების საგნის — თვით კორუფციის ცნების სწორ და მართლზომიერ განსაზღვრაში.

როგორც ვნახეთ მრავალ განსაზღვრათა მაგალითზე, თითქმის ყველას აკლდა „მარილი" კორუფციის დედაარსის, მისი მრავალსახეობის, სპეციფიკური ნიშნების, ქმედების ჩადენის სფეროს თავისებურებათა გათვალისწინებისა და გულდასმითი ანალიზის საფუძველზე შედარებით სრულად წარმოჩინდეს ამ წარსული და ახალი საუკუნის ყველაზე საშიში სოციალური სენის ნამდვილი ბუნება.

საერთაშორისო და ეროვნულ სამართალში ძირითადად კორუფციის ორი ცნება არსებობს. ერთის თანახმად კორუფცია არის სამსახურებრივი რწმუნების ბოროტად გამოყენება მატერიალური სარგებლიანობის მოხვეჭისათვის თავისთვის ან სხვა პირთათვის, მეორის მიხედვით კორუფცია წარმოადგენს მექრთამეობის, ე. ი. გამყიდველობისა და მოსყიდვის სინონიმს.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები უპირატესობას ანიჭებენ კორუფციის პირველ გაგებას, სისხლის სამართლის

კოდექსთა უმრავლესობა მეორეს. ცნობილია მხოლოდ ორი სს კოდექსი, რომლებიც ყოფს კორუფციას და მექრთამეობას ერთმანეთისაგან, ერთია ჩინეთის, ხოლო მეორე ყირგიზეთის. ჩინურმა კოდექსმა, მისი რადიკალური რეფორმის შემდეგ 1997 წელს გამოყო ცალკე თავი „კორუფცია და მექრთამეობა“, ამ დანაშაულთა თოთხმეტი შემადგენლობით. აქ მექრთამეობა განმარტებულია, როგორც გამყიდველობისა და მოსყიდვის სხვადასხვა სახეობების შემცველი. კორუფციას მიეკუთვნებიან ანგარებითი ქონებრივი დანაშაულობანი, რომლებიც ჩადენილია სამსახურებრივი რწმუნებების ბოროტად გამოყენებით და ანგარებითი თანამდებობრივი დანაშაულებრივი ქმედებით.

ყირგიზეთის სს კოდექსმა კორუფციის შემადგენლობა განსაზღვრა „როგორც შეგნებული ქმედება, რომელიც გამოიხატება ერთი ან რამოდენიმე თანამდებობის პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო მყარი კავშირის შექმნაში (ესაა კორუფცია ორგანიზებული დანაშაულის ფორმით. ა. შ.), რომლებიც აღჭურვილი არიან სახელისუფლო რწმუნებებით და ცალკეულ პირებთან ან ჯგუფებთან ერთად მიზნად ისახავენ მატერიალური, ნებისმიერი სხვა სიკეთის და უპირატესობათა უკანონოდ მიღებას... რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებს“.[1]

კორუფციის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის ნოვატორული ცდა თავისთავად მოწონებას იმსახურებს, მაგრამ ძნელია მოველოდეთ მისი მოქმედების ეფექტიანობას და პოზიტიურ შედეგებს.

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სამართალში შეიძლება შევხვდეთ რიგ ანგარებით დანაშაულთა დასახელებას. მაგალითად: გაფლანგვებს, ფულის „გათეთრებას“ თუ „გაცოცხლებას“, საბანკო და სხვა დანაშაულთა ჩამოთვლას, რომლებიც კორუფციულ დანაშაულობებადაა აღიარებული. მათი საერთო ნიშანია — სამსახურებრივი რწმუნებების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლიანობისათვის.

---

1 კორუფციის შესახებ მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 2001 წ., გვ. 343.

თანამდებობრივ დანაშაულთა, მათ რიცხვში მექრთამეობის მიმართ დსთ-ის წევრი სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები განსხვავდებიან რუსეთის ანალოგიური კოდექსისაგან. ერთნი, მაგ. უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი არ დაელოდნენ ახალი კოდექსების მიღებას, გააფართოვეს თანამდებობის პირის ცნება, შეიყვანეს მასში სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირებთან ერთად, აგრეთვე პირნი, რომლებიც მათთან ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ კერძო სექტორში. სხვებმა, მაგალითად რუსეთის სს ახალმა კოდექსმა, დაჰყვეს სხვადასხვა თავებად თანამდებობრივი მექრთამეობა და კომერციული მოსყიდვა მმართველებისათვის კომერციულ და არაკომერციულ სტრუქტურებში. ამასთან სახელმწიფო და კერძო მოსყიდვის ობიექტების თავისებური დაახლოება და გაერთიანება მოხდა: შეიქმნა შეღავათიანი პირობები კერძო კორუფციონერთათვის პასუხისგებაში მიცემისას. მაგალითად, რუსეთის სს კოდექსით 2-3-ჯერ ნაკლებია პასუხისმგებლობა კერძო სექტორში მექრთამეობისათვის, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. ამ კოდექსით კორუმპირებულთა ქონების კონფისკაცია არ არის გათვალისწინებული, რაც არაამართლზომიერია და ხელისუფლების (კორუმპირებულის) ზეგავლენის შედეგია. ასეა ჩვენთანაც, საქართველოში.

ამიტომ, რუსეთს გარდა დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყნის (ყოველ შემთხვევაში 10-დან 8 მაინც) სს კოდექსების პოზიცია პასუხობს თანასწორობის პრინციპს კანონისა და სამართლის წინაშე, რომლებიც არ ადგენენ დისპოზიციურობას კერძო კორუფციისათვის სისხლის სამართლებრივ დევნაში. დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სს კოდექსთა უმეტესობა ითვალისწინებს ჯეროვან სასჯელებს ქრთამის ღებისათვის, არა მხოლოდ თანამდებობის პირთა მიერ, არამედ როგორც მოსამსახურეების, ისე სხვების მიერაც. სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ქმედებათა კრიმინალიზაციისას მნიშვნელოვანია მიყენებული ზარალი და არა ფუნქციები. თუ კი მოსამსახურე იყენებს თავის რწმუნებებს, მას შეუძლია ისეთივე ზიანი მიაყენოს დანაშაულის ობიექტს, როგორც თანამდებობის პირმა. ამიტომ არ არსებობს საფუძველი, რომ არ დაისაჯოს. ეს ვრცელდება ყველა თანამდე-

ბობრივ დანაშაულზე და არა მხოლოდ მექრთამეობაზე. ამიტომ, რუსეთის 1998 წლის სს კოდექსის ნოვაციებში კანონმდებელი ხმარობს დებულებას „სამსახურებრივ რწმუნებათა გამოყენება“ და არა მხოლოდ „თანამდებობრივ რწმუნებათა გამოყენებას“.

რაც შეეხება თანამდებობრივ მდგომარეობას, იგი უნდა ჩაითვალოს დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ ელემენტად. სახელმწიფო მოსამსახურეთა მიკუთვნება „ა“ და „ბ“ კატეგორიებისადმი ფედერალური კანონით „რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო სამსახურის საფუძვლების შესახებ“ უნდა შეფასდეს, როგორც განსაკუთრებით მაკვალიფიცირებელი ნიშანი, კვლავ ყველა და არა მხოლოდ სამსახურებრივი დანაშაულის მიმართ. ამ გზით მიდის უკრაინის სს კოდექსი, რომელიც აფასებს თანამდებობის პირთა სტატუსს სახელმწიფო სამსახურის შესახებ კანონის კლასიფიკაციის შესაბამისად.

სს ყველა კოდექსისათვის ხარვეზად რჩება მექრთამეობის საკითხის გარკვევა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელთა მიმართ. ეს საკითხი ღიად რჩება, რამდენადაც ისინი არ ხვდებიან სახელმწიფო (და ვერც მოხვდებიან) ან კერძო სექტორის (აქ შეიძლება მოხვდნენ) საწარმოთა თუ დაწესებულებების მოსამსახურეთა კატეგორიაში.

კორუფციასთან ბრძოლაში მთავარი როლი ეკუთვნის არა სისხლის სამართლის კანონმდებლობას, არამედ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს დანაშაულამდელ, კრიმინოგენურ სამართალდარღვევებზე. კორუფციულ და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია სამოქალაქო, ფინანსური, საგადასახადო, საბაჟო და ა. შ., კანონმდებლობის პროფილაქტიკა. საყურადღებოა, რომ ევროსაბჭომ 1999 წელს ორი დამოუკიდებელი კონვენცია მიიღო: „კორუფციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ და „კორუფციისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“.

კომპლექსური კანონები კორუფციასთან ბრძოლის შესახებ მით უფრო ღირებულია, რომ მათში აქცენტი კეთდება სწორედ კრიმინოგენურ სამართალდარღვევებზე და მაგ თავიდან აცილებაზე, აგრეთვე იმიტომაცაა ღირებული, რომ

ასეთ კანონებში კომპლექსურად და სისტემურადაა მოცემული კონტროლი კორუფციაზე. ანალოგიური კანონი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ მიღებულია უკრაინაში. ასეთივე კანონი მიიღეს აზერბაიჯანში. რუსეთში როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ 1995 წლიდან მზად იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კომპლექსური კანონის სამი პროექტი, მაგრამ სამივეჯერ მათ ვეტო დაადო მაშინდელმა პრეზიდენტმა. ხელოვნურად გამოგონილ არგუმენტებს შორის სახელდებოდა 1999 წლის დეკემბერში წარდგენილი პრეზიდენტის პროექტი. ეს პროექტი შეიმუშავა ფიზიკოსთა ჯგუფმა სატაროვის თავკაცობით, რომელიც „როსიისკაია გაზეტაში" გამოქვეყნდა და არ ვარგოდა პროფესიულად. იგი იყო კანონი, რომელიც არავის და არაფერს არ ავალდებულებდა. ეს იყო მორიგი პოპულისტური პუბლიცისტიკა. ცხადია, სახელმწიფო ხელისუფლების მაღალ ეშელონთა კორუფციაა ყველაზე საშიში სამივე განშტოებაში. სწორედ ისინი აფერხებენ კანონთა მიღებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ რუსეთში (ზუსტად ასევეა საქართველოში, ამაზე ქვემოთ).

ალბათ უკვე დადგა დრო მიღებულ იქნეს საერთაშორისო კონვენცია „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ დსთ-ს წევრ ქვეყნებში". დსთ-ს მონაწილე ქვეყნების მოდელურმა კოდექსმა, პარლამენტთაშორისი ასამბლეის სხვა სამართლებრივმა აქტებმა შეასრულეს და ასრულებენ სარეკომენდაციო დოკუმენტების თავის დადებით ფუნქციას, მაგრამ ახლანდელ დროში ეს სრულიადაც არაა საკმარისია. დადგა პარლამენტთაშორისი ასამბლეის შემდგომ, საკონვენციო ეტაპზე გადასვლის დრო. ამას უნდა დაემატოს დსთ-ს ქვეყნების მეცნიერ სპეციალისტთა „მრგვალი მაგიდები", სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ქოლოქვიუმები და ა. შ., კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გზების, მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.

სახელმწიფოებს შორის დადებულია არა-ერთი ორმხრივი ხელშეკრულება ურთიერთ სამართლებრივი დახმარების შესახებ. ზოგიერთი მათგანი კორუფციასაც შეეხება, მაგრამ დღეს ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. აუცილებელია სა-

ხელმწიფოთა გაერთიანება მრავალმხრივ საფუძველზე. უნივერსალური კონვენციის დადების შესაძლებლობა კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ჯერ-ჯერობით შეზღუდულია სახელმწიფოებს შორის პოზიციათა განსხვავებულობის გამო. ამიტომ მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძვლების შექმნა ამ სფეროში ჯერ-ჯერობით რეგიონალურ დონეზე მიმდინარეობს.

კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი ფორმების სრულყოფაში პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1996 წლის 27-29 მარტს კარაკასში (ვენესუელა) ამერიკული ქვეყნების ორგანიზაციის კონფერენციაზე მიღებული საერთო-ამერიკული კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების უმრავლესობა არ არის კაპიტალის ექსპორტიორი და უცხოეთის კომპანიების ძალისხმევით მასობრივი კორუფციის მსხვერპლი ხდება.

კონვენცია შეიცავს კორუფციის აქტების ვრცელ კატალოგს. უწინარეს ყოვლისა იგი განსაზღვრავს კორუფციის აქტებს, რომელთა სუბიექტებია თანამდებობის პირები.

კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები, მათ შორის საკანონმდებლო, თავისი იურისდიქციის რეალიზაციისათვის, კონვენციაში მითითებულ დანაშაულებრივ აქტებზე, რომლებიც მის ტერიტორიაზე ხორციელდება. სხვა სიტყვებით სახელმწიფოს იურისდიქცია არ ხორციელდება კორუფციის აქტებზე, რომელთაც ადგილი აქვს საზღვარგარეთ. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება საზღვარგარეთ, კონფერენციამ მას ცალკე დებულებები მიუძღვნა.

კონვენციით მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს აკრძალონ და დასჯადი გახადონ ქრთამის აღება, რომელსაც მიმართავენ მათი მოქალაქეები, პირნი, რომლებიც ჩვეულებრივ მათს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ან იქ კომპანიები აქვთ ეკონომიკურ ან სავაჭრო გარიგებებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ქრთამის ამღებლებს, მათ მიმართ დაწესებულია უპრეცედენტოდ მკაცრი წესი: სახელმწიფოებმა უნდა

გამოსცენ კანონები, რომლებითაც წესდება სახელმწიფო თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლება.

კონვენცია შეიცავს მუხლს, რომელიც ეძღვნება კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების პერსპექტივებს. იგი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მონაწილე სახელმწიფოები სასურველად თვლიან აღიარებულ იქნეს დანაშაულებრივად შემდეგი ქმედებანი: ა. თანამდებობის პირის მიერ საკუთარი ან მესამე მხარის სარგებლიანობის მიზნით ნებისმიერი დახურული ინფორმაციის გამოყენება, რომელსაც პირი ფლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მეშვეობით; ბ. იმავე ინტერესებით უკანონოდ გამოყენება საკუთრების ნებისმიერი სახისა, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის და რომელშიც სახელმწიფოს ქონებრივი ინტერესებია; გ. ნებისმიერი ქმედებანი, რომელთა შემწეობითაც ესა თუ ის პირი მიისწრაფის მიიღოს თანამდებობის პირისაგან მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, იმისაგან დამოუკიდებლად, მიადგება თუ არა ამასთან ზიანი სახელმწიფო საკუთრებას; დ. თანამდებობის პირის მიერ საკუთარი სარგებლობის მიზნით ამა თუ იმ ინდივიდისათვის ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ქონების, ფულის, აქტივების გადაცემა.

კონვენციის მიერ გათვალისწინებული დანაშაულობანი ითვლებიან ექსტრადიციონულად[1] ე. ი. რომელთა ჩამდენი პირნი გადაცემას იმსახურებენ. გათვალისწინებულია სახელმწიფოთა ყოველმხრივი თანამშრომლობა კორუფციასთან ბრძოლაში.

ინტერესს იწვევს საკითხის გადაწყვეტა საკუთრების შესახებ, რომელიც კონფისკებულია კორუფციის შესახებ განაჩენის საფუძველზე. საკუთრება არც თუ იშვიათად ეკუთვნის ერთ სახელმწიფოს, ხოლო კონფისკაცია ხორციელდება სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ასეთი შემთხვევებისათვის კო-

---

1 ფრანგ. Extradition, экс+ლათ. traditio გადაცემა, საერთაშორისო სამართალში — ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის პირის გადაცემა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის ან მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისათვის.

ნვენცია ითვალისწინებს კონფისკებული საკუთრების ნაწილის გადაცემის შესაძლებლობას მეორე დაინტერესებული სახელმწიფოსათვის. საკითხი წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

კონვენციაში სპეციალურადაა მინიშნებული: თუ კორუფცია განხორციელდა პოლიტიკური მიზნით, არ იძლევა საფუძველს განხილულ იქნეს როგორც პოლიტიკური დანაშაული, ყველა მისგან გამომდინარე შედეგებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ-მა, რომელიც აქტიურად ცდილობდა ანალოგიური კონვენციის მიღებას, მას არ მოაწერა ხელი თვით შენიშვნებითაც კი. აშშ-ში მიუღებლად ჩათვალეს მუხლი, რომლითაც ჩინოვნიკები ვალდებული არიან დაამტკიცონ მათი მეტისმეტად გამდიდრების მართლზომიერება, რამდენადაც ეს მუხლი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ეჭვმიტანილი არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. აშშ-ი აგრეთვე არ დაეთანხმა დებულებას საბანკო საიდუმლოების დაუცველობის შესახებ, როდესაც ინფორმაცია აუცილებელია საერთაშორისო გამოძიებისას. აშშ-ის მონაწილეობის მიუღებლობა არსებითად ზღუდავდა კონვენციის მნიშვნელობას.

სხვანაირად მოიქცა აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია. 2001 წლის მაისის დასაწყისში ახალმა პრეზიდენტმა კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერსა და სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნა კონგრესისათვის წარდგენილი მოხსენების თანმხლები წერილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების მიერ მიღებული კონვენციის შესაბამისად.

აშშ-ის პრეზიდენტი თვლიდა, რომ ამერიკის ქვეყნების კორუფციის საწინააღმდეგო კონვენციის რატიფიცირების შესაბამისად საჭიროა 5 წლის განმავლობაში პრეზიდენტმა ყოველწლიურად წარუდგინოს წარმომადგენლობითი პალატის სპიკერს და სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ყოველწლიური მოხსენება მიღებულ ღონისძიებათა შესახებ კონვენციის მოთხოვნათა შესასრულებლად. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ კორუფცია საფრთხეს უქადის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ძირს უთხრის დემოკრატიას. მისივე აზრით საჭიროა „ექსპერტთა კომიტეტის“ შე-

ქმნა კონვენციის შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის. თავის წერილში პრეზიდენტი რწმენას გამოთქვამდა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებული იქნება.

ამ „განუკურნებელი სენის“ წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით, უკომპრომისო ბრძოლაში ახალ ნაბიჯს წარმოადგენდა ევროსაბჭოს მიერ 1999 წელს „კორუფციის შესახებ სისხლისსამართლებრივი კონვენციის“ მიღება. მთლიანად ეს კონვენცია ამერიკის ქვეყნების მიერ მიღებულ კონვენციასთან შედარებით ნაკლებად რადიკალური დებულებების შემცველია.

ევროპულ კონვენციაში პრიორიტეტული ამოცანის სახით წამოყენებულია გატარება საერთო კრიმინალური პოლიტიკისა, რომელიც გამიზნულია კორუფციისაგან საზოგადოების დასაცავად და შეიცავს შესაბამისი კანონმდებლობის მიღების მოთხოვნას.

ასეთი შორსმიმავალი ამოცანა ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ანალოგიური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში.

ევროსაბჭოს აღნიშნულ კონვენციაში მოცემულია ნორმები ცამეტი კორუფციული დანაშაულის შესახებ: ეროვნული სახელმწიფო თანამდებობის პირთა აქტიური მოსყიდვა (მუხლი 2), ეროვნული სახელმწიფო თანამდებობის პირთა პასიური მოსყიდვა (მუხლი 3), ეროვნულ სახელმწიფო კრებათა წევრების მოსყიდვა (მუხლი 4), უცხოეთის სახელმწიფო თანამდებობის პირთა მოსყიდვა (მუხლი 5), უცხოეთის სახელმწიფო კრებების წევრთა მოსყიდვა (მუხლი 6), აქტიური მოსყიდვა კერძო სექტორში (მუხლი 7), პასიური მოსყიდვა კერძო სექტორში (მუხლი 8), საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა მოსყიდვა (მუხლი 9), საერთაშორისო-საპარლამენტო კრებების წევრთა მოსყიდვა (მუხლი 10), საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეებისა და თანამდებობის პირთა მოსყიდვა (მუხლი 11), სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ანგარებითი მიზნით (მუხლი 12), კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი გზით დაგროვილი შემოსავლების გადამალვა (მუხლი 13), დანაშაულობანი, რომლებიც შეეხება ოპერაციებს ანგარიშების მიხედვით (მუხლი 14).

კორუფციული დანაშაულის ასეთ სისხლისსამართლებრივ მრავალრიცხოვან კონვენციურ აკრძალვათა მიუხედავად, თუ კი მათი იურიდიული ბუნებიდან გამოვალთ, სხვადასხვაობა მოჩვენებითია. არსებითად მათი უმეტესობა (10 მაინც) 2-11 მუხლებით შეიძლება ორ ტრადიციულ კორუფციულ დანაშაულამდე დავიყვანოთ: ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა.

ცხადია, აქტიური მოსყიდვა არის თანამდებობის პირთათვის ქრთამის ტრადიციული მიცემა ან მათი მოსყიდვა (როგორც ასეთი).

ეროვნული სახელმწიფო თანამდებობის პირების პასიურ მოსყიდვად კონვენციის მუხლით გაკეთებულია პირდაპირი ან არაპირდაპირი მოთხოვნა, ან რომელიმე სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება თვით ამ პირთათვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის, ან წინადადების ან დაპირების მიღება ასეთი უპირატესობისათვის, იმ ანგარიშით, რომ ამ თანამდებობის პირმა განახორციელა მოქმედება ან თავი შეიკავა მისი განხორციელებისაგან თავისი ფუნქციების შესრულებისას, როდესაც ეს გაკეთებულია წინასწარი განზრახვით. ასეთი კონვენციური ნორმის სახესხვაობად სავსებით შეიძლება ჩაითვალოს შვეიცარიის სს კოდექსის 315 მუხლის ნორმა პასუხისმგებლობის შესახებ პასიური მოსყიდვისათვის.

ევროპული კონვენცია უწინარეს ყოვლისა იმით გამოირჩევა, რომ შეიცავს კორუფციის გამოვლენის ძირითად სახეობებსა და ფორმებს. იგი არ იზღუდება მონაწილე ქვეყნების სამართალში სრულიად ახალი ნორმების დამკვიდრების აუცილებლობით, არამედ საჭიროდ მიაჩნია მასში მთელი სამართლებრივი ინსტიტუტების შეტანა, რამდენადაც კონვენცია ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ საკანონმდებლო ზომები მისი იმპლემენტაციისათვის.[1] ეს უკვე მოითხოვს არსებითი ხასიათის ნოველებს შინაგან სისხლის სამართალში.

---

1 იმპლემენტაცია (ინგ. implementation), საერთაშორისო სამართლის საერთაშორისო ვალდებულებათა ფაქტობრივი რეალიზაცია შიდასახელმწიფოებრივ დონეზე; ტრანსფორმაციის გზით ხორციელდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ეროვნულ კანონებად და სამართლებრივ აქტებად გარდაქმნა.

კონვენციის მთელი შინაარსი გამოირჩევა კორუფციის სხვადასხვა ასპექტების სიზუსტით. მაგალითად, განასხვავებს ერთმანეთისაგან აქტიურ და პასიურ მოსყიდვას და ა. შ.

მექრთამეობის ეს ორივე სახეობა შეეხება სახელმწიფო კოლექტიურ ორგანოთა წევრებს, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო ან ადმინისტრაციულ ხელისუფლებას. სხვა სიტყვებით სახელმწიფოები ვალდებულია საკანონმდებლო წესით უზრუნველყონ, რათა პირი დაკავებული თანამდებობის მიუხედავად ექვემდებარებოდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. კიდევ მეტი, აღნიშნული ვრცელდება საზღვარგარეთის ქვეყნების ნებისმიერი თანამდებობის პირზე.

კონვენციის მეორე ნაწილის 17 მუხლი იურისდიქციის შესახებ, ავალდებულებს წევრ-სახელმწიფოს დაამყაროს იურისდიქცია მექრთამეობაზე, რაშიც გარეული არიან თანამდებობის პირები, მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც: ა. დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე;

ბ. დამნაშავე მისი მოქალაქეა, მისი თანამდებობის პირია ან მისი ერთ-ერთი სახელმწიფო კრების წევრია;

გ. დანაშაული შეეხება მის თანამდებობის პირებს ან სახელმწიფო კრებების წევრებს.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, კონვენცია განსაზღვრავს სახელმწიფოს იურიდიქციის დამყარებას მექრთამეობაზე, სადაც არ უნდა ჰქონდეს მას ადგილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება წევრ-სახელმწიფოს მოქალაქეებს, მხედველობაშია შემდეგი თანამდებობის პირები: სახელმწიფო თანამდებობის პირები, სახელმწიფოს კოლექტიური ორგანოების წევრები, საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეათა წევრები, საერთაშორისო სასამართლოთა მოსამართლეები.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს, მათზე სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუკი დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე, ამასთან, იგულისხმება, ყურადღებით იქნეს აღქმული სახელმწიფო დიპლომატიური იმუნიტეტის არსებობა. კონვენციაში არსებული მუხლი იმუნიტეტზე შეიცავს მხოლოდ მასზე უარს (მუხლი 16).

კონვენცია სავალდებულოდ თვლის მიღებულ იქნეს კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს კერძო სექტორში აქტიური და პასიური მექრთამეობის კრიმინალიზაციას. საქმე ეხება ქრთამს, რომელსაც ნებისმიერი პირი იღებს, ხელმძღვანელი თანამდებობა აქვს ან თუ მუშაობს ნებისმიერ ადგილას კერძო სექტორის ორგანიზაციაში (მუხლი 7). მთელი რიგი ქვეყნებისათვის ეს დებულებაც ახალია.

კრიმინალიზაციას ექვემდებარება აგრეთვე „ვაჭრობა გავლენით" (მუხლი 12). სიმართლე რომ ითქვას, საქმე ეხება შუამავლობას ქრთამის აღებაში. სასჯელს ექვემდებარება დაპირება, წარდგენა ან წინადადება ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია მოახდინოს დაუმსახურებელი გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე. კონვენციაში მითითებულია ნებისმიერი პირის მიერ, აგრეთვე მოთხოვნა ან ისეთი წინადადების მიღება შესაბამისი გავლენისათვის იმისაგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა ასეთი გავლენა გაწეული, აგრეთვე გამოიწვია თუ არა მან მოსალოდნელი შედეგები. როგორც ვხედავთ, საქმე ეხება დაუმთავრებელ დანაშაულს.

ევროპის ქვეყნების კანონმდებლობისათვის ერთ-ერთ მთავარ ნოველას წარმოადგენს იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება. მე-18 მუხლი სახელწოდებით „კორპორაციული პასუხისმგებლობა", ავალდებულებს თითოეულ მხარეს მიიღოს საკანონმდებლო და სხვა ზომები იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ იურიდიულ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა აქტიური მექრთამეობის სისხლისსამართლებრივი დანაშაულისათვის, გავლენით ვაჭრობისათვის, როგორც ეს კონვენციითაა გათვალისწინებული.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა როდი გამორიცხავს ფიზიკურ პირთა სისხლის სამართლებრივ დევნას, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა შესაბამის დანაშაულთა ჩადენისათვის. ზემოთ მითითებულ დანაშაულთა ჩადენისათვის იურიდიული პირების მიმართ „გამოყენებულ უნდა იქნეს ეფექტიანი, პროპორციული და გამაფრთხილებელი სისხლისსამართლებრივი ან არასისხლისსამართლებრივი სანქციები, რომლებიც შეიცავენ ფულად სანქციებს" (მუხლი 19).

აღნიშნულ დებულებათა და მოთხოვნათა გათვალისწინება საქართველოს როგორც ევროსაბჭოს წევრის კანონმდებლობაში აუცილებელია და მოითხოვს მთელი რიგი სისხლის სამართლებრივი კონცეფციების გადასინჯვას, რაც არც თუ ისე იოლი საქმეა და გარკვეულ ძალისხმევასა და დროს საჭიროებს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კონვენცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საერთაშორისო-სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად კორუფციასთან ბრძოლისათვის. დაწყებულია უფრო რთული ეტაპი — მისი განხორციელება ცხოვრებაში როგორც საერთაშორისო, ისე განსაკუთრებით ეროვნულ სფეროში.

დღეს კორუფციის სფეროში მრავალ პარადოქსებს ვაწყდებით. ერთი მხრივ, ძნელად მოიძებნება სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც არ ჰქონდეს გაცნობიერებული კორუფციის საშიშროება და უარყოფდეს მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობას. მეორე მხრივ აღინიშნება აუცილებელი კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ფაქტობრივი არ არსებობა.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი უწინარეს ყოვლისა უნდა აიხსნას თვით კორუფციის ბუნებით, მისი განსაკუთრებული ლატენტურობით, რომელიც უპირისპირდება მისი სუბიექტის სახით ქმედითი ზომების მიღებას. რაც უფრო კორუმპირებულია სახელმწიფო რეჟიმი, მით უფრო უვნებელია კორუფციული დანაშაულისათვის მისი კანონმდებლობა. ამას შეესაბამება აღნიშნული რეჟიმის საერთაშორისო პოზიციაც.

ამის დასადასტურებლად საკმარისია აშშ-ში ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს გენერალური მრჩევლის ჩ. საფოსის სიტყვებიც. მან გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: „სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში რაღაც არ ვარგა: სიძნელეები საერთაშორისო სისხლის სამართლის ეფექტიანობის დამკვიდრებაში წარმოშობილია საზოგადოებრივი კორუფციის მიერ". სტატია შემდეგი სიტყვებით იწყება: „წინამდებარე ნაშრომი დაწერილია იმისათვის, რომ ხაზი გაესვას სიძნელეებს მექანიზმის შექმნაში, რომელიც მიმართული იქნება მრავალეროვნული დანაშაულებრივი მოღვაწეობის

წინააღმდეგ ისეთ პირობებში, როდესაც ასეთი ძალისხმევის მოშლა მიმდინარეობს მძლავრი საზოგადოებრივი კორუფციით".[1]

კორუფციასთან ბრძოლის რეგიონალური გამოცდილების გადატანა უნივერსალურ დონეზე საშუალებას იძლევა საერთაშორისო მასშტაბით მიღებული იქნეს ეფექტიანი ზომები ბრძოლისათვის ორგანიზებული ტრანსეროვნული დანაშაულობის ისეთ საშიშ გამოვლენასთან, როგორიცაა კორუფცია.

გაეროს მერვე კონგრესმა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი მიმართვაში (1990 წ.) კორუფციასთან ბრძოლის ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმაღლესი დონით მნიშვნელოვანია, რათა სახელმწიფოებმა განიხილონ საკუთარი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ადექვატურობა პროცესუალური ნორმების შემცველობით, რათა რეაგირება მოხდეს კორუფციასა და შესაბამის ქმედებათა ყველა სახეობაზე. კონგრესმა მოუწოდა სახელმწიფოებს შეიმუშაონ ადმინისტრაციული დარეგულირების მექანიზმი კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისათვის, საჭირო სამართლებრივი დებულებანი სახსრებისა და ქონების კონფისკაციისათვის, რომლებიც დაგროვილია კორუფციის შედეგად. აგრეთვე შეიმუშაონ ეკონომიკური სანქციები დაწესებულებათა მიმართ, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ კორუფციასთან.

საზოგადოებამ უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა აიძულოს მის მიერ არჩეული პოლიტიკოსები თა სახელმწიფო სამსახურში „თბილ ადგილზე" მოკალათებული მოხელეები ემსახურონ საკუთარ ქვეყანას და ხალხს და არა პირად გამდიდრებას სახელმწიფოს ხარჯზე. ჩვენი ქვეყნის მაგალითი მჭევრმეტყველურად ადასტურებს, რომ კორუფციისადმი რადიკალური შეურიგებლობით, მის მიმართ გაათვეცებული სიძულვილით, მასთან სისტემატური და უკომპრომისო ბრძოლით, ეს საუკუნოვანი პრობლემა შეიძლება დაი-

---

1 კორუფციის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 2001 წ. გვ. 97-98.

ძრას „მკვდარი წერტილიდან“ და თანდათანობით მომზადდეს ნიადაგი ამ მეტად საშიში სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის დასაძლევად,

კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეკონომიკური პრობლემები კიდევ უფრო მრავალნაირი და მრავალწახნაგოვანია, ვიდრე პოლიტიკური ან სამართლებრივი.

ეს პრობლემები შეიძლება განსილულ იქნეს კორუფციის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების, მისი საშიში ეკონომიკური შედეგებისა და ეკონომიკური კონტროლის სახით. ამ შემთხვევაში საქმე შეეხება ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც ახლო კავშირშია პოლიტიკურ-სამართლებრივთან და ამდენად იურისტებისა და პოლიტოლოგების შესწავლის საგანიცაა.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გაანალიზდეს და განისაზღვროს ის მძიმე ეკონომიკური ზარალი, რომელიც მოაქვს კორუფციას ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. მაგალითად, ფონდ „ინდემის“ მიხედვით[1] რუსეთში კორუფციისაგან ფულადი დანაკარგები წელიწადში შეადგენს 10-დან 20 მილიარდ დოლარამდე. ძირითადი ზარალი მოდის მაღალ თანამდებობის პირთა გამყიდველობაზე, რაც სერიოზულად ასუსტებს სახელმწიფო ბიუჯეტს. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენთან, რუსეთთან შედარებით მრავალგზის პატარა, ეკონომიკურად უფრო დაქვეითებულ და შეგნებულად გაღატაკებულ საქართველოში. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული კრიზისი უნდა ვეძიოთ არა იქ, სადაც იგი არ არის, არამედ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებულ მხარდ კორუფციაში. გავიცნობიეროთ: კორუფცია, უწინარეს ყოვლისა სახელისუფლო, სამთავრობო ბოროტმოქმედება და უმძიმესი დანაშაულია.

რუსეთის სამართალდაცვის ორგანოთა შეფასებებით მრენველობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ნავთობი, გაზი, იშვიათი ლითონები, 50%-მდე რეალური მოგება იხარჯება სხვადასხვა თანამდებობის პირთა მოსყიდვისათვის. ეხ კი მილიარდობით დოლარია. კვალიფიციურ ექსპერტთა გაანგარი-

---

1 იხ. რუსეთი და კორუფცია: ვინ ვის? გაზეთი როსიისკაია გაზეტა, 1999, 19 თებერვალი.

შებით საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან „XXI საუკუნის ტექნოლოგია“ რუსეთში წვრილი და საშუალო მეწარმეები ქრთამის სახით მოხელეებისათვის მისაცემად ყოველწლიურად ხარჯავენ 500 მილიონ დოლარს.

ამრიგად, კორუფციის შედეგად პირდაპირი დანაკარგები წელიწადში რუსეთისათვის 15-20 მილიარდი დოლარი სავსებით რეალურია. ყველა ეს დანაკარგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხალხს აწვება მძიმე ტვირთად, რამდენადაც კორუფციული დანახარჯები მაღლა სწევენ ფასებს საქონელზე, აძლიერებენ სოციალურ დაძაბულობას, ხელს უწყობენ საბიუჯეტო კრიზისს, უხელფასობას, პენსიების გაუცემლობას და ა. შ.

მზარდი კორუფცია მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ჩრდილოვანი ეკონომიკის დამკვიდრებასა და ზრდას, საგადასახადო შემოსავლების საგრძნობ შემცირებას. ყოველივე ასეთი ანტისაზოგადოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა ეკონომიკის მართვის ფინანსური ბერკეტების დაკარგვის შედეგია.

ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა ეკონომისტმა, პროფესორმა ს. გლინკინამ თავისი შინაარსიანი სტატია ტყუილად კი არ დაასათაურა: „ხელისუფლება პლუს ბიზნესი, უტოლდება ფიქტიურ ეკონომიკას“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრმა „ოლიგარქმა“, მსხვილმა მეწარმემ და ბანკირმა თავიანთი უზარმაზარი ქონება საბიუჯეტო თანხების უკანონო მითვისებით დააგროვეს. „შავი ფულის გათეთრებაც“ ამ გზით განახორციელეს საქართველოს ბანკებში მოკალათებულმა ნაძირალებმა. ზოგიერთმა მათგანმა გასანადგურებელი უამრავი თანხა გადამალა, რუსეთში გადაცვალა და ამით ერის ამ მოღალატეებმა ძირი გამოუთხარეს ქვეყნის ეკონომიკას. ისინი დღეს არამც თუ დასჯილი არიან, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი, პირიქით, სახელმწიფო ხელისუფლებაში მაღალ პოსტებზე იმყოფებიან. ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, პროფესორმა ჯ. ჰელბრეიტმა შენიშნა: „რაც უფრო მეტია სიმდიდრე — მით მეტია სიბინძურის დანალექი“.

კორუფცია აჭენებს არათანაბარ მდგომარეობაში კორუმპირებულ და პატიოსან მეწარმეებს, როგორც ჩვენთან,

ისე საზღვარგარეთ, არღვევს ბაზრის ეროვნულ და საერთაშორისო საკონკურენტო მექანიზმებს, ახდენს საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის დისკრედიტაციას. მაგალითად, უმთავრესად კორუფციასთანაა დაკავშირებული „კაპიტალთა გაქცევა“ რუსეთიდან, რომელთა რაოდენობა შეფასებულია 300 მილიარდ დოლარამდე.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური შედეგები, რომლებიც თავის მხრივ თვით განაპირობებენ კორუფციული, ე. ი. უმძიმესი დანაშაულის შემდგომ გაფართოებას სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე. მათგან ერთ-ერთს წარმოადგენს სამართალდაცვის ორგანოთა და სასამართლოების არასაკმარისი დაფინანსება (ჩვენთან სასამართლოთა დაფინანსების საქმე რამდენადმე გამოსწორდა), რომლებიც ვერ უძლებენ საკუთარ დატვირთვას. მათ არ შეუძლიათ ჩაატარონ თვით კვალიფიციური რევიზია ან აუდიტორიული შემოწმება საგამოძიებოდ დაქვემდებარებულ სამეწარმეო სტრუქტურებში. ამიტომ თავიანთ მოღვაწეობაში იფარგლებიან ღია, აშკარა და წვრილი ეკონომიკური დანაშაულობების გამოძიებით.

კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მხარეა სწორედ მისი ღრმად შეჭრა ეკონომიკურ სფეროში, თანამდებობის პირთა ეკონომიკურ მოღვაწეობაში, რაც საშუალებას იძლევა ვაღიაროთ ეკონომიკური კორუფციის არსებობა. „ეკონომიკური დანაშაული წარმოადგენს ანგარებითი დამნაშავეობის განსაკუთრებულ ნიშნად ნაწილს. ანალოგიურია კორუფციის ადგილი თვით ეკონომიკურ ქმედებათა სტრუქტურაში. ამასთან დაკავშირებით ის თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ეკონომიკური დამნაშავეობისათვის (მისი ჩადენის სუბიექტთა მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მათ მიერ მიყენებული უზარმაზარი მატერიალური და ფიზიკური ზარალი ინტერესთა შელახვის განსაკუთრებული ლატენტურობა და ხელისუფლების შემრიგებლური დამოკიდებულება დამნაშავეთა ამ ჯგუფის მიმართ), კორუფციაში მიყვანილია თავის აპოგეამდე“.[1]

---

1 ვ. ღუნიოვი, XX საუკუნის დამნაშავეობა: მსოფლიოს, რეგიონალურისა და რუსეთის ტენდენციები (რუს.), მ., 1997, გვ. 267.

ამასთან, ეკონომიკური დანაშაული და კორუფციაც ხასიათდება როგორც უკვე ვნახეთ მათი რეგისტრაციის არასისრულითა და ფრაგმენტულობით, როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე თითქმის მსოფლიო მასშტაბით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საფრანგეთის სტატისტიკა, რომელშიც მექრთამეობა არ ჩანს გრაფაში დანარჩენ ეკონომიკურ და ფინანსურ დანაშაულთა შესახებ.

კრიმინალისტიკაში, როგორც გამოყენებით იურიდიულ მეცნიერებაში, აღნიშნული პრობლემა მოითხოვს განსაკუთრებულ გამოკვლევას კორუფციის ნიშნებით, დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკების შემუშავებასთან დაკავშირებით.

ცნობილი რუსი მეცნიერი, კრიმინოლოგი ვ. ობრაზცოვი განიხილავს რა ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის გამოძიების საკითხს, მიაჩნია, რომ ასეთ ქმედებათა ნაწილი ხასიათდება ანგარებითი განზრახულობით (ქონების დატაცება თანამდებობის გამოყენებით, მექრთამეობა და ა. შ.).[1] ამასთან აღსანიშნავია, რომ განხილული დანაშაულის სუბიექტებია სამმართველო, საწარმოო, კომერციული და სხვა სტრუქტურების მუშაკები, რომლებიც თავიანთი ფუნქციების რეალიზაციას ახდენენ ეკონომიკის სფეროში. აღნიშნულ შეხედულებას თავისებურად ეხმიანება დებულება იმის შესახებ, რომ ქრთამის არა ნებისმიერი მიღება წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც კავშირშია ეკონომიკურ მოღვაწეობასთან, არამედ, მხოლოდ ისეთის მიღება, რომელიც ჩადენილია სპეციალური სუბიექტის მიერ.[2] სხვა შემთხვევებში მექრთამეობა არ იქნება დაკავშირებული ეკონომიკურ მოღვაწეობასთან და ბუნებრივია მას აღარც ექნება ეკონომიკური კორუფციის ნიშნები.

შემოთავაზებულია ცნების „ეკონომიკური დანაშაული" სხვა განსაზღვრებაც, რომლითაც იგი გაგებულია, როგორც ანგარებითი შეგნებული ქმედება რომელსაც სჩადიან განსაზღვრული ფუნქციების აღმსრულებელი პირები ეკონო-

---

1 იხ. ვ. ობრაზცოვი, კრიმინალისტიკა. ლექციების კურსი (რუს.), მ., 1996, გვ. 386-387.

2. იხ. ვ. უსტიმენკო, დანაშაულის სპეციალური სუბიექტი (რუს.), ხარკოვი, 1989, გვ. 104.

მიკური მოღვაწეობის სფეროში, აგრეთვე პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან ასეთი მოღვაწეობის რეგულირებასთან და მასზე კონტროლთან.[1] ცხადია, მათთან არიან დაკავშირებული უწინარეს ყოვლისა კორუფციის სუბიექტები.

ეკონომიკაში დანაშაულის გამოძიების მეთოდიკათა სისტემა შეიცავს თანამედროვე დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის შესაბამის დებულებებს. ეს უწინარეს ყოვლისა იმით უნდა აიხსნას, რომ მრავალი ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა დაკავშირებულია თანამდებობის პირთა მიერ თავის სამსახურებრივ რწმუნებათა ბოროტად გამოყენებასთან. გარემოებათა შესაბამისად ანალოგიური დანაშაული შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს, როგორც თანამდებობრივი დანაშაული.

პრობლემის კვლევაში (კორუფციის ეკონომიკური ასპექტი) კრიმინოლოგიურთან ერთად ვხვდებით კრიმინალისტურ თავისებურებებსაც. ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის კვლევა კრიმინალისტური ასპექტით მოითხოვს ამ ქმედებათა ტიპიური ნიშნების დადგენას, მათს კლასიფიკაციას, კორუფციის ნიშნებით დანაშაულთა გამოკვლევისა და გამოძიების მეთოდიკის შემუშავების მიზნით. ყოველივე ეს საფუძველს უნდა იძლეოდეს ისეთი მოვლენის ცალკე განხილვისათვის, როგორიცაა „ეკონომიკური კორუფცია“, რამდენადაც ხელყოფათა მნიშვნელოვანი ნაწილი კორუფციული ნიშნებით უშუალოდ კავშირშია ეკონომიკურ დანაშაულობებთან. ეს დებულება დასტურდება სისხლის სამართლის საქმეებისა და კორუფციულ ქმედებათა წარმოების ანალიზით, სამართალდაცვის ორგანოთა მუშაკების ანკეტირებით და გამოკითხვის შედეგებითაც. თუ კი ასეთი ქმედებანი შეიცავენ ეკონომიკური კორუფციის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ნიშნებს, მაშინ ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური დამნაშავეობის ნაწილი, შემდეგი თავისებურებებით: 1. ეკონომიკური დანაშაული, რომელიც ჩადენილია კორუფციის სუბიექტის მიერ, მისთვის სახელმწიფოსაგან მინიჭებული რწმუნებების გამოყენებით; 2. თანამდებობრივი

---

1 იხ. კორუფციის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 2001 წ., გვ. 315.

დანაშაული, რომელიც კავშირშია ეკონომიკური დანაშაულის ჩადენასთან.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მონაცემებით კორუფცია თანამედროვეობის ყველაზე მთავარი და მწვავე პრობლემაა. ასეთი თვალსაზრისი მრავალი ეკონომისტის, პოლიტოლოგის, სამართალმცოდნის მიერაა გაზიარებული. ისინი მიუთითებენ განუყოფელ კავშირზე ისეთ მოვლენებს შორის, როგორიცაა „ეკონომიკური დანაშაული“ და „კორუფცია“, „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ და „კორუფცია“, „ეკონომიკური დანაშაული“ და „თანამდებობის ბოროტად გამოყენება“. ეკონომიკური დანაშაული ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის საძირკველია, იგი ფინანსურ ბაზას წარმოადგენს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის აღმოცენების, არსებობისა და განვითარებისათვის.

ზოგიერთი ავტორის აზრით კორუფცია ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. კორუფცია ამ შემთხვევაში ვიწროდაა გაგებული. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ თვით ჩრდილოვანი ეკონომიკაა კორუფციის (ეკონომიკური კორუფციის) მთავარი ელემენტი და ცხადია, ორივე ეს ნეგატიური მოვლენა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც ამ თვალსაზრისით საჭიროებს ცნებების „ეკონომიკური კორუფცია“ და „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ დაზუსტებას მათს ურთიერთობაში. იმის მტკიცება კი დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის ძლიერი ჩრდილოვანი სექტორის არსებობა ჩამოყალიბებულ კორუმპირებულ ურთიერთობათა სისტემის მძლავრი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. ეს რელიეფურად ჩანს დსთ-ს ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის, უკრაინის, საქართველოს მაგალითზე.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია ყურადღებას იქცევს ისეთ მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობა, როგორიცაა „ეკონომიკური დამნაშავეობა“ და „კორუფცია.“ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიექცა იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ კრიმინოლოგიასა და კრიმინალისტიკაში.

ყველა ქვეყნის (მეტნაკლებად კორუფცია ყველგანაა გავრცელებული) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმოადგენს კორუფციის, მექრთამეობისა და სხვა სახის ბოროტმოქმედების ფაქტე-

ბის გამოვლენა, მათს რიცხვში ისეთების, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციასთან.

თავისთავად საბაზრო ეკონომიკა მეტად რთული და წინააღმდეგობრივი წარმონაქმნია. ივი ერთდროულად კრიმინოგენურიცაა და არაკრიმინოგენურიც. მისი ძირითადი კრიმინოგენურობა დაკავშირებულია ეკონომიკური მოღვაწეობის თავისუფლებასთან. თავისუფლება, როგორც წარუვალი სოციალური ღირებულება, სამწუხაროდ ზოგჯერ უფრო კრიმინოგენურია, ვიდრე ვთქვათ კარცერული ტიპის „მაქსი-მაქსი" ამერიკულ სატუსაღოში. თავისუფლება თანაბრად შეიძლება ემსახუროს როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას. საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აზვირთებით დიდად შეშფოთებული ცნობილი ამერიკელი განმანათლებელი, ამერიკის ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული, ავტორიტეტული და ენციკლოპედიურად განსწავლული პიროვნება ბენჯამენ ფრანკლინი თვლიდა, რომ „თავისუფლების ცეცხლს შეუძლია არა მხოლოდ გაწმინდოს, არამედ დაანგრიოს". მაგრამ საბაზრო ეკონომიკას როგორც ჩანს მაინც არ გააჩნია ღირსეული ალტერნატივა, ისევე როგორც თვით თავისუფლებას. მიუხედავად ამისა, ჩინეთის მაგალითი მართლაც რომ საგულისხმოა, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა წარმატებით ხორციელდება საზოგადოებრივი საკუთრების შენარჩუნებით. ეკონომიკა არსებობს არა ბრძოლისათვის დამნაშავეობასთან, არამედ ქვეყნისა და ხალხის ნორმალური ცხოვრებისათვის, ხოლო მბრძანებლური ეკონომიკა, როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, სასარგებლოა განსაკუთრებით ომის დროს.

კორუფციამ ეკონომიკაში შეჭრით ნებისმიერ ქვეყანას ბევრი პრობლემა გაუჩინა და მრავალი ნეგატიური შედეგი წარმოშვა. ჯერ-ერთი, ესაა „ჩრდილოვანი ეკონომიკის" გაფართოება, ფინანსურ საშუალებათა „გაქცევა" ლეგალური მიმოქცევიდან, ბიუჯეტის დასუსტება და მისი სახსრების არაეფექტიანი გამოყენება, ფასების ზრდა სამომხმარებლო და სხვა საქონელზე. როგორც შედეგი — მოსახლეობის გაღატაკება და სოციალურ პრობლემათა გამწვავება; მეორე, საბაზრო მექანიზმის ეფექტიანობის შემცირება, ხელისუფლები-

სადმი ინვესტორთა ნდობის დაკარგვა, როგორც შედეგი წარმოების დაცემა (ჩვენთან ფაქტობრივი გაჩერება), სამრეწველო სიმძლავრეთა გაჩანაგება, საბაზრო იდეათა დისკრეტიზაცია საზოგადოების თეალში; მესამე, ბაზის არ არსებობა „საშუალო“ კლასის, მესაკუთრეთა კლასის ჩამოყალიბებისათვის, კორუფციულ ურთიერთობათა შეჭრა არასახელმწიფო სექტორში, რასაც მოჰყვა ეკონომიკის ეფექტიანობის შემცირება (ზოგიერთ ქვეყანაში იგი ნულამდე დავიდა).

ცენტრალური ევროპის საინიციატივო ქვეყანათა წარმომადგენლების მორიგ შესვედრაზე, რომელიც გაიმართა 1998 წელს, აღინიშნა, რომ კორუფცია უფრო მეტად ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო პრობლემაა, რომ კორუფციული კრიმინალიზაცია დაკავშირებულია საკუთრების პრივატიზაციასთან და სხვა ანალოგიურ პროცესთან. ამრიგად, კორუფცია უპირატესად მაინც „შინაური, საოჯახო“ პრობლემაა. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვეს, კერძოდ უკრაინელმა მეცნიერებმა: „ეკონომიკის მრავალწყობიანობა, საკუთრების უფლების გადასვლის შესაძლებლობა ერთი ფორმიდან მეორეში, ქმნის პირობებს უშუალო ან ლობისტური ზეგავლენისათვის ჩინოვნიკურ აპარატზე...“[1]

მსჯელობა კორუფციის ეკონომიკურ პრობლემებზე გვიწდა დავამთავროთ ერთი ანეკდოტით, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა ერთ-ერთ დასავლეთევროპულ გაზეთში. პოლიტიკოსმა, რომელიც „ლიმის“ სახელს ატარებდა, რაც თარგმანში მოუსყიდავს ნიშნავს, ერთხელ გადაწყვიტა გართობა „სიხარულის სახლში“ (ბორდელში). მას მოგვარეს ქალიშვილი, სახელად „ტრინი“, რაც თარგმანში „ქალწულს“, „უბიწოს“, „უმანკოს“ ნიშნავს. გაერთო რა მასთან „ლიმი“, მან სარკასტულად წარმოთქვა: „აი, სწორედ ეს არის ნამდვილი სასწაული, უბიწო, ქალწული ასეთ ადგილას?!“ და მოესმა პასუხად: „მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენს დაწესებულებაში ისეთივე ქალწულები ვართ, როგორც თქვენთან სახელმწიფო სამსახურში — მოუსყიდავი მოხელეები“.

---

1 ვ. კამენკი. ე. ნევმერჟიცკი. კორუფცია უკრაინაში (რუს.), კიევი. „ზნანიის“ ამხანაგობა, 1998, გვ. 97.

თავი მესამე

კორუფციის დაძლევის ორგანიზაციული ფორმები და საშუალებები

კორუფციასთან ბრძოლის გონივრულად, მაღალ სამართლებრივ დონეზე შემუშავებულ ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტიკორუფციული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციისათვის. პოლიტიკური და დეკლარაციული მოწოდებები კორუფციის დაუშვებლობის შესახებ და სისხლის სამართლის კანონმდებლობის არსებობა სრულიადაც არ არის საკმარისი კორუფციასთან მეტ-ნაკლებად წარმატებული ბრძოლისათვის. საჭიროა და აუცილებელია ანტიკორუფციული მოღვაწეობის რეალური ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს:

ა. მიღებულ გადაწყვეტილებათა გამჭვირვალობას;

ბ. გაფართოებულ სოციალურ-სამართლებრივ კონტროლსა და სახელმწიფო მოხელეთა (მათ შორის დეპუტატთა) ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისა და ამომრჩეველთა წინაშე;

გ. მოხელეთა რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას, უპირატესად არაპროფესიონალთა ხარჯზე (საქართველოში ამის ძიება „დიოგენეს ფანრით“ არ მიგვიწევს);

დ. მოხელეთა დისკრეციული რწმუნებების შეზღუდვას;

ე. რეალურად დამოუკიდებელ და ბრძოლისუნარიან სამართალდაცვის სტრუქტურებს, დამოუკიდებელ პროკურორებსა და მოსამართლეებს; სხვა ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს.

ანტიკორუფციულ სტრუქტურათა დამოუკიდებლობა (რეალური და არა ეფემერული) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველი, პოლიტიკური და ეკონომიკური „ელიტის“

გამყიდველობასთან საბრძოლველად, რომლის ხელშიც რჩება სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედების უზარმაზარი ბერკეტები.

მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, არსებობს მთელი რიგი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები:

ა. პარლამენტი, თავისი შესაბამისი კომიტეტებით, რომელთა რეალური ძალისხმევა კორუფციასთან ბრძოლაში არ ჩანს;

ბ. სახალხო დამცველი, რომელიც რეალურად უძლურია ებრძოლოს კორუფციას, დაიცვას მასების ინტერესები;

გ. გენერალური პროკურატურა, ყველაზე ქმედითი და დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც არა მხოლოდ ავლენს კორუფციის ცალკეულ ფაქტებს, არამედ რეალურ მტკიცებულობათა საფუძველზე აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს. ბოლო წლების ცხოვრება ჩვენი და ზოგიერთი სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე ადასტურებს, რომ თვით გენერალური პროკურორის დამოუკიდებლობა აღმოჩნდა ეფემერული;

დ. უზენაესი სასამართლო და სხვა სასამართლოები (საოლქო, რაიონული და ა. შ.), თუმც ისინი არ ეწევიან უშუალო ბრძოლას კორუფციასთან და საერთოდ დამნაშავეობასთან, უნდა ითქვას, რომ მათი დამოუკიდებლობა, როგორც გვიჩვენებს ჩვენი და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირთა კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა შედარებითია.

ამრიგად, იმ სახელმწიფო სტრუქტურათა დამოუკიდებლობა რომლებიც მეტნაკლებად უკომპრომისო ბრძოლას უნდა ეწეოდნენ კორუფციის წინააღმდეგ უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და შორსაა რეალური დამოუკიდებლობისაგან (ცხადია ზოგიერთი ქვეყნის გამოკლებით).

საქართველოში არსებული სიტუაცია უკომპრომისო ბრძოლისათვის სახელმწიფო თანამდებობის პირთა, განსაკუთრებით კი ა. („ელიტარულ") კატეგორიის კორუფციონერთა წინააღმდეგ გარდუვალად საჭიროებს სპეციალური

დაწესებულების შექმნას (დამოუკიდებელი ორგანო) ან რეალურად დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტს, ხელმძღვანელთა დანიშვნისა და გათავისუფლების განსაკუთრებული პროცედურით.[1]

ანტიკორუფციული კომისიის თუ დამოუკიდებელი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობაზე ყოფნის მთელ პერიოდში საიმედოდ უნდა იყოს დაცული. მისი გათავისუფლება უნდა მოხდეს ხელისუფლების რომელიმე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ან სახალხო რეფერენდუმის გადაწყვეტილებით.

როგორც ვხედავთ, მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩვენთან მომწიფდა იდეა რეალურად დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის შესახებ კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში.

ავტორიტეტულ მსჯელობას ამ საკითხზე ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ პერიოდში. სსრ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი მიმართვაში, რომელიც მიღებული იყო საკავშირო საკოორდინაციო ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე 1990 წლის 29 აგვისტოს ქ. ლენინგრადში, წამოაყენეს წინადადება შექმნილიყო ერთიანი ფედერალური სახელმწიფო კომიტეტი ქვეყნის უმაღლეს საბჭოსთან, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, თავისი ორგანოებით ადგილებზე, ამ კომიტეტისათვის სრული მოცულობით ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ფუნქციების დაკისრებით.

ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ წინადადება იყო კიდევ უფრო რადიკალურ გადაწყვეტილებათა შესახებ. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატის[2] თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბოლდირევმა სატელევიზიო გადაცემაში „წვრილმანები“ 1999 წლის იანვარში განაცხადა, რომ

---

1 ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ.

2 თავისი სტატუსით საანგარიშო პალატა წარმოადგენს საბიუჯეტო საფინანსო კონტროლის მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც შექმნა რუსეთის ფედერალურმა კრებამ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ამასთან საანგარიშო პალატა არ არის აღჭურვილი რწმუნებებით ოპერატიულ-სამძებრო ან წინასწარ საგამოძიებო საქმიანობისათვის.

საანგარიშო პალატის მონაცემებით რუსეთის გენერალური პროკურორი მის მიერ გამოვლენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებსაც მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები სჩადიოდნენ საბიუჯეტო სახსრების განკარგვისას, ჩვეულებრივ თავს იკავებს სისხლის სამართლის საქმეების აღძვრისაგან (ილუსტრაციის მიზნით დასახელებულ იქნა რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიარდი აშშ-ის დოლარის ამოღების ფაქტი, რომელიც შემდეგ სადღაც „გაუჩინარდა“). გენერალური პროკურატურის გაუბედაობა და თავშეკავება ამ შემთხვევაში შეიძლება უბრალოდ აიხსნას: გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისფულდება პრეზიდენტის ინიციატივით და ცხადია მასზეა დამოკიდებული. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრებოდა და დაიწყებოდა გამოძიება მაღალი თანამდებობის პირთა, მთავრობის წევრთა მიმართ, პრეზიდენტის გარემოცვის ჩათვლით.

ეს წესი რომ შეიცვალოს, აუცილებელია რუსეთის, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის კორექტირება. მაგრამ არის უფრო იოლი გზა, რომელიც წარმატებითაა აპრობირებული დასავლეთში: დამოუკიდებელი საგამოძიებო ინსტიტუტის შექმნა (აშშ-ის ან საფრანგეთის დამოუკიდებელ პროკურორთა ანალოგიურად).

ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნება კანონის მიღება და აღსრულება კონსტიტუციის შეუცვლელად.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არის წინადადება შეიქმნას წინასწარი საგამოძიებო ორგანო, რომელიც იქნება არა უბრალოდ დამოუკიდებელი მთავარობისა და პრეზიდენტის დაქვემდებარებისაგან, სამართალდაცვის ორგანოებისაგან, არამედ გენერალური პროკურატურის კონტროლისაგანაც.

ამასთან ერთად, არიან ანალოგიური ორგანოს შექმნის მოწინააღმდეგენიც, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ ასეთი ორგანოს, ცენტრის თუ სამსახურის შექმნა ნაადრევად მიაჩნიათ.[1] წამოყენებულია სხვა არგუმენ-

---

1 იხ. მაგალითად ი. ადაშკევიჩი, ორგანიზებული დანაშაული (რუს.), მ., 1998, გვ. 151.

ტებიც. ასეთ შემთხვევაში თავის არსით საქმე შეეხება მთელი სამართალდამცავი სისტემის რადიკალურ გარდაქმნას, რისთვისაც ჯერ-ჯერობით მზად არა ვართ, არც სამართლებრივად და არც ორგანიზაციულად, არც საკადრო თვალსაზრისით. კონკრეტულ პირობებში ასეთ რეორგანიზაციას შეუძლია დაასუსტოს ბრძოლა დანაშაულთან მთლიანად, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან განსაკუთრებით.

საქმე ეხება ფართო უფლებებით აღჭურვილი ორგანოს შექმნას. მოგვიანებით ეს იდეა მიიღეს რუსეთის ფედერაციის კანონპროექტის ავტორებმა „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც მოამზადა უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირის დადგენილებით 1993 წლის 30 ნოემბერს. კანონპროექტის 25-ე მუხლში წამოყენებული იყო წინადადება კომიტეტის შექმნის შესახებ განსაკუთრებით საშიში ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ, რომელიც განახორციელებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და წინასწარ გამოძიებას.

კანონპროექტის ავტორთა აზრით კომიტეტის თავმჯდომარე უნდა დანიშნულიყო ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო დუმის დადგენილებით. გათვალისწინებული იყო აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობების წინააღმდეგ პროფესიულ მოსამსახურეთა სპეციალური შემადგენლობის ორგანიზაცია.

აღნიშნული საკითხის მკვლევართა შორის არ იყო ერთსულოვნება. ასე მაგალითად, „მრგვალ მაგიდასთან“ დისკუსიის დროს, რომელიც გაიმართა კრიმინოლოგიური ასოციაციის ეგიდით, აღმოჩნდნენ აღნიშნული კანონპროექტის მოწინააღმდეგენიც.

როდესაც (1995 წლის ბოლო) ფედერალური კანონი „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მიიღო რუსეთის სახელმწიფო დუმამ და მოიწონა ფედერაციის საბჭომ შრავალრიცხოვანი შესწორებებით და დამატებებით, შეთანხმებული ნორმები კომიტეტის ფუნქციონირების შესახებ ამოღებული იქნა ტექსტიდან (ამ სახითაც კი კანონპროექტი უკუგდებული იქნა რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის მიერ და მუშაობა ამ მიმართულებით შეჩერდა).

და მაინც იდეა კორუფციასთან და ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე საშიშ ფორმებთან ბრძოლის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის აუცილებლობის შესახებ ცოცხლობდა. ბევრი უჭერს მხარს იუსტიციისა და სხვა ორგანოებში ან ცალკე ასეთი სამსხურის შექმნას.

მაგალითად, ცნობილი რუსი კრიმინოლოგი ა. გუროვი, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობდა 80-იან წლებში სსრ კავშირის შს სამინისტროს მეექვსე განყოფილებას, რომელიც ებრძოდა სწორედ კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულს, ახლა იძულებულია დაადასტუროს, რომ „ყველა ჩინოვნიკი როდი შეუძლია აიყვანოს მილიციამ, ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ. სამართალდაცვის ორგახოებში დიდი ხანია ჩამოყალიბდა აზრი: არსებობს კორუფციის განსაზღვრული დონე, რომლის დაძლევა შესაძლებელია. ხოლო შემდეგ? ამ დონეს ზემოთ შეიძლება თავი „შეაკლა“. ამასთან დაკავშირებით ა. გუროვმა წინადადება წამოაყენა „რათა მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას ქვედანაყოფი, რომელიც წინ აღუდგა ხელისუფლების მოსყიდვას“.[1]

ანალოგიური კანონპროექტი ფაქტობრივად უკვე რეალიზებული იქნა რუსეთში 1995 წლის შუა ხანებში, როდესაც პრეზიდენტის სამსახურის ერთ-ერთმა განყოფილებამ გადაწყვიტა ბრძოლა დაეწყო კორუფციასთან და თანამდებობრივ დანაშაულთან მთავრობაში. აი, როგორ ლაკონურად შეაჯამა გაწეული მუშაობა ამ განყოფილების უფროსმა: „ჩვენ არაერთხელ მოვახსენეთ „ერის მამებს“ მომხდარის შესახებ, მაგრამ არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული, ყოველივე დარჩა ისე როგორც იყო“.[2]

იყო წინადადებაც შს ორგანოების სისტემაში ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მოქმედ სპეციალურ დანაყოფებს შეუმცირდეს სტატუსი მათს სისხლის სამართლის სამძებროს ან ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლ დანაყოფთან შერწყმამდე. აღნიშნული წინადადების მომხრეთა ჩანაფიქრით ეს ხელს შეუწყობდა ურთიერთბრალდე-

---

1 ვ. სმირნოვი, აღექსანდრე გუროვი: რუსეთში 400000 ხელშეუხებელი ჭირს. ნოვაია გაზეტა, მ., 1998, 7 დეკემბერი.

2 ვ. სტრელეცკი, ბნელეთისმოციქულობა (რუს.), მ., 1998, გვ. 5-6.

ბების, დაქსაქსულობის დაძლევას, დუბლირებისა და არა ჯანსაღი კონკურენციის აღმოფხვრას ოპერატიული სამსახურების მუშაობაში.

დანაშაულებრივ გაერთიანებებში ორგანიზებულ, კორუმპირებულ კავშირთა არსებობა ხელისუფლების ყველა დონეზე, უაღრესად ართულებს სამართალდაცვის ორგანოთა ბრძოლას კორუფციასთან.

ამიტომაც, კორუფციისა და ორგანიზებულობის მაღალი დონის დანაშაულებრივ ქმედებასთან ბრძოლის ეფექტიანობა, რომელიც ხორციელდება საერთო კომპეტენციის სამართალდაცვის ორგანოთა სისტემის სპეციალიზებული დანაყოფების ჩარჩოებში (მაგ. შსს) მთელ რიგ მიზეზთა გამო ეცემა, რამდენადაც ადგილი აქვს შემდეგ გარემოებებს:

ჯერ-ერთი, სამართალდაცვის ორგანოთა ხელმძღვანელებს ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე გადააქვთ ქვედანაყოფებზე და ამით არსებითად აფართოებენ მთავარი ამოცანების გადაწყვეტას, რამდენადაც ქვედანაყოფები აშკარად ვერ ართმევენ თავს წარმოშობილ სიძნელეებს, სახელდობრ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გამოვლენასა და მათი აქტიურობის აღკვეთას, აგრეთვე წარმატებულ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ;

მეორე, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური საუწყებო ნორმატიული აქტების შესაბამისად და მისადმი დაქვემდებარებული დანაყოფები აწარმოებენ ბრძოლას ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ხელისუფლების ორგანოებში (მათ შორის შეძლებისდაგვარად „ზემოთაც“);

მესამე, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ქვედანაყოფთა პირადი შემადგენლობა რეგულარულად ებმება სხვა, მეორეხარისხოვანი არა ძირითადი ამოცანების (მოცემული დანაყოფებისათვის) გადაწყვეტაში, რომლებიც ეკისრება სხვა სამსახურებსა და უწყებებს;

მეოთხე, უწყების ხელმძღვანელთა ხშირი გადაადგილებისას, რომლის სტრუქტურაშიც შედის ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური

არც თუ იშვიათად ადგილი აქვს მიდრეკილებას, დანიშნოს კადრები „საკუთარი გუნდიდან“, უწყების ხელმძღვანელთა პირადი ერთგულების პრინციპით. ამის შედეგად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ხვდებიან პირები, რომელთაც არა აქვთ მუშაობის გამოცდილება აღნიშნულ სამსახურში.

მაგალითად, რუსეთის შს სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების 28 პროცენტს, პირველ მოადგილეთა მესამედს არა აქვთ პროფესიული განათლება და სახელმწიფო სამსახურის სათანადო გამოცდილება.

ანრი მენდრა, პარიზის პოლიტიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანამშრომელი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში სათავეში ედგა გამოკვლევებს შედარებით სოციოლოგიაში დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მაგალითზე აღნიშნავდა: „როდესაც დირექტორი გადადის ერთი სამსახურიდან მეორეში, მას ჩვეულებრივ თავისთან მიჰყავს ერთგული თანამოსამსახურენი, თავისი არმიის მეთაურთა შემადგენლობა, სხვა სიტყვებით — თავისი კლიენტები, რომლებიც მისი ერთგულებია, იმიტომ, რომ იგი კარიერას იკეთებს. კლიენტთა ხელშეწყობით ასეთ ხელმძღვანელს ძალაუფლება აქვს: ერთის ძალაუფლება და სხვათა კარიერა ხელიხელჩაკიდებულია.“[1]

როგორც ვხედავთ, კადრების დანიშვნის „მბრძანებლურ პრინციპს“ აქვს ობიექტური სოციალურ-ფსიქოლოგიური წანამძღვრები. ამოცანა სწორედ ის არის, რომ რეალურად შეიზღუდოს აღნიშნული პრინციპის მოქმედება განსაზღვრულ დაგონივრულ ზღვრამდე. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნების პოლიციაში გამოიყენება ზოგიერთ თანამდებობაზე კანდიდატთა არჩევითობა და გარკვეული თანამდებობების კონკურსით დაკავება;

მეხუთე, თანამდებობაზე ყოფნის მცირე დრო ხელმძღვანელს აიძულებს მოერიდოს ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებებს, რაც სერიოზულ მოსამზადებელ მუშაობას მოითხოვს. ცვლილებანი რამდენიმე წლის შემდეგ იჩენს თავს. არც თუ იშვიათად ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მოსდევს საგრძნობი ნეგატიური შედეგები.

---

1 ა. მენდრა, სოციოლოგიის საფუძვლები (რუს.), მ., 1999, გვ. 225.

ანტიკორუფციული სამსახური არცერთ სამინისტროში თუ უწყებაში არ უნდა შეიქმნეს, იგი ყველასაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს და მოქმედებდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზუსტი დაცვით და არა ვინმეს კარნახით ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან. სწორედ ასეთი პირობით შეუძლია მას „აიყვანოს“ ნებისმიერი კორუმპირებული მთავრობიდან, პარლამენტიდან და ა. შ. სხვანაირად კორუფცია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების „შავი ჭირი“ ვერ დაიძლევა.

აღნიშნული სამსახურის დამოუკიდებლობას თან ახლავს მთელი რიგი სხვა ობიექტური უპირატესობანი. დამოუკიდებლობა ამაღლებს ოპერატიულ (თანაბრად საგამოძიებო) მუშაკთა სოციალურ სტატუსს, აძლიერებს მათდამი ნდობას, ამიოლებს მუშობას მოწმეებთან და დაზარალებულებთან, ამარტივებს თანამდებობის პირებთან, სხვა უწყებებთან კონფიდენციალური ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებას.

ამასთან კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან რეალური ბრძოლის გაფართოება ხელს შეუწყობს პროფესიულ მუშაკთა დენადობის შემცირებას, რომლებიც თავიანთი მორალური და საქმიანი თვისებებით გამოსადეგია მოცემული მოღვაწეობისათვის.

ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობა უფლებას აძლევს ისარგებლონ მოქალაქეთა საიდუმლო (ფარული) სამსახურით, მათი თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად. როგორც პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, ამნაირად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და სხვა დახმარება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებაში ხშირად გადამწყვეტია დამნაშავეთა გამომჟღავნებისათვის;

მეექვსე, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება შეიძლება განხორციელდეს რაიმე საგანგებო სამართლებრივი აქტების მიღების, სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვის გარეშე, მოქმედი ოპერატიულ-სამძებრო კანონმდებლობის საფუძველზე, ჩვეულებრივი სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენებით.

ისეც ხდება, რომ ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღძრულია ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის ადგილობრივი ქვედანაყოფების მიერ, წყდება და უკან ბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის.

თუ კი შეიქმნება ახალი დამოუკიდებელი სამსახური ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ, იგი მოითხოვს საკანონმდებლო დამკვიდრებას;

მეშვიდე, როდესაც რეგიონებში კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ქვედანაყოფთა უფროსები ექვემდებარებიან არა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს, პროვინციულ პოლიტიკურ ლიდერებს, არამედ უშუალოდ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას;

მერვე, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის მიზანშეწონილობა და საჭიროება გამომდინარეობს საერთაშორისო გამოცდილებიდან და შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. გაეროს VIII კონგრესმა (1990 წ.) შეიმუშავა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპები. ამასთან ამ დოკუმენტის მე-2 მუხლი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, გაეროს წევრებს ესწრაფონ სპეციალური დაწესებულებებისა და მექანიზმის შექმნას კორუფციასთან საბრძოლველად, ხოლო მე-12 მუხლით მათ ევალებათ განიხილონ სპეციალური უწყებათაშორისი დაწესებულების შექმნის საკითხი, რომელიც კონკრეტულად იქნება დაკავებული კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებით.

არის შედარებით ნაკლებად გავრცელებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დამოუკიდებელი სამსახურის შექმნით დაქვეითდება, შესუსტდება ურთიერთობა ოპერატიულ სამსახურებთან, ან უწყებასთან (შსს სამინისტროსთან), საიდანაც „იკვირტება“ ხსენებული სამსახური.

აი მაგალითად, როგორ ახსნა ასეთი მოსაზრება პროფ. მ. სახაროვმა: „შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა ქვედანაყოფებს, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის სპეციალისტდებიან, აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი უწყების ქვედანაყოფთა კო-

ორდინირება, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინებებს უპირისპირდებიან... ერთდროულად გააჩნიათ შესაძლებლობა აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენონ მათი ძალები და საშუალებები. ოპერატიული დანაყოფების დამოყოფის პირობებში და მათგან დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია.“[1]

ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რამდენადაც მოცემული არგუმენტი არ ითვალისწინებს: ჯერ-ერთი, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელი როლის საკანონმდებლო დამკვიდრებას დამატებითი ძალებისა და საშუალებების მოსაზიდად, ბრძოლაში ჩასაბმელად და ა. შ.

მეორე, კომბინირებულ ვარიანტს, რომლის მეშვეობითაც დამოუკიდებელი ორგანო იქმნება არა სპეციალური ქვედანაყოფების ნაცვლად ცალკე უწყებათა ფარგლებში, არამედ ფუნქციონირებს მათთან (პარალელურად) ერთად;

მესამე, აღმოცენდება დამატებითი ფინანსური და სხვა მატერიალური ხარჯების აუცილებლობა სამსახურის დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის. იგულისხმება, რომ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა „ნულიდან“, მოითხოვს არც თუ ისე მცირე დროს, სერიოზულ ფინანსურ და სხვა ხასიათის დანახარჯებს, მისი დაკომპლექტებისას კადრებით. მაგრამ თუ კი საკითხი შეეხება სამსახურის ფორმირებას უკვე არსებულ დანაყოფთა საფუძველზე, მაგალითად შს სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ბაზაზე, ამოცანები მნიშვნელოვნად მარტივდება. თუმც გარკვეული სირთულეები აქაც გარდუვალია;

მეოთხე, ასევე გარდუვალია გარკვეული პოლიტიკური ძალისხმევა, თუ საკითხი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის შესახებ გადატანილი იქნება პრაქტიკულ ჭრილში, დარწმუნებით შეიძლება მოველოდეთ ასეთ შედეგებს: ურთიერთმებრძოლი პოლიტიკური ძალები შეეცდებიან სამსახურის ხელმძღვანელობის დანიშვნასა და მის მოქმედებაზე კონტროლის ისეთი მოდელის შექმნას, რომე-

---

1 ორგანიზებული დანაშაული, 2 (რუს.) მ., 1993, გვ. 198.

ლიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ერთ-ერთი ძალიდან საგრძნობი ზეგავლენა ქმნად სამსახურზე, პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისათვის. თუ ერთ-ერთი მხრიდან პროექტი მოიპოვებს უპირატესობას, არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ სხვები გაძოველენ არა მხოლოდ ამ კონკრეტული მოდელის წინააღმდეგ, არამედ პრინციპულად თვით იდეის წინააღმდეგაც. გამორიცხული არ არის აგრეთვე საწინააღმდეგო მოსაზრებები სამსახურის ავტონომიურობის იდეის წინააღმდეგ (რაც საკმაოდ ძლიერია).

უდაოა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის

უდავოა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის ჩამოთვლა ცხადია, არასრულია. აქ გათვალისწინებულია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. მოტანილი მასალიდან და არგუმენტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენთან შესაძლებელია მოხდეს ორგანიზებული დახაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოთა კომბინირებული ფორმირება. ეს ბრძოლა უნდა განახორციელოს სახელმწიფოს ყველა ორგანომ თავიანთ რწმუნებათა ფარგლებში, განსაკუთრებით კი სამართალდაცვის სტრუქტურათა სპეციალიზებულმა დანაყოფებმა.

ანტიკორუფციული სამსახური თუ შევა რომელიმე უწყებაში და ხდება იქვე მისი დაუსაბუთებელი რეორგანიზაცია, თუნდაც მისი ახალი სტატუსის დამკვიდრება, იგი მხოლოდ ფორმალურ-იურიდიულად იქნება დამოუკიდებელი, ფაქტობრივად დაექვემდებარება უწყების თუ სამინისტროს ხელმძღვანელს და არ არის გამორიცხული გაუთავებელი დარიგება და „ჭკუის სწავლება“. ამიტომ, რეალურად დამოუკიდებელი აღნიშნული სამსახური საჭიროა ცალკე არსებობდეს და არ უნდა შედიოდეს რომელიმე სამინისტროს თუ უწყების შემადგენლობაში. შეიძლება კითხვა დაიბადოს: რა უნდა აკეთოს გენერალურმა პროკურატურამ? კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა მას უამრავი ამოცანები აკისრია, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ისინი დაწვრილებითაა განსაზღვრული ორგანულ კანონში პროკურატურის მიერ. გასაგები მიზეზების გამო გენერალური პროკურატურა უნდა გათავისუფლდეს აღნიშნული „ზრუნვისაგან“ და იგი მიენდოს სპეციალურ, დამოუკიდებელ სამსახურს, რომელიც პა-

სუხისმგებელი იქნება წარმომადგენლობითი ორგანოს, ფარ-თო საზოგადოებრიობის წინაშე. ბუნებრივია მას მჭიდრო კო-ნტაქტი ექნება სამართალდაცვის სხვა ორგანოებთან, უწინა-რეს ყოვლისა პოლიციასთან, რომელსაც სამსახურის არგუ-მენტირებული მოთხოვნით, სასამართლოს სანქციის საფუძ-ველზე შეეძლება კორუფციულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაპატიმრება. ასეთ შემთხვევაში კანონის ძალით სამსახურს უფლება მიეცემა აღძრას სისხლის სამართ-ლის საქმე, ჩაატაროს წინასწარი გამოძიება, დანაშაულში ეჭ-ვმიტანილს სათანადო მტკიცებულებათა საფუძველზე ბრა-ლდება წაუყენოს და გადასცეს სასამართლოს კანონით გათვა-ლისწინებული განაჩენის გამოსატანად.

ევროსაბჭოს 1999 წლის „სისხლისსამართლებრივი კო-ნვენცია კორუფციის შესახებ“ ავალდებულებს წევრ-ქვეყ-ნებს დააწესონ სპეციალური ორგანოები კორუფციასთან საბ-რძოლველად, რომელთაც ექნებათ განსაკუთრებული სტატუ-სი და აღჭურვილი იქნებიან მნიშვნელოვანი რწმუნებებით.

ამ ორგანოებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუცილებელი დამოუკიდებლობა იმ ანგარიშით, რათა დაცუ-ლი იქნეს გარედან რაიმე ზეგავლენისაგან და შეიქმნას რეა-ლური პირობები, მათ მიერ თავიანთი ფუნქციების ეფექტი-ანი განხორციელებისათვის (მუხლი 20).

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირობები, რათა მი-სმა ყველა ორგანომ ითანამშრომლოს იმ სამსახურებთან, რო-მელებიც პასუხისმგებლებია გამოძიებისა და სისხლისსამართ-ლებრივი დევნისათვის. ასეთი თანამშრომლობა ავალდებუ-ლებს ყველა სახელმწიფო ორგანოს საკუთარი ინიციატივით მოაწოდოს ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს, როდესაც „არსებობს საკმაო საფუძვლები“ და ჩაითვლება, რომ ჩადე-ნილია კორუფციული დანაშაული. სახელმწიფოს ყველა და-წესებულება ვალდებულია გამოძიების ორგანოს პირველი მო-თხოვნისთანავე წარუდგინოს მთელი აუცილებელი ინ-ფორმაცია.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებშიც დამკვი-დრდა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სტრუქტურები (დამოუკიდებელი პროკურორის ინსტიტუტები აშშ-სა და სა-ფრანგეთში, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული კომისი-

ები სინგაპურში, მალაიზიაში, ტაივანზე და სხვაგან), თვალსაჩინო მიღწევებია კორუფციასთან ბრძოლაში.

ხელისუფალთა პოლიტიკური ნებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი სოციალურ-სამართლებრივი კონტროლის არ არსებობა იყო და რჩება ყველა, განსაკუთრებით კორუფციული დანაშაულის სერიოზულ მიზეზად.

სოციალურ-სამართლებრივი კონტროლი არ შეიძლება განვიხილოთ უთუო რეპრესიულ ღონისძიებათა სახით. იგი კრიმინალური, გამაფრთხილებელი, სამოქალაქო-სამართლებრივია, რამდენადაც ითვალისწინებს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ორგანიზაციას ზუსტად შემუშავებული და დემოკრატიული გზით მიღებული კანონების საფუძველზე.

ჩვენი ობიექტური და სუბიექტური სიძნელეების პირობებში დემოკრატიული სოციალურ-სამართლებრივი კონტროლი საქართველოში ჯერ-ჯერობით პრობლემატურია და მისი ჩამოყალიბება დიდ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს აწყდება. არსებითად ეს უნდა იყოს ფართო ხასიათის კონტროლი: ეკონომიკური და ფინანსური, საბიუჯეტო და სავალუტო, საექსპორტო და მიგრაციული, ეკოლოგიური და სანიტარული, აგრეთვე საპროკურორო და სასამართლო. ასეთი კონტროლის შედეგები (როდესაც იგი ჩამოყალიბდება და პრაქტიკულად იქნება რეალიზებული) გულდასმით უნდა გაანალიზდეს და გამოყენებული იქნეს ანალიტიკურ, პროგნოზისტულ და სამმართველო მოღვაწეობაში.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ დასამკვიდრებელი კონტროლის დარეგულირების გარკვეული საფრთხეც: კონტროლს შეიძლება მოჰყვეს სამმართველო პროცესის ბიუროკრატიზაცია, ეკონომიკური ინიციატივის დაბრკოლება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესაძლო დარღვევა. განსაკუთრებით საშიშია თვითნებური, პირად განწყობილებაზე დამყარებული კონტროლი.

საჭიროა ეკონომიკურ-კორუფციულ დანაშაულზე ზემოქმედება გამჭვირვალობის უმკაცრესი დანერგვის გზით. ყოველგვარი საჯაროობის (გამჭვირვალობის) წესის დარღვევა განხილული უნდა იქნეს როგორც კორუფციული ქმედება. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიტერიუმია არა მიღებული გადაწყვეტილების სარგებ-

ლიანობის შეფასება, რაც ძნელდება და შეიძლება დემაგოგიად გადაიქცეს, არამედ აღნიშნული გადაწყვეტილების გამჭვირვალობა. ამისათვის შეიძლება მიღებული იქნეს არანაკლები სანქციები, ვიდრე სხვა, კერძოდ თვით კორუფციულ დანაშაულზე, რათა საჯაროობის (გამჭვირვალობის) დარღვევა ჩაითვალოს დანაშაულებრივ ქმედებად.

კორუფციის შესახებ მოსკოვში შემდგარ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (1999 წლის სექტემბერი) დასახელებული იქნა რუსეთის მთავრობის ფარული გადაწყვეტილება, რომლითაც გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში კერძო პირების მიერ პრივატიზებული იქნა „გაზპრომის“ აქციათა 60% (აქციების 1 პროცენტი იმ წლებში ღირდა დაახლოებით 1 მილიარდ დოლარამდე). გაზეთი „იზვესტია“ შეეცადა საკითხის გარკვევას, გადმობეჭდა რა მასალა ფრანგული „მონდიდან“ მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარის, „მთავარი გაზავიკის“ ვ. ჩერნომირდინის უზარმაზარი ქონების შესახებ. 1994 წელს, ნოემბრის თვეში, რუსეთის ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. პოლივანოვმა მოამზადა მოხსენებითი ბარათი კორუფციული პრივატიზაციის შესახებ. „გაზპრომის“ გაყიდვის გარდა იქ ნათქვამი იყო „ურალმაშის“ აქციების 51 პროცენტის ყიდვის შესახებ ერთი პიროვნების მიერ, ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის გაყიდვის შესახებ 250-ჯერ უფრო იაფად, ვიდრე მისი რეალური ღირებულებაა, კრასნოიარსკის ალუმინის ქარხანა გაიყიდა 300-ჯერ იაფად მის ღირებულებასთან შედარებით.[1] მოხსენებით ბარათს ჰქონდა თავისი შედეგი: სამი დღის შემდეგ პოლივანოვი დაითხოვეს სამსახურიდან. საქართველოში ბოლო ხუთი წლის მანძილზე ბევრი მინისტრი თუ მათი მოადგილე შეიცვალა. ყველა ისინი „მაძლარნი“ წავიდნენ დაკავებული პოსტებიდან. დანაშაულებრივი ქმედებისა და ბოროტმოქმედების ჩადენისათვის ციხეში გაგზავნის ნაცვლად, ზოგიერთი მათგანი არანაკლებ „თბილ ადგილზე“ მოკალათდა. სამწუხაროდ მათ შემცვლელებსაც არ გამოუჩენიათ თავი პატიოსნობითა და პროფესიონალიზმით,

---

1 იხ. ვ. პოლივანოვი, დიდი ტყუილის ტექნოლოგია (რუს.), მ., 1995, გვ. 8-17.

კორუფციული პრივატიზაციის მხილებით, როგორც ეს გაკეთა მაგალითად პოლივანოვმა.

საყურადღებოა, რომ ზემოთ აღნიშნული ცნობილი კრიმინოლოგი ა. გუროვი დღეს რუსეთის სახელმწიფო დუმის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა. ინტერესს იმსახურებს მისი პასუხები, რომლებიც მან გასცა კითხვებზე, 2001 წლის ივნისში, გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტს, თუ როგორ აფასებდა იგი კორუფციასთან დაკავშირებულ სიტუაციას რუსეთში.

ა. გუროვის აზრით „თანამედროვე რუსეთში კორუფცია ცხოვრების წესად იქცა“. მას ასეთი მაგალითი მოჰყავს: „შს სამინისტრომ ჩაატარა ექსპერიმენტი: კამერაზე დააფიქსირეს საგზაო მოძრაობის ასი შემთხვევა. მხოლოდ სამ შემთხვევაში მძღოლებმა არ შესთავაზეს საგზაო მილიციის თანამშრომელს ქრთამი... „შავ ბუღალტერიაში“ ფულადი სახსრებია საგადასახადო მუშაკებისათვის, მეხანძრეებისათვის და სხვა შემმოწმებლებისათვის მისაცემად. თვლიან რომ ასე უნდა იყოს. „რა არის კორუფცია დღეს“? კითხვას სვამს ა. გუროვი და პასუხობს: „სტატისტიკის მიხედვით ეს მხოლოდ ორი ათასი ქრთამია წელიწადში, რამდენადაც სწორედ ამდენი აღიძრება სისხლის სამართლის საქმე. სინამდვილეში ეს მხოლოდ აისბერგის ხილული ნაწილია. საქმის აღძვრა ძალზე ძნელია, რამდენადაც თანამდებობის პირის და პირის ქმედება, რომელიც ეძებს მფარველობის მიზნით მასთან გარიგებას, დამალულია. ჭეშმარიტი კანონი კი იქითკენ არის მიმართული, რომ საზოგადოებამ იცოდეს ჩინოვნიკისა და მისი ოჯახის რეალური შემოსავალი და გასავალი“.[1]

მასვე დაუსვეს ასეთი კითხვა: „თუ კი კორუფცია ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ემუქრება, სამჯერ რატომ ჩაადეს კანონი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“? პასუხი: „ერთი მხრივ გარკვეული ძალები წინ აღუდგნენ კანონის მიღებას, მეორე მხრივ ბევრს ეშინოდა, რომ ჩინოვნიკთა განსაზღვრული ნაწილი „ცულის ქვეშ“ მოხვდებოდა, შევნიშნავ, არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცულის ქვეშ, კანონი მიუთითებს მხოლოდ სს კოდექსის ნორმე-

---

1 იზვესტია, 14 ივნისი, 2001 წ.

ბზე. კანონი ითვალისწინებს დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას შემოსავლების დამალვისათვის. ნორმალურ ადამიანს, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მოვიდა პატიოსნად რომ იმუშაოს, კანონი არაფრით არ ემუქრება. იგი უქმნის აუტანელ პირობებს მხოლოდ მათ, რომელთაც ქვეყნის სამსახური ესმით როგორც ფულით ჯიბეების გავსება".[1]

ა. გუროვი თვლის, რომ აღნიშნულში უჩვეულო არაფერია. რომ მთელი მსოფლიო ასე ცხოვრობს და რუსეთიც საერთაშორისო გამოცდილების გზით წავა. პრეზიდენტი დათანხმდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებას, ჩვენი კანონიც იქიდან გამოდის და მისი განვითარებაა, თქვა ა. გუროვმა. „კანონის მიღებით ჩვენ მსოფლიო თანამეგობრობას, საზოგადოებრიობას განუცხადებთ: შეხედეთ, ჩვენ დავიწყეთ სერიოზული ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ. ეს კანონი არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია. აშშ-ში მაგალითად ჩინოვნიკს არ შეუძლია ვინმესთან ერთად რესტორანში შესვლა. იქ მაგალითად კორუფციად ითვლება თუ უფროსი სესხს იღებს ხელქვეითისაგან. ჩვენთან კი ასეთ ნორმები ეგზოტიკურია".[2]

მასვე ეკითხებიან თუ რამდენადაა იგი დარწმუნებული, რომ კანონი აღმოფხვრის კორუფციას? მისი აზრით რა თქმა უნდა კანონი თავისთავად ვერ აღმოფხვრის კორუფციას, როგორც მოვლენას. ერთდროულად საჭიროა სხვა კანონებიც. „მაგრამ სპეციალური კანონის მიღება, რომელიც სამი წელი ბლოკირდებოდა ელცინის მიერ მძლავრ პრაქტიკულ იმპულსს გამოიწვევს". იმ და სხვა კანონებში მოცემულია ხელისუფლების სერიოზული ცდები კორუფციის საწინააღმდეგოდ. ა. გუროვი დაასკვნიდა: „ჩვენ ზოგჯერ ვიტყუებთ, რომ პროფილაქტიკა უფრო ეფექტურია, ვიდრე სასჯელი. ძველი წესი — უკეთესია თავიდან ავიშოროთ დანაშაული, ვიდრე მისთვის დავსაჯოთ, დღეს აღარ მოქმედებს. ახლა უფრო პოპულარული გახდა სხვა ფრაზები: არის მილიონი — მა-

---

1 იზვესტია, 14 ივნისი, 2001 წ.

2 იქვე.

შასადამე, შენ კანონის იურისდიქციის გარეშე ხარ. ეს კი შემაშფოთებელია“.[1]

საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი ვაჭრობისა და დემოკრატიის პირობებში, როგორც უკვე ვნახეთ, კორუფცია არ დაიყვანება მექრთამეობისა და ბოროტმოქმედების შედარებით პრიმიტიულ სახეობებამდე, რომლებიც ცალკეული ქვეყნების სს კოდექსებშია ასახული. ზოგიერთი სხვა ქვეყნისა და საქართველოს სს კოდექსში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკაში ისეთი ფართოდ გავრცელებული კორუფციული ქმედებანი, როგორიცაა:

ა. კორუფციული პროტექციონიზმი;

ბ. პოლიტიკური მიზნებისათვის საიდუმლო შენატანები;

გ. კორუფციული ლობიზმი;

დ. შენატანები არჩევნებში, შემდეგში სახელმწიფო თანამდებობის მიღების მიზნით;

ე. პრივატიზაციის, აქციონერობის, საგირავნო აუქციონთა საიდუმლო გატარება;

ვ. საგადასახადო და საბაჟო შეღავათების უკანონოდ მიცემა;

ზ. სახელმწიფო სამსახურის შეთავსება კომერციულ საქმიანობასთან და ა. შ.

კანონმდებლობის წესით აუცილებელია გადაწყდეს საკითხი (რეალურად და არა „ქაღალდზე“) თანამდებობის პირთა მიერ მონაცემთა წარდგენის შესახებ მათი ოჯახის წევრების ქონებრივ მდგომარეობაზე.

სახელმწიფო მოხელეთა და მათი ოჯახების წევრთა შემოსავალსა და ქონებაზე ფინანსური კონტროლი არსებობს ყველა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანაში და თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსში. (მაგალითად, ასეთია ბუსტამანტეს კოდექსი — საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონალური კოდიფიკაცია ლათინური ამერიკისათვის, რომელიც მოამზადა სანჩეს დე ბუსტამანტე-ი-სირვენა ანტონიომ (1865-1951 წწ), კუბელმა იურისტმა — საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა და დიპლომატმა).

---

1 იზვესტია, 14 ივნისი, 2001 წ.

აღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო თანამდებობის პირნი, მათი სამსახურებრივი მდგომარეობის შესაბამისად და როგორც ნებადართულია ან მოთხოვებათ კანონით და ადმინისტრაციული წესებით, ასრულებენ მოთხოვნებს მონაცემებზე პირადი აქტივებისა და ვალდებულებათა, აგრეთვე შეძლებისდაგვარად მეუღლის (მეუღლეების) ან კმაყოფაზე მყოფთა აქტივებისა და ვალდებულებათა შესახებ“.[1]

ჩვენთან იყო ცდა გაცხადებულიყო თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობა, საპარლამენტო კომისიაც კი შეიქმნა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. თავის დროზე აღნიშნულ საკითხზე კანონიც კი მიიღო რუსეთის ფედერალურმა კრებამ, თან არა ერთგზის, მაგრამ ყოველთვის უკუგდებული იქნა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მიერ ხელოვნურად გამოგონილი მიზეზით, რამეთუ თვითონ იყო ყველაზე დიდი კორუფციონერი. ბოლოს და ბოლოს საზოგადოებამ და ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა დაძლიოს ცნობილ კორუფციონერთა წინააღმდეგობა. კანონებით გათვალისწინებული სანქციებით არსებითად და რეალურად უნდა გაფართოვდეს ქონების კონფისკაციის მოთხოვნა. საჭიროა სპეციალური კანონი დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების კონფისკაციის შესახებ.

რუსეთის ფედერაციამ 1999 წლის იანვარში ხელი მოაწერა ევროპულ კონვენციას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე კორუფციისათვის. სასარგებლო იქნებოდა საქართველოსათვის აღნიშნულ კონვენციაზე ხელის მოწერა. ეს დააჩქარებდა ანტიკორუფციული კანონმდებლობის ამოქმედებას.

საჭირო და აუცილებელია კორუფციული ხვრელების გამოვლენა და დროული დაგმანავა, ვინაიდან კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებში ხარვეზების, სხვადასხვა სახის ნაკლოვანებების დაშვება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობს კორუფციული და სხვა სახის დანაშაულის ზრდას. ამიტომ საჭირო იქნება ჩატარდეს კანონების კრიმინოლოგიურ-ეკონომიკური ექსპერტიზა, მათი საბოლოო

---

1 ჟურნ. გოსუდარსტვო ი პრავო, 1996, №8, გვ. 89-91.

დამუშავებისა და მისაღებად მომზადების სტადიაზე. მაგალითად, ამ სამიოდე წლის წინათ რუსეთში შემუშავდა დებულების პროექტი კახონთა კრიმინოლოგიური ექსპერტიზის შესახებ უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, მაგრამ იგი მაინც არ იქნა მიღებული.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა პრაქტიკოს იურისტებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის. მათ მონაწილეობა მიიღეს 1999 წლის 9-10 სექტემბერს შემდგარ ქ. მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციაზე გამოვიდა 60-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის რუსეთიდან, აშშ-დან, ჩინეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

რუსეთში მაგალითად მოქმედება იწყო საერთაშორისო ანტიკორუფციულმა ორგანიზაციამ ტრანსპარენსი ინტერნეიშლ-მა (საერთაშორისო გამჭვირვალობა), რომელმაც გამოაქვეყნა სახელმძღვანელო ქცევის საერთო სახელმწიფოებრივი ეთიკის შესახებ (ქცევის საერთო სასელმწიფოებრივი ეთიკის სისტემები, სახელმძღვანელო, ტრანსპარენსი ინტერნეიშნილ, მ. (რუს., 1999), რომელშიც განზოგადებულია მსოფლიო გამოცდილება სინდისიერებისადმი მოხელეთა ზიარების საკითხში. რუსეთშივე გამოსვლა იწყო შინაარსიანმა ჟურნალმა „სუფთა ხელები“ («Чистые руки»). საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სისტემატურად ამჟღავნებენ სხვადასხვა რანგის (მათ შორის პირებს მმართველობის მაღალი ეშელონიდან) კორუფციონერებს. რამდენადმე გამოცოცხლდა სამართალდაცვის ორგანოთა ანტიკორუფციული საქმიანობა და მაინც ყოველივე აღნიშნული „ზღვაში წვეთი“ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ თანდათან ყალიბდება მძლავრი საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფო თანამდებობის პირთა გამყიდველობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მასშტაბით კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლას ეწევა უკვე აღნიშნული არაკომერციული, არასამთავრობო, პოპულარული ორგანიზაცია ტრანსპარენსი ინტერნეიშნლ-ი, რომელიც 1993 წელს დაარსდა და შტაბ-ბინა აქვს ქ. ბერლინში. მან მალე ჰპოვა მხარდაჭერა, რო-

გორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, მთავრობებისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან.

ტრანსპარენსი ინტერნეიშნლი ენერგიულად იბრძვის კორუფციის ასალაგმავად, საერთაშორისო მასშტაბით ანტიკორუფციულ ძალთა გაერთიანებისათვის, რომლებიც მიისწრაფიან საერთაშორისო და ეროვნულ ნიადაგზე ქცევის საერთო-სახელმწიფოებრივი ეთიკის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტი ეწევა საქმიანობას თავისი ეროვნული განყოფილებების შემწეობით, რომლებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია. დღეისათვის მათმა რიცხვმა 70-ს გადააჭარბა. ეს განყოფილებები საკუთარ სტრატეგიას ამუშავებენ თავის ქვეყნებში, რამდენადაც ეროვნულ განყოფილებათა თანამშრომლებმა უკეთ იციან, როგორ ებრძოლონ კორუფციას საკუთარ ქვეყანაში, მათ იციან თავისი საზოგადოებისა და ქვეყნის თავისებურებანი და რეალიები, თუ როგორ უნდა ებრძოლონ კორუფციას და დაძლიონ იგი. ამ მხრივ კერძოდ ბევრი სასარგებლოს გაკეთება შეუძლია ტი-ს რუსეთის ადგილობრივ განყოფილებას „მსოფლიო კორუფციის გარეშე".

ასრულებს რა მის წინაშე მდგომ ამოცანებს ტრანსპარენსი ინტერნეიშნლი არ აწარმოებს გამოძიებას ან „გამომჟღავნებას", არამედ თვალყურს ადევნებს იმ დაწესებულებათა საქმიანობას, რომლებიც მოწოდებული არიან ებრძოლონ კორუფციას, ცდილობს აამაღლოს ამ ბრძოლის ეფექტიანობა. ტი-ს საქმიანობა მიმართულია სისტემების და არა კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ ტი-ს მიდგომა პრობლემისადმი მართლაც რომ უნიკალურია და შედგება ოთხი მთავარი ელემენტისაგან:

1. ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო კოალიციების შექმნა, რომლებიც მოიცავენ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებას და კერძო სექტორს, რათა ებრძოლონ შინაგან და საერთაშორისო კორუფციას;

2. მოღვაწეობის კოორდინირება და ამ მიზნით ტი-ს ეროვნული განყოფილებებისათვის მხარდაჭერა;

3. დახმარება (ეროვნულ განყოფილებებთან ურთიერთმოქმედებაში) ქცევის საერთო სახელმწიფოებრივი ეთიკის ეფე-

ქტური სისტემების შემუშაებასა და პრაქტიკაში დასანერგავად.

4. შეკრება, ანალიზი და გავრცელება ინფორმაციისა, რომელიც განამტკიცებს საზოგადოებრივ აზრში საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაზე კორუფციის ზემოქმედების დამანგრეველი ხასიათის გაგებას.[1]

ტ ი-ს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა პირველად ინგლისურ ენაზე 1996 წელს სახელმძღვანელოს გამოცემა „ქცევის საერთო სახელმწიფოებრივი ეთიკის სისტემები“. ეს მასალათა კრებულია, რომელიც ეძღვნება კორუფციასთან ბრძოლის თეორიას და მეთოდებს, მოქმედი პროექტია. 1998 წლის დეკემბერში მომზადდა მისი მესამე გამოცემა. იგი ითარგმნა მსოფლიოს ძირითად ენებზე (მათ შორის ჩინურზე) და რაც თავისთავად მნიშვნელოვანია მრავალ ქვეყანაში ადაპტირებულ იქნა ადგილობრივ პირობებთან.

გლობალიზაციის საუკუნეში ყველაზე გავლენიანი მოქმედი პირებია მთავრობები, საქმიანი წრეები და სამოქალაქო საზოგადოება. ჭეშმარიტ ძალად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მეცნიერებმა აღიარეს სწორედ სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ახასიათებთ მოქნილობა და შეუძლიათ იმოქმედონ გაბედულად საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის. ეს გაბედულება, მიზანსწრაფულობა. აძლევთ მათ არსებით უპირატესობას. საზოგადოებრიობა უფრო მეტად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ენდობა, რამდენადაც მთავრობებისაგან ან საქმიანი წრეებისაგან განსხვავებით, მათ არა აქვთ ქონებრივი ინტერესები პროექტებში, სადაც ჩადებულია უზარმაზარი საზოგადოებრივი ფულადი სახსრები.

როდესაც რამოდენიმე წლის წინათ დოქტორ მჰრშალ მიკლოშს — ტ ი-ს აღმასრულებელ დირექტორს — მოსკოვში ყოფნისას შეეკითხნენ: „როგორ შეიძლება კორუფციის პრობლემის გადაწყვეტა რუსეთში“? მან უპასუხა: „მე არ ვიცი რატომ თქვენ არ შეეკითხებით თვით რუსებს? ეს ავადმყოფობა

---

1 იხ. კორუფციის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, გვ. 173-174.

ანგრევს თქვენს საზოგადოებას. დრო მოვიდა რუსეთის საზოგადოებისა და მთავრობის სრული განახლებისათვის, ნდობის აღდგენისათვის საზოგადოებრივი თანამდებობის პირებსა და ხალხს შორის. ვისაც ეს შეუძლია, ყველანი აქ არიან. ჩვენ როგორც მსოფლიო თანამეგობრობის წარმომადგენლებს შეგვიძლია მოგამარაგოთ თქვენ ინსტრუმენტებითა და ფულით ამ მუშაობისათვის, მაგრამ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნება უნდა გადაწყდეს, ეს პრობლემა უნდა ჩამოყალიბდეს აქ, რუსეთში".[1]

მანვე მოუწოდა ყველას, ვისაც აინტერესებს ბრძოლა კორუფციასთან, შეუერთდეს ტი-ს რუსეთის განყოფილების ჩამოყალიბებული ეროვნული ორგანიზაციის შექმნის საქმეში, რომელსაც უნარი ექნება განკურნოს საზოგადოება და ქვეყანა ამ ავადმყოფობისაგან.

---

1 კორუფციის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, გვ. 177.

თავი მეოთხე

კორუფცია საქართველოში

§ 1. კორუფციის ქართული ფენომენი

1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში დაიბადა არა ახალი სახელმწიფო სისტემა, არამედ ძველი დაინგრა. დაჩქარდა ყველა ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტის დაშლის პროცესი, რაც იმ დროისათვის თითქმის ყველას მიერ აღქმული იყო როგორც სიკეთე. მაგრამ, სულ მალე აღმოცენდა სახელმწიფოსადმი მოსახლეობის პატივისცემის აშკარა დეფიციტი, რაც გადაიზარდა „ახალი“ ხელისუფლების მიმართ აშკარა უპატივცემულობასა და უნდობლობაში. შედეგად წაიშალა ყოველგვარი პატივისცემა კანონისადმი. ქვეყანაში სრული ქაოსი და უკანონობა დამკვიდრდა. საქმეს ვერ უშველა გარკვეული ძალების მიერ იარაღის გზით ფაქტობრივად ხელისუფლებაში რაღაც ერთი წლის ყოფნის შემდეგ თანამდებობიდან არჩეული პრეზიდენტის გადაყენებამ და მის ნაცვლად ხელისუფლებაში ჯერ ცოტახნით ამბოხების ორგანიზატორების, ხოლო შემდეგ მათივე ინიციატივით სულ მალე ყოფილი პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერების მოსვლამ.

ქვეყანაში სრული ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსი გრძელდებოდა. ხელისუფლების ყოველგვარ ცდას მდგომარეობის გამოსწორებისათვის პოზიტიური შედეგები თითქმის არც მოჰყოლია.

ეროვნული ამოცანა — მესაკუთრეთა კლასის, როგორც დემოკრატიის დასაყრდენის შექმნა, ერთბაშად გადაიზარდა

სახოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების ნომენკლატურულ დანაწილება-დატაცებაში.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დროზე ჩამოართვა იგი მის მფლობელებს და გადასცა სახელმწიფოს. ამჟამად საკუთრება სახელმწიფო ჩინოვნიკებმა დაიტაცეს. სამეურნეო მუშაკებმა და არა მხოლოდ მათ სახალხო დოვლათის „მზრუნველებიდან“ საკუთარი თავი მსხვილ მესაკუთრეებად გადააქციეს. დღეს პოსტსოციალისტური საქართველოს მაღალჩინოსნები — ქვეყნის ყველაზე მდიდარი საქმოსნებია. ისინი არიან ყველაზე ძვირადღირებული რესტორნების, სუპერმარკეტების, ბენზინის გასამართავი სადგურების, სასტუმროების, სანატორიუმების და ა.. შ. ფაქტობრივი მეპატრონეები, თითქმის ყველა ყოფილი კომკავშირული, პარტიული ან საბჭოთა ფუნქციონერია. ერთიც ვიკითხოთ: სად არიან დემოკრატები?

მართალია კორუფცია ხასიათდება თავისი განვითარება-გავრცელების საერთო კანონზომიერებებით, მაგრამ ცალკეულ ქვეყნებში მისი სტრუქტურა, დონე, წარმოშობის მიზეზები და პირობები, მასთან ბრძოლის მეთოდები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ. ეს განსხვავებანი განპირობებულია არა მხოლოდ სახელმწიფო სისტემების თავისებურებებით, არამედ სოციალური, ეკონომიკური, აგრეთვე ეროვნული პრობლემებით, რომელთაც ადგილი აქვთ საზოგადოებაში, მისი ზნეობრივი მდგომარეობით, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურით.

აღნიშნულიდან გამომდინარე რეალურია კორუფციის ქართული ფენომენის აღიარება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უწინარეს ყოვლისა ამ საშიში სენით თანამედროვე საქართველოს ქრონიკული დაავადება.

ვიდრე ბოლომდე არ გავხსნით ამ ფენომენს და არ წარმოვაჩენთ მის ყველა მხარეს, ე. ი. მას არ დაესმება ზუსტი დიაგნოზი საქართველოს სინამდვილეში, შეუძლებელია ქვეყანის მისგან განკურნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობა საქართველოში ბევრმა ყოფილმა ფუნქციონერმა გამოიყენა პირადი გამდიდრების მიზნით. უზარმაზარი ქონება დააგროვეს მათ მოსახლეობის მასობრივი ძარცვისა და გაღატაკების ხარჯზე, საბაზრო ეკონომიკის დასაწყისში სახალხო დოვლათის დატაცების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნომენკლატურამ ისარგებლა საბჭოთა ხელისუფლების დაცემით (რაშიც დასავლეთს „ლომის წილი" აქვს), როგორც მთავარი დაბრკოლების აღმოფხვრით პირადი გამდიდრების გზაზე, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების მიტაცებისათვის.

ჩვენთან სავაუჩერო პრივატიზაცია იყო სხვა არაფერი თუ არა, საკუთრების გადაცემის მომწესრიგებელი პროცესი ორგანიზებული დამნაშავეობისა და ნომენკლატურისათვის. პრივატიზაციის ყოველი ხვეულით კორუფცია ძლიერდებოდა „იფურჩქნებოდა", რამეთუ კონტროლის არავითარი მექანიზმი არ ყოფილა შექმნილი ფაქტობრივ კორუფციულ პრივატიზაციაზე.

ამრიგად, 1994 წლისათვის კუპონების „აყვავების" (ამ ფინანსური აფიორის მესვეურნი დღესაც სხედან „თბილ", ფულის მოსახვეჭ ადგილებზე) პერიოდში „ახალმა დემოკრატებმა" და მაფიოზურმა ძალებმა სულ უფრო და უფრო მეტი მოისურვეს. დაიწყო ყალბი და გამოგონილი აუქციონების ბუმი, სხვადასხვა სახის ძვირადღირებული ობიექტების მიტაცება, ჩინოვნიკთა მოსყიდვა, რათა ვიგინდარებსა და ერის მოღალატეებს ხელში ჩაეგდოთ ეკონომიკის მწარმოებლური სექტორი. საერთო-სახალხო საკუთრების დატაცება ნომენკლატურის მიერ მოინათლა (იგივე დამტაცებელთა მიერ), როგორც ეკონომიკური რეფორმა. ამაზე მეტი მკრეხელობა და სიბილწე ძნელია მოიფიქრო.

საბჭოთა სამრეწველო და „სარფიანი" სავაჭრო ობიექტების გადანაწილებას, მონოპოლისტთა (საშიშ საქმოსანთა) შორის მაფიოზურ ჯარიგებათა, შეკვეთილ მკვლელობათა

ცდა ქრთამის გზით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწო-
ოდეს საბაზრო ეკონომიკაზე და მით უფრო ეკონომიკურ რე-
ორმაზე გადასვლა.

კორუფცია პრივატიზაციის პროცესის მთავარი ელემენ-
ტი და მისი მამოძრავებელი ძალა გახდა. გარიგებას, რომე-
ლიც მიმდინარეობს შეთანხმების გზით, აუქციონის მომწყო-
ბთა და პრეტენდენტებს შორის ქონების დასაუფლებლად და-
საველეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ეწოდება ინსაიდერ ტრე-
ოდინგი (სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაული). სა-
ქართველოში კორუფციული პრივატიზაციის მთავარი შედე-
გი გახდა მისი ლეგიტიმურობის არ არსებობა. ხალხის შეგნე-
ბაში არ არსებობს იმის აღიარება, რომ საკუთრების მფლო-
ბელობა ლეგიტიმურს, ე. ი. კანონიერს წარმოადგენს. ასეთი
გაგება არ შეიძლება ფულით იყიდო და ხალხს ძალით შეგნე-
ბაში ჩაუნერგო. ვიდრე არ არსებობს მფლობელობის ლეგი-
ტიმურობის აღიარება საქართველოს მოსახლეობის უმრავ-
ლესობის მიერ, მფლობელობა თავისი არსით დროებითია, და
მოსი (ე. ი. საკუთრების) მფლობელები მედროვეებია, რომ-
ლებიც მფლობელობას დაკარგავენ ადრე თუ გვიან.

თვით ყოფილი საბჭოთა ქონების (სამრეწველო ობიექ-
ტების, მაღაზიების და ა. შ.) ქართველ მფლობელებს ჩინებუ-
ლად ესმით, თავიანთი მესაკუთრეობის დროებითი ხასიათი,
რომ იგი შეიძლება მალე გადაისინჯოს. ამიტომ ისინი ზრუ-
ნავენ არა იმდენად წარმოების განვითარებაზე, რამდენადაც,
რაც შეიძლება მეტი ფულის გადამალვისათვის საზღვარგა-
რეთ.

მართლაც რომ უნიკალურ ვითარებასთან გვაქვს საქმე:
წარმოების საშუალებათა მფლობელნი წარმოების გაძლიე-
რებაზე კი არ ზრუნავენ, არამედ როგორმე ამოქაჩონ ყოვე-
ლივე, რაც შეიძლება ჩქარა წარმოებიდან, თუნდაც ამან მისი
ქრევა გამოიწვიოს. საქართველოში მრავალი აღმაშფოთე-
ელი მაგალითი შეიძლება დასახელდეს, თუ როგორ გააჩანა-
ეს, გაძარცვეს, გაქურდეს, გაყ...ს მთელი რ...ი ქარხნები,

გემები, და სხვა საერთო-სახალხო დოვლათი ერის მოღალატეებმა.

კორუმპირებული ნომენკლატურის მიერ წარმოების საშუალებათა ხელში ჩაგდება ზოგჯერ დასავლეთიდან შემოპარული თაღლითებისა და გაიძვერების ხელშეწყობით ქვეყნისათვის ეროვნული კატასტროფის ტოლფასია.

საქართველოს ისტორიული ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ე. წ. მეწარმეთა კლასი (არსებითად სოციალური ფენა) ძირითადად საბჭოურ ნომენკლატურულ ინკუბატორშია გამოჩეკილი. კორუმპირებულ ჩინოვნიკთა ქედმაღლობასა და პოპულიზმს საზღვარი არ აქვს. დასავლეთისათვის მათი ბრმა წაბაძვა ცხადყოფს, რომ მათ არ იციან დასავლური ცივილიზაციის დედაარსი, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. მათ თავისთვის ააშენეს კაპიტალიზმი, არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებსა და ზოგიერთ რაიონშიც კი. გასაოცარია ხელისუფალთა უსულგულო დამოკიდებულება უბრალო ადამიანთა ბედისადმი. კაზინოები, რესტორნები, სუპერ თუ მინი მარკეტები, ბენზინის გასამართი სადგურები, სასახლეები, საზღვარგარეთის ბანკებში ფულის გადამალვა, აი, ის არასრული ჩამონათვალი, რომელიც მათს სამყაროს შეადგენს. მათ სრულიადაც არ ენაღვლებათ თუ კი შიმშილობენ ასეული ათასობით ადამიანები, მათივე ქვეყნის მოქალაქეები, ინვალიდები, უპატრონო ბავშვები, ინტელიგენციის წარმომადგენლები (საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთ მათგანს სული რომ არ ამოხდეს, სანაგვე ყუთებში ეძებს კვების, „ბობოლებისაგან" გადაყრილ პროდუქტებს. სადამდე მივედით!).

კორუმპირებულთათვის სრულიად უცხოა პატრიოტიზმის გრძნობა, მათთვის სულ ერთია ქვეყანა თუ დღითიდღე სუსტდება, ისედაც უმწეო წარმოება აგერ უკვე ათი წელია ფაქტობრივად „მკვდარი წერტილიდან" არ იძვრის. მცირდება მოსახლეობისა და შობადობის რიცხვი, კატასტროფულად იზრდება სიკვდილიანობა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს კორუფციის გავრცელება უმაღლეს სასწავლებლებში. მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჯერ კიდევ ი. სტალინის გარდაცვალების დროიდან ეოლუნტარიზმისა და ე. წ. უძრაობის პერიოდში და არ შემცირებუ-

ლა „დიდი გარდაქმნის“ წლებშიც. მრავალთაგან შეიძლება დავასახელოთ ერთი საგულისხმო ფაქტი, სწორედ ე. წ. უძრაობის პერიოდში გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთი ინსტიტუტის რექტორმა ქრთამის აღების არაორდინალური, „საკუთარი მეთოდი“ შეიმუშავა. იგი მისაღებ გამოცდებამდე 1-2 თვით ადრე უშუალოდ (შუამავლის გარეშე) ურიგდებოდა აბიტურიენტთა მშობლებს (მხოლოდ მამებს). გარიგება ხდებოდა რექტორის კაბინეტში, სადაც ამ პროცესის მიმდინარეობისას ცხადია იქ შესვლა ეკრძალებოდა (თვით კათედრის გამგეებსაც კი) ყველა „გარეშე“ პირს. რექტორს თავისებურად დახარისხებული ჰქონდა „სარფიანი“ სპეციალობები, რომლებიც დაყოფილი იქნა ასაღები ქრთამის ოდენობის მიხედვით სამ კატეგორიად. აღნიშნული სპეციალობის პირველ „კატეგორიაზე“ ჩასარიცხი თანხა განსაზღვრული იყო 40.000 მანეთის ოდენობით (რაც იმ დროისათვის დიდ თანხას წარმოადგენდა და ფაქტობრივად ამდენივე დოლარს უდრიდა), მეორე კატეგორიაზე ჩასარიცხად ქრთამის ოდენობა შეადგენდა 30.000 მანეთს, ხოლო მესამეზე 25.000 მანეთს. საბოლოო ჯამით ამ სპეციალობებზე რექტორის გადაწყვეტილებით 100 ახალგაზრდის ჩარიცხვა ხდებოდა. ამ ციფრს „ჯიუტი“ აბიტურიენტების ცოდნის გამო 10 პროცენტი აკლდებოდა, ამდენივეს ჩარიცხვა „ზემოდან“ დარეკვას ექვემდებარებოდა, ხოლო 80 აბიტურიენტის ჩარიცხვის გამო მიღებული ქრთამი რექტორს „სუფთად“ რჩებოდა, თუმც ნაწილი მიჰქონდათ „ზემოთ“ თანამდებობის პირებს. სხვა შედარებით „მდარე“ სპეციალობებზე ჩარიცხვის თანხა შედარებით დაბალი იყო და ამ ქრთამს ინაწილებდნენ თანამშრომლები რექტორატიდან, პარტკომიდან, პროფკომიდან და ა. შ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მექრთამეობა რამდენადმე შემცირდა კომერციული ინსტიტუტებისა თუ უნივერსიტეტების დაარსებით, ინტელიგენციის წარმომადგენელთა თუ სხვათა ინიციატივით. ასეთი სასწავლებლები საქართველოში საკმაოებით მომრავლდა (200-ზე მეტს ასახელებენ), სადაც სწავლება და სწავლა დაბალ დონეზე მიმდინარეობს, უმთავ-

რესად მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კვალიფიციურ პედაგოგთა კადრების აშკარა სიმცირის გამო. აღნიშნულ სასწავლებლებში ლექციებს ბევრი შემთხვევითი პირი „კითხულობს". პარადოქსულია, რომ აქ თითქმის არავინ არ სწავლობს და მშობლების მიერ ვითომ შვილების მიერ ცოდნის შეძენისათვის გადახდილი ათასები ხელისუფლების მიერ ლეგალიზებული „წყალში" გადაყრილი ფულია, და ფაქტობრივად ქრთამის შენიღბული ფორმაა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იხდიან ფულს უცოდინარობისათვის. ამ მხრივ საქართველო მართლაც რომ უნიკალურია.[1]

სახელმწიფო სამსახურები, სკოლები, საავადმყოფოები, უმაღლესი სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, უბრალოდ ბედის ანაბარად იქნენ მიტოვებულნი: მუშაკებს არ უხდიან ან „ყინავენ" ხელფასებს და ისინიც იძულებულნი ხდებიან გაყიდონ, რისი გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ ან არა აქვთ.

როგორც ვხედავთ, თვით სახელმწიფოა კორუფციის მთავარი მშენებელი და „ხუროთმოძღვარი". გაფართოვდა რა ყველა მიმართულებით, კორუფციამ მოიცვა საზოგადოების ყველა ფენა. კორუფცია გამოდის როგორც სახელმწიფოს გაცნობიერებული პოლიტიკის ბერკეტი, სადაც საზოგადოების კორუმპირებულობა და გახრწნა პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც ხელისუფლება ატარებს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, თუ ხელისუფლებაში ყველა კორუმპირებულია და ყველა გამოიყენებს სამსახურებრივ რწმუნებებს პირადი გამორჩენის მიზნით, მაშინ უკვე არავინ აღარ გააპროტესტებს, ვინაიდან თითოეულს „დინგი ზარბაზნის ლულაში" აქვს შეყოფილი. თუ კი ეს მართლაც ასეთნაირად იყო ჩაფიქრებული, მაშინ სახელმწიფო მმართველობის რა ახალ თავისებურ მოდელზე შეიძლება მსჯელობა, სადაც სახელმწიფო აპარატის კორუფცია ხელისუფლების შენარჩუნების საშუალებაა. მაღალი თანამდებობა რომ მიიღო, უნდა გასცე, რათა შემდეგ ორმაგად აინაზღაურო, ვინაიდან გამცემი სულ იმის მცდელობაშია, რაც შე-

---

1 კომერციულ ე. წ. უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდები უმთავრესად დიპლომების მიღებისათვის შედიან. ამიტომ, ბოლოს და ბოლოს გაიცნობიერონ ის ჭეშმარიტება, რომ ისინი საშუალო განათლების დონეზე რჩებიან ან უკეთეს შემთხვევაში საშუალო სპეციალურ განათლებას ღებულობენ.

იძლება მალე აინაზღაუროს დანახარჯი, რათა შემდეგ „მოგებაზე“ გადავიდეს.

დასავლეთმა, რომელიც სწორედ მთავარი „დამნაშავეა“ ისსრ კავშირის ფორსირებულ დაშლაში, არა მხოლოდ გაატარა ღონისძიებანი კორუფციის დაძლევის ხელშესაწყობად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის, კერძოდ სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, აგრეთვე სხვა მსხვილი ბანკების გამოყენებით უაღრესად ქმედითი მონაწილეობა მიიღო მის დამკვიდრებაში და გაძლიერებაში, ხოლო აღნიშნული ბერკეტები მოძრაობაში მოყავთ ფინანსურ ოლიგარქებს. დასავლეთის გავლენით კორუფციის დამკვიდრება და მისთვის ხელშეწყობა საქართველოში გამოიხატება სამი ძირითადი მიმართულებით: 1. დასავლეთის „„ბრძნული“ რჩევებით; 2. კერძო დასავლური ბანკების მონაწილეობით; 3. მსოფლიო სავალუტო-ფონდის პოლიტიკით.

თავიდანვე ძალზე უბრალო ხასიათის რჩევა იყო: გატარდეს პრივატიზაცია, რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით და საჭიროა თავისუფალი ფასები, რათა შექმნილიყო მოთხოვნილებათა ბაზარი, აგრეთვე სტაბილური ვალუტა, რომელიც დოლარს დაემყარებოდა.

საზღვარგარეთის ბანკები თუ სხვადასხვა სახის ფონდები როგორც წესი საქველმოქმედო დაწესებულებებად ითვლებიან. ალბათ ზოგჯერ ამართლებენ კიდეც ამ მისიას. მაგრამ რა შეიძლება დავარქვათ იმ მოთხოვნას და დაკისრებულ დავალებებს, რომლებიც ყოველთვის თან ახლავს მათ მიერ ნაწყალობებ ყოველ ცენტს?

მეტად საეჭვოდ გამოიყურება თბილისში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოქმედება, რომლებიც საქართველოსათვის გაღებული სესხების გამოყენების პროგრამებში ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგი არიან. ჯერ-ერთი, იბადება კანონიერი კითხვა: რატომ უნდა გვიდგენდნენ უცხოელები ნასესხები ფულის ხარჯვის პროგრამას? ნუთუ ისინი სერიოზულად ფიქრობენ, რომ „ფულს ვინც იხდის მუსიკაც იმან უნდა დაუკვეთოს?“. ნასესხები ფული არც ნაჩუქარია და არც „რესტორანში დამპატიჟებლის მიერ გადა-

ხდილი". ამიტომ, ნასესხები ფული მსესხებელმა, ჩვენ შემთხვევაში საქართველომ უნდა განკარგოს, ცხადია არა ისე, ქვეყნის „ზედა ეშელონებში" საკუთარ ჯიბეებში რომ იდებენ, ხალხს არ ახმარენ და ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას უამრავ ვალებს უტოვებენ მაღალი პროცენტით გადასახდელად; მეორეც, ლოგიკის რომელი კანონით შეიძლება იმის მტკიცება, რომ გამოცდილება და ოსტატობა ხელს უშლის სახელმწიფო ხელისუფლებაში სიახლის აღქმას და დახერგვას? გახათლებული საზოგადოებისათვის ანალოგიური მტკიცება არა მხოლოდ აბსურდულია, არამედ საზიანოცაა.

ჩვენს პირობებში არსებული რეალიების გათვალისწინებით მასწავლებლის ან საგზაო პოლიციელის (რომელთაც ფაქტობრივად სახელმწიფო ხელფასს არ აძლევს) კორუმპირებულობაზე ლაპარაკი, როდესაც ჩვენს ირგვლივ მილიონობით დატაცების ფაქტებს ვაწყდებით და გამკითხავი არავინ ჩანს, მკრეხელობაა. სკოლის მასწავლებელს ალბათ ქრთამის აღების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს.

აქვე იბადება კითხვა: რატომ ჩვენმა ადგილობრივმა ეკონომისტებმა არ გაითვალისწინეს წინასწარ მოსალოდნელი შედეგი, თუკი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რომ ნომენკლატურა გამდიდრდებოდა საქართველოს მოსახლეობის დანაზოგთა ხარჯზე? ეს ხომ უბრალო ადამიანთა ინტერესების ღალატია, რომელთაც თითქოს უნდა მოეგოთ, და არ წაეგოთ რეფორმის შედეგად. გავიხსენოთ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის დაპირება მოწოდების სახით, რომ, თუ კი არსებულ ანაბრებს მოქალაქეები კიდევ დაუმატებდნენ თანხას, საერთო ანაბარი გაორკეცდებოდა მოკლე დროში, რაც თავისებური მახე აღმოჩნდა. მეანაბრეებმა ბანკებში შეტანილ ანაბარს სოლიდური თანხა დაუმატეს, რა აღარ გაყიდეს შენატანების გაორკეცების იმედით, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ, იმედიც დაიკარგა და ფულიც (იგი „უფასო" ფარატინა ქაღალდად იქცა).

მაშასადამე, ეს იყო არა რეფორმა, რომლის რეკლამირებასაც დღესაც ეწევიან ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ ხალხის მოტყუება — ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ფულადი ნაზოგების ექსპროპრიაცია.

მომდევნო პერიოდში ვაუჩერული, არსებითად კორუფციული პრივატიზაციის, ყალბი, გამოგონილი აუქციონების ფონის დასავლელი მრჩევლები და „ჭკუის დამრიგებლები“ წამოაუწუმ იმეორებდნენ: „კარგია, ასე განაგრძეთ რეფორმების კურსი!“.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ბოლო წლებამდე დასავლეთი „ვერ ამჩნევდა“ კორუფციას საქართველოში. პირიქით, დასავლელ „ჭკუის დამრიგებელთა“ რჩევები ხელს უწყობდა კორუფციის ზრდას. დღეს ჩვენში ბევრისათვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ დასავლეთის ზოგიერთმა მრჩეველმა ჩვენებურების ხელშეწყობით უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვა „კუთვნილი ჰონორარების“ სახით.

რაც შეეხება, კერძოდ, მსოფლიო სავალუტო ფონდის მოღვაწეობას საქართველოში, ეს ცალკე, ამასთან რთული თემაა, ხოლო მისი მოღვაწეობის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კორუფციასთანაა დაკავშირებული აუცილებელია ითქვას, რომ იგი იძლეოდა და დღესაც იძლევა რეკომენდაციებს, გვთავაზობს სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებს, გვკარნახობდა კიდეც ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას, ახლაც გვკარნახობს, რომელიც გარდუვლად ბადებდა და ბადებს კორუფციას. ამ გარემოებას ხელიდან არ უშვებდნენ და თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ხელისუფლების „ზევით“ მყოფნი. ასე ბოლომდე „ხრავენ“ სიკვდილის პირას მყოფ საქართველოს ეკონომიკას შიგნიდან და გარედან „კეთილი“ მიზნით მიოვლენილნი. სამწუხაროდ, კორუფციის ხელშემწყობი აღნიშნული საგარეო ფაქტორი ერთი სიტყვითაც კი არ არის მოხსენიებული ანტიკორუფციულ პროგრამაში.

ბუნებრივია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იცავდა და იცავს თავის პოლიტიკას საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილურ ვალუტას ინფლაციის გარეშე და ეკონომიკის მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზარს, როგორც საბაზრო ტიპის ეკონომიკის რეგულატორს.

გარეგნულად ამაში ცუდი რა უნდა ყოფილიყო? მაგრამ ფაქტობრივად, როდესაც ქართველმა შემსრულებლებმა გატარეს ცხოვრებაში სსფ-ის რეკომენდაციები, სხვა შედეგებთან გვაქვს საქმე.

განზრახული იყო ეჩვენებინათ დასავლეთისათვის, რომ ლარის სახით საქართველოში მყარი ვალუტაა ინფლაციის გარეშე (რაც გარეგნულად შენარჩუნებულია). როგორ მიიღწევა ასეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი? სრულიად უბრალოდ — შემცირდეს ემისია, ე. ი. აღარ დაიბეჭდოს ფული და არც ინფლაცია იქნება. აი, სწორედ მაშინ მოაწყდება ინვესტიციათა ნიაღვარი საქართველოს. ფულის ბეჭდვის შემცირებამ გამოიწვია შემოსავლების კლება ბიუჯეტში, რის შედეგადაც მასში გაჩნდა თავისებური ხვრელი, რომელიც რაღაცით უნდა შევსებულიყო. ისედაც მწირი დასავლური ინვესტიციები ამას ვერ შეძლებდნენ და ვერც შეძლეს.

ჩვენმა ე. წ. რეფორმატორებმა ბიუჯეტის შესავსებად იმედი უცხოეთის ვალების გაზრდაზე დაამყარეს, სესხების პირდაპირი მიღების გზით დასავლეთის ფინანსური ორგანიზაციებიდან, არც თუ პატარა პროცენტით.

მოჩვენებითმა რეფორმატორებმა აქა-იქ შექმნეს კაპიტალიზმის პოტიომკინის სოფლები, რათა შთაბეჭდილება მოახდინონ დასავლეთის ინვესტორებსა და კრედიტორებზე, ე. წ. იქაურ ქველმოქმედებზე. მეტად გამოცდილმა და ფინანსურ ოპერაციებში გაქნილმა დასავლეთის ბანკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გზით ჩვენი მდიდარი ბუნებრივი რესურსების ძარცვაში (ამისათვის მადნეულის ძვირფასი ლითონების საბადოსა და ჭიათურის მანგანუმის მაგალითიც კმარა).

ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მოითხოვს კორუფციის ალაგმვას, კორუფციონერთა სასტიკად დასჯას, ნორმალური პირობების შექმნას პატიოსანი მეწარმეობის განვითარებისათვის და ადამიანის უფლებათა, მათ შორის საკუთრების უფლების დასაცავად, რომელიც გარანტირებულია კანონით.

დღევანდელ საქართველოში, რომელსაც სიღატაკე ახრჩობს, ყველა — მატერიალურ, ზნეობრივ სფეროებში, კორუფცია ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, რამდენადაც მასშია „ჩაკირული" ყველა სხვა უბედურებისა და ნგრევის ფესვები. საზოგადოებაში, სახელმწიფოში მიმდინარე რომელიმე პროცესის გააზრებასაც არ უნდა შევეცადოთ, გარდუვალად ვაწყდებით აუცილებლობას სერიოზულად და გუ-

ლდასმით გაანალიზდეს კორუფციის პრობლემები, მისი მკვებავი ფესვები, არსებობის პირობები და ნეგატიური შედეგების მთელი სპექტრი. თითქოს ასეთ ანალიზში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნაკლოვანებას, მაგრამ საქმე ის არის, რომ კორუფციის ქართული ფენომენის ზოგიერთი ასპექტი მაინც ჩრდილში რჩება და თავის გამომზეურებას ელოდება. ეს გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, რომელთაგან ძირითადი, ალბათ მაინც აღნიშნული ფენომენის შესწავლისადმი მიდგომათა ჯეროვანი მეთოდოლოგიური დაუმუშავებლობა და მისგან გამომდინარე დასკვნების თეორიული სიმწირე და ცალმხრივობაა. კორუფციის ქართული სასესხვაობის (ქართული ფენომენის) შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ ფართოდ გავრცელებული მოსაზრება: ჯერ-ერთი, ჩვენში, საქართველოში კორუფცია ისტორიული ტრადიციაა, ხოლო მეორე, იგი უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი.

საქართველოში კორუფციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა სახელმწიფო ხელისუფლების ნათესაური, კუთხური და პირადი ერთგულების ნიშნებით ჩამოყალიბება. ამ მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო სფეროში თითქმის არ არის მხედველობაში მიღებული პროფესიონალიზმი, ზნეობრივი ნიშანი და ა. შ.

კლანური[1] სახელმწიფო მმართველობა უმთავრესად დამახასიათებელია სუსტადგანვითარებული ქვეყნისათვის, რომელსაც სათავეში უდგანან დაბალი ინტელექტუალური დონის ხელმძღვანელები, სახელმწიფოს მართვის აუცილებელი გამოცდილების დეფიციტით. კლანური სახელმწიფოებრივი მმართველობა ხასიათდება სხვადასხვა სპეციფიკური ნიშნებით, რომელთა შორის უმთავრესია ნათესაური, ეთნიკური, პატრონ-კლიენტური და ა. შ., ნიშნები.

საერთაშორისო ორგანიზაციების „შკალის“ მიხედვით საქართველოს ხშირად აზიისა და აფრიკის სუსტადგანვითა-

---

1 კლეტური სიტყვა, clan, კელტებში გვარის, უფრო ხშირად კლტომის სახელწოდება. უფრო ფართო აზრით, კლანი საერთოდ გვარია. კლანი უნდა გავიგოთ ადრეთვე როგორც შთამომავალი, ნაშიერი. პოლიტიკური აზრით, როგორც მათგან ჩამოყალიბებული ხელისუფლება, მმართველობა.

რებული ქვეყნების სიაში მოიაზრებენ. ამასთან, ხომ ცნობილია, რომ აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა სწორედ კლანურმა და მაფიოზურმა სახელმწიფო მმართველობამ გადაიყოლა.

დასავლეთის სახელმწიფოებმა აფრიკის ქვეყნებს კონსტიტუციებიც კი დაუწერეს და სოლიდური სესხები მიცეს, რათა დასავლური ტიპის კაპიტალისტური სახელმწიფოები აეშენებინათ. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. სწორედ კლანურმა და მაფიოზურმა ელემენტებმა პირწმინდად „შეუვამეს" სესხად მიღებული ფული. ამასობაში დასავლეთიდან მიღებული ვალი კატასტროფულად იზრდებოდა, ხოლო გადახდის რეალური შესაძლებლობა მკვეთრად მცირდებოდა.

ბოლოს დასავლეთი იძულებული გახდა შეეწყვიტა გადახდისუუნარო ქვეყნების დაფინანსება. ამან გამოიწვია უკმაყოფილების მკვეთრი ზრდა მოსახლეობაში, სისხლისმღვრელი შეტაკებები და ზოგიერთი ქვეყნის გაქრობა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან.

აღნიშნული გარემოება ნათლად მიგვანიშნებს საქართველოსთან მსგავსებას: დიდი და ქრონიკულად მზარდი ვალები (მილიარდობით), ეკონომიკის მკვეთრი კრიზისი, მოსახლეობის სიღატაკისა და აშკარა უკმაყოფილების ზრდა, საბჭოთა წყობილებისდროინდელი მმართველი ძალების ე. წ. „ძველის მნგრეველთა" (ფუნქციონერთა) შენარჩუნება ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, რომლებმაც თავიანთი ათწლიანი პრაქტიკული მოღვაწეობით დაადასტურეს, რომ „მნგრეველებს" შენება არ შეუძლიათ.

საქართველოს ბევრი საერთო აქვს მთელ რიგ აზიურ, განსაკუთრებით დაცემულ და გაჩანაგებულ სახელმწიფოსთან. მათ შორის საქართველო ერთ-ერთი „მოწინავეა" პოლიტიკური კორუფციის მაჩვენებლებით, ფინანსურ-ეკონომიკურზე რომ არაფერი ითქვას, ანუ საქართველოს მმართველი ზედაფენა ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებულია მსოფლიოში. სახელმწიფო ხელისუფლებაში მყოფთა წრე ძირითადად განისაზღვრება ნათესავებით, მეგობრებით, ნათლულებით, კუთხური ნიშნით და ა. შ.

საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა დემოგრაფიული მონაცემები ცხადყოფენ, რომ მათი

მნიშვნელოვანი ნაწილი ერთმანეთის ნათესავებია. მაგალითად ნათესავებს შეხვდებით მინისტრებს, მათ მოადგილეებს, მთავარი სამმართველოების უფროსებს, დეპარტამენტების თავმჯდომარეთა შორის, პარლამენტში, სამართალდამცავ ორგნოებში, ეროვნული ბანკის სისტემაში, მნიშვნელოვან და „სარფიან“ თანამდებობებზეა სახელმწიფოს მეთაურის ოჯახის წევრები და ა. შ. მინისტრის ცოლის ძმაა მაგალითად დეპარტამენტის თავმჯდომარე, სამმართველოს უფროსი მინისტრის დეიდაშვილი ან მამიდაშვილია და ა. შ.

ძნელი არ არის იმის გაცნობიერება, რომ ასეთი საკადრო პოლიტიკა თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნის და ძირს უთხრის სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას. სახელმწიფოს მართვის სხვა მანკიერ ფორმებთან ერთად მას მოსდევს ხალხის მასების უდიდესი უმრავლესობის გაღატაკება, ხალხსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის ამოუვსები უფსკრულის დამკვიდრება, მკვეთრი დაძაბულობის ზრდა და სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე ქვეყანაში. ყოველივე აღნიშნული, უმთავრესად კორუფციის ფართოდ გავრცელებითაა განპირობებული.

როდესაც კორუფციის ქართულ ფენომენს ვეხებით, ცხადია უმთავრესად სახელისუფლო „ელიტა“, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების სამივე განშტოების უმაღლესი თანამდებობის პირებია მხედველობაში. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობის მაგალითზე, რომ კორუფცია თანამდებობრივი დანაშაული და ბოროტმოქმედებაა. სწორედ „ზევით“ თანამდებობის პირებისა და მათ მიერ აღებული ქრთამისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ოდენობის მიხედვით უნდა განისაზღვროს კორუფციის დონეც. კორუფციული დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ერთი თანამდებობის პირმა (მაგ. ქრთამი აიღოს) ან დამნაშავეთა (თანამდებობის პირთა) „ორგანიზებულმა ჯგუფმა“ (კორუფცია ორგანიზებული დანაშაულის ფორმით). ამ შემთხვევაში ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: 2000 წელს შემუშავებულ ანტიკორუფციულ პროგრამაში „არაელიტური“ (წვრილი მასობრივი), კორუფცია იმიტომ ხომ არ არის ნახსენები, რომ საზოგადოებამ ძირითადი აქცენტი მასზე გადაიტანოს და

„არაელიტური“ კორუფციის მონაწილეთა დაჭერით კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) შევაშაროთ ხალხს ნაცარი თვალებში, რისი ნიშნებიც უკვე გამოჩნდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ენერგოსისტემის ყოფილი თანამდებობის პირთა დაჭერის მაგალითზე. კერძოდ, ძნელად დასაჯერებელია, რომ ენერგოსისტემის რომელიმე სტრუქტურამ მინისტრთან და მის კურატორ მოადგილესთან შეუთანხმებლად გააფორმა ხელშეკრულება. ან კიდევ, ვითომ „თბილსრესის“ ენერგობლოკები ისე მიყიდეს უცხოელებს ჩალის ფასად, რომ სათბობენერგეტიკის სამინისტროს გარდა სხვამ არავინ იცოდა? ამას ხომ „ელიტური“ (მაღალ ჩინოსნების) კორუფციული ქმედებისაკენ მივყავართ? ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული განზრახვა, რომ „ენერგოსისტემაში“ კორუფციული დანაშაულობანი შესწავლილ იქნეს მხოლოდ 1997 წლიდან და არა ადრეულ პერიოდიდან (1992-1994 წლებიდან). მაგალითად, 1992 წლიდან თუ ვისგან და რა ფასად ყიდულობდა „თბილსრესი“ მაზუთს, არავის უნდა აინტერესებდეს? ან კიდევ ვინ იყო ის, სადღაც „სხვა პლანეტაზე“ დარეგისტრირებული ფირმა, რომელიც „თელასის“ გაყიდვაში შუამავლობდა, რაშიც ოფიციალურად 3 მილიონი დოლარი მიიღო? გაუგონარ და აშკარად მიუღებელ პრივატიზაციაში 1992-1993 წლიდან მიმდინარე კორუფციული დანაშაულობანი ნუთუ ოდესმე არ გამჟღავნდება? მავანმა და მავანმა (მათ რიცხვში ჭონების მართვის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელებმა) მილიონები ჩაიჯიბეს და დღეს ისინი „თბილ ადგილებზე“ არიან მოკალათებულნი.

მეტად დამაფიქრებელია, როდესაც სახელმწიფო დაწესებულება ავტომანქანაში 40-50 ათას დოლარს იხდის, ხოლო ესა თუ ის ფირმა ამავე თანხად გემს ყიდის. საინტერესოა ვიკითხოთ თუ რატომ შეწყდა ქვეყნის საზღვაო ფლოტის ფაქტობრივი განადგურების გამო ატეხილი ხმაური 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დამთავრებისთანავე?

ახლა ჯართის შესახებ. ვინაიდან იგი ფაქტობრივად გამოილია და ჩალის ფასად გაიყიდა თურქეთში, ახლა შუშა მდგომარეობაში არსებული ჩარხები იყიდება, ტონა 20-25 ამერიკულ დოლარად, თუმც მისი რეალური ფასი 100 დოლარს აღემატება. ან ხე-ტყე? რატომ ვატყუებთ ხალხს ან რატომ

„იტყუებენ“ თავს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურათა მუშაკები, რომელთაც ევალებათ აღნიშნული პროცესების გაკონტროლება, აკრძალონ ან შესაბამისი გადასახადები აკრიფონ, რათა ნაწილობრივ მაინც შეავსონ ქვეყნის ისედაც მწირი და ღატაკი ბიუჯეტი.

უზნეობისა და თაღლითობის, აშკარა ანტიეროვნულის გარდა რა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ ქმედებას, რაც ბანკებში ხდებოდა? (და ნაწილობრივ დღესაც ხდება), შეიძლება ბანკი კოტრდებოდეს და მისმა მმართველმა რამდენიმე კაცმა დიდი ფული იშოვოს, ხოლო ასეულობით მეანაბრე ფინანსურად გაიძაგურდეს? ან კიდევ ერთი პარადოქსი: ქვეყანა ეკონომიკურად სულს ღაფავდეს, კოტრდებოდეს, ხოლო მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახების წევრები მდიდრდებოდნენ?

განა არ იციან ჩვენმა „მეგობარმა“ უცხოელმა ინვესტორებმა, რომ კრედიტების დიდი ნაწილი (ასე იყო „კუპონობის“ დროიდან) კორუფციონერთა ჯიბეებში ხვდება. ძალიანაც კარგად იციან, მაგრამ მაინც ყოფენ კრედიტებს, რატომ? იმიტომ, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკები იოლად დასამორჩილებელი და სამართავია, კრედიტების გამოყოფა მათი უცხოელ ინვესტორთა „ყურმოჭრილ მონებად“ გადაქცევის წინაპირობაა. ასეთი ხვედრი მოელით ჩვენს კორუმპირებულ ჩინოვნიკებს. რას ერჩიან ერის ეს ხორცმეტები საკუთარ შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს, რომელთაც სამშობლოს უყიდიან და მთელი ერის რისხვას, რომელსაც ჯერჯერობით ბოლომდე არცერთი სამშობლოს მოღალატე არ გადარჩენია, უტოვებენ სამემკვიდრეოდ?

არაერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც სახელმწიფო მოხელე მალავს თავის ქონებას. იგი ხან მამის, სიმამრის, თუ სიდედრის ზურგსაა ამოფარებული. ამას ადასტურებს, თუნდაც საზოგადოებაში ფართოდ გახმაურებული სახლების (სასახლეების), აგარაკების მშენებლობა, ძვირადღირებული უცხოური მარკის ავტომობილების შეძენა და ა. შ.

ჯერ კიდევ 1992-1993 წლებში სხვადასხვა სახის ხელოვნურად გამოგონილმა ფირმებმა ხელისუფლების აშკარა ხელშეწყობით [illegible] საბაბით მიიღეს

უზარმაზარი სესხები, რითაც პირწმინდად გაძარცვეს ეროვნული ბანკი. რამდენი ასეთი სესხი არ დაბრუნებია ქვეყანას? კიდევ მეტი, იგი არც არავის მოუკითხავს. ქვეყანაში დაიწყო პრივატიზაციის გაუგონარი პროცესი. მართალია იგი თავისთავად დრომ მოიტანა, მაგრამ შეიძლებოდა ასე უსინდისოდ სახალხო დოვლათის დატაცება? და თან ვისგან? ყოფილი პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერებისაგან, რომლებიც „ახალი დემოკრატების“ სამოსელში გაეხვივნენ და „ახალ“ სახელმწიფო ხელისუფლებაში გაბატონდნენ? მაგალითად, ნუთუ შეიძლებოდა ისეთი ძვირფასი და ჩვენი ერთ-ერთი მძლავრი მარჩენალის ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი (საბადოს) ობიექტის გაყიდვა? არც ვიცით ისეთი რა უსაშველო ინვესტირება განახორციელეს უცხოელებმა, რომ ჩვენი მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად არ შეიძლებოდა აღებული კრედიტების (სამ მილიონ დოლარამდე ასახლებენ) ნაწილი მაინც მოხმარებოდა საქართველოში ოქროს წარმოებას? რატომ უნდა იგზავნებოდეს (თანაც ფარულად; უხმაუროდ) ოქრო ზოდებად საზღვარგარეთ გადამუშავების მიზნით, როდესაც ჩვენთან, ადგილზე შეიძლებოდა ამის გაკეთება? მაგრამ არა! უცხოელ ინვესტორთა ზურგს უკან ქართველი ბოროტი საქმოსნებია (და ცხადია ხელისუფლების წარმომადგენლები) ამოფარებული, რომლებიც სამშობლოს „30 ვერცხლზე“ ყიდიან, ან აგრეთვე რა სარგებლობა მოგვიტანა (სამაგიეროდ კორუფციონერებს მოუტანა) „თელასის“ გაყიდვამ? თავიდან ერთი კვტ სთ. ელექტროენერგია 4,5 თეთრი ღირდა. მოგვიანებით გაორკეცდა, შემდეგ კიდევ უფრო გაძვირდა, ხელფასი კი იმავე დონეზე „გაიყინა“. ნუთუ არ უნდა გაირკვეს თუ ყოველივე ეს ვის „წისქვილზე“ ასხამს წყალს?

ეკონომისტთა დაახლოებითი გაანგარიშებით ერთი ადამიანის სამომხმარებლო კალათა თვეში 100 ლარს შეადგენს (ამ დროს პროფესორის, პედაგოგის, ექიმის თვიური ხელფასი 40-50 ლარს, ზოგჯერ უფრო ნაკლებს შეადგენს და იმასაც თავის დროზე არ აძლევენ ან „უყინავენ“). ავიღოთ თუნდაც 50, დავუშვათ, რომ პროდუქციის დაახლოებით ნახევარს ადგილზე ვაწარმოებთ, ხოლო დანარჩენს იმპორტს მო-

ვახმართ ანუ სულზე 25 ლარს 5000000 (ქვეყნის მოსახლეობა)X25=125 მილიონს. წელიწადში გამოდის 1,5 მილიარდი ლარი, ანუ 750 მილიონი დოლარი. ეს ციფრი რომ გავყოთ ოქროს ღირებულებაზე (8,5-9 დოლარი) მივიღებთ დაახლოებით 80 ტონას. გამოდის, რომ 1992 წლიდან კვების პროდუქტების სანაცვლოდ ქვეყნიდან გატანილია დაახლოებით 6640 ტონა ოქროს ღირებულების ექვივალენტის თანხები (საბჭოთა კავშირის დაშლის წინ საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს მარაგი შეადგენდა 240 ტონას), თუ აღნიშნულს დავუმატებთ იმპორტირებული ბენზინის, სიგარეტის, ტანსაცმლის და სხვა შემოსავლიანი საქონლის ღირებულებას, მივიღებთ ფანტასტიკურ ციფრებს (ალბათ 3-4-ჯერ მეტს).[1]

ყოვლად დაუშვებელია ენერგეტიკის მნიშვნელოვანი ობიექტების ჩალის ფასად გაყიდვა. რეალურად ჩვენთან განხორციელდა კორუფციული პრივატიზაცია, რისთვისაც ჯერ-ჯერობით პასუხი არავისთვის არ მოუთხოვიათ.

ადვილად ასახსნელია თუ ბოლო წლებში კორუფციამ რატომ მოიკიდა მტკიცედ ფეხი სწორედ ელექტროენერგეტიკაში. ამას ემატება ბოლო დროს ელექტროენერგიის ტარიფეზის საგრძნობლად გაზრდა, რაც მძიმე ტვირთად აწვება ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას. ამას ხელისუფლებაში უბრალო მიზეზით და იოლად ხსნიან: „ვალი უნდა დაიფაროს". ხელისუფლებაში იმაზე რეალურად კი არ ფიქრობენ, რომ თვით სახელმწიფოს მოსახლეობის, კერძოდ, მეანაბრეთა უამრავი ვალი აქვს. მათაც ხომ უნდა გასტუმრება?

ვიღაცამ „ხევით" ელექტროენერგიის ყიდვისათვის მილებული სესხი „შეჭამა" და ნაცვლად იმისა, რომ „შემჭმელს" პასუხი აგებინონ და ციხეში გამომამწყვდიონ, პირიქით, „თავზე ხელს უსვამენ", როგორც ჩანს ხელისუფლებაში სესხის „შემჭმელი" ერთი პირი არ იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კორუფცია ორგანიზებული დანაშაულის ფორმით განხორციელდა (რამოდენიმე პირი) და თანამდებობა ბოროტად იქნა გამოყენებული პირთა ჯგუფის მიერ. ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს დანაშაულის დაფარვაში. თითქოს არაფერიც არ მო-

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წ., 17 მარტი (ტ. ვარდიძის სტატია „პროფესიონალი").

მხდარა. ფული „თავისით გაუჩინარდა“, არავინ არ იცის სად. ხელისუფლებაში ნამდვილი სურვილი რომ არსებობდეს, დანაშაულს უბრალო გამოძიება დაადგენდა. არადა ჩინოვნიკის (თუ ჩინოვნიკთა) მიერ ელექტროენერგიის შესასყიდლად შემოტანილი და „შეჭმული“ სესხი ელექტროენერგიის ტარიფების გაზრდის შედეგად მოსახლეობამ უნდა დაფაროს. ალბათ მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება ასეთი უმსგავსობა. ან კიდევ, მიწის ნაკვეთების ჩალის ფასად მიყიდვა უცხოელთათვის არაფრით არაა გამართლებული, სამაგიეროდ გამართლებულია ცალკეული თანამდებობის პირთათვის, რომლებიც შედეგად ჯიბეებს ივსებენ დოლარებით.

მიწის ნაკვეთებს და ძველ დასანგრევ სახლებს დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში უცხოელები იმიტომ კი არ იძენენ, რომ ხეხილის ბაღები თუ ვაზი გააშენონ. სრულიადაც არა. მხოლოდ ერთი მიზნით: ააგონ სასტუმროები და სხვა მაღალმომგებიანი შენობები. ამასთან აღნიშნული შენობები მათ მუდმივ სარგებლობაში თუ არა, იჯარით, მეოთხედი საუკუნით მაინც ეძლევათ. ნუთუ რა დავაშავეთ ისეთი, რომ უცხოელები არაადამიანურად ჰობსის ცნობილი გამოთქმის „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ შესაბამისად გვეპყრობიან? ჩვენივე პოლიტიკური ბედოვლათობით ისინი ხანგრძლივი დროით ისარგებლებენ მათ მიერ აშენებული სასტუმროებით, რესტორნებით სხვა მაღალმომგებიანი ობიექტებით, ხოლო ვიდრე (მეოთხედი საუკუნის შემდეგ) „პეტრე მოვა, პავლე ტყავგაძრობილი დახვდება“ (ე. ი. საქართველო როგორც სახელმწიფო აღარ იარსებებს, იგი მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად დარჩება). უნებლიედ გვახსენდება დიდი ილიას სიტყვები: „ქვათა ღაღადიდან“, რომლებიც ზედგამოჭრილია სწორედ დღევანდელობისათვის: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი... ძნელად თუ სხვა მოიპოვება ღედამიწის ზურგზე. ვიხც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვთელავს და მიწასთან გვასწორებს“.[1] დღეს არც ერთ ქვეყანას არ უწევენ უცხოელები ისეთ ურცხვ და უტიფარ ექსპლუატაციას, როგორც ჩვენსას. მაგალითად, პოლონეთის დედაქა-

---

1. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი V, პუბლიცისტური წერილები. თბილისი, 19[illegible] გვ. 21.

ალ ვარშავაში შვედებმა ააშენეს ძვირფასი სასტუმროები, რომლებიც შემოსავალს ისინი იღებდნენ მხოლოდ სამი წლის მანძილზე, შემდეგ უკვე შვედების მიერ აშენებული ყველა სასტუმრო პოლონეთის საკუთრებად დარჩა. ჩვენთან კი მთელი მეოთხედი საუკუნით ისარგებლებენ უცხოელები მათ მიერ აგებული სასტუმროების, რესტორნების და ა. შ. ზარმაზარი შემოსავლებით. მათ უკან მფარველებად ჩვენი ხელისუფლების კორუმპირებული ჩინოვნიკებია. ამასთან ხშირად კორუფციაა მთავარი „მოქმედი პირი“) უცხოელთა მიერ სასტუმროები და სხვა სახის ობიექტები შენდება არსებული წესების უხეში დარღვევით, ჩვენივე ბედოვლათობით (უფრო ზუსტად მათთან ჩინოვნიკის ფარული გარიგებით). მის ტიპიური მაგალითია, თუნდაც თავისუფლების მოედანზე (დიახ, მოედანზე და არა მოედანთან) უცხოური (ინგლისური) ფირმის მიერ და უცხოელთათვის მშენებარე სასტუმრო, რისთვისაც მოედანს ჩამოაჭრეს მისი კუთვნილი ტერიტორია (300 კვ მეტრზე მეტი), რითაც დედაქალაქის უპირველესმა მოედანმა თავისი წარმტაცი და ლაზათიანი იერსახე დაკარგა, რის „კომპენსაციასაც“ დედაქალაქის მერია მოედნის ცენტრში „ფანტანის“ აგებით ეცადა.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურებში უცხოელი მრჩევლების, კონსულტანტების, „ჭკუის დამრიგებელთა“ ნამდვილი ბუმია. როგორც ჩანს, „შინაურ ულვდელს“ მართლაც არა აქვს შენდობა. არც თუ იშვიათად მოყვანილი ღირსების შეურაცხყოფადაც კი აღიქმება, როდესაც ტელევიზიის ეკრანიდან თუ პრესის ფურცლებიდან ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მეორე თუ მესამე, ალბათ საკუთარ ქვეყანაში ნულის ტოლფასი ჩინოვნიკი გვმოძღვრავს, ვითარცა გონებაჩლუნგ ბავშვებს, ხოლო მათ მითითებებს ქვეყნის ხელისუფლება კანონის დონეზეც კი ღებულობს. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც უცხოელ „ჭკუის დამრიგებელთაგან“ არავის არ უთქვამს ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ეკონომიკა მაშინ გაჯანსაღდება, როდესაც ექსპორტირებული და იმპორტირებული პროდუქციის დაბალანსება მოხდება. ნებისმიერ სახელმწიფოში ამ მაჩვენებლის დისბალანსმა 10 პროცენტს თუ მი-

ადწია, საგანგაშო ვითარება შეიქმნება, რასაც ხშირ შემთხვევაში მთავრობის გადადგომა მოსდევს. საქართველოში კი 80-90 პროცენტიან დისბალანსს მშვიდად ურიგდებიან.[1]

როგორც გამოცდილება ადასტურებს, საქართველოში კორუფციის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მაღალი თანამდებობის პირთა ფაქტობრივი შესაძლებლობა თავიდან აიცილონ სისხლისსამართლებრივი სასჯელი თითქმის ნებისმიერი სამართალდარღვევისათვის. როგორც ქვემოთ გარკვევით დავინახავთ, ამაში მათ კანონმდებლობაც ეხმარება. მთელი რიგი ქმედებისთვის მათზე სასჯელი არც ვრცელდება. ამას ემატება იმუნიტეტი, ლობირება და ფულადი სახსრები, რომლებიც მათ დიდი რაოდენობით შეუდით „მარცხნიდან", ე. ი. უკანონოდ.

საქართველოში კორუფციის მასობრივი გავრცელების ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგია ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა პრაქტიკულად არ არსებობს. ვინაიდან საზოგადოებრივ აზრს თითქმის არ ეწევა ანგარიში. ფსევდოკაპიტალიზაციისა და დემოკრატიული გარდაქმნების იმიტაციის ფონზე კორუმპირებული ნომენკლატურა თუმც დემოკრატიულ სამოსელშია გახვეული, არსებითად მაინც განაგრძობს ტოტალიტარიზმის დამკვიდრებას. ეს უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ ე. წ. რეფორმების მსვლელობაში ხელისუფლება წინასწარ შეგნებულად და თავიდანვე დაშორდა ხალხს, მოშალა რა უკუკავშირის პოლიტიკური მექანიზმები, რომლებიც აიძულებს მას იკისროს პასუხისმგებლობა მის მიერ გატარებული პოლიტიკისათვის. პრინციპული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცხეული ათასობით ადამიანთა ბედს შეეხება, მიღებულ იქნა (და მიიღება) მათი მოსაზრებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად.

ხელისუფლება კვლავინდებურად ტოტალიტარულ ხასიათს ატარებს, რამდენადაც რეალურად ბატონობს როგორც ეკონომიკაზე, ისე პოლიტიკაზე, საზოგადოებაზე და ცალკეულ პიროვნებებზე. თუ აუვლით გვერდს ტოტალიტარიზმის კონკრეტულ მახასიათებლებს, მისი დედაარსი შეიძლე-

---

[1] იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 17 მარტი, № 63, 2001 წ.

ას განისაზღვროს როგორც პიროვნების გაუცხოება სახელმ-
წიფოსა და საზოგადოებისაგან, როგორც სახელმწიფოს ბა-
ტონობა პიროვნებასა და საზოგადოებაზე ცხოვრების ყველა
სფეროში. უფრო ნათლად რომ წარმოგვიდგეს ეს თეზისი,
ვნახოთ თუ როგორ ხორციელდება ხელისუფლების ბატონო-
ბა ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროების მაგალითზე
ქვეყნებს ქვეყანაში.

პოლიტიკურ სფეროში გაუცხოება გამოიხატა პიროვნე-
ბის ჩამოშორებაში ხელისუფლებისაგან, სახელმწიფო-ბიუ-
როკრატიული მანქანის სრულ ძალაუფლებიანობის დამყარე-
ბით. ახლა ყველა ჩვენთაგანისათვის ღღესავით ნათელია,
რომ საკითხი მასების დემოკრატიული მონაწილეობის შე-
ახებ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სახელისუფლებო
სტრუქტურათა ჩამოყალიბებაში სრულიადაც არ დაიყვანება
არჩევნების დანიშვნასა და ჩატარებამდე. თუ გავითვალისწი-
ნებთ და შევისწავლით ჩვენი არჩევნების რეალურ გავლენას
დემოკრატიის მექანიზმებზე, მივალთ იმ ლოგიკურ დასკვნა-
მდე, რომ არჩევნები საქართველოში ჯერ-ერთი არ არის საკ-
ითხისად (მთლიანად თუ არა) დემოკრატიული, ხოლო მეო-
რე, არავითარ გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ხელისუფ-
ლების ინსტიტუტთა ფუნქციონირებასა და სამოქალაქო სა-
ზოგადოების სტრუქტურათა ფორმირებაზე. აღმასრულებელი
ხელისუფლება სარგებლობს თავის შესაძლებლობით დეპუტა-
ტთა ასარჩევად, რათა გამოიყენოს მათთვის განკუთვნილი
პრივილეგიები (იმუნიტეტი და ა. შ.) უკონტროლობისა და
კორუფციული ქმედებისათვის. სახელისუფლებო ბიუროკრა-
ტია რაოდენობით ალბათ ორჯერ და მეტად სჭარბობს (ისიც
ჩვენი სიღატაკის პირობებში) საბჭოთა პერიოდის ბიუროკრა-
ტიულ მანქანას. განუწყვეტელი ქიშპობა ცალკეულ პოლიტი-
კურ დაჯგუფებათა შორის ქმნის ქვეყანაში დიდ შინაგან და-
ძაბულობას, ძირს უთხრის პოლიტიკურ ცხოვრებას, ბადებს
ხელისუფლებისადმი შეუგუებლობას. „ახალი დემოკრატე-
ბის“ უუნარონი აღმოჩნდნენ გაერთიანებულიყვნენ და ხალხის
ინტერესების სასარგებლოდ ემოქმედათ. პოლიტიკური პროცე-
სი ქვეყანაში სულ უფრო დახურული და არაკონტროლირებადი
ხდება, იგი იძენს იძულებით ხასიათს და ხელს უწყობს ხე-

ლისუფლებასა და საზოგადოებას შორის გათიშვას. ამას ადასტურებს მოსახლეობაში სრულიად უბრალო გამოკითხვა, საზოგადოებრივი აზრი, პრესაც. განაგრძობს ბატონობას ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელი სოციალური კონფორმიზმი, ე. ი. პიროვნების შეგუება სისტემასთან ნებისმიერ, თვით საკუთარი ინდივიდუალობისა და პირადი თავისუფლების დაკარგვის ფასად. ადამიანი იძულებული ხდება უარი თქვას საკუთარ „მეობასა“ და სინდისზე, შეუერთოს საკუთარი „მე“ გარეშე ძალას, როდესაც იგი თავს გრძნობს ამ ძალის ხელისუფლებაში. ხალხი, როგორც წინანდელი რეჟიმის დროს, კვლავინდებურად განიხილება ხელისუფლების მიერ (თვითონაც თავს ასეთად ავლენს) როგორც „ჭანჭიკთა“ ერთობლიობა, ხოლო საზოგადოება და ადამიანი წინანდებურად რჩება ხელისუფლების სუბიექტთა „ნედლ“ მასალად. არსებითად ყალიბდება საზოგადოებრივი სუბიექტი, რომელიც უუნაროა ადექვატური შეფასება მისცეს და ანალიზი გაუკეთოს საზოგადოებაში და პოლიტიკურ სცენაზე მიმდინარე პროცესებს, ადექვატური რეაგირება მოახდინოს მათზე. ამრიგად, მოქალაქე იურიდიულად, უკვე აღარ არის მოქალაქე ფაქტობრივად, ან არსებითად დაკარგა თავისი დამოუკიდებელი. (ყოველ შემთხვევაში ის, რაც ჰქონდა) სოციალური, პოლიტიკური და სულიერი სტატუსი.

ანალოგიური სიტუაცია შეინიშნება სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში, როდესაც მოქალაქეთა ძირითადი მასა წარმოების საშუალებებისაგან, ასევე წარმოების მართვის მეთოდებისაგან მატერიალური დოვლათის გაცვლისა და განაწილებისაგან ჩამოშორებული აღმოჩნდა. სახელმწიფო ახორციელებს თავისი, ისედაც ღატაკი მოქალაქეების ზეექსპლუატაციას (ამის უამრავი მაგალითია). სწორედ ასე ეწოდება ეკონომიკის ენაზე ხელფასების (ათჯერ ნაკლების, ვიდრე წინათ იყო), პენსიების (რომელიც ალბათ ყველაზე დაბალია მსოფლიოს ქვეყნებს შორის) დაყოვნებას ან საერთოდ გაუცემელობას (მათი „გაყინვის“ მეთოდით), ტარიფების სისტემატურ ზრდას ელექტროენერგიის წარჯვაზე, ტელეფონით. სარგებლობაზე, დამატებითი ღირებულების გადასახადს და ა. შ. „თავისუფალი“ ბაზრის ლოზუნგების რეკლამირებით ხელოვნურად შეიქმნა ვითანა-

ბარი შესაძლებლობანი კორუმპირებულ „ელიტასა“ და რიგით მუშაკებს შორის, ხოლო ჩეკურმა პრივატიზაციამ პრიორიტეტული შესაძლებლობა მისცა უწინარეს ყოვლისა პარტიულ ნომენკლატურას და მასთან დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნებს, გამხდარიყვნენ მესაკუთრეები.

ხელისუფლების ტოტალიტარული ხასიათი ეკონომიკურ სფეროში ვლინდება აგრეთვე იმ პოლიტიკით, რომელსაც იგი ახორციელებს ე. წ. საშუალო და წვრილი ბიზნესის მიმართ (ჩვენთან მეტ-ნაკლებად ამ ორი სახეობის ბიზნესია). არა ერთგზის გამოცხადდა, რომ ხელისუფლება მხარს დაუჭერს მის შეუფერხებელ განვითარებას, საქმით კი მას არ აღმოუჩენია არც სამართლებრივი, არც ორგანიზაციული, მით უფრო არც ეკონომიკური მხარდაჭერა. თავს მოახვია ისეთი პირობები, რეალურად დაბრკოლებები, რომლებიც გადაულახავი აღმოჩნდა სამეწარმეო საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მხოლოდ მის ყველა დონეზე კორუფციის შემდგომ ზრდას უწყობს ხელს.

დეკლარირებული ეკონომიკური თავისუფლება პრაქტიკულად აშკარა ეკონომიკურ იძულებაში გადაიზარდა, ვინაიდან ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა დღეს აიძულებს ექიმს, პედაგოგს, პროფესორს, მეცნიერს, სამართალდაცვის ორგანოთა მუშაკს თავი დაანებონ თავიანთ საყვარელ საქმეს, გადაიქცნენ ბირჟის „მდგმურებად“ ან „ახალი ქართველის“ ყარაულებად. ეს როგორი ეკონომიკური „თავისუფლებაა“ თუ კი სულ უფრო და უფრო კლებულობს შესაძლებლობანი არჩევანისათვის, თუ კატასტროფულად მცირდება, ან საერთოდ ჩერდება წარმოება, სამუშაო ადგილის რაოდენობა მომატების ნაცვლად სისტემატურად კლებულობს, თუ იხურება სამეცნიერო ინსტიტუტები და არსებულიდან შეტატების მასობრივი შემცირების შედეგად პანტა-პუნტით ერიან მეცნიერ მუშაკებს? ყოველივე ეს უმთავრესად სახელისუფლებო ხელისფულების მაღალ ეშელონებში გამეფებული კორუფციის შედეგია. საქართველოს ყოველწლიურად ტოვებს ასეული მეცნიერი, ხელოვნების მუშაკი, სპორტსმენი, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა და ორიენტაციას ემიგრაციაზე იღებს.

ბოლო დროის მონაცემებით უცხოეთში საქართველოდან „გადახვეწილთა“ რიცხვი ერთ მილიონამდეა. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენია, ეს რიცხვი მეტისმეტად დიდი და უჩვეულოა. შეიძლება კი სხვანაირად, როდესაც მაგალითად მეცნიერ მუშაკის ხელფასი (ხან იღებს, ზოგჯერ „უყინავენ“ კიდეც) ოდნავადაც ვერ უახლოვდება საარსებო მინიმუმს და იგი იძულებულია მუდმივად სხვადასხვა შეუფერებელ, ზოგჯერ მისთვის მეტისმეტად უხერხულ სამუშაოზე ეძიოს ლუკმა-პურის წყარო. განა ნორმალურია, როდესაც მეცნიერი (მათ შორის აკადემიკოსიც კი) შიმშილის გამო დაავადებული დაიღუპა? ესეც და ბევრი სხვა ანალოგიური ხელისუფლებაში გაბატონებული კორუფციის შედეგია.

ამას წინათ ცნობილი ქართველი კინორეჟისორი და მწერალი გოდერძი ჩოხელი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მისმა მეგობარმა რეჟისორმა თავი მოიკლა, რომელსაც „ეგონა ბატკანივით შეეწირებოდა ქვეყანას, გამოაფხიზლებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ხალხის ბედი ცოტათი მაინც შეიცვლებოდა. ...მაგრამ როგორც ხედავთ, პირიქით — ქართველი კაცის ყოფა უფრო გაუსაძლისი გახდა. მას ყოველ ნაბიჯზე ატყუებენ და ტყუილებს ბოლო არ უჩანს. იმედგაცრუებულ ხალხს რწმენა დაეკარგა, რა გინდ მწარეც იყოს, მას ერთადერთი — სიკვდილის უფლებაღა დარჩა. მათი შვილები საშიმშილოდ არიან განწირულნი. ყველა უცხოეთში ხომ ვერ წავა? ჯერ ერთი, ამას უზარმაზარი თანხა სჭირდება, მეორეც -- ქართველი კაცისათვის იოლი როდია სამშობლოსა და ოჯახის დატოვება.

და ამ დროს მავანნი სასახლეებს იშენებენ, მე ვიტყოდი ქართველების ძვლებით, უმწეო პენსიონერებისა და ქუჩაში საშიმშილოდ გამოსული ბავშვების ხარჯზე, ფაქტობრივად განწირულნი რომ არიან... ერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ჩვენ უკვე ვართ ჯოჯოხეთში და მეორედ იქ აღარ მოვხვდებით“.[1]

ჩვენი დღევანდელი ტრაგიკული ყოფის უფრო ზუსტი დახასიათება ალბათ შეუძლებელი და წარმოუდგენელიცაა.

---

1 გაზ. თბილისი. 2001 წ., 21 ივნისი.

ჩვენი დღევანდელი ყოფის ბევრი ნეგატიური მოვლენის ზეგავლენით ადამიანს, როგორც პროფესიული მოღვაწეობის სუბიექტს, უყალიბდება იმის გრძნობა, რომ იგი აღარ სჭირდება სახელმწიფოს, მისთვის საქართველოს მოქალაქეების მეორე „სორტის“ ადამიანებად, ზედმეტ „ჭანჭიკებად“ გადაქცევა იწვევს მათს ქრონიკულ ნერვიულობას და კიდევ უფრო მეტ ფსიქიკურ მოშლილობას. სახელმწიფო ხელისუფლება განაგრძობს თავისებურ ეკონომიკურ ომს ხალხთან, მოიხსნას, რათა თავისი მოთხოვნილებანი მან მოიყვანოს სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო მწირ შესაძლებლობებთან შესაბამისობაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ეკონომიკური თავისუფლების ეფემერულობა სახეზეა. ასევეა პიროვნებისა და საზოგადოების სულ უფრო და უფრო მზარდი დეგრადაციის პროცესი. ასეთი ეკონომიკური „თავისუფლება“ საბოლოო ანგარიშით იწვევს ტოტალიტარიზმს სულიერ სფეროშიც. შეუძლებელია სულიერ თავისუფლებაზე ლაპარაკი, თუკი დამცირებულია და ფეხქვეშ გათელილია პიროვნების, როგორც შრომითი მოღვაწეობის სუბიექტის ღირსება, თუ კი ადამიანი იძულებულია იფიქროს ლუკმა პურზე, ხოლო მისი შესაძლებლობანი თვითრეალიზაციისა და თვითაქტუალიზაციისათვის ფაქტობრივად დახშული და მიუწვდომელია მოსახლეობის ძირითადი მასისათვის.

დემოკრატია, ბუნებრივია, საჭიროებს დემოსს — განათლებულს, შეძლებულს, საკმაოდ ფართო ხასიათის „საშუალო კლასს“, რომელსაც საშუალება ექნება თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის პირობებში იხელმძღვანელოს არა გაძლების, არსებობის შენარჩუნების მოტივებით, არამედ ღრმად მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი ინტერესებით. სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ეკონომიკური პოლიტიკით ადასტურებს, რომ იგი არ არის დაინტერესებული ასეთი ფენომენის (ე. ი. „საშუალო კლასის“) შექმნით და გამოდის ნებისმიერი ადამიანის უფლებათა ძირითად დამრღვევად საკუთრებასა და ღირსეულ არსებობაზე, უზრუნველყოფს მხოლოდ „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ უფლებებს — მგლების უფლებებს

ცვლების შესაჩმელად. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ხელისუფლების ტოტალიტარულ ხასიათს.

კიდევ ერთი — მმართველი რეჟიმის ტოტალიტარული დედაარსის მაჩვენებელი იმაში მდგომარეობს, რომ გაბატონებულ ჯგუფს არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრია არჩევითი ორგანოების წინაშე და არსებითად არ შეიძლება ძალაუფლება ჩამოერთვას ინსტიტუციონალური მშვიდობიანი საშუალებით.

ხელისუფლების დღევანდელი ტოტალიტარული ხასიათი — ეს მართლაც ტოტალიტარიზმის ახალი სახეობა, ახალი „სორტია", რომელიც იხერგება ძველი „ახალი" მმართველი „ელიტით", ე. ი. კორუმპირებულ სტრუქტურათა პირმშოა, რომელიც ახლა წარმატებით კვებავს თავის მშობელს. მისი განმასხვავებელი მახასიათებელია დემოკრატიული ფლერი (საიდუმლოების საფარი), რაც უფრო საშიშია, ვიდრე აშკარა იდეოლოგიური ძალადობა, ვინიდან იგი ისეთი დისონანსის მდგომარეობას ქმნის, რომელიც ახდენს ფსიქიკურ დეზორგანიზებას და ადამიანი მიჰყავს აპათიამდე და ანემიამდე, ბუნებრივი გრძნობებისა და სურვილების დაჩლუნგებამდე და ცხოვრებისადმი მისი ნებისყოფის ატროფირებას ახდენს.

ქვეყანაში სრული ეკონომიკური ქაოსისა და განუკითხაობის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენთან არ არსებობს კანონის დიქტატურა, მისი უზენაესობა, რომლის წინაშეც ყველა თანასწორია და ერთნაირი დანაშაულის ჩადენისათვის ყველამ თანაბრად უნდა აგოს პასუხი. სოციალური სამართლიანობის ლოზუნგებზე აგებული სოციალისტური, საბჭოური მონოპოლია შეცვალა კლანურ ინტერესებზე დამყარებულმა კერძო, კაპიტალისტურმა მონოპოლიამ, რომელიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვის უკიდურესი ფორმა გახდა. რეალურად ვერ ამოქმედდა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში აპრობირებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რაც აგრეთვე კორუფციის გაძლიერებას უწყობს ხელს.

ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ქვეყანაში წინა პლანზე დადგა კერძო ინტერესები (რაც თან

სდევს საბაზრო ეკონომიკას), გამოჩნდა მათი გარკვეული უპირატესობაც საზოგადოებრივ ინტერესებთან შედარებით. ამ გარემოებამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი კორუფციის ზრდასა და სხვა ანტისოციალური მოვლენების გაძლიერებას.

§ 2. როგორ ებრძვიან კორუფციას საქართველოში?

როგორც ვნახეთ კორუფციამ საქართველოში მეტად საშიში ხასიათი მიიღო და მისი დაძლევისათვის არ არის საკმარისი სხვა ქვეყნებში უკვე აპრობირებული მეთოდებისა და ფორმების გამოყენება. აუცილებელია ახალი არაორდინალური მიდგომა ამ მეტად მძიმე სნეულების წინააღმდეგ ბრძოლისადმი. გვაქვს საერთო-სახელმწიფოებრივი ანტიკორუფციული პროგრამა, გამოქვეყნდა პრეზიდენტის არაერთი ბრძანებულება დამატებით ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შესახებ, შეიქმნა ანტიკორუფციული საბჭო და ა. შ. მიუხედავად ამისა, ახალი საუკუნის პირველი წელიც დამთავრდა და რამდენად პარადოქსული არ უნდა იყოს, დღემდე არა გვაქვს კორუფციის წინააღმდეგ საერთო-სახელმწიფოებრივი, დასაბუთებული და მასებისათვის გასაგები სტრატეგია.

ანტიკორუფციული სახელმწიფოებრივი სტრატეგია არის სწორედ კორუფციასთან ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელოვნება, რომელიც განსაზღვრავს „მთავარი დარტყმის" მიმართულებას, ე. ი. ბრძოლას ხელისუფლების მაღალ ეშელონებში.

კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფოებრივი სტრატეგიის არ არსებობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში (საქმით და არა სიტყვით) არ ავლენენ საჭირო პოლიტიკურ ნებას, ე. ი. მზადყოფნას და სურვილს დაუპირისპირდნენ ამ უაღრესად საშიშ მოვლენას.

დგება შემდეგი კანონზომიერი კითხვა: მაინც რატომ არ არსებობს ეს პოლიტიკური ნება? რა არის პოლიტიკური ნება, როგორ უნდა გავიგოთ იგი? პოლიტიკური ნება ყალიბდება სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში სახელმწიფოს მეთაურის მიერ და აისახება მოქმედ კანონმდებლობაში, რაც

მთავარია მისთვის პრაქტიკული რეალიზაციის პირობების შექმნით. როგორც ვნახეთ დღეს ყველა ლაპარაკობს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ. ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული იქნა არაერთი ბრძანებულება კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, შემუშავდა „შვიდკაცას“ მიერ ანტიკორუფციული პროგრამა, სხვა ღონისძიებანი და ა. შ. მაგრამ ყველა ისინი არ შესრულდა ან არ სრულდება, რამდენადაც მათი შესრულება შესაძლებელია არც იყო დაგეგმილი. აღნიშნული გარემოება უნდა შეფასდეს როგორც სწორედ კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკური ნების არ არსებობა.

ამის ჩვეულებრივი მიზეზი უკვე კარგა ხანია ცნობილია არა მხოლოდ ჩვენთვის, იგი საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს საზღვარგარეთაც. მაგალითად, დასავლეთში ამერიკელი კანონმდებლები აღიქვამენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო აპარატს, როგორც კორუმპირებულ კლანს, რომელიც უპირატესად ზრუნავს საკუთარი თავის გადარჩენის პრობლემებზე. ახალმა, განახლებულმა ხელისუფლებამ (როგორც საკანონმდებლომ, ისე აღმასრულებელმა), პირველ რიგში ხელი უნდა მოკიდოს კორუფციასთან ბრძოლის საერთო-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის საფუძვლიან შემუშავებას. ეს კი უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს კორუფციით საზოგადოების დაავადების დონის რეალურ შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ ძირითად მიზეზებზე ადექვატურ და საქმიან რეაგირებას.

ამბობენ, „ერთი მერცხალი“ გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, მაგრამ თუნდაც იმ ერთი მერცხლის გამოჩენით ხომ იწყება წელიწადის ახალი დრო? ამდენად, სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური ნებით (და ცხადია, გარემოცვის მხარდაჭერით) უნდა დაიწყოს სწორედ რეალური, უკომპრომისო ბრძოლა კორუფციასთან მეცნიერულად შემუშავებული სახელმწიფოებრივი სტრატეგიის საფუძველზე, რითაც განისაზღვრება სწორედ „მთავარი დარტყმის“ მიმართულება, ე. ი. ბრძოლა უწინარეს ყოვლისა კორუმპირებულ მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ, მათი მხილებისა და დასჯისათვის.

კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფოებრივი სტრატეგია დიფერენცირებულად უნდა მოქმედებდეს ამ საშიში მოვლენით საზოგადოების დაავადების დონის მიხედვით. როგორც

ითქვა, კორუფციის მაღალი დონის მიხედვით საქართველო მსოფლიოს ქვეყნების ათეულშია. კორუფცია სულ უფრო და უფრო გლობალურ, მსოფლიო მოვლენად იქცა. ევროსაბჭოს სამართლებრივი კომიტეტის მემორანდუმში „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ (1998 წლის 27 თებერვალი) აღნიშნულია, რომ ამ მოვლენამ „როგორც ეპიდემიამ, მოიცვა მთელი კონტინენტი და წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ყველა ქვეყნისათვის“.[1]

კორუფცია უნივერსალურ ხასიათს ატარებს, საქართველოში იგი მისი ყველა ნიშნით და სპეციფიკით მოასწავებს უკიდურეს ზღურბლს, რომელიც რეალური საფრთხით ემუქრება სახელმწიფოებრიობის თვითარსებობას.

საქართველოში ყველა დონეზე კორუფციის ფართოდ გავრცელება სრულ საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ იგი არსებითად „საყოველთაო რისკის“ ქვეყნად იქცა, რომელსაც წინსვლა და მომავალი არ უწერია თუ არ დაიძლია საზოგადოების ისეთი „ავთვისებიანი წამონაზარდი“, როგორიც კორუფციაა. ქვეყნის „მმართველ ელიტაში“ ისეთი „თამაშის წესებია“ დამკვიდრებული სარფიანი და გავლენიანი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რომ ზოგიერთ ბიზნესმენს აუცილებლად უხდება ჩინოვნიკთა მოსყიდვა, გადასახადებისათვის თავის არიდება, კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ, გარიგებაში შესვლა ხელისუფლების წარმომადგენლებთან სახელმწიფო საკუთრების ძვირადღირებული ობიექტების ხელში ჩასაგდებად.

ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასის სასიცოცხლო ინტერესების უგულვებელყოფის, აბუჩად აგდების კურსი ხელისუფლების მხრიდან დღემდე გრძელდება. ამიტომ არსებული და მოსახლეობისათვის აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამოსვლის ყველაზე ქმედით საშუალებად უნდა ჩაითვალოს მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავება. ვინაიდან: ჯერ ერთი, მის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ხელისუფლების პერეორიენტაცია (ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, ე. ი.

---

1 კორუფცია და ბიუროკრატიზმი. სათაურები და დაძლევის გზები (რუს.), 8., 1998, გვ. 5.

ის რასაც ეს ხელისუფლება ნამდვილად ვერ შეძლებს თუ სასწაული არ მოხდა), ე. წ. „ელიტის“ ინტერესების მომსახურეობიდან საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის ინტერესთა რეალურ დაცვაზე. სწორედ ამ შემთხვევაში აღდგება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა წარსული ნდობა მთავრობისადმი, რომლის შემადგენლობა ბოლო წლებში ქრონიკულ ცვალებადობას განიცდის ერთი რიგის კორუმპირებულ მინისტრების მეორე რიგის კორუმპირებულებით შეცვლის ხარჯზე (რომლებიც დაცული არიან ყოველგვარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუმც ამისათვის სამხილი საჭიროზე მეტი არსებობს); მეორე, საჭირო იქნება სახელისუფლებო რწმუნებათა სამართლიანი გადანაწილება. დღეს ქვეყანაში ხელისუფლების რეალური ბერკეტები აღმოჩნდა მდიდარი ფინანსური დაჯგუფების (სახალხო ანაბრების „შემჭმელთა“), „ოლიგარქების“, ჩრდილოვანი სამეურნეო და კრიმინალური ელემენტების ხელში. ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო ხელისუფლება რეალურად უნდა გადაეცეს ხალხის მიერ არჩეულ, აღიარებულ ლიდერებს და კოლეგიურ ორგანოებს, რომლებსაც იგი ენდობა;

მესამე, საქმე ეხება ქართული სახელმწიფოებრიობის და მისი ინსტიტუტების დამკვიდრებას (დიახ! ქართული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრება არ ნიშნავს მთავრობაში ქართველების ყოფნას, არამედ დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს და არა ქედის მოხრას დოლარიანი დასავლეთის წინაშე), რეალურ თავისუფლებას და არა მხოლოდ „რჩეულთათვის“ და არა დეკლარირებულ, არამედ ჭეშმარიტი ჰუმანიზმის პრაქტიკულ განხორციელებას.

დაუყოვნებლივ უნდა იქნეს (დაყოვნება მეტისმეტად საზიანოა) მიღებული და ძალაში შევიდეს კომპლექსური ხასიათის სპეციალური ანტიკორუფციული კანონმდებლობა. ცნობილია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში წინასწარი განხილვისას ანტიკორუფციული კანონპროექტის ფაქტობრივ ბლოკირებას მიმართავენ. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია წინასწარი განხილვისათვის იუსტიციის სამინისტროს მიერ დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის „წესის შესახებ“ წაროდგენილი კანონპროექტი. კა-

ნონპროექტს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, როგორც იტყვიან, „ხიშტებით შეხვდნენ“, მას ღია დაპირისპირება მოჰყვა. მთავრობის წევრთა კორუმპირებული უმრავლესობა მაღალჩინოსანთათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის წინააღმდეგ გამოვიდა. იუსტიციის მინისტრმა სახელმწიფო კანცელარიაში მინისტრთა კუთვნილი სასახლეების ამსახველი ფოტოსურათები გამოამზეურა და კორუფციაში ეჭვმიტანილთა გვარებიც კი დაასახელა. მის წინააღმდეგ გამომსვლელები (მინისტრები) ერთსულოვანნი იყვნენ. ზოგიერთმა მას კონსტიტუციის დარღვევა და კერძო საკუთრების უფლების წინააღმდეგ გალაშქრება დააბრალა, ზოგიერთმა კიდევ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში დასდო ბრალი (თუმც დანაშაული აშკარაა. მას მხოლოდ იურიდიული გაფორმება სჭირდება). გამომსვლელთა და აღგილიდან წამომძახველთა სახეებს აშკარად ემჩნეოდათ აღშფოთება, ფსიქოლოგიც არ ყოფილა საჭირო ისეთი დასკვნისათვის, რომ მათ სასახლეები ნაქურდალი ფულით, ქრთამის გზით ააშენეს. იმ დღეს მთავრობის თითქმის ყველა წევრს „ქუდები დაეწვათ“. ზოგიერთმა მათგანმა თავისი აშკარა თავშეუკავებლობით და დაბნეულობით გამოამჟღავნა თავისი კორუმპირებულობა. პრეზიდენტმა ოფიციალურად „ნეიტრალური“ პოზიცია დააფიქსირა, ფაქტობრივად კი იუსტიციის მინისტრის ოპონენტებს (რომლებიც აშკარა უმრავლესობას წარმოადგენდნენ) დაუჭირა მხარი, აღნიშნა, რომ იუსტიციის მინისტრი მას ვერ შეაშინებს, რომ მთავრობა მხოლოდ სათათბირო ორგანოა და გადამწყვეტი სიტყვა მას, პრეზიდენტს ეკუთვნის. კანონპროექტი[1] მან იუსტიციის მინისტრს უკან დაუბრუნა „დახვეწის“ მიზნით და ამით ყველას აგრძნობინა თუ ვის უჭერდა მხარს.

როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებულმა სიტუაციამ კორუფციასთან დაკავშირებით კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. სახელმწიფოს განსამტკიცებლად ყოველგვარ გადაუდებელ, მათ შორის სპეციალურ ღონისძიებათა მიღების დაყოვნება (კერძოდ ქვეყნის ღირსეულ ლიდერთა არჩევა) სერი-

---

1 კანონპროექტის თავდაპირველი ტექსტი უცვლელად თან ერთვის წინამდებარე ნაშრომს.

ოზული ნეგატიური შედეგებით საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს თვითარსებობას. ეს საფრთხე მით უფრო ძლიერდება, როდესაც არც ერთი მინისტრი თუ უწყების სხვა ხელმძღვანელი არ ასრულებს ანტიკორუფციულ პროგრამას, პრეზიდენტის ბრძანებულებათა მოთხოვნებს. ამიტომ, სახელმწიფო აპარატის კორუმპირებულობის გამო მხოლოდ სურვილად რჩება პრეზიდენტის განცხადება, რომელიც მან გააკეთა 2001 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დარბაზობაზე: „გადუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იწყება კორუფციასთან. მისი მასშტაბი საქართველოს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხს აყენებს. ამ სენის დაძლევა ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა. მე დღეს საქართველოს მოქალაქეთა და საზღვარგარეთელი სტუმრების გასაგონად ერთხელ კიდევ ვამბობ, რომ ამ პრობლემას — კორუფციასთან ბრძოლის პრობლემას — ჩვენ გადავწყვეტთ. ბევრი ჩვენი უცხოელი მეგობარი, პრეზიდენტები, პრემიერები, პოლიტიკური მოღვაწეები მოითხოვენ საქართველოსაგან, რომ იგი იყოს ერთ-ერთი საჩვენებელი ქვეყანა ამ თვალსაზრისით. ვფიქრობ ამას შევძლებთ“.

ამ განცხადების პირველ ნახევარში სწორად და დროულადაა შეფასებული ის უდიდესი საფრთხე, რასაც კორუფცია უქადის ქართულ სახელმწიფოებრიობას, ჩვენს ეროვნულ ღირსებას, მაშასადამე, კორუფციის საფრთხე ქვეყნისა და ერისათვის შეფასებულია!

აი, განცხადების მეორე ნახევარში გამოთქმული რწმენა კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის შესახებ სამწუხაროდ არ არის შემაგრებული და დასაბუთებული რეალური არგუმენტებით, სახელმწიფო ხელისუფლების რეალური ნაბიჯებით და მხოლოდ სურვილია. მართალია სიტყვა პრეზიდენტმა საიუბილეო დარბაზობაზე წამოსთქვა და არა პარტიის ყრილობაზე ან მთავრობის სხდომაზე, მაგრამ საქართველოს ალბათ საუკუნეც არ ეყოფა (თან კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლის პირობებში), რათა გახდეს ერთ-ერთი „საჩვენებელი ქვეყანა“ კორუფციასთან წარმატებულ ბრძო-

ლაში. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების ათეულშია.

იმის თქმა, რომ საქართველოს სამართალდაცვის ორგანოები მთლად გულხელდაკრეფილი არიან და არ ებრძვიან კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულს, არ იქნებოდა მართლზომიერი. როგორც ქვემოთ ვნახავთ ებრძვიან, მაგრამ წვრილ, ყოველდღიურ და ნაწილობრივ საშუალო, „შუათანა" კორუფციას, ხოლო ინსტიტუციონალური, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლებაში მტკიცედ ფესვებგადგმული და დამკვიდრებული კორუფცია არსებითად ხელუხლებელია.

ამრიგად, სამართალდაცვის ორგანოებს შეუძლიათ ებრძოლონ მხოლოდ გარკვეული დონის კორუფციას, რომლის ზემოთაც შებრძოლებით კერძოდ შსს შესაბამისი სამსახურის „აქტიური" და „გაბედული" თანამშრომლები გამოეთხოვებიან მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. ამის შიშით ისინიც „ზემოთ" არსებულ კორუფციას თვალსაც კი ვერ უსწორებენ. ამიტომ ისინი შეძლებისდაგვარად (თუმც არა ყოველთვის) ებრძვიან „ქვემოთ" (წვრილ და საშუალო) კორუფციას და ამ მხრივ იგრძნობა ზოგიერთი პოზიტიური შედეგიც. ბოლო ორი წლის მანძილზე გამოვლინდნენ ის პირები, რომლებიც პატოსანი ბიზნესმენის და სახელმწიფო მოხელის სახელს ამოფარებულნი სხვადასხვა სახის მაქინაციების გზით ითვისებდნენ სახელმწიფოსა და ხალხის კუთვნილ დოვლათს, გამოვლინდა კორუფციული დანაშაულის ფართო სპექტრი, როგორიცაა: გრანტების, ჰუმანიტარული დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების მითვისება, პენსიების, ლტოლვილთა და ადგილგადანაცვლებულ პირთათვის გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და დატაცება, საბიუჯეტო თანხების დამალვა და მითვისება, საგზაო ფონდის კუთვნილი სახსრების პირადი ინტერესებისათვის გამოყენება და ა. შ. 2000 წლიდან 2001 წლის მაისამდე ჰუმანიტარული დახმარებით, ინვესტიციებითა და გრანტებით შემოტანილი საქონლის დატაცების ფაქტებზე მხილებული იქნა 20-ზე მეტი პირი, ვითვისებულია 7 მილიონ ლარზე მეტი თანხა. იგი მიღებულია უფასოდ გასანაწილებელი საქონლის რეალიზაციის შედეგად.[1]

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 5 მაისი, 200

ალბათ ეს „ხღვაში წვეთია“. აღნიშნულ პერიოდში რეალურად არსებულ კორუფციულ დანაშაულობებიდან ერთ პროცენტამდე თუ იქნება აღრიცხული. ისეც ხდება, რომ არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენი (პატიოსანი ბიზნესმენი ჩვენთან ხომ იშვიათი გამონაკლისია), ან მეწარმე დანაშაულს იმ მოხელის ხელშეწყობით ჩადის, რომელსაც ამავე მეწარმის კონტროლი ევალება. ამით კი დაზარალებული სახელმწიფო და ხალხი რჩება. ასეთი ფაქტები უამრავია. 2000, განსაკუთრებით კი 2001 წელს სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ზიანი მიაყენა გადასახადების მასობრივმა დამალვამ, 2000 წელს აღირიცხა ასეთი 126 ფაქტი (ალბათ 10-ჯერ მეტი აღურიცხავი დარჩა „როგორც წესი“), გადასახადების მასობრივი დამალვა გრძელდება. 2001 წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებულია დამალვის მხოლოდ 60 ფაქტი. მაგალითად, შპს „ფრონეს“ დირექტორმა 2000 წლის ნოემბერ-დეკემბერში შპს „დალისთან“ განხორციელებული სავაჭრო-კომერციული ოპერაციების შედეგად მიღებული თანხებიდან სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა 7,234 ლარი, ხოლო შპს „ამდ-ის“ დირექტორმა 23.650 ლარი.

მხოლოდ ბოლო სამი წლის მანძილზე ტყის უკანონოდ გაჩეხვისათვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მხოლოდ დამნაშავეთა 2 პროცენტს. შს სამინისტროს მონაცემებით 1998-2000 წლებში ტყის უკანონო ჩეხვაზე აღიძრა სისხლის სამართლის 679 საქმე, ტყის ფონდის მიწის თვითნებურ მითვისებაზე 20, ხოლო ტყის მასივების განზრახ განადგურებასა და ცეცხლის წაკიდებით დაზიანებაზე 3. ამ სფეროში ვხვდებით ჩადენილი დანაშაულის დამალვის, მოკვლევის ვადების გაჭიანურების, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების არაერთ ფაქტს.

სამი წელი ჭიანურდებოდა მასალების მოკვლევა ლანჩხუთის რაიონში, 1997 წლის იანვარში 30 ძირი ძვირფასი ხის მოჭრის ფაქტზე. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2000 წლის 17 იანვარს, ისე რომ ზარალი 770 ლარი არ ანაზღაურებულა.

თეთრი წყაროს რაიონის უშიშროების უფროსმა დანიშის სატყეო მეურნეობაში უკანონოდ მოჭრა 12 ძირი კაკლის ხე. ზარალმა 6.789 ლარი შეადგინა. ჩადენილი დანაშა-

ელის მასალები გადაეცა ქვემო ქართლის უშიშროების სამ-
ართველოს უფროსს. დანაშაულის ამ ფაქტზე მოკვლევა არ
ატარებულა. დანაშაული უპასუხოდ დარჩა. ზარალი არ ანა-
ღაურებულა. ანალოგიური დანაშაული მოხდა ადიგენის,
ორჯომის, ქედის, ხონის, ვანის, ლაგოდეხის, ასპინძისა და
. შ., რაიონებში.

სად არიან სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის, გარე-
ოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელ-
ძღვანელები? ტყეების მასივების განაშენიანება და დაცვა
ომ მათი პირდაპირი მოვალეობაა? მაგრამ არა! ისინი წლე-
ოს მანძილზე „ითბობენ ხელს“ ტყის მასივების უკანონო
ახეჩვისა და რეალიზაციის გზით.[1]

მეტად დამაფიქრებელია, როდესაც პოლიციისა და ტყის
აცვის შესაბამისი სამსახურების მთელი რიგი მუშაკები აღ-
ქეთის ნაცვლად თვით უწყობენ ხელს ხე-ტყის უკანონო და მა-
ობრივ გაჩეხვას, გატანას და რეალიზაციას.

2000 წელს და 2001 წლის დასაწყისში საქართველოს პრო-
ურატურის ორგანოებს წარმოებაში ჰქონდათ კორუფციული
ასიათის დანაშაულთა 250 სისხლის სამართლის საქმე, რო-
ელთაგან გამოძიება 155-მდე დამთავრდა. მათგან 135 საქმე
0%-მდე პირის მიმართ სათანადო საბრალდებო დასკვნებით
ასამართლოს გადაეცა.

დამთავრდა გამოძიება შპს „ინგასოს“ დირექტორის მი-
ის 788.000 ლარის დატაცების, შპს „ვერეს“ დირექტორის
იერ 100.000 ლარის ოდენობის ინვესტიციის ყალბი დოკუ-
ენტების შედგენის გზით მითვისების, თბილისის „ფოსტამ-
ის“ საბანკო ანგარიშებიდან პენსიონერებისათვის განკუთ-
ვნილი 460 ათასი ლარის დატაცების, „საქტრანსნავთობ-
როდუქტის“ გენერალური დირექტორის მიერ 155.000 ლა-
ის მითვისების, ასოციაცია „საჩინოს“ პრეზიდენტის მიერ
200.000 დოლარის დატაცების, შპს „მინაგო ბანკის“ მმარ-
ველის და მთავარი ბუღალტრის მიერ 350.000 დოლარისა
და 30 ათასი ლარის დატაცების, „საქართველოს ბანკის“ თე-

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 28 აპრილი, 2001 წ.

ლავის ფილიალის ყოფილი მმართველის მოადგილის მიერ მოქალაქეთა კუთვნილი 266.000 ლარის დატაცების ფაქტებზე.[1]

სამწუხაროდ, ყოველთვის როდია ადექვატური სასამართლოს გადაწყვეტილება პროკურატურის დასაბუთებულ და საფუძვლიან ბრალდებებზე. ამის შესახებ მეტყველებს არაერთი ფაქტი. 2001 წლის დასაწყისში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორ პასუხისმგებელ მუშაკს თბილისის საოლქო სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ სულ მალე ორივე გაათავისუფლა საპყრობილედან, თუმც მათ სერიოზული ბრალდება ჰქონდათ წაყენებული, როგორც კორუფციული დანაშაულის ჩამდენთ.

იმავე საოლქო სასამართლომ 2001 წლის 6 თებერვალს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა არ აცალა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსს, რომელმაც „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზის“ გენერალურ დირექტორთან ერთად (იგი რატომღაც ციხეში დატოვეს) საქართველოს გენერალური პროკურატურის ბრალდებით 2,5 მილიონი ლარი მიითვისა.

იმავე დროს მილიონობით ლარის მითვისების ბრალდებით ორი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბორჯომსა და მადნეულში ფინანსური მაქინაციებისათვის, მაგრამ ორივე დაუსჯელი დარჩა.

ანალოგიური ფაქტების წინაშე აღმოჩნდა ტრანსპორტის პროკურატურა (რკინიგზის თანხების დატაცება), მთავარი სამხედრო პროკურატურა (თავდაცვის სახსრების დატაცება), რაჭა-ლეჩხუმის საოლქო პროკურატურა (საპენსიო თანხების დატაცება). ასეთივე ფაქტებია უშიშროების (ელექტროენერგიის სახსრების დატაცება) და შს სამინისტროებშიც (საბიუჯეტო თანხების დატაცება). 2001 წლის თებერვალში პრესა იუწყებოდა, რომ საქართველოს პროკურატურაში გრძელდებოდა წინასწარი გამოძიება კორუფციულ დანაშაულზე. აღინიშნა იმის შესახებაც, რომ საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად უკვე გამოვლინდა სახელმწიფო ხაზინის, „საქენერგოს“, კავშირგაბმულობისა და ფო-

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 23 იანვარი, 2001 წ.

სტის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის და სხვა კერძო და საჯარო სამართლის სუბიექტების დანაშაულებრივი საქმიანობის მეტად შემაშფოთებელი ფაქტები. დიდძალი საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვასა და მითვისებაში მხილებულ იქნენ მაღალი თანამდებობის პირები, რომელთა მიმართაც კანონხორციელდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის პატიმრობა. მაგრამ სულ მალე პროკურატურის მიერ გაფლანგვებსა და ფულადი სახსრების მითვისებაში მხილებულნი სასამართლომ ზედიზედ გაათავისუფლა პატიმრობიდან. ცხადია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთაგან ზოგიერთი შეიძლება კიდეც გამართლდეს და ციხეში არც მოხვდეს, „მაგრამ ასე მასობრივად? თანაც საწყის ეტაპზე".[1]

სისხლის სამართლის პასუხისგებაში კორუფციული დანაშაულის ჩადენის გამო პატიმრობიდან ასე მასობრივად გათავისუფლება მართლაც რომ გაუგებარია და ეჭვს ბადებს.

საქართველოში სახელმწიფო თუ საბიუჯეტო სახსრების ფლატაცებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს არსებული სერიოზული დარღვევები აღრიცხვისა და კონტროლის სფეროში. საკმაოდ ცნობილ სახელმწიფო ორგანიზაციებშიც კი მოშლილია ფინანსური დისციპლინა, არ აღირიცხება ბიუჯეტიდან მიღებული ათეულ ათასობით ლარი. 2000 წელს ჩატარებული სისხლის სამართლის დანაშაულის მრავალი ფაქტი დასახელა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა. მარტო აღნიშნულ პერიოდში კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წონა საერთო ხასიათის დანაშაულთა რიცხვში 9,4 პროცენტიდან 11,7 პროცენტამდე გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კორუფციული ხასიათის ბევრი დანაშაული ხომ აღურიცხავია, მისი განსაკუთრებული შენიღბულისა და ლატენტურობის გამო?

გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით გენერალურ პროკურორს საყვედურობდნენ, რომ ძალრთალია, მათ 2000 წლის განმავლობაში აღძრეს სისხლის

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 8 თებერვალი, 2001 წ.

სამართლის არაერთი საქმე კორუფციული დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ მხოლოდ „ლიფსიტეის“ იჭერენ და „ღლავებს“ ხელს არ ახლებენო. თუ გენერალური პროკურორის (ამჯერად ყოფილის) ოპონენტები „ღლავებში“ სახელმწიფო ხელისუფლების მაღალ ჩინოსნებს გულისხმობენ (მთავრობის, პარლამენტის წევრები და ა. შ.), ე. ი. კორუფციას „ზემოთ,“ შეუძლია (შეეძლო) მას შეუძლებელი? მართალია გენერალურმა პროკურორმა შეძლო ზოგიერთი შედარებით მაღალჩინოსნის დაპატიმრება კორუფციული დანაშაულისათვის, მაგრამ ეს ზოგიერთმა პარლამენტარმა და პრესის წარმომადგენელმა კონიუნქტურულ ნაბიჯად და პოპულიზმადაც კი მიიჩნიეს, თუმცა გენერალურ პროკურორს მათი დანაშაულში მხილების სავსებით სერიოზული საფუძველი ჰქონდა. იმავე პერიოდს დაემთხვა ზოგიერთი მაღალჩინოსანის (აღმასრულებელი ხელისუფლებიდან, პარლამენტიდან და ა. შ.) განსაკუთრებული დაინტერესება გენერალური პროკურორის კომპეტენციით, სტატუსით და რაც მთავარია სავარძლით.

რა რეალური შედეგი მოჰყვა გენერალური პროკურორის ძალისხმევას (შესაძლებლობის ფარგლებში) თანამდებობის პირთა მიერ კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტების გამოვლენისათვის და დამნაშავეთა გვარების დასახელებას? არაფითარი, მისი სამსახურიდან იძულებითი წასვლის გარდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა მისი უსაფუძვლო იმფიჩმენტიც კი მოითხოვა. ეს მოხდა ერთი თვით ადრე 2001 წლის თებერვალში მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლამდე. იგი აიძულეს პარლამენტარებმა, რამეთუ მან ჩინებულად იცოდა ვინ იყო კორუმპირებული პარლამენტში, ვის წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ რა გზით გახდა მაფიანი და მაფიანი პარლამენტის წევრი, ვის და რატომ ლობირიბდნენ და ა. შ. მას ხომ შეეძლო (და როგორც ჩანს მზადაც იყო ამისათვის და სწორედ ამიტომ აიძულეს გადამდგარიყო) დაესახელებინა პარლამენტის წევრთა გვარები და მათთვის იმუნიტეტის მოხსნა მოეთხოვა, ისე როგორც ადრე მოითხოვა ზოგიერთ პარლამენტარზე, რასაც ფარად იყენებენ პარლამენტში მოკალათებული სისხლის სამართლის დამნაშავენი?

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ კორუფცია დომინირებს სახელმწიფო ხელისუფლებაში. ამიტომაა სწორედ ურთულესი მის წინააღმდეგ ბრძოლა, მეტადრე მისი დაძლევა, ეს აშკარად ჩანს თუნდაც გენერალური პროკურორის მაგალითზე. მხედველობაშია სწორედ „ზემდგომი“ კორუფცია, რომელიც „ასაზრდოებს“ და წარმოშობს „ქვემდგომს“. კორუფცია ხომ უწინარეს ყოვლისა სახელისუფლებო, სამთავრობო მოვლენა, თანამდებობრივი დანაშაული და ბოროტმოქმედებაა? გენერალურ პროკურორსა და მის თანამშრომლებს რეალურად შეუძლიათ მოერიონ მხოლოდ წვრილ და საშუალო დონის კორუფციას, კორუფციას „ზევით“ როგორც იტყვიან, „ძვრასაც კი ვერ უზამენ“. ამიტომაც უნდა გაფართოვდეს გენერალური პროკურორის რეალური უფლებები, იგი უნდა იყოს კანონს გარდა ყველასაგან დამოუკიდებელი და ინიშნებოდეს მუდმივად ან ათი წლით, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

საქართველოში არსებული საკადრო პოლიტიკა, როგორც ვნახეთ, კანონმდებლობის წესით არ არის მოწესრიგებული და ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ამის შემდეგ საკადრო პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციაში რომ არსებობდეს სერიოზული დარღვევები, რაც ხშირად დანაშაულებრივ ქმედებაში გამოიხატება, არ უნდა იყოს მოულოდნელი. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს. გასულ წელს სერიოზული ბრალდებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს სამინისტროში შემავალი ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარე და იმის ნაცვლად, რომ სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ მის წინააღმდეგ და ჩაეტარებინათ ობიექტური გამოძიება, გადაიყვანეს... მინისტრის (სხვა სამინისტროში) პირველ მოადგილედ, შემდეგ მინისტრად, როგორც „უდანაშაულო“, რომელსაც თითქოს „ბუზიც კი არ აეფრინოს“. ან ვთქვათ, შეიცვალა ძველი მინისტრი (რაც ჩვენთან ქრონიკულია) და დაინიშნა ახალი. მან ყველა მოადგილე და სამინისტრო-

ში მყოფი ბევრი სხვა თანამდებობის პირი გაათავისუფლა, რაშიც უჩვეულო არაფერია. მაგრამ საქმე ის არის, რომ მათგან მეტი თუ არა ნახევარი მაინც იყო კორუმპირებული და იმის ნაცვლად, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო მათ წინააღმდეგ და ჩატარებულიყო სამართლიანი გამოძიება, მუქთად ნაშოვნი ფულის დაბანდების გზით თავისუფლად მოკალათდნენ კომერციულ სტრუქტურებში.

მიმდინარე წლის თებერვალში (ვადამდე ერთი თვით ადრე) შეიცვალა გენერალური პროკურორი, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი და განათლებული იურისტით. მან გაათავისუფლა თანამდებობიდან წინანდელი გენერალური პროკურორის ყველა მოადგილე და გენერალური პროკურატურის სხვა თანამდებობის პირები. საქართველოს პროკურატურიდან გათავისუფლებული ზოგიერთი თანამდებობის პირი იოლად „მოკალათდა" სხვა სამართალდაცვის ორგანოში, უფრო მეტ „სარფიან" თანამდებობაზე.

დანიშვნიდან სულ მალე ახალ გენერალურ პროკურორს ზოგიერთმა პარლამენტარმა შარი მოსდო, თითქოს მან თანამდებობაზე დანიშნა ახალი პიროვნებები ორგანული კანონის დარღვევით. როგორც წინამორბედს, მასაც იმფიჩმენტით დაემუქრნენ, თუმც არც მაშინ და არც ახლა იმფიჩმენტის საფუძველი არ არსებობდა. საკვირველი ისაა, რომ იმფიჩმენტის მოტრფიალე ზოგიერთ პარლამენტარს ხეირიანად არც კი ესმის მისი დედაარსი. იმფიჩმენტი უაღრესად რთულ პროცედურას ითვალისწინებს, ამიტომაც მის სამშობლოშიც, აშშ-შიც კი იშვიათად მიმართავენ. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა (შევახსენებთ ვისაც დაავიწყდა) 1997 წლის ნოემბერში მიიღო ორგანული კანონი იმფიჩმენტის შესახებ, რომლის პირველივე მუხლით განსაზღვრულია იმფიჩმენტის ცნება: „იმპიჩმენტი არის კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის,

„კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების წესი“.[1] სწორედ აღნიშნული თანამდებობის პირთაგან იღებს სათავეს კორუფცია.

იმფიჩმენტის წესით პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს.

კანონის მეორე მუხლით განსაზღვრულია იმფიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის საფუძველი, რომელსაც შეადგენს ისეთი ქმედება, როგორიც არის: ა. კონსტიტუციის დარღვევა; ბ. სახელმწიფოს ღალატი ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაული. კანონში ნათქვამია: „იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი აღძრულად ჩაითვლება თუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარედგინება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხის აღძვრის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი. წერილობით მოთხოვნაში უნდა ჩამოყალიბდეს ბრალდების სახე, შინაარსი, არგუმენტები. წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს — საჭირო ხელმომწერთა შეგროვების შემდეგ.“[1]

თუ თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტის თავმჯდომარე მოთხოვნას დასკვნისათვის გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს. ხოლო თუ პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის საფუძველია სახელმწიფო ღალატის ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენა, პარლამენტის თავმჯდომარე საკითხს დასკვნისათვის უზენაეს სასამართლოს გადასცემს.

თუ კი თანამდებობის პირის ქმედებაში ადგილი აქვს კონსტიტუციის დარღვევასაც, სახელმწიფო ღალატსაც ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაულს, პარლამენტის თავმჯდომარე თანამდებობიდან პირის გადაყენების საკითხის აღძვრის მოთხოვნას დასკვნისათვის ერთდროულად გადასცემს

---

1 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 28 ნოემბერი, 1997 წ.

საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს.

პრეზიდენტის იმფიჩმენტის წესით გადაყენების საკითხი დაისმება, თუ ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ. იგი ითვლება იმფიჩმენტის წესით გადაყენებულად თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა, საომარ პირობებში პრეზიდენტის მიმართ იმფიჩმენტის გამოყენება დაუშვებელია.[1]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, იმფიჩმენტის დროს თანამდებობის პირის ბრალმდებლად გამოდის საკანონმდებლო ორგანო (პარლამენტი), მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არ ევალება ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა. ბრალდებულ სახელმწიფო მოხელეს დაკითხავენ პარლამენტში, სადაც სასამართლო პროცესი მიყავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს, ან მოსამართლეს. სწორედ სასამართლომ უნდა გამოიტანოს განაჩენი როგორც წესი და აღიაროს თანამდებობის პირი დამნაშავედ და თანამდებობიდან გადაყენებულად. მხოლოდ ამ ერთ საკითხზე ღებულობს სასამართლო გადაწყვეტილებას, თუ სხვა დანაშაული აქვს თანამდებობის პირს ჩადენილი, ეს საკითხი ცალკე განიხილება.

ბოლო წლებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო არაერთი კანონი, რომლებმაც უნდა დაარეგულიროს სახელმწიფო თანამდებობის პირთა მოღვაწეობა კორუფციასთან დაკავშირებით, მისი თავიდან აცილებისა და დაძლევის მიზნით. სამწუხაროდ ეს მხოლოდ სურვილია, რომელიც არ არის გამაგრებული პრაქტიკული საქმეებით. ამასთან ერთად როგორც ქვემოთ დავინახავთ ზოგიერთი კანონი თვით უწყობს ხელს კორუფციის გავრცელებას. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ 1997 წელს, ოქტომბერში პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", რომლის შემდეგ საქართველოში კორუფცია, არამც თუ შემცირდა, არამედ გაძლიერდა და შეიძლება ითქვას გაათკეცდა. ასე, რომ მარტო კანონების მიღება საქმეს ვერ შველის. აღნიშნული კანონით „თანამდებობის პირში" იგულისხმებიან შემდეგი პირები: „სა-

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 28 ნოემბერი, 1997.

ქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები; საქართველოს სამინისტროს ბიუროს, დეპარტამენტისა და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები; საქართველოს შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აგრეთვე რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის, რაიონის საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უფროსები; საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე; საქართველოს სამხედრო კომისარი, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მოადგილე და პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი; საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი; საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი; საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო ორწმუნებული და მისი მოადგილე; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის, რაიონის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუ-

თაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის, რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები; მოსამართლე, საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე; საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის პროკურორები; საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი".[1]

კანონი ადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის, აღკვეთისა და კორუფციული დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებსა და სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხებს.

თუ კორუფცია თანამდებობრივი დანაშაული და ბოროტმოქმედებაა, სწორედ აღნიშნულ ჩამოთვლილ თანამდებობათა პირებშია იგი გავრცელებული სხვადასხვა დონითა და მასშტაბით. ამიტომ სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური ნებისა და საგანგებოდ გატარებულ (არა სიტყვით, არამედ საქმით) ღონისძიებათა გარეშე ეს „შავი ჭირი" ვერ დაიძლევა, რასაც ხელს უშლის აღნიშნული და ზოგიერთი სხვა კანონის მასტიმულირებელი მუხლები. ამის მაგალითებისათვის „შორს წასვლა" არ მოგვიწევს, ტიპიურად შეიძლება ჩაითვალოს თვით ხსენებული კანონი. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია „კორუფციული სამართალდარღვევა", რომელიც ამავე კანონით არის ქმედება, „რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა".[2]

როგორც ვხედავთ, კორუფციული სამართალდარღვევის შემთხვევაში გაურკვეველია თუ რომელი კანონითაა განსაზღვრული აღნიშნული სამი სახის პასუხისმგებლობა. თუ მხედველობაშია პასუხისმგებლობა მაგალითად ისეთი სახის აღ-

---

1 პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 44, 1997, გვ. 86.
2 იქვე, გვ. 87.

ნიშნული სამართალდარღვევისათვის, როგორიცაა მექრთამეობა,[1] თუ კი იგი ჩადენილია დამამძიმებელი გარემოების გარეშე, 2000 წლის მაისამდე მოქმედ სს კოდექსში გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 3-დან 10 წლამდე და ქონების კონფისკაცია. დამამძიმებელ გარემოებად, ადრე მოქმედ სს კოდექსი თვლიდა: თანამდებობის პირის პასუხსაგებ მდგომარეობას, მექრთამეობისათვის ნასამართლობას, ქრთამის არაერთხელ აღებას, ქრთამის გამოძალვას. ქრთამის აღება თუნდაც ერთ-ერთი დამამძიმებელ გარემოებაში ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 8-დან 15 წლამდე, ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ 2-დან 5 წლამდე გასახლებით. ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯაც კი (მუხლი 189) და ქონების კონფისკაცია. ხოლო ამჟამად მოქმედი (2000 წლიდან) საქართველოს სს კოდექსი ქონების კონფისკაციას საერთოდ არ ითვალისწინებს, სიკვდილით დასჯა ხომ გაუქმებულია და სს ახლანდელი კოდექსი უფრო მეტად მიესადაგება სამართლებრივ, სოციალურ სახელმწიფოს, ვიდრე მსოფლიოში ერთერთ ყველაზე კორუმპირებულ საქართველოს.

ხოლო დისციპლინური და ადმინისტრაციული სასჯელი „კორუფციული სამართალდარღვევისათვის“ მიუღებელია (საყვედური, სასტიკი საყვედური, თანამდებობიდან გადაყენება და ა. შ.). ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც არღვევს კანონს, სჩადის კორუფციულ ქმედებას, იმსახურებს სს კოდექსით დასჯადობას, სასჯელის სხვადასხვა ზომას.

ამდენად, აღნიშნული კანონი სრულიადაც არ უწყობს ხელს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში.

იმავე კანონის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მე-10 მუხლის სამივე ნაწილში გარკვევითაა ნათქვამი: „თანამდებობის პირს უფ-

---

1 საყურადღებოა, რომ ქრთამს საბა კანსაზღვრავდა როგორც „საცოდავ ძღუენს“ (ე. ი. „ცოდვიღის“ აზრით) თანამდებობის პირის მოსასყიდად მიცემული ფული ანუ ძღუენი. 2 (ძვ.) საჩუქარი, გასამრჯელო რაიმე საქმის გარიგების ან რაიმე სამსახურის გაწევისათვის (იცოდნენ ფშაველი. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 457).

ლება არა აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას უკავია თანამდებობა". „მასვე უფლება არა აქვს თავის ახლო ნათესავთან ან მის წარმომადგენელთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოხელემ", რომ „გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია".[1]

საკითხი ნათელია სახაზინო დაწესებულებასთან დაკავშირებით. მართლაც დაუშვებელია აღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავე თანამდებობის პირმა ამ დაწესებულებასთან გააფორმოს ქონებრივი გარიგება. მთელი პრობლემაა „ახლო ნათესავის" ცნება. კანონი განმარტავს, რომ იგი არის თანამდებობის „პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები".[2] ხოლო „ოჯახის წევრში" იგულისხმება „პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები".[3]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმის მიხედვით თანამდებობის პირს კანონით აკრძალული აქვს გააფორმოს ქონებრივი გარიგება ძმასთან ან დასთან, მეუღლესთან, არასრულწლოვან შვილთან და გერთან, მშობლისა და შვილის გერებთან. სამაგიეროდ მას შეუძლია ასეთი გარიგების დადება სრულწლოვან შვილთან, ძმისშვილთან ან დისშვილთან, რამეთუ კანონის მიხედვით ისინი „ახლო ნათესავებად" არ ითვლებიან. როგორც ვხედავთ, კანონმდებლებმა ჩათვალეს, რომ დის ან ძმის, მეუღლის, მშობლისა და არასრულწლოვანი შვილის, გერის შემთხვევაში მათთან ქონებრივი გარიგების დადებისას თანამდებობის პირს არ შეეძლება იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური, ხოლო თუ ასეთ გარიგებას დადებს დისშვილთან ან ძმისშვილთან (მამიდაშვილთან, დეიდაშვილთან და ა. შ.), ამ შემთხვევაში დაცული იქნება ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, რადგან თურმე ისინი „ახლო ნათესავები" არ ყოფილან. აქ აშკარა შეუსაბამობაა.

---

1 პარლამენტის უწყებანი, თბ., 1997 წ., № 44, გვ. 87.
2 იქვე.
3 იქვე.

აღნიშნული კანონი ვერ არეგულირებს კერძოდ, სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნათესაური ნიშნის გათვალისწინებით თანამდებობის პირთა ურთიერთობას. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს მთელ რიგ გაუგებრობებს. კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, თუ მაგალითად ძმა იქნება თანამდებობის პირის მოადგილე, ეს დაუშვებელია. ხოლო ძმისშვილი, დისშვილი, დეიდაშვილი თუ მამიდაშვილი კი შეიძლება. თურმე პირველ შემთხვევაში თანამდებობის პირის ძმა თუ იქნება მისი მოადგილე, იგი ველარ იქნება მიუკერძოებელი, ობიექტური, ხოლო მეორე შემთხვევაში, კი ასეთი იქნება. აქედან გამომდინარე, არავის აღარ შეეძლება თანამდებობის პირის ობიექტურობაში (რომლის მოადგილეცაა მისი დისშვილი ან ძმისშვილი) ეჭვი შეიტანოს. თუ ძმის მიუღებელ უკანონო ქმედებას ვერ დაგმობ, რამდენადაც იგი უველაზე ახლობელია, დისშვილის ან ძმისშვილის დანაშაულებრივი ქმედება კი შეიძლება დაგმო, სხვანაირად, ისინი თანამდებობის პირის ახლობლები თითქოს არც არიან. ასეთი მოსაზრება რეალურად აბსურდის ტოლფასია.

როგორც გამოცდილება მჭევრმეტყველურად ადასტურებს, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში (ეს მით უფრო მოუთმენელია სამართალდაცვის ორგანოებში) მყოფ ახლო ნათესავთა შორის არსებული ურთიერთობა თითქმის შეუძლებელია ნორმალურ, საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდეს. ეს კი არც თუ იშვიათად კორუფციის მასაზრდოებელი წყაროა. კიდევ უფრო მოუთმენელია, როდესაც ორი მინისტრი ერთმანეთის ახლო ნათესავია (ვთქვათ, დეიდაშვილები ან მამიდაშვილები). ეს მით უფრო დაუშვებელია თუ კი ორივე სამინისტროში კორუფციაა გავრცელებული (რაც ჩვენთან ეჭვგარეშეა). აშკარად შეინიშნება: სახელმწიფო ხელისუფლების სამივე განშტოებაში უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი ოჯახური და ნათესაური ინტერესების დაცვას, ვიდრე რეალური და კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო საქმეების კეთებას. აღნიშნული კანონის მესამე მუხლში (მესამე ნაწილი) პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ არის „თანამდებობის პი-

რის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან".[1]

აღნიშნულ კანონში სხვა შეუსაბამობებსა და გაუგებრობებსაც აქვს ადგილი. კანონის მე-5 თავის „პასუხისმგებლობა კორუფციული სამართალდარღვევისათვის" მე-20 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში გარკვევითაა ნათქვამი: „თანამდებობის პირების მიერ ამ კანონის ბრალეული დარღვევა, თუ იგი არ წარმოადგენს სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით" (მეორე ნაწილი), „თუ კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც ასეთი ქმედობისათვის გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, გარდა თანამდებობიდან განთავისუფლებისა, იგი ექვემდებარება სამსახურიდან სავალდებულო განთავისუფლებას".[2]

ჯერ ერთი, კორუფციული ბრალეული სამართალდარღვევა დანაშაულებრივი ქმედების ტოლფასია და ასეთი ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და არა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იქნეს გამოყენებული. სხვანაირად როგორ გავიგოთ იმავე მუხლის მესამე ნაწილით მითითებული კორუფციული სამართალდარღვევა თანამდებობის პირის მიერ თუ არა „კორუფციული დანაშაულებრივი ქმედება", რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული და არა „დისციპლინური პასუხისმგებლობა". აღნიშნული მე-20 მუხლის მესამე ნაწილით თანამდებობის პირს შეუძლია ქრთამი აიღოს (თან ნებისმიერი ოდენობით) და პირველ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (საყვედური, სასტიკი საყვედური, თანამდებობიდან ჩამოქვეითება და ა. შ.) და კორუფციული დანაშაულის ჩამდენი დატოვებული იქნება თანამდებობაზე (რასაც არც ფაქტობრივი, სამართლებრივი და ზნეობრივი გამართლება არ მოეძებნება), ხოლო თუ კორუფციული დანაშაულის პირველად ჩადენიდან წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ კორუფციულ

---

1 პარლამენტის უწყებანი, №44, 11, 11, 1997, გვ. 87.

2 იქვე. გვ. 91.

ებულებას, აი, მხოლოდ ამის შემდეგ ექვემდებარება მისი ჩამდენი თანამდებობის პირი „სამსახურიდან სავალდებულო გათავისუფლებას“.

აი ასეთნაირად ებრძვიან ჩვენი კანონმდებლები ქვეყნის ყველა უბედურების მთავარ მიზეზს — კორუფციას.

კიდევ მეტი, თურმე აღნიშნული კანონის 20-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, საქართველოს მთავრობის წევრზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებზე, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის, რაიონის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებზე.[1]

ძნელი არ არის იმის გაცნობიერება, რომ კორუფციული დანაშაული მასობრივადაა დამკვიდრებული სწორედ დასახელებული თანამდებობის პირებში, რომლებზეც თურმე არ უნდა გავრცელდეს „კორუფციული სამართალდარღვევისათვის“ პასუხისმგებლობის ესა თუ ის ზომა. საინტერესოა ვინ უპასუხისმგებლობაში კანონმდებლებს, რომლებზეც უნდა გავრცელდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ესა თუ ის ზომა „კორუფციული სამართალდარღვევისათვის“? ზუგდიდელი მეჩაიე, დუშელი მწყემსი, სამტრედიელი მესიმინდე თუ თბილისელი მეტრომშენებელი? თუ ასე ფიქრობენ კანონმდებლები, მაშინ ძალიან გაუიოლდებათ „კორუფციის“ წინააღმდეგ ბრძოლა სამართალდაცვის ორგანოებს.

როგორც ვხედავთ საჭიროა მთლიანად საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში, განსაკუთრებით ცალკეულ კანონებში სერიოზული ცვლილებების შეტანა, ზოგიერთი კანონი მართლაც რომ პრინციპული ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება და თვით უწყობს ხელს კორუფციის გავრცელებას.

---

1 იხ. პარლამენტის უწყებანი, № 44, 11, 11, ოგ., 1997, გვ. 92.

ზემოთ აღნიშნულ და ნაწილობრივ განხილულ და შეფასებულ კანონს გარდა შეიძლება აგრეთვე დავასახელოთ საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. კანონის 47-ე მუხლის მერვე ნაწილში აღნიშნულია: „ამ კანონით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება მ ხ ო ლ ო დ (სიტყვა ჩვენია ა. მ.) სპეციალური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ".[1] ამავე კანონის 69-ე მუხლის პირველი ნაწილი „კვერს უკრავს" 47-ე მუხლის მერვე ნაწილის მოთხოვნას: „ამ კანონით დადგენილი წესით დანიშნული (არჩეული) მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება მხოლოდ იუსტიციის სასწავლო ცენტრში სპეციალური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, რომლის ხანგრძლივობას ვადით არა უმეტეს 3 თვისა, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის საბჭო".[2] იგივე შინაარსითა და მოთხოვნით ხასიათდება კანონის 87[1] მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც გვამცნობს: „ამ კანონით დადგენილი წესით დანიშნული (არჩეული) მოსამართლე მოვალეა გაიაროს სპეციალური სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში".[3]

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია: სამისამართლო სწავლების ცენტრი თურმე პარლამენტზე და პრეზიდენტზე მაღლა მდგომი ყოფილა თავისი უფლებებით. როგორ ვერ „შეამჩნიეს" ეს აბსურდი კანონმდებლებმა? ეგება არც კი სურდათ შეემჩნიათ ვიღაც-ვიღაცეების კერძო ინტერესების გამო. მართლაც უცნაურია: ყოველმხრივ შესწავლილ და მოსამართლის გამოცდაჩაბარებულ პიროვნებას კიდევ რაღაც შემოწმება მოუწყოთ?

თუ აღნიშნული კანონის მითითებული მუხლებით ვიხელმძღვანელებთ, პრეზიდენტს არა აქვს უფლება იუსტიციის საბჭოს წარდგინებით დანიშნოს მოსამართლე, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ამავე კანონის 48 მუხლის პირველ ნაწილს, რომელშიც ნათქვამია: „რაიონული (საქალაქო), საოლქო

---

1 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, თბ., 1999, გვ. 24.

2 იქვე, გვ. 41-42.

3 იქვე, გვ. 64.

სასამართლოების მოსამართლეებს ბრძანებულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით[1]. ხოლო კანონის 47,69 და 87 მუხლების შესაბამისად მერვე, პირველი და მეორე ნაწილებიდან თუ გამოვალთ, პრეზიდენტს არ ჰქონია უფლება დანიშნოს მოსამართლე, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას ვერ შეუდგება მანამდე, ვიდრე სპეციალურ სასწავლო კურსს არ გაივლის. სასამართლო რეფორმისათვის განკუთვნილი თანხის (20-ზე მეტი მილიონი დოლარი) ნაწილი, რომელიც მოსამართლეების გადამზადებას უნდა მოხმარდეს (მათ ხომ სამოსამართლეო გამოცდა ჩააბარეს, სხვა სახის შემოწმებები გაიარეს, კიდევ ერთბაშად გადამზადება?), უშუალოდ ხვდება სასწავლო ცენტრში, ფაქტობრივად კი მისი ხელმძღვანელობის ხელში. როგორც ჩანს სასამართლო რეფორმის გატარების პროცესში ზოგიერთმა მისმა მესვეურმა ბოროტად გამოიყენა თანამდებობრივი მდგომარეობა პირადი ანგარების მიზნით, რაც კორუფციის ერთ-ერთი ტიპიური გამოვლენაა.

ასეთი პრაქტიკა არამც თუ ეჭვის ქვეშ აყენებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, არამედ აშკარად ეწინააღმდეგება მას და მოქმედ კონსტიტუციას. კანონი ფაქტობრივად ავალდებულებს მოსამართლეებს გადაუხადონ ფული ცენტრის ხელმძღვანელობას. ამდენად, კანონის შესაბამისი მუხლები აშკარად უწყობენ ხელს კორუფციის გავრცელებას.

ყურადღებით გადასახედია აღნიშნული და სხვა კანონებიც, მათში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის მიზნით კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის ამოცანათა თვალსაზრისით.

ანტიკორუფციულ პროგრამაში ბევრი გაბედული დებულებები და დასკვნებია მოცემული. იგი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია. მასში არის ზოგიერთი სადავო და ბოლომდე დაუმთავრებელი მოსაზრება, ქვეტექსტიც ცოტა როდია.

პროგრამაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ საქარ-

---

1 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. თბ., 1999, გვ. 24.

ოველოში კორუფციის არსებულმა (და მაღალმა) დონემ საეჭვოდ გახადა სახელმწიფო ინსტიტუტების რეალური ფუნქციონირება, რომ თვით სახელმწიფო აპარატია კორუმპირებული. ეს უდავოა. მხოლოდ აქვე ჩნდება ლოგიკური კითხვა: შეძლებს კი კორუმპირებული სახელმწიფო აპარატი ამ „ვანუკურნებელი სენის“ წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას? ამ კითხვაზე პროგრამაში ვერ ვპოულობთ რეალურ, დამამშვიდებელ პასუხს. შესაძლოა პროგრამის შემდგენლებს კორუმპირებულ ხელისუფალთა „თვითგანწმენდის“ ან „მონანიების“ იმედი აქვთ. ნაკლებ სარწმუნოა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ნაკლებადკორუმპირებული ან კორუფციადაძლეული ქვეყნების გამოცდილება, სადაც კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულს რეალურად დამოუკიდებელი ორგანოები ებრძვიან.

პროგრამის ავტორთა აზრით საქართველოში კორუფციის არსებული დონე საფუძვლიანად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. „რბილადაა“ ნათქვამი. კი აფერხებს, ძირს უთხრის და კიდევ მეტი, კორუფციის არსებული მაღალი დონის პირობებში ქვეყნის ნორმალური ეკონომიკური განვითარება საერთოდ შეუძლებელია. ასევე ნაკლებადდამაჯერებელია, თითქოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეფორმებისადმი ქვეყანაში ნდობის დეფიციტია. მოსახლეობაში აღნიშნული რეფორმებისადმი რეალურად არავითარი ნდობა აღარ არსებობს, ვინაიდან ხალხს ამ ე. წ. რეფორმებისაგან საქმით რაიმე სიკეთე არ უგრძვნია. პირიქით, ამ ე. წ. რეფორმებმა ხელი შეუწყვეს კორუფციის გავრცელებას, რაც მოსახლეობის სიღატაკეს კიდევ უფრო აძლიერებს.

ანტიკორუფციული ეროვნული პროგრამის მიხედვით კორუფციის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის მნიშვნელოვანია ზღვარის გავლება „ელიტურ“ და მასობრივ (ე. ი. „არაელიტურ“) კორუფციას შორის. საქმე ის არის, რომ „ელიტური“ კორუფციაც შეიძლება იყოს მასობრივი მასშტაბის და ასეა ჩვენთან სწორედ საქართველოში. მაგალითად, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მყოფ მოხელეთა მიერ ქრთამის მასობრივად აღება ან ამა თუ იმ სახით სხვა დანაშაულებრივი ქმედება. ასე, რომ ე. წ. „ელიტურსა“ და მასობრივ კორუფციას შორის მჭიდრო კავშირია და ამდენად

ათ შორის „ჩინური კედლის“ გავლება არამართლზომიერია. კორუფციას ჩვენთან „ზემოთაც“ და „ქვემოთაც“ მასობრივი ხასიათი აქვს.

1999 წელს ქ. მოსკოვის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე კორუფციის შესახებ, კორუფცია როგორც ითქვა გაყოფილი იქნა — „ელიტურად“ და მასობრივად, ყოველდღიურად.

მისაღებია (თუნდაც პირობითად როგორც კონფერენციაზე ითქვა) კორუფციის ორად გაყოფა? ვფიქრობთ, არა, განსაკუთრებით საქართველოს მაგალითზე. ჩვენთან კორუფცია ყველა დონეზეა. მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის, მინისტრების და მათი მოადგილეების, პარლამენტარების კორუფციული დანაშაული და ა. წ. „ელიტურ“ კორუფციას განეკუთვნება და ესაა სწორედ, უწინარეს ყოვლისა, კორუფციის „ნაღები“, ყველაზე საშიში მოსანამძებობრივი ბოროტმოქმედება, რომელიც „ასაზრდოებს“ „ქვედა“ კორუფციას. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს თანამშრომელთა, „საქენერგოს“ ხელმძღვანელ მუშაკთა და სხვა სამეურნეო მოხელეთა კორუფციული ქმედება „შუათანა“ კორუფციას განეკუთვნება. ხოლო, მაგალითად ციხისა თუ სასჯელის აღსრულების სხვა დაწესებულების დარაჯის მიერ ქრთამის აღება (ორი-ხუთი ლარის ოდენობით) პატიმრისათვის საკვები პროდუქტების გადაცემის საზღაურად, წვრილი კორუფციაა. სწორედ ამ მიზნით მოიყიდეს იგი. ნებისმიერი დონის კორუფციული დანაშაული ერთან მასობრივ და ქრონიკულ ხასიათს ატარებს. კორუფცია საქართველოში თავისებური ჯაჭვია, რომელიც ძირითადად (თუნდაც პირობითად) სამი რგოლისაგან შედგება.

იურიდიულ, პოლიტოლოგიურ და სხვა მონათესავე ლიტერატურაში გავრცელებული ცნება — სახელისუფლებო ელიტა — ხშირად უმისამართოდაა გამოყენებული. ასეა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც, საქართველოს ანტიკორუფციულ პროგრამაშიც. ელიტა, რომელსაც რეკლამას უკეთებენ და ქადაგებენ ტელეარხებით, რადიოთი, პრესით, ნორმალურ ვითარებაში იწვევს არა მხოლოდ აღშფოთებას, არამედ უფრო ხშირად ყველაზე უცენზურო სალანძღავი სახელით „შეხსენების“ სურვილს. ელიტა, ამ სიტყვის პოლიტიკური გაგე-

ბით — ესაა ხალხის საუკეთესო პირები, რჩეულნი, ამა თუ იმ პროფესიული ჯგუფის ღირსეული წარმომადგენლები, მისი ნაღები — ასეთია ამ სიტყვის გაგება განმარტებით ლექსიკონში. ვის გვთავაზობენ „ელიტის“ სახით და თავს გვახვევენ ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები? სახელისუფლებო კორუფციონერებსა და თაღლითებს, ქვეყნის დამაქცევრებსა და დანაშაულებრივ ჯგუფთა მეთაურებს, მექრთამეებსა და აფერისტებს, გარყვნილ ბოჰემასა და სავალუტო დამნაშავეებს, ფინანსურ მაქინატორებსა და ნარკომანებს მაღალი ეშელონებიდან.

ელიტას ისინი კი არ შეადგენენ, ვინც სამშობლო და ხალხი „ოცდათ ვერცხლად“ გაყიდა, ვინც ადამიანებს ლუკმა-პური წაგლიჯა, სახალხო მწუხარება და უსამართლობა დაუმკვიდრა, არამედ ისინი, ვინც თავდადებულად იბრძვის ახალი, აყვავებული, კორუფციადაძლეული საქართველოსათვის, არა ქურდები და მოღალატეები, არამედ ისინი, რომლებიც ქმნიან მატერიალურ ღირებულებებს. ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ელიტა — ესაა სოფლის მასწავლებელი, რომელიც ნახევრადმშიერ და სიცივით გათოშილ ბავშვებს გაკვეთილებს უტარებს, ექიმი, რომელიც 12 საათის განმავლობაში, ფაქტობრივად უხელფასოდ მუშაობს, არ ტოვებს თავის ავადმყოფებს, ეს არის ჩვენი მეცნიერი, რომელიც დიდად ფასობს დასავლეთში, მაგრამ არ ტოვებს თავის სამშობლოს, მისთვის ტრაგიკულ პირობებში, ესენი არიან ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები და ხელოვნების მუშაკები, რომელთაც შეუძლიათ იქ, დასავლეთში ასჯერ და მეტი გასამრჯელო აიღონ, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უანგაროდ, თავდადებულად ემსახურონ საკუთარ სამშობლოს.

ამიტომ აშკარად უადგილოა ქვეყნის „კორუმპირებული სახელმწიფო აპარატის“ ელიტის სახელით მოხსენიება. თუ კი კორუმპირებულ სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიმართ აღნიშნულ სიტყვას გამოვიყენებთ, იგი უსათუოდ ყველგან ბრჭყალებში უნდა ჩაისვას.

ცხადია, ანტიკორუფციული პოლიტიკის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ყველაზე რთული პრობლემაა სახელმწიფო ხელისუფლების მაღალ თანამდებობათა მქონე პირებში გამოვლენილ კორუფციულ დანაშაულთა წინააღმდეგ ოპერა-

ჯოული ღონისძიებების გატარება. ამას ადასტურებს თუნდაც ...აზოგადოებაში მტკიცედ დამკვიდრებული, აგრეთვე კორუ...ციის თემაზე მომუშავე ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზ...რება, რომლის მიხედვითაც „რაკი სამართალდაცვის არსებუ...ლმა ორგანოებმა ვერ მიაღწიეს ანგარიშგასაწევ წარმატე...ბებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით და არსებობს ...ფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ თვით ისინი წარმო...დგენენ კორუფციის ერთგვარ წყაროს, აუცილებელია კორუ...ციის წინააღმდეგ დამსჯელ ღონისძიებათა გა...ტარება (ხაზი ჩვენია ა. მ.) ახალ, საგანგებოდ შექმნილ ანტი...კორუფციულ უწყებას მიენდოს. მოწინააღმდეგეთა აზრით, ...რ არსებობს იმის გარანტია, რომ ეს ახალი უწყება დაცული ...ქნება კორუფციის სენის შეღწევისაგან. გარდა ამისა რესუ...რსებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის პირობებ...ში ამგვარი უწყების შექმნა, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, ...ზანშეუწონელია“.[1]

ასეთი მტკიცების საფუძველი რეალურად არსებობს, მა...გრამ ქვეყანაში კორუფციის „აყვავების“ პირობებში უნდა გ...ამოინახოს ყველა არხი (თუ ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ...რაც თითქმის რეალურია, ეს საზოგადოებამ, ხალხმა უნდა გ...აკეთოს) და საშუალება ამ „შაივი ჭირის“ დასაძლევად.

პროგრამის შემდგენლებმა საჭიროდ ჩათვალეს არსებუ...ლი ვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით ანტიკო...რუფციული პოლიტიკის მაკოორდინებელი ორგანოს შექმნა, რომელიც უშუალოდ დაემორჩილება პრეზიდენტს და რომლის ...ფუნქციები ბ და გ პუნქტებში ჩამოთვლილი ამოცანებით ...ამოიწურება და „მას არ ექნება სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიების უფლებები“[2] (გვჭირდება დღეს ვითომ ...ასეთი „პოტიომკინის სოფელი“?).

აღნიშნულ ორგანოს პროგრამით ევალება განახორციე...ლოს ზედამხედველობა სახელმწიფო მოხელეების შრომის ან-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 1 ნოემბერი, 2000 წ.

2 იქვე, პროგრამის ა, ბ და გ პუნქტებით გათვალისწინებულია ანტიკორუფციუ...ლი პოლიტიკის შემუშავება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივ ძა...ღებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კოორდინაცია.

აზღაურებაზე, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე, სახელმწიფო მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირებაზე და ა. შ.

პროგრამის ავტორებმა სასურველად მიიჩნიეს, რომ არსებობდეს „ანტიკორუფციული პოლიტიკის პოლიტიკური ცენტრი, რომელიც მოახდენს ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაციას“.[1] აქვე განსაზღვრული ანტიკორუფციული პოლიტიკის მომცველი ძირითადი ამოცანებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ანტიკორუფციული „პოლიტიკური ცენტრის“ თანამშრომლობა „იმ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან თუ ცალკეულ მოქალაქეებთან, რომლებიც ანტიკორუფციული ინიციატივებით გამოდიან. ამ მიზნით სასურველია შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭოები საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციისა და ნდობის მქონე მოქალაქეებისაგან, რომლებიც რეგულარულ ზედამხედველობას გაუწევენ ანტიკორუფციული სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტის განხორციელებას. უნდა ხდებოდეს ასეთი საზოგადოებრივი (საზედამხედველო) საბჭოების შემადგენლობის რეგულარული როტაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ფართო მონაწილეობა ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში“.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს სახელმწიფოებრივი ანტიკორუფციული სტრატეგია („მთავარი დარტყმის მიმართულება“ არ არის განსაზღვრული) აღნიშნულმა წინადადებამ და საერთოდ პროგრამამ შეიძლება ხელი შეუწყოს მითითებული სტრატეგიის ჯეროვან დონეზე შემუშავებას. აღნიშნული წინადადება სხვა მხრივაც იძენს მნიშვნელობას: იგი დაეხმარება კორუფციის საწინააღმდეგო რადიკალურად განწყობილ მოქალაქეებს დაირაზმონ ანტიკორუფციული სამსახურის გარშემო და თავიანთი ძალისხმევით ხელი შეუწყონ მთელი საზოგადოების უკომპრომისო ბრძოლას კორუფციის დასაძლევად. უნდა შემუშავდეს და

---

1. საქართველოს რესპუბლიკა, 1 ნოემბერი, 2000 წ.
2. იქვე.

მიღებული იქნეს სპეციალური კანონი, რომელიც უფლებას მისცემს მოქალაქეებს (მოქალაქეთა ჯგუფს) სარჩელი შეიტანონ სასამართლოში ნებისმიერი კორუფციული დანაშაულის გამოვლენილ ფაქტზე. ამას უნდა მიეცეს გეგმაზომიერი და მასობრივი ხასიათი. აი მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას: საქართველოში ნამდვილად ებრძვიან კორუფციას.

პროგრამაში სამართლიანადაა ნათქვამი, რომ „სახელმწიფოს სისუსტე, ანუ მისი არაეფექტურობა კორუფციის ძირითადი წყაროა, ასეთი სახელმწიფოს ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია, მისი უუნარობა, სათანადო კონტროლი გაუწიოს საკუთარი მოხელეების ქმედებას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი თავიანთ მდგომარეობას მოახმარენ არა საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციების შესრულებას, არამედ უკანონო პიროვნულ გამორჩენას".[1] მართლაც ასეა. მაგრამ თვით ამ მოხელეებში გავრცელებულს კი არა, წესად დამკვიდრებულ მაღალი დონის (ე. წ. „ელიტურ") კორუფციას, რომელიც მარტო ქრთამით არ განიზომება, ვინ უნდა შეებრძოლოს? აი, ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ლოგიკურად დგება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, არასამთავრობო ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის პრობლემა, რომელსაც დააფინანსებენ პატიოსანი ბიზნესმენები, ფერმერები ((მართალია ასეთები ჩვენთან ბევრი არ არის, მაგრამ ასეთი სურვილი გაჩნდება, რამეთუ კორუფცია პატიოსანი და სინდისიერი ბიზნესის დაუძინებელი მტერია).

ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით თვით პროგრამის სიტყვებით: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლია („თავხედურმა") კორუფციამაც კი განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს მიაღწია, სამართალდაცვის ორგანოების მუშაობა ამ მიმართულებით კვლავაც არაეფექტური რჩება. არსებობს საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ თავად სამართალდაცვისა და მართლმსაჯულების ორგანოებია კორუფციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი კერა".[2]

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 1 ნოემბერი, 2000 წ.
2 იქვე.

თავისთავად აღნიშნული დებულება სადავო არ არის, მაგრამ უნდა გავერკვეთ თუ კორუფციის რომელი დონეა ქსენებელობაში. თუ იგულისხმება მაღალი (ე. წ. „ელიტური“) დონის კორუფცია, იგი თვით სამართალდაცვისა და მართლმსაჯულების ორგანოების ხელმძღვანელობაშიც მოიაზრება, ხოლო ე. წ. „არაელიტური“ დაბალი დონის, წვრილი ყოველდღიური, „საყველ-პურო“, კორუფცია „ქვემოთ“, ციხის თუ სასჯელის მოხდის სხვა დაწესებულების დარაჯებში, საგზაო პოლიციის რიგით თუ ოფიცერთა და ა. შ., შორისაა საძიებელი, მეორე ე. წ. „არაელიტური“ კორუფცია ძირითადად სწორედ ამ უკანასკნელთა მძიმე მატერიალური პირობებით (ხელფასების თვეობით დაგვიანება ან საერთოდ მიუცემლობა) და სოციალური დაუცველობით და სხვა ობიექტური მიზეზებითაა უმთავრესად განპირობებული, რომლებიც მათ „ხელმრუდობისაკენ“ უბიძგებს.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებაც არ ამართლებს ნებისმიერი დონის კორუფციულ ქმედებას, თუმც საქართველოს სს კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით იგი დანაშაულად არ ითვლება. აღნიშნული კი მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „მთავარი დარტყმის მიმართულება“ (სტრატეგიული ხაზი) წარიმართოს მაღალჩინოსანთა კორუფციული ქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ხელმძღვანელობენ სწორედ სამართალდაცვის ორგანოებს (სამინისტროებს, დეპარტამენტებს, მთავარ სამმართველოებს და ა. შ.). თუ აქ დაიძლევა კორუფცია სამართალდაცვის სისტემაში, იგი „ქვემოთაც“ იოლად დაიძლევა.

აქვე პროგრამის ავტორები აფრთხილებენ კიდეც სახელმწიფო ხელისუფლების მესვეურთ: „დღევანდელ ვითარებაში კორუფციის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ პოლიტიკურ რისკთან, რადგან შეეჯახება მეტად ძლიერ და კარგად დაცულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. სუსტი სახელმწიფოებრიობის ფონზე სერიოზულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური საბოტაჟი, სოციალური უკმაყოფილების თუ პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროვოცირება. მმართველობის ზოგიერთი რგოლი იმდენად შეზრდილია კორუ-

ფციულ სისტემებთან, რომ ამ უკანასკნელის სწრაფმა დემონტაჟმა შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო კრიტიკული შეფერხებები სახელმწიფოს ფუნქციონირებაში".[1]

როგორც იტყვიან, „მგლის შიშით ცხვარი ვინ გააწყო". შეიძლება ითქვას თუ იგი წინასწარგამიზნული და მაღალჩინოსანთა მიერ არ არის თავს მოხვეული, აღნიშნული დებულება თავიდან ბოლომდე გულუბრყვილობისა და დაუსაბუთებლობის მაჩვენებელია და შეიძლება ითქვას, როგორც „უცხო სხეული", ვიღაცას „ხათრით" ისეა შეზრდილი „წვითა და დაგვით" შემუშავებულ პროგრამასთან და ე. წ. „ელიტური" კორუფციის „წისქვილზე ასხამს წყალს", მის ფაქტობრივ დაკანონებასაც კი უწყობს ხელს, ე. ი. დაუსჯელობის სინდრომს განამტკიცებს. გამოდის, რომ „ვებრძოლოთ კორუფციას", მაგრამ არა „რადიკალურად", არამედ „თავშეკავებით", მორიდებულად, შემრიგებლურადაც კი, რამდენადაც რადიკალური და უკომპრომისო ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მთავარ საფრთხესთან და ყველა უბედურების მიზეზთან, თურმე პოლიტიკურ რისკთან ყოფილა დაკავშირებული. საინტერესოა ვიკითხოთ, რომელ დანაშაულთან (მძიმესთან და განსაკუთრებით მძიმესთან) ბრძოლა არ არის დაკავშირებული რისკთან? პროგრამის შემდგენელთა მოსაზრებით, მაშასადამე უნდა ვებრძოლოთ კორუფციას, მაგრამ ვინაიდან ეს ბრძოლა შესაძლო პოლიტიკურ რისკთან იყოს დაკავშირებული, ამიტომ მას მაინცა და მაინც ნუ გავამკაცრებთ, რამდენადაც მან შეიძლება უკუპროცესი გამოიწვიოს. პროგრამაში არსებული ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო ათამამებს სისხლის სამართლის დამნაშავეებს სახელისუფლებო კიბის ზედა საფეხურებზე. ამის ერთერთი უტყუარი მაგალითია 2001 წლის მთავრობის აგვისტოს ერთერთი სხდომა, როდესაც როგორც ითქვა, ერთერთი კანონპროექტის წინასწარი განხილვისას კორუფციასთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრს მოუხდა კორუფციულ დანაშაულში ეჭვმიტანილი რამოდენიმე მაღალჩინოსნის გვარების დასახელება. მთავრობის სხდო-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 1 ნოემბერი, 2000 წ.

მაზე იმ დღეს მას თავს დაესხნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და აღარ მისცეს სხვისი გვარების დასახელების საშუალება. მთავრობის იმ სხდომას თითქმის ყველა კორუმპირებული და პოტენციურად სისხლის სამართლის დამნაშავე ესწრებოდა. ამბობენ „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“, მართალია, მაგრამ ერთი მერცხალი მეორე მერცხალს მოიყვანს, მეორე, მესამეს და ა. შ. ვიმედოვნებთ იუსტიციის მინისტრის (ახლა უკვე ყოფილის) ინიციატივას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება. ხალხის აღშფოთებას ქვეყანაში კორუფციის სისტემატური ზრდის გამო, საზღვარი აღარ აქვს. მისი ურყევი ნებაა: კორუფციონერთა ფეხქვეშ „მიწა უნდა იწვოდეს“. კორუფციული დანაშაულის ჩამდენნი, თანამდებობის მიუხედავად, სასტიკად უნდა დაისაჯონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი თვითონ გამოიტანს საჭირო განაჩენს, როგორც არაერთხელ ჰქონდა ამას ადგილი სხვა ქვეყნებში.

მთლიანად ანტიკორუფციული პროგრამა შედგენილია, ისე როგორც ეს შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში. მაგრამ მთავარია მისი რეალიზაცია (უნდა ჩაითვალოს, რომ ამას ანტიკორუფციული პოლიტიკის, არსებითად უუფლებო, უკომპეტენციო, უსტატუსო საკოორდინაციო საბჭო, ჩვეულებრივი საინფორმაციო-სათათბირო ორგანო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნამდვილად ვერ შეძლებს. ამდენად ზოგიერთის პროგნოზის მიუხედავად იგი ფორმალურად არსებობს).

ანტიკორუფციული პროგრამის რეალიზაციისათვის აუცილებელია სახელმწიფო მექანიზმის რადიკალური სრულყოფა, ქვეყანაში კორუფციის უაღრესად მაღალი დონის გათვალისწინებით. ანტიკორუფციული პროგრამის აღსრულების ორგანოდ უნდა იქცეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სამსახური (და არა ის არსებითად უფუნქციო „საბჭო“, რომელიც არსებობს), რომელიც დაკომპლექტდება არა შემთხვევითი, საზოგადოებისათვის უცნობი პირებით, არამედ მაღალი პროფესიონალებით, რომლებიც ხალხში კარგი რეპუტაციით, კეთილსინდისიერებით და პატიოსნებით, ამასთან ნებისმიერი დანაშაულისადმი შეურიგებლობით და მოუთმენლობით გამოირჩევიან, აუცილებ-

ლობის შემთხვევაში თავსაც კი გასწირავენ საზოგადოების ინტერესებისათვის. მავანი და მავანი იკითხავს; არიან კი დღეს საქართველოში ასეთი უმწიკვლო და საზოგადოებრივი საქმეებისათვის თავდადებული პირები? არიან და მათი გულდასმით და ყურადღებით ძიებაა საჭირო. ცხადია, მიზეზთა მრავალთა გამო დღევანდელი სახელმწიფო ხელისუფლებისა და კადრების აშკარა სუბიექტური შერჩევის პირობებში აღნიშნული კეთილი საქმის რეალიზაცია გამორიცხულია.

ანტიკორუფციული სამსახური უნდა იყოს გამჭვირვალე, გაცხადებული და ღია საზოგადოებისათვის, მას ექნება ბეჭდვითი ორგანო, რომელიც პირუთვნელად დაასახელებს კორუფციის ფაქტებს, კორუფციულ დანაშაულში ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა გვარებს თანამდებობისა და ქონების მიუხედავად, სასამართლოს განაჩენებს და ა. შ. ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა და სტატუსი უნდა განისაზღვროს სპეციალური კანონით. ხოლო ხელმძღვანელი უნდა დაამტკიცოს არა ახლანდელმა, უპირატესად კორუმპირებულმა, არამედ, რადიკალურად განახლებულმა პარლამენტმა. რაც მალე იქნება ეს, მით უკეთესია. თუ კი შეიქმნება არასამთავრობო ანტიკორუფციული ორგანო, თუნდაც აღნიშნულის პარალელურად, ეს საქმისათვის უფრო სასარგებლო იქნება.

ანტიკორუფციული, დამოუკიდებელი სამსახურის ფუძემდებლურ ამოცანად უნდა ჩაითვალოს: საზოგადოების ინფორმირება ანტიკორუფციული პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობაზე; მონაცემთა შეკრება და ანალიზი ქვეყანაში კორუფციის შესახებ; კონკრეტული წინადადებების შემუშავება და წამოყენება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში; კორუფციის ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევების გამოძიებაში (ზოგჯერ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება) მონაწილეობის მიღება; სხვა ორგანოებთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა კორუფციასთან ბრძოლის სფეროში; ანტიკორუფციული პროგრამის სრულყოფა (კონკრეტული დებულებების ამოღების ხარჯზე) და მისი დამტკიცება ახალი (არაკორუმპირებული) პარლამენტის მიერ.

ამასთან დაკავშირებით სასარგებლო იქნება კორუფციის თანდათანობით დაძლევაში შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

კორუფციის გავლენის შემცირება (შეძლებისდაგვარად აღკვეთა) საარჩევნო პროცესზე; აქტიური ბრძოლა საარჩევნო კამპანიათა სიწმინდისა და გამჭვირვალობისათვის (უწინარეს ყოვლისა, მათი დაფინანსებაა მხედველობაში). ამისათვის კი აუცილებელია გამკაცრდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი საარჩევნო პროცედურებზე, კერძოდ, საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესის დაცვაზე; ამაღლდეს საარჩევნო კომისიების როლი და დამოუკიდებლობა; მიღებულ იქნეს საჭირო ზომები კორუფციის გავლენის შემცირების მიზნით საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე; გამკაცრდეს კონტროლი კანონშემოქმედებითს საპროცედურო მხარეზე.

საჭიროა განმტკიცდეს სამართალდაცვითი სისტემა შემდეგ ღონისძიებათა გატარებით:

ხელფასების მომატება;

ტექნიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლება;

სამართალდაცვის ორგანოების საკადრო განახლება;

გენერალურ პროკურატურასთან ან იუსტიციის სამინისტროსთან, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში უწყებათაშორისი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრის შექმნა სპეციალური და სასწავლო ლიტერატურის გამოსაცემად კორუფციასთან ბრძოლის შესახებ იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტებისათვის (და არა მხოლოდ მათთვის); ახალი საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება სისხლის სამართლის ახალი გამკაცრებული კანონების მიღებით, განსაკუთრებით კორუფციული დანაშაულის ცალკეულ სახეობებზე (იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ახალი კანონპროექტის მსგავსად).

საჭირო და აუცილებელია ნებისმიერ კანონში კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე განისაზღვროს კონკრეტული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა, ხოლო ანტიკორუფციულ პროგრამაში საფუძვლიანად უნდა აისახოს, რომ კორუფციაზე სრული და საბოლოო გამარჯვება ჩვენს სინამდვილეში შეუძლებელია. დანაკარგებს, რომლებიც კორუფციითაა გამოწვეული საქართველოში აანალიზაურებს ნებისმიერი გონივრული დანახარჯები ანტიკორუფციული პროგრამის

განსახორციელებლად და უზრუნველყოფს დროულ უკუგებას, რომელიც რამდენიმე ათეულჯერ აღემატება ანტიკორუფციული პროგრამის რეალიზაციისათვის გაწეულ ხარჯებს;

კორუფციის შეზღუდვა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი კამპანია. უნდა გვახსოვდეს, რომ იგი არ შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო ღონისძიებებით დაიძლიოს.

ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ამ მოკლე ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ საჭიროა: კორუფციასთან ბრძოლის ორგანიზაცია ყველა დონეზე; მის ყველა გამოვლენაში კორუფციის მოუთმენლობის, მისადმი სიძულვილის ატმოსფეროს შექმნა; იმ პირობათა და გარემოებათა ნეიტრალიზება და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის გავრცელებას და გაძლიერებას;

სახელმწიფო ხელისუფლებამ და მისმა მეთაურმა უნდა გამოიჩინონ რეალური პოლიტიკური ნება და „ზევიდან“, საკუთარი თავიდან დაიწყონ ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.

ითვალისწინებს რა კორუფციის განსაკუთრებულ საფრთხეს ჩვენი ქვეყნისათვის პროგრამა რამდენადმე „გვამშვიდებს“ კიდეც და ცდილობს „დაგვაიმედოს“ და არაორდინარული ამოცანა დასახოს: „რესურსები და ძალისხმევა კონცენტრირებული უნდა იყოს სამართალდაცვის არსებული სისტემის ძირეული რეფორმირების ამოცანაზე. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ამ სტრატეგიის წარუმატებლობის შემთხვევაში, ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინებელ ორგანოს მომავალში არ დაემატოს ახალი ფუნქცია და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელსაც ექნება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ფუნქციები ელიტური კორუფციის განსაკუთრებით საშიში გამოვლინებების წინააღმდეგ.

ამასთანავე ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინებელმა ორგანომ უნდა გამოძებნოს გზები კონსტიტუციითა და კანონებით საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების უფრო ეფექტიანად გამოსაყენებლად, კორუფციის დაძლევის ინტერესებისათვის“.[1]

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 1 ნოემბერი, 2000 წ.

ჯერ-ერთი, სამართალდაცვის „არსებული სისტემის ძირეული რეფორმირების“ ამოცანა ვერ ამოწურავს საბჭლმწიფოებრივ სტრატეგიას, იგი შეიძლება მისი მხოლოდ ერთერთი რგოლი იყოს. სტრატეგია უფრო ფართო მასშტაბის მოვლენაა; მეორე, ანტიკორუფციულ მაკოორდინებელ ორგანოს პროგრამის შესაბამისად თუ მხოლოდ თანამდებობის პირთა კორუფციულ ქმედებაზე საინფორმაციო (სააღრიცხვო-სტატისტიკური მონაცემების) მასალების შეკრება და ანალიზი და არა მოკვლევა, სისხლის სამართლის აღძვრა, წინასწარი გამოძიება და ბრალდების წაყენება არ დაეკისრება ჩავთვალოთ, რომ აღნიშნული ორგანო თავიდანვე „მკვდარი დაბადებულა“ და როგორც ქვემოთ დავინახავთ, ე. წ. საკოორდინაციო საბჭოს მაგალითზე, იგი მხოლოდ „ქაღალდზე“ არსებობს „ოქმისათვის“; მესამე, ირონიულ ღიმილს იწვევს იმის იმედი, რომ „დაბადებიდანვე მკვდარმა“ მაკოორდინებელმა ორგანომ დახმარება აღმოუჩინოს პრეზიდენტს „კონსტიტუციითა და კანონებით მინიჭებული უფლებამოსილების უფრო ეფექტიანად“ გამოყენებისათვის კორუფციის დასაძლევად.

ყველაზე მძლავრი იარაღი კორუფციის დასაძლევად არის სწორედ პრეზიდენტის პოლიტიკური ნება და ამ საქმეში მას არავისი და მეტადრე „დაბადებიდანვე მკვდარი“ ორგანოს შემწეობა არ უნდა ესაჭიროებოდეს.

ანტიკორუფციული პოლიტიკა რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების პრიორიტეტულ ამოცანად უნდა იქცეს უდავოა, მაგრამ საქმე სწორედ ის არის თვით ხელისუფლებაში ოართოდ გავრცელებულ კორუფციას ვინ შეებრძოლება?

პროგრამაში აღნიშნულია, რომ გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით თავად მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვის ორგანოებია „კორუფციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი კერა“. მართალია ბრძოლა აქ ამ ორგანოთა შიგნით უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს, მაგრამ როგორც იტყვიან, „ვინ შეაბამს კატას ეკვანს?“ ვინ დაიწყებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ „შინ“ და „გარეთ“.

ცხადია, სამართალდაცვის ორგანოთა მოღვაწეობის ერთერთი ძირითადი სამიზნე მაინც კორუფციისა და ორგანიზე-

ბული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაა, მაგრამ სუბიექტურ ხელისშემშლელ ფაქტორებს გარდა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათს ეფექტიან ბრძოლას აღნიშნულ დანაშაულთა წინააღმდეგ სერიოზულად აბრკოლებს სტრუქტურათა არც თუ ჯეროვნად დახვეწილი სისტემა, თანამშრომელთა მძიმე ფინანსური და მატერიალური მდგომარეობა, მწირი ტექნიკური ბაზა. ამას უნდა დაემატოს ნაკლები პროფესიონალიზმი.

ანტიკორუფციული ბრძოლის გამოსავალ პრინციპად უნდა იქცეს სამართლისა და კანონის უზენაესობა, რაც ძნელად მიიღწევა და ძირითადად სამართლებრივი სახელმწიფოსათვისაა დამახასიათებელი, რასაც ჯერ-ჯერობით დიდი მანძილი უდევს და მაინც მანამდე არის რეალური შესაძლებლობა კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისათვის. ამ მიზნით სპეციალურად შექმნილმა დამოუკიდებელმა სამსახურმა სამართალდაცვის ორგანოების ყოველმხრივი დახმარებითა და მხარდაჭერით მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს სამართლისა და კანონის მოთხოვნები. თუმც ასეთი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა როდი გაახარებს ახლანდელ პარლამენტს, რომელშიც ბევრი კორუმპირებულია.

რეალურად დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური, ცხადია, სრულიად მიუკერძოებელი, თანამიმდევრულად ობიექტური და ფართო უფლებებით აღჭურვილი იქნება. ისიც უნდა ითქვას, რომ ცალკეულ კორუმპირებულთა (დაბალი თანამდებობის) პირთა დასჯა პრობლემას სრულიადაც ვერ მოხსნის. საჭირო და აუცილებელია იმ წყაროთა დადგენა, საიდანაც კორუფცია საზრდოობს, სათავეს იღებს და სულდგმულობს. ამასთან საჭიროა მტკიცე საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სერიოზულ საკანონმდებლო ცვლილებათა, ახალი კანონების, სხვა ნორმატიული აქტების შემუშავების საფუძველზე.

როგორც უკვე ითქვა, სამართალდაცვის ორგანოებში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „არსებობს კორუფციის განსაზღვრული დონე, რომელიც შეიძლება დაიძლიოს“ მათივე ძალებით, ხოლო იმ დონეზე „ზევით“ ბრძოლაში, გამორიცხული არ არის „თავი წააგო“.

როგორც ჩანს, ამავე შეხედულებას იზიარებენ კერძოდ პროკურატურაშიც, სადაც პრაქტიკული ძალისხმევით ადასტურებენ აღნიშნულ შეხედულებას. სწორედ ასეთი „განსაზღვრული დონის“ კორუფციული დანაშაული ჰქონდა მხედველობაში საქართველოს ახლა უკვე ყოფილ გენერალურ პროკურორს, რომელმაც, მაგალითად მთავრობის ერთ-ერთ სხდომას 2001 წლის დასაწყისში ათასორასი კორუფციული ხასიათის დანაშაული და მონაწილეთა კიდევ მეტი ციფრი დაასახელა. ყველას მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობდა და როგორც ჩანს ზოგიერთზე დღესაც მიმდინარეობს გამოძიება. სამწუხაროდ მათ შორის ბევრი უცნობია საზოგადოებისათვის, რამდენი ზის ციხეში (საერთოდ თუ არიან ასეთნი). ამიტომ მოიკიდა ფეხი ჩვენში დაუსჯელობის სინდრომმა.

სწორედ ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სახელმწიფო ხელისუფლებაში მყოფ მაღალჩინოსანთა მიერ კორუფციის გზით (ქრთამი, საბიუჯეტო სახსრების, მიღებული კრედიტების დატაცება და ა. შ.) უზარმაზარი ქონების დაგროვებას. სწორედ მათ სახელმწიფო ბიუჯეტის, ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ძარცვის, ძვირფასი ბუნებრივი რესურსების საზღვარგარეთ ჩალის ფასად გაყიდვის, კომერციულ სტრუქტურათა ლობირებისა და სხვა უკანონო, ანტიეროვნული ქმედებებით მილიონები დააგროვეს, ააშენეს უზარმაზარი სასახლეები დედაქალაქში თუ წყნეთში, შავი ზღვისპირეთში (ქობულეთში, შეკვეთილში, ურეკში და ა. შ.), აგრეთვე საზღვარგარეთ იყიდეს ან ააშენეს სახლები. დღეს შავი ზღვისპირეთის მცხოვრებლები ზუსტად დაასახელებენ თუ რომელი ყოფილი მინისტრია ურეკში არსებული ყველაზე საუკეთესო სასტუმრო „ურეკის“ ფაქტობრივი მეპატრონე ან ნამდვილად ვის ეკუთვნის აქვე მშენებარე სასტუმრო-კომპლექსი „ელიტა“, მშენებარე თუ აშენებული სხვა ტიპის სასახლეები ქობულეთში, შეკვეთილში, იგივე ურეკში და სხვაგან. იქაურები უშეცდომოდ დაასახელებენ სასახლეთა თუ სასტუმროთა ფაქტობრივად მფლობელი მინისტრების თუ სხვა მაღალჩინოსანთა გვარებს და ისიც კარგად იციან, რომ ყოველივე აშენდა და შენდება მათ მიერ კორუფციის გზით მოხვეჭილი ფულადი სახსრების ხარჯზე. ხალხმა შეიძლება მხო-

ლოდ ის არ იცოდეს, რომელ მინისტრს თუ სხვა მაღალჩინოსანს რამდენი ათასი თუ მილიონი დოლარი აქვს შეტანილი დასავლეთის ქვეყნების ბანკებში, ან თუნდაც ის, ვინ აშენებს სანატორიუმს თუ სასტუმროს კანარის კუნძულებზე. ამის გაგება და დანაშაულში ეჭვმიტანილთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სრულიად იოლად შეუძლია გენერალურ პროკურორს.

ჯერ-ჯერობით კი გამკითხავი ქვეყანაში, რეალურად წესრიგისაკენ მომწოდებელი არ ჩანს. არ გვაქვს კანონი დაწნაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების კონფისკაციის შესახებ. არ გვაქვს და ალბათ ასეთ კანონს არც კი მიიღებს ჩვენი, ძირითადად კორუმპირებული პარლამენტი. ასეთი კანონი დღეს ჰაერივით სჭირდება საქართველოს მოსახლეობას (სამაჯიეროდ არ სჭირდებათ და არც უნდათ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს). საჭირო და სასარგებლოა ხალხის ინტერესებისათვის, რომ კორუფციაში ეჭვმიტანილთა საქმის ობიექტური და დაწვრილებით გაამოძიება დაიწყოს 1992-1993 წლებიდან დღემდე. სწორედ იმ დროიდან იწყო ჩვენში ფართოდ გავრცელება (კორუფციული საბაზრო ეკონომიკის დასაწყისიდან) კორუფციამ. ხოლო პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის ბრძანებულებით (ისე როგორც ანტიკორუფციული პროგრამით), რატომღაც აღიარებულია კორუფციაში ეჭვმიტანილთა საქმის შესწავლის საჭიროება 1998 წლიდან (ეს ხომ ბევრი კორუმპირებულის „წისქვილზე ასხამს წყალს"?). ისეთი უმძიმესი თანამდებობრივი ბოროტმოქმედება, როგორიც კორუფციული დანაშაულია დაუსჯელი არ უნდა დარჩეს და იგი დროის ხანდაზმულობას არც უნდა ექვემდებარებოდეს. საჭირო და აუცილებელია არა მხოლოდ მინისტრების გადაყენება, არამედ მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, მათი ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა და დასჯა.

პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებით შემოსავლების სამინისტროს დაევალა უმოკლეს ვადაში წარმოედგინა გუგმა, რათა მოწესრიგებულიყო საგადასახადო კოდექსის 8.7-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, იმ ფიზიკურ პირთა შესახებ, „რომლებმაც 1998 წლიდან მოყოლებული ერთი საგადასახადო წლის განმავლობაში გასწი-

ეს 25000 ლარზე მეტი ხარჯები და ვალდებულნი იყვნენ საგადასახადო ინსპექციაში წარმოედგინათ საშემოსავლო დეკლარაცია".[1] ამ მხრივ „განსაკუთრებული ყურადღება" გამახვილდა იმ თანამდებობის პირებზე, „რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში ააშენეს (ან შეიძინეს) სახლები ან სხვა კაპიტალური ნაგებობები ან ახორციელებენ ასეთ მშენებლობებს, აგრეთვე შეიძინეს 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ ავტომანქანები, რომელთა ღირებულება აღემატება 10.000 ლარს. დეკლარაციაში გათვალისწინებულ საკითხთა შორის განისაზღვროს, რომ საჭიროა შეძენილი ქონების ღირებულების გადახდილი წყაროებისა და ფაქტობრივად გადახდილი საშემოსავლო გადასახადების მითითებაც".[2]

სხვა სამინისტროებსა და უწყებებსაც დავალათ ინფორმაციების წარდგენა კორუფციული დანაშაულის შესახებ. მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა და თავიდანვე ცხადი ხდებოდა, რომ არც არაფერი გამოვიდოდა, რამეთუ თვით სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირები, მათი მოადგილეებია ყველაზე მეტად კორუმპირებულები და განა მათ სურთ საკუთარი თავის ჰარაკირი, ე. ი. თვითმკვლელობა? ამიტომ არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ მათ საკუთარი კორუფციული დანაშაული აღიარონ, „მოინანიონ" თავიანთი ცოდვები. პირიქით, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა დამალონ ეს ცოდვები.

სახელმწიფოს მეთაურის იმავე ბრძანებულებით, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს დაევალა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ კანონპროექტის წარმოდგენა, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა „კორუფციასთან ბრძოლის პირველი რიგის ღონისძიებები, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, ისე მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც ამ სფეროში".[3]

იუსტიციის სამინისტრომ კეთილსინდისიერად შეასრულა დავალება, კორუფციასთან ბრძოლის პირველი რიგის ღო-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წ., 16 მარტი.

2 იქვე.

3 იქვე.

წინსძიების სახით მოამზადა კანონპროექტი[1] „უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის (დაბრუნების) წესის შესახებ“. კანონპროექტის წინასწარმა განხილვამ როგორც ვნახეთ მთავრობის 2001 წლის აგვისტოს გახმაურებულ სხდომაზე დიდი ვნებათაღელვა და მასობრივი პროტესტები გამოიწვია მთავრობის კორუმპირებულ წევრებში. იუსტიციის მინისტრის მისამართით, რომელმაც წარადგინა კანონპროექტი ისტერიულ წამოძახილებს ჰქონდა ადგილი, კერძოდ: „შენი ქონებრივი მდგომარეობაც უნდა იქნეს შესწავლილიო“.

ახლა ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შესახებ. საბჭო ანტიკორუფციული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა და განსაზღვრული მოკრძალებული უფლებებით აღიჭურვა (რომელთა თუხდაც მაქსიმალური გამოყენებით კორუფციას ადგილიდან „ძვრასაც ვერ უზამ“). საბჭო შეიქმნა სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური ბრძანებულებით 2001 წლის აპრილში 12 კაცის შემადგენლობით, მას „თორმეტკაცასაც“ უწოდებენ. ვინ არიან ამ „თორმეტკაცას“ წევრები? ესენი არიან პროფესიით ფილოლოგები, ეკონომისტები, ფილოსოფოსი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი (ზოგიერთი საერთოდ უცნობი) პიროვნებები. მათ შორის არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი, რომელსაც დანაშაულთან ბრძოლის, ოპერატიული მუშაობის რაიმე გამოცდილება ჰქონდეს. ესენია ფაქტობრივად არაპროფესიონალები. ნუთუ სამართლდაცვის ორგანოები ისე ღრმად ჩაეფლნენ კორუფციის „წუმპეში“, მათგან ორი-სამი პროფესიონალი აღარ აღმოჩნდა პატიოსანი, საზოგადო საქმისათვის თავდადებული? ძნელად დასაჯერებელია! რაც შეეხება საბჭოს მდივანს, იგი საგანგებოდ ჩამოიყვანეს საზღვარგარეთიდან, სადაც რვა წელიწადი იძულებით იმყოფებოდა.

პრეზიდენტის ბრძანებულებით აღნიშნულ საბჭოს დაევალა კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლა. ასეთი ბრძოლა, ზოგიერთი წევრის გულწრფელი სურვილის მიუხედავად, საბჭოს ნამდვილად არ შეუძლია. გაურკვეველია მისი სტატუსი.

---

1 ამ კანონპროექტზე დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

ხოლო ანტიკორუფციულმა პროგრამამ (შემდეგ პრეზიდენტმა თავის ბრძანებულებით) მომავალი საკოორდინაციო საბჭო ისეთი უფლებებით აღიჭურვა, რაც მას რეალურად „მკვდარ“ დაწესებულებად აქცევს. თავიდნვე უნდა მიხიჭებოდა მას მოკვლევისა და გამოძიების უფლება ძაიხც, თუმცა ამ ფუნქციის შესრულება „თორმეტკაცას“ თითქმის არც ერთ წევრს არ შეუძლია.

საბჭოს წევრთა ყველა განცხადებიდან ცხადი ხდება, რომ მათ სწორად ესმით ის სერიოზული საფრთხე, რასაც კორუფცია უქადის ქვეყანასა და საზოგადოებას, ისიც გაცნობიერებული აქვთ, რომ აუცილებელია ამ სენის დაძლევა.

მაგალითად, საბჭოს ერთ-ერთი წევრი თავისუფალი პრესიდან თვლის, რომ კორუფცია ჩვენთან „თითქმის ცხოვრების წესი გახდა. მივეჩვიეთ კორუფციაზე უბრალოდ საუბარს და გვავიწყდება მთავარი: რატომ ვაძლევთ ვიღაცას უფლებას, რომ შეხი, ჩემი წილი სამშობლო გააპარტახოს, გაყიდოს. იმედია ანტიკორუფციული ბრძოლა იქნება სამართლიანი და გაძვირვალე, ხოლო თუ დავრწმუნდები, რომ გარკვეული ფაქტორები ამ ბრძოლას ბარიერებს უქმნიან, ან პირადად არ მეყოფა პროფესიონალიზმი, დავიტოვებ იმის უფლებას, რომ უარი ვთქვა დაკისრებულ მოვალეობაზე“.[1]

საბჭოს წევრს, პროფესიით ენათმეცნიერს მიაჩნია, რომ „რადგან მაღალი პოლიტიკური ხება არსებობს და ინიციატივაც ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძიდან მოდის, იმედი მაქვს ჩვენი ბრძოლა შედეგიანი იქნება“. რომელ ბრძოლაზეა ლაპარაკი, როდესაც საბჭოს აღნიშნულ წევრს დანაშაულთან ბრძოლის არანაირი გამოცდილება არა აქვს და სისხლის სამართლის კანონმდებლობაც მისი პროფესიისათვის „უცხო ხილია“? საბჭოს სხვა წევრებიც ამავე „პრინციპით“ არიან შერჩეული და ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ საბჭოს შექმნიდან არც თუ მცირე დრო გადის და წევრებს ერთმანეთთან საერთო ენა ვერ გამოუნახავთ. ამის მაგალითია თუნდაც საბჭოს წევრის, პროფესიით ფილოსოფოსის განცხადება: „თუ პოლიტიკური ნება არ იქნება (აკი უკვე არ-

1 „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 მაისი, 2001 წ.
2 იქვე, 18 მაისი.

ებობს საბჭოს წევრის, პროფესიით ენათმეცნიერის განცხადებით?) ძალიან ძნელია რაიმე გამოვიდეს... „თორემ ტაცა" იმიტომ არ შეიქმნა ვიღაცეები დავიჭიროთ, ამას უჩვენოდაც აკეთებენ, ჩვენ უნდა ისეთი რეკომენდაციები შევიმუშავოთ, რომლებიც კორუფციას, როგორც ძავხე სენს გაბვითარების საშუალებას არ მისცემს".[1]

როგორც ვხედავთ, საბჭოს აღნიშნულ წევრს შესაძლებლად მიაჩნია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა აგიტაციის გზით, რჩევებით (ისე, როგორც ძველად იყო საარჩევნო კამპანიების დროს) და არა რადიკალური ზომებით. დიახაც კორუმპირებულთა დაჭერაა საჭირო და არა მათთვის „თავზე ხელის მოსმა", როგორც საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ჟურნალისტმა სამართლიანად აღნიშნა: „ქვეყანაში უსათუოდ უნდა მოიფხვრას დაუსჯელობის სინდრომი. კანონი ყველასათვის, ვინც გინდა იყოს ერთნაირად უნდა კანონობდეს, თუ ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ ჩათვალეთ, რომ კორუფციას ბეწვიც არ მოერხევა".[2]

განცხადებათა შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე რადიკალური და სწორი პოზიცია უკავია საბჭოს მეორე არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტიდან." იგი სავსებით ლოგიკურად და სამართლიანად თვლის, რომ „საქართველოში კორუფციის დაძლევა ერთმნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლეს პოლიტიკურ ნებაზე, პროცესი იმდენად სიღრმისეულია და იმდენად არის მოშვებული თვითდინებაზე, ზოგჯერ კი სამწუხაროდ სწორედ პოლიტიკური ოლიმპიდან სტიმულირებული, რომ მას ერთეული მცდელობები ნამდვილად ვერ შეაჩერებს. მთავარია მტკიცე პოლიტიკური გადაწყვეტილება და ურყევი ნება. მაშინ ჩვენ შევძლებთ ამ პროცესის ჩარჩოებში მოქცევას... ჩვენთული კორუფცია აბსოლუტურად ქაოსურია და ამის შედეგად ვიღებთ აბსოლუტრი განუკითხაობის სურათს. ვფიქრობ მთავარი სიტყვა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში პრეზიდენტს ეკუთვნის და პასუხისმგებლობის დიდი წილიც ამ საქმეში მასზეა, თუ ის გულწრფელი იქნება მის მიერ დეკ-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 11 მაისი. 2001 წ.

2 იქვე, 12 მაისი.

ლარირებულ სიტყვებში, მაშინ ჩვენი მუშაობაც შეიძენს აზრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი პროგნოზით, საბჭოს არსებობას აზრი არა აქვს".[1]

ამ პროგნოზს საკმარისი საფუძველი გააჩნია და როგორც საბჭოს საქმიანობის პირველი ხაბიჯებიდანვე ჩანს, რეალურად რაიმე პოზიტიური ღონისძიებების გატარება კორუფციის წინააღმდეგ „ზევით" მას არ შეუძლია. მან ამიტომ ადგილი უნდა დაუთმოს ნამდვილად დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ სამსახურს, დაკომპლექტებულს პროფესიონალებით და საზოგადოებაში პატიოსნობით ცნობილი ადამიანებით (ცხადია, საბჭოს წევრების პატიოსნობაში არც გვგონია ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, მაგრამ როგორც ჩანს ეს ორგანო მხოლოდ ამ ნიშნით იქნა დაკომპლექტებული).

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ საბჭოს კიდევ ერთი წევრის -- ეკონომისტის მოსაზრებას. ცხადია, იგი კორუფციას ეკონომიკური პოზიციიდან უდგება და მას საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად აღიქვამს. იგი აპირებს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება (თუ დანაშაულობასთან ბრძოლის გამოცდილებაა მხედველობაში, იგი საეჭვოა, მას ჰქონდეს) ანტიკორუფციულ ბრძოლას მოახმაროს. მისვე სიტყვებით: „ყოველთვის ვცდილობ სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღო და არავის გავლენის ქვეშ მოვექცე კორუფციასთან საბრძოლველად, თუ საჭირო იქნება არავითარ დაპირისპირებას არ მოვერიდები".[2]

აგაშენა ღმერთმა! კარგია ასეთი რადიკალიზმი, რომელიც უპირატესად ახალგაზრდობას ახასიათებს. მაგრამ ერთიც ვკითხოთ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, რა უფლების ძალით, რა საშუალებებით აპირებენ ისინი კორუფციისადმი რადიკალურ დაპირისპირებას „ზევით", რა სტატუსით, უფლებამოსილებით არიან ისინი კანონმდებლობის მიერ აღჭურვილნი, ან რა ფუნქციები დააკისრა აღნიშნულ საბჭოს სპეციალურმა კანონმა? რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებას და ანტიკორუფციულ პროგრამას, მათ

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 18 მაისი, 2001 წ.

2 იქვე, 19 მაისი, 2001 წ.

ძირითადად საბჭოს სააღრიცხვო-ინფორმაციული ხასიათის ამოცანები დააკისრეს და პრეზიდენტთან არსებულ სათათბირო ორგანოდ აღიარეს. ამდენად ფაქტობრივად თავიდანვე განისაზღვრა კორუფციასთან საბჭოს რეალური ბრძოლის უკერსპექტივობა.

ჩვენში ვითომ ლატენტურობის მიუხედავად კორუფციული დანაშაულის ფაქტებზე ინფორმაციული ვაკუმია? სრულიადაც არა. განსაკუთრებით თავისუფალი პრესის ფურცლებზე (გაზეთები „რეზონანსი", „კვირის პალიტრა", „ახალი ვერსია", „ალია", „ახალი თაობა" და ა. შ.) კორუფციის, კერძოდ, მექრთამეობის, დანაშაულებრივი გზით უზარმაზარი ქონების დაგროვების შესახებ თანამდებობის პირთა მიერ ცოტა ფაქტი როდია დაფიქსირებული. საინფორმაციო მასალები ბევრად უფრო ოპერატიულად ქვეყნდება, ვიდრე ამას აკეთებს (ან შეუძლია გააკეთოს) ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო.

ეს დადასტურდა საბჭოს პირველივე და მთავრობის 2001 წლის 4 სექტემბრის გაფართოებულ სხდომებზე (მოწვეულ პირთა მონაწილეობით).

2001 წლის მაისის ბოლოს შედგა ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა. ოფიციალურმა პრესამ „საქართველოს რესპუბლიკის" პირით საზოგადოებას აუწყა, რომ „ახლადშექმნილმა ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭომ, რომელსაც ხშირად „თორმეტკაცსაც" უწოდებენ... საქართველოს პრეზიდენტს პირველი და უაღრესად მნიშვნელოვანი ანგარიში ჩააბარა".[1]

თურმე „უაღრესად მნიშვნელოვანი ანგარიში" გამოიხატა საბჭოს მდივნის (რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა ჯანიშვნამდე არც კი იცნობდა. თუმც ეს არ არის მთავარი) გამოსვლაში საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ცხადია პრეზიდენტიც ესწრებოდა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გვკითხულობთ, რომ მდივანმა „სხდომას დეტალურად მოახსენა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის № 95 (2001 წლის 15 მარტი) ბრძანებულების (რომლითაც განსაზღვრუ-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წ., 31 მაისი.

ლია „პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებანი") შესრულების თაობაზე".[1]

თურმე საბჭო დიდად შეშფოთებულია „იმის გამო, რომ ზოგიერთმა სტრუქტურამ და რეგიონმა ამ ღონისძიებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინა".[2]

აღინიშნა, რომ ძთლიანად შესრულდა ბრძანებულების მე-9 პუნქტის მოთხოვნები, რაც თურმე „დაწესებულებებში პირველადი საჯარო ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილას გამოკვრას ითვალისწინებს"[3] (როგორ მოაგავს წარსულში არსებული აგიტპუნქტების საქმიანობას, თუმც მათთან შედარებითაც კი როგორც პირველი ნაბიჯები ცხადყოფს „საბჭო" უმწეოდ გამოიყურება).

განსაკუთრებული „სიმკაცრე" გამოიჩინა „საბჭომ" პრეზიდენტის იმავე ბრძანებულების მე-11 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური ანგარიშის წარდგენას გულისხმობს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა შესრულებულია არასრულყოფილად".[4]

ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი „ანგარიში" ჩააბარა „საბჭოს" მდივანმა პრეზიდენტს, მისი ბრძანებულების შესრულების თაობაზე და მანვე სხდომას აუწყა, რომ „მრავალ სტრუქტურასა თუ რეგიონში კორუფციასთან ბრძოლას განიხილავენ როგორც რიგით კამპანიას და ცდილობენ ჩვეული ბიუროკრატიული მეთოდებით შექმნან მოჩვენებითი აქტიურობის შთაბეჭდილება".[5] აღნიშნული როგორ მოგვაგონებს წარსულის აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა ანგარიშებს სხვადასხვა შეკრებებსა თუ თათბირებზე. ნუთუ ასეთი ზერელე „ანგარიშებით" დავძლევთ კორუფციას? ნუთუ ეს არის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა? არა! ესაა კორუფციასთან „ქაღალდზე" და სიტყვიერი ბრძოლის „კლასიკური ნიმუში".

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წ., 31 მაისი.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.

ის მაღალჩინოსნებზე, რომელთაც კორუფციული დანაშაული ჩაიდინეს, თუ მათ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ე. წ. „ანგარიშში“ არაფერი თქმულა.

კორუმპირებულ პარლამენტართა „წისქვილზე ასხამს წყალს“ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილით „პარლამენტის წევრის გაწვევა დაუშვებელია“. ეს დრაკონული მუხლი კონსტიტუციიდან აუცილებლად უნდა იქნეს ამოღებული. ეს რაც მალე იქნება, მით უკეთესია. დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია თავის ამომრჩეველთა წინაშე. სხვანაირად ყოველგვარ აზრს კარგავს არჩევნებიც და არჩეული ორგანოს არსებობაც.

როდესაც კორუფციულ ქმედებათა წინააღმდეგ ახალ კანონპროექტზე (მხედველობაშია იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი) ან სხვა საკანონმდებლო წინადადებაზე ვლაპარაკობთ, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ არის თუ არა საქართველოს კანონმდებლობაში ნორმები კორუფციის წინააღმდეგ, მისი ამა თუ იმ სახეობის დასაძლევად? ეს ბუნებრივი კითხვა არ შეიძლება არ გაუჩნდეს ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. ასეთი ნორმები, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ვნახეთ არსებობს, მაგრამ არ არის გამოყენებული კორუფციის წინააღმდეგ. თავისი სერიოზული ნაკლოვანებების მიუხედავად, არსებული კანონმდებლობა განსაზღვრავს კორუფციულ სამართალდარღვევებს, მათი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცედურას. ამასთან, განსაზღვრავს კორუფციული სამართალდარღვევის შედეგად უკანონოდ მითვისებული ან დაგროვილი ქონების იურიდიულ ბედს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი კანონმდებლობის სრულყოფა, როგორც წესი, მუდმივი პროცესია. ეს ბუნებრივია, რამდენადაც ხშირად წარმოიშობა კორუფციულ სამართალდარღვევათა ახალი ფორმები, რომლებსაც ადექვატური პასუხი კანონმდებლობამ უნდა გასცეს. ამ თვალსაზრისით ახალი საკანონმდებლო წინადადებანი კანონპროექტის სახით, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, ლოგიკურია, და ყურადღებით და რაც მთავარია, ობიექტურ განხილვას საჭიროებს.

ცნობილია, რომ საქართველოს სს კოდექსი არ იცნობს სასჯელის ისეთ ტრადიციულ სახეობას, როგორიცაა ქონების კონფისკაცია. საქართველოს სს კოდექსში ასეთი სასჯელი არ არსებობს. რატომ? ზოგიერთების აზრით თითქოს იგი ეწინააღმდეგება საკუთრების ხელშეუხლებლობის კონსტიტუციურ პრინციპს. საზღვარგარეთის ყველა ცივილიზებული სახელმწიფო იცნობს სასჯელის აღნიშნულ სახეობას და ამასთან საკუთრება გამოცხადებულია წმიდად და ხელშეუხებლად. უფრო ხშირად აღიარებულია კონფისკაციის ორი სახეობა: მთლიანი და ნაწილობრივი. მაგალითად, ნარკოტიკების ვაჭრობისათვის გამოიყენება მთელი დანაშაულებრივი ქონების კონფისკაცია. რაც შეეხება კორუფციას, ამ შემთხვევაში ხდება დანაშაულის ობიექტის (ფული, ნივთი, უკანონოდ აშენებული სახლი და ა. შ.) კონფისკაცია. ჩვენ კი პრობლემა იოლად „გადავწყვიტეთ": საერთოდ უარი ვთქვით ქონების კონფისკაციაზე, როგორც სასჯელის ძირითად ან დამატებით სახეობაზე.

ქონების კონფისკაციის ნაცვლად საქართველოს სს საპროცესო კოდექსით (მუხლი 315, ნაწილი პირველი) გათვალისწინებულია დანაშაულის საგნის, ობიექტის ან პროდუქტის ამოღება, მაგრამ ეს ღონისძიება დანაშაულში ეჭვმიტანილის ბრალეულობის დასადგენად საპროცესო ზემოქმედების საშუალებაა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ხერხია და არა სასჯელის ზომა. ამდენად, აღნიშნულმა პროცესუალურმა ღონისძიებამ, ცხადია, არ შეიძლება შეცვალოს ქონების კონფისკაცია.

უკანონო, დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების ამოღებისა და კონფისკაციის მექანიზმის სრულყოფის საკითხი უაღრესად აქტუალურია დღევანდელ საქართველოში, კერძოდ, აღნიშნული კანონპროექტის განხილვა-მიღებასთან დაკავშირებით.

ასეთი მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება კორუფციასთან ბრძოლაში უზრუნველყოფს ერთ-ერთი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — კორუფციის ეკონომიკური საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაგროვილი ქონების ამოღება არა მხოლოდ აანაზღაურებს კორუფციის მიერ მიყენებულ ზარალს, არამედ

მნიშვნელოვანწილად შეაფერხებს მომავალში ასეთი ქმედების ჩადენას.

სწორედ საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნეს განხილული ზემომოსავლების მთლიანად აღოღებისა და კონფისკაციის პრობლემა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული დანაშაულებრივი ჯგუფების და ცალკეული თანამდებობის პირთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან.

ცხადია, არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისე ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ქონების უკანონოდ მითვისებაში ეჭვმიტანილთა ბრალეულობა არ არის დამტკიცებული კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებული წესით და არ დადგინდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით და მისი კანონიერ ძალაში შესვლით, მანამდე ისინი დამნაშაულებად არ ითვლებიან და ქონებაც არ ჩამოერთმევათ.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მთავრობის 2001 წ. აგვისტოს სხდომაზე წარდგენილი კანონპროექტის „უკანონო და დასაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის (დაბრუნების) წესის შესახებ“ განხილვას ფართო გამოხმაურება მოჰყვა პრესის ფურცლებზე, რადიო და ტელეგადაცემებში. კერძოდ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2001 წლის 19 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორის წერილი სათაურით: „კორუფციის თემამ სოციალური ექსპერტიზა უნდა გაიაროს“. ცხადია, არა მხოლოდ აღნიშნულ თემაზე შემუშავებულმა, არამედ ყველა სხვა კანონპროექტმა უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე უნდა გაიაროს სოციალური ექსპერტიზა და არა მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოების ვიწრო წრეების განხილვის პრეროგატივა უნდა იყოს.

ამასვე იმსახურებდა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, ვიდრე იგი მთავრობის 2001 წლის აგვისტოს სხდომაზე კორუმპირებული მინისტრების „გამოსაშიგნი“ და თავდასხმის ობიექტი გახდებოდა, ხოლო კანონპროექტის გამტანი მაშინდელი, ინიციატივიანი მინისტრი ყველასაგან დაუცველი იქნებოდა. ეს თავიდანვე აშკარა იყო: რომელი სისხლისსამართლის პოტენციური დამნაშავე

და კორუმპირებული მინისტრი დაუჭერდა მხარს უკანონო გზით დაგროვილი ქონების ჩამორთმევას და სახელმწიფოსათვის გადაცემას? ცხადია, არავინ!

ამიტომ, ჯერ ხალხისათვის, სპეციალისტებისათვის უნდა გვეკითხა ტელე-რადიოს, პრესის მეშვეობით, თუ როგორი იყო კანონპროექტი, გაგვეგო მათი მოსაზრებანი მისი ავკარგიანობის შესახებ და იმედია აღარ ატყდებოდა ესოდენ აურზაური კანონპროექტის გარშემო.

უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების დანაშაულებრივი მითვისება სათავეს იღებს XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საკუთრების უსამართლო გადანაწილებასთან, ე. ი. კორუფციის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით.

ამას წინათ გამოქვეყნდა ორი ეკონომისტის ბროშურა გავლენიან ჯგუფებსა და კორუფციაზე,[1] რუსულ და ქართულ ენებზე. ნაშრომში ზოგადადაა განხილული სწორედ აღნიშნულ პერიოდში საკუთრების უსამართლო გადანაწილების საკითხი. მათი აზრით, საქართველოში კაპიტალის დაგროვების პროცესი ფაქტობრივად უკვე დამთავრდა, ვინაიდან საპრივატიზაციო თითქმის აღარაფერი დარჩა და მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი დოვლათის დატაცება გრძელდება.[2]

ავტორები იზიარებენ მოქალაქეთა უმრავლესობაში გავრცელებულ აზრს, რომ სახელმწიფო ქონების გადანაწილება ოთხმოცდაათიან წლებში არ ჩატარებულა სამართლიანად.[3] ცოტა „რბილადაა“ ნათქვამი, რამეთუ სახელმწიფო ქონება ხელისუფლებაში მყოფმა ჩინოვნიკებმა და სხვა თაღლითებმა უკანონოდ დაიტაცეს.

ავტორები სწორად აღნიშნავენ, რომ „მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისის პირობებში ვიწრო პარტიული, ჯგუფური ინტერესები, როგორც წესი, გადაძალავენ სოლმე პოლიტიკური კონსენსუსის ინტერესებს და შესაბამისად იწყება ხელჩართული ბრძოლა ხელისუფლებისა და ქონების ხელახალი გადანაწილებისათვის“.[4]

---

1 რომან გოცირიძე, ოთარ კანდელაკი, გაკუღნიანი ჯგუფები და კორუფცია, თბილისი, 2001 წ.

2 იხ. იქვე, გვ. 43.

3. იხ. იქვე, გვ. 45.

4 იქვე, გვ. 46.

ამასვე ადასტურებს მთავრობის ქრონიკული კრიზისი, როდესაც თანამდებობიდან გადაყენებული ზოგიერთი მინისტრი არაფერს არ ერიდება (ფინანსურ გარიგებებსაც კი მიმართავს ცალკეულ კორუმპირებულ პარლამენტარებთან).

ავტორებს მიაჩნიათ, რომ „მთავარი ამოცანა დღეს საკუთრების ხელახალი გადანაწილება კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რომ ქვეყანაში მაღალი ცენტრალიზებული კაპიტალი ჩამოვაშოროთ მის მიერ ხელში ჩაგდებულ ეკონომიკური პოლიტიკის უზუპირების ფუნქციას, რათა მან თავისი საქმე აკეთოს“.[1]

ყურადღებას იმსახურებს ავტორთა დასკვნა, რომ ანტიკორუფციულ ღონისძიებათა რეალიზება და ეკონომიკურად გავლენიანი ჯგუფების უკანონო ზემოქმედების შეზღუდვა, მხოლოდ ძლიერ მთავრობას შეუძლია, რომ ხელისუფლებას უნდა ეყოს სიმტკიცე და უნარი, პოლიტიკური ნება, გაწმინდოს პირველ რიგში აღმასრულებელი ორგანოს ყველაზე მაღალი ინსტანციები კორუმპირებული პირებისაგან.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ორიდან პირველი ავტორი, 90-იანი წლების დასაწყისში თვით ტრიალდება აღნიშნული ნეგატიური მოვლენების ცენტრში. მას ხომ მაღალი თანამდებობა (ვიცე-პრემიერი) ეკავა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, იყო კუპონების (ფაქტობრივად უფასო ქაღალდების) გამოშვების მთავარი ინიციატორი, რითაც ქვეყანაში დაიწყო სწორედ არსებითად კორუფციული პრივატიზაცია, როდესაც ხელისუფლებაში მყოფმა ჩინოვნიკებმა, მათთან დაახლოებულმა პირებმა კუპონების (უფასო ქაღალდების) შემწეობით პირწმინდად გაძარცვეს სახელმწიფო და მოსახლეობა, ჩალის ფასად შეიძინეს უზარმაზარი ქონება, ძრომლის ჩამორთმევაა გათვალისწინებული სწორედ განსახილველ კანონპროექტში. აღნიშნული, ცხადია, უსათუოდ იმას არ ნიშნავს, რომ დასახელებული ავტორი უშუალოდ მონაწილეობდა სახალხო ქონების ძარცვაში, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ მისი ფაქტობრივი ინიციატივით კუპონების შემოღებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კორუფციულ პრივატიზაცია-

---

1 რომან გოცირიძე, ოთარ კანდელაკი, გაუგებარი ჯგუფები და კორუფცია, თბილისი, 2001 წ., გვ. 46.

სა და თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფო ქონების დატაცებას.

როგორც ზემოთ აღნიშნული „ცენტრის“ დირექტორმა აღიარა, მის „სამეცნიერო საბჭოს მიაჩნია. რომ კორუფცია წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენათა ურთულეს კომპლექსს. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა შემოიფარგლოს ლოკალური კანონების მომზადებით, სადაც კორუფციის ცალკეული მოვლენები აისახება, **საჭიროა კორუფციის წინააღმდეგ სამართლებრივი კონცეფციის ჩამოყალიბება** (ხაზი ჩვენია. ა. მ.) და მის საფუძველზე კანონთა პაკეტის მომზადება, სადაც უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის წესის შესახებ ნორმა იქნება გააზრებული, როგორც ამ კანონთა პაკეტის შემადგენელი ნაწილი“.[1]

როგორც ვხედავთ, „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭო კორუფციის შესახებ (ან მის რომელიმე სახეობაზე) ფაქტობრივად ცალკე, სპეციალური კანონის მიღების წინააღმდეგია. საქართველოს დღევანდელ რეალებიდან გამომდინარე ასეთი პოზიცია არ არის გამართლებული. თვით ნაკლებადკორუმპირებულ ქვეყნებსაც კი აქვთ სპეციალური კანონები კორუფციისა და მის სხვადასხვა სახეობათა შესახებ. როგორც უკვე ითქვა, აშშ-მა ჯერ კიდევ 1925 წელს მიიღო კანონი კორუფციის შესახებ. რაც შეეხება „სამართლებრივ კონცეფციას“, მისი გაცნობიერებისა და გამოყენების გარეშე ვერც ერთი საკანონმდებლო აქტი და კანონპროექტი ვერ შემუშავდება და „მდუმარე მზეთუნახავად“ დარჩება, ე. ი. ვერ იმუშავებს მთლიანად და კორუფციის შესახებ იმ კანონპროექტის ასლი გახდება, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ რუსეთში შეადგინეს ფიზიკოსებმა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის დავალებით. აი, სწორედ ეს იყო კანონპროექტი სამართლებრივი კონცეფციის გარეშე. იგი ამიტომაც დაიწუნეს არა მხოლოდ იურისტებმა, არამედ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმაც.

„ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს აზრით იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი ეწინააღმდეგება სისტემურ მიდგომას და ამიტომაც მას ახასიათებს მთელი რიგი „არსებითი ნაკლოვანებები“. ამ შემთხვევაშიც

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2001 წ.

„სიმძიმის ცენტრი“ კვლავ „სამართლებრივ კონცეფციას“ გადატანილი, რამდენადაც თურმე „კანონპროექტში სრულად არ არის გააზრებული კანონის სამართლებრივი კონცეფცია. კანონპროექტი ვერ ადგენს ზუსტად პასუხისმგებლობის სუბიექტს და ბუნდოვანს ხდის თანამონაწილეობის ცნებას“.[1]

თუ კი კანონპროექტში არ არის თუნდაც სრულად გააზრებული „სამართლებრივი კონცეფცია“ და „ბუნდოვანია“ თანამონაწილეობის ცნება, აქაც ვაწყდებით გარკვეულ კურიოზს და მოგვიხდება „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს წევრებისათვის შეხსენება კანონის, როგორც იურიდიული აქტის შესახებ, რომელსაც ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანო ღებულობს და როგორც წესი იგი არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ცხადია, ასეთივე უაღრესად მძიმე და მნიშვნელოვანია კორუფციული დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლებრივად დასჯადია და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებასა და სახელმწიფოს. დაუჯერებელია კანონპროექტის ავტორებს კანონზე, როგორც სამართლებრივ აქტზე („სამართლებრივი კონცეფციით გაჯერებულზე“) ჯეროვანი წარმოდგენა არ ჰქონდეთ, ზუსტად არ იცოდნენ კორუფციული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი. იუსტიციის, ახლა უკვე ყოფილმა მინისტრმა ზუსტად რომ იცოდა კორუფციული დანაშაულის სუბიექტები სწორედ ამიტომ დაასახელა ამ მძიმე დანაშაულში აშკარა ეჭვმიტანილებიდან ზოგიერთი მათგანის გვარი მთავრობის 2001 წლის აგვისტოს სხდომაზე და კიდევ რამ-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2001 წ.

როგორც ჩანს, „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს ან ბოლომდე ვერ გაუცნობიერებია „სამართლებრივი კონცეფციის“ დედაარსი ან სუბიექტური მოსაზრებით შესაძლოა ვინმეს „დაკვეთით“) ხელმძღვანელობს. ვინ, მეტადრე იურისტი ან პოლიტოლოგი, თუნდაც საერთოდ ნებისმიერი განათლებული მოქალაქე დაიჯერებს, რომ ავსტრიის (ცხადია იურისტებს) როგორ შეეძლოთ შეედგინათ საკანონმდებლო დოკუმენტი „სამართლებრივი კონცეფციის“ გაუაზრებლის გარეშე. რამეთუ თვით საფუძველი კანონში, კანონპროექტში პოულობს განსახიერებას. თუ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში, რაც დაუჯერებელია, ვერ ერკვევიან კანონპროექტის ავტორები, ყველას ეშველა ჩამოერთვას იურისტის დიპლომები და აეკრძალოს პროფესიით მუშაობა.

დენის დასახელება შეიძლებოდა? კანონპროექტში (იხ. დანართი), ცალკეა განსაზღვრული „მოპასუხის პასუხისმგებლობა“ და „თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“. კანონპროექტში შეიძლებოდა ცალკე გამოყოფილიყო თანამონაწილეობის ცნება და ჩამოთვლილიყო დანაშაულში თანამონაწილეები. კანონპროექტის ყურადღებით წაკითხვაა საჭირო, რომ შევამჩნიოთ თანამონაწილეები.

„ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს თვალსაზრისით კანონპროექტმა საერთოდ უგულვებელყო (საქართველოში ფაქტობრივად არ არსებული) „სამოქალაქო საზოგადოების როლი კორუფციასთან ბრძოლაში, რადგან უკანხო ქონების გადაცემის მოთხოვნა, პროექტის მიხედვით, არ გააჩნია მოქალაქეს. ეს კი კორუფციასთან ბრძოლის ამომავალი პრინციპია“.[1]

რომელი სამოქალაქო საზოგადოება აქვს მხედველობაში „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს ჩვენ ქართულ სინამდვილეში? პოლიტიკურ სამართლებრივ ლიტერატურაში სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი და დამკვიდრებული ელემენტებია: საკუთრების ფორმების თანასწორობა და სხვადასხვაობა, შრომისა და მეწარმეობის რეალური თავისუფლება, იდეოლოგიური მრავალნაირობა, ინფორმაციის თავისუფლება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა ურყეობა, თვითმმართველობის განვითარება, ცივილიზებული სამართლებრივი ხელისუფლება და კანონის უზენაესობა. ჩვენთან ეს ელემენტები რეალურად არაა დამკვიდრებული და ამდენად, მსჯელობა სამოქალაქო საზოგადოების როლზე კორუფციასთან ბრძოლაში არარეალურია.

შესაძლოა „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭო სწორიც იყოს და მართლაც ჯეროვნად არ არის გამოკვეთილი დაუსაბუთებელსა და უკანონოს შორის განსხვავება,[2] სათანადოდ არ იყოს გათვალისწინებული და ანგარიშგაწეული საქართველოს კონსტიტუციის მე-40-ე მუხლის მოთხოვნა ადამიანის უდანაშაულობის შესახებ (უდანაშაულობის პრეზუმფცია), ვი-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2001 წ.

2 კანონპროექტის ავტორებს ცალკე აქვთ გამოყოფილი „უკანონო ქონება“ და „დაუსაბუთებელი ქონება“ (იხ. „დანართი“).

დრე არ დამტკიცდება იგი კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს დასკვნაც ამასთან დაკავშირებით მართლზომიერია: პირი, რომელსაც ბრალად ედება ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მოპოვება, რითაც მან ზარალი მიაყენა სახელმწიფოსა და საზოგადოებას „ცნობილი უნდა იქნას ბრალეულად სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით“.[1]

შესაძლოა კანონპროექტის ავტორებს შემთხვევით, „გულმავიწყობით“ ან სხვა მიზეზით გამორჩათ მხედველობიდან უდანაშაულობის პრეზუმფცია, სხვანაირად მის უცოდინარობას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ განათლებულ იურისტებს.

სამართლიანია „ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს მოსაზრება, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის წესის შესახებ კანონპროექტის მომზადებასა და მის განხილვაში უნდა მონაწილეობდეს საზოგადოების წარმომადგენლები, ვინაიდან კორუფციის თემამ უნდა გაიაროს სოციალური ექსპერტიზა და არა მხოლოდ სამთავრობო ორგანიზაციების ვიწრო წრეები. სამეცნიერო საბჭოს მიაჩნია, რომ კანონპროექტის იდეა თანამედროვეა და აუცილებელი, „სადავოა მხოლოდ წარმოდგენილი კანონპროექტი, როგორც ამ იდეის ასახვის ხერხი. საზოგადოებას სჭირდება ამ იდეას ადექვატური კანონპროექტი“.[2]

„ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს ასეთი მოსაზრება არამც თუ გაიცხვას, საყვედურს, უბრალო შენიშვნასაც კი არ იმსახურებს. ხშირად არამც თუ კანონპროექტი, არამედ თვით უკვე მიღებული კანონი იწვევს ხოლმე სერიოზულ დავას (ზემოთ ამის არა ერთი მაგალითია მითითებული).

აღნიშნული კანონპროექტი, როგორც ითქვა, მთავრობის სხდომაზე პირველად 2001 წლის აგვისტოში განიხილეს. მაგრამ უამრავი (ბევრი გამოგონილი) არგუმენტის მოშველიებით „დაწუნებული“ იქნა და „დასახვეწად“ კვლავ იუსტიციის სამინისტროს დაუბრუნდა. ამის შემდეგ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის და უშიშროების სამინისტროებმა, კონტროლის პალატამ უამრავი შენიშვნები გაუგზავნეს, მაგ-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2001 წ.

2 იქვე.

რამ იუსტიციის სამინისტრომ ანტიკორუფციული საბჭოს ორიოდე შენიშვნის გარდა არც ერთი არ მიიღო და უარს შესაბამისი დასაბუთებული ახსნაც მოაყოლა.

ცხადია, ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა (კორუმპირებულთა გარდა) დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების ჩამორთმევის მომხრეა, ხოლო ვისაც ეს არ აწყობს, იგი კანონპროექტს იწუნებს (ამის მაგალითი კერძოდ დასახელებული სამინისტროები და კონტროლის პალატაა). კანონპროექტის ოპონენტთა აზრით, თითქოს იგი წარსულის უსამართლო მემკვიდრეობის რეანიმაციაა, მდიდარი გლეხების „განკულაკების“ ანალოგიურია, საზოგადოებაში დაპირისპირებას გამოიწვევს და ა. შ. ამ აშკარად ხელოვნურად გამოგონილი არგუმენტებით იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილ კანონპროექტს იწუნებენ, ამასთან იმის თქმასაც არ ივიწყებენ (როგორც უკვე ვნახეთ), რომ საკუთარივ იდეა კარგია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს ეკუთვნოდა. სად არის ლოგიკა? იდეა კარგია და მისაღებია, მაგრამ დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების ჩამორთმევა კი დაუშვებელია.

კანონპროექტი იუსტიციის მინისტრს ერთპიროვნულად არ დაუწერია, მის შემუშავებასა და შემდეგ შესწორებებში მონაწილეობდნენ ცნობილი იურისტები, სისხლის სამართლის გამოჩენილი სპეციალისტები. მასში შესწორებების შეტანის შემდეგ კანონპროექტს კომისიის 13 წევრი აწერს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ პრესაში არ გამოქვეყნებულა, თვით ფრაგმენტულად (ტელევიზიისა და პრესის საშუალებით) და მისი ძირითადი იდეის გაცნობიერებით, კანონპროექტმა საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება გამოიწვია, თუმც ყველა როდი გაერკვა შექმნილ სიტუაციაში, ვინაიდან ჯერ-ერთი, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ფაქტობრივად სამართლისა და კანონის გარეშე მიმდინარეობს, ადამიანთა გარკვეული ნაწილი დაუსაბუთებლად „ხრავს“ სახალხო ღელათს. ამიტომ თავისთვის სერიოზულ საშიშროებას ხედავს კანონპროექტში. სწორედ მან გამოიწვია დიდი აურზაური, თორემ ნორმალურ, დაწყობილ სახელმწიფოში თვით კითხვის ღასმამ ნებისმიერი ადამიანისათვის — საიდან მოიპარე ესა თუ

ს ქონება, ასეთი შედეგები და აურზაური არ უნდა გამოიწ-
ეოს და მეორე, კანონპროექტი არსად არ გამოქვეყნებულა
ჩვენთან ხომ გაზეთების „ოკეანეა“). ყველა დაინტერესებუ-
ული პიროვნება, პროფესიონალი გაეცხობოდა მის შიხაარსს
და ბევრ გაუგებრობას აღარ ექნებოდა ადგილი, შეიძლე-
ა ითქვას, რომ ამის მიზეზი იყო თვით მაღალჩინოსან კო-
რუმპირებულთა ძალისხმევა, ყოველმხრივ შეეშალათ ხელი
ისი გამოქვეყნებისათვის.

არავისთვის არ უნდა იყოს გაუგებარი კანონპროექტის
ოთხოვნა, რომელიც არ ემუქრება მას, ვისაც ქონება პატი-
ოსანი გზით აქვს შეძენილი. ამჟამად მოქმედ საქართველოს
ამოქალაქო კოდექსში არის სპეციალური 167-ე მუხლი, რო-
ელიც ვანსაზღვრავს შეძენილი ქონების ხანდაზმულობას. ამ
უხლის მიხედვით უძრავი ქონება — სახლი, მიწის ნაკვეთი
რომელიც სახელმწიფო რეესტრში შედის) 15 წლის მანძილ-
ე ითვლება სადავოდ, შემდეგ უდავო საკუთრება ხდება. 167-ე
უხლის ათვლა იწყება 1993 წლის 27 ივლისიდან, როდესაც
იღებული იქნა კანონი საკუთრების შესახებ. 1997 წლის ივ-
ლისში მიღებული სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ მუხლს
არლამენტში რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ეს მუხ-
ლი ახალ კანონპროექტსაც არ დაუწუნებია. საქმე მხოლოდ
ის არის, რომ იგი არ მუშაობდა, სწორედ ამიტომ შეიქმნა
პეციალური კანონის მიღების აუცილებლობა. როგორც ვნა-
ეთ ყველა ნორმალურ სახელმწიფოშია სხვა კანონებთან
ერთად სპეციალური კანონები „კორუფციის შესახებ“, „მექ-
რთამეობის შესახებ“ და ა. შ. მათი მსგავსი კანონი, როგორც
ვუმოთ ვნახეთ, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებ-
ლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტ-
ა 1997 წელს მიიღო, მაგრამ იგი არა მხოლოდ არ მუშაობს,
რამედ დღეს მისი არსებობაც თითქმის არავის ახსოვს.

კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა (ძირითადად კორუმ-
პირებულთა და მათ მხარდამჭერთა) ბრალდება, რომ იგი ნეო-
ლშეივკურია, საფუძველს მოკლებულია. კანონპროექტი მო-
ითხოვს, რომ სახლი (სასახლე, სასტუმრო თუ სხვა ქონება)
ბუპატრონემ დაასაბუთოს (დაამტკიცოს) რომ მისია, რომ კა-
ნონიერადაა შეძენილი, თუ კი საკუთარი სახსრებით ააშენა
ან არაეითარი სიმკაცრე არ არის. უსამართლობა და სიმკაც-

რე ის არის, როდესაც მოხელეს, თანამდებობის პირს თვეში 150-200 ლარი აქვს, ხოლო სახლი კი მილიონი ღირს, საჭიროა დასაბუთდეს თუ რა სახსრებით აშენდა იგი. აქ არავითარი ნეობოლშევიზმი არ არის. ოპონენტებმა კარგად იციან, რომ დღეს ეს მომგებიანია და მხოლოდ საკუთარი თავის დასაცავადაა მოგონილი. ისინი საზოგადოებას მიმართავენ, აი, ნეობოლშევიკები მოვიდნენ და სახლებს გვართმევენო. ეს ცხადია, ყალბი არგუმენტია და დაგმობას იმსახურებს.

კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მისი მიღების შემთხვევაში საზოგადოებაში თავს იჩენს დაპირისპირება, სრულიად უსაფუძვლოა.

დაპირისპირება სწორედ იმ შემთხვევაში მოხდება თუ ადგილი ექნებოდა უსამართლობას, ხოლო თუ კი კანონიერად და დასაბუთებულად მოხდება ქონების კონფისკაცია, ცხადია, აღარც დაპირისპირება იქნება, ამასთან ისიც კი არის მოსალოდნელი, რომ სასამართლოში საჩივარი არავინ შეიტანოს, ვინაიდან ჩვენი მოქალაქე მეტის-მეტად გაუბედავი, სუსტი და ფაქტობრივად დაუცველია, ამიტომ მისგან აღნიშნულ შემთხვევაში რაიმე გაბედულ ნაბიჯს არც უნდა ველოდოთ.

კანონპროექტში მარტო სახლებზე არ არის ლაპარაკი. იქ საერთოდ გათვალისწინებულია „უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება“ და ფულადი სახსრებიც იგულისხმება. თუ რომელიმე თანამდებობის პირზე ეჭვი არსებობს, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია სათანადო დოკუმენტების შეწოწმება მოახდინოს (როგორც თავისუფალი პრესის ფურცლებიდან და სხვა კომპეტენტური წყაროებიდან ვგებულობთ სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ დასავლეთის ბანკებში შეტანილი თანხები მილიარდობით დოლარით განისაზღვრება).

ზოგიერთი ოპონენტის (ცხადია, არაპროფესიონალის) აზრით პროექტი უკანონოდ ნაშოვნი ქონების ჩამორთმევის შესახებ იდეაში კარგია, მაგრამ თვით კანონპროექტი მიუღებელია. ასეთი მოსაზრება კანონპროექტის წინააღმდეგ გალაშქრების შემოვლითი გზაა, რათა როგორმე მას სახელი გაუტეხონ და „დაამტკიცონ“, რომ ავტორებმა იგი ვერ შეიმუშავეს. საინტერესოა, რა ან ვინ უშლის ხელს მათ, გამოთქვან

თავიანთი მოსაზრება პროექტის შესახებ, ოფიციალურად წამოაყენონ საკუთარი შენიშვნები, ალტერნატიული კანონპროექტი და ა. შ. კერძოდ, როგორც ეს გააკეთა ზოგიერთმა იურისტმა, წამოაყენა საკუთარი და თავისი კოლექტივის მოსაზრება კანონპროექტზე როგორც ამის შესახებ ზემოთაც ითქვა. ნაცვლად იმისა თქვან, თუ რა არ მოსწონთ კანონპროექტში, ან რა მოსწონთ, თუ კი იდეა კარგია, მას წინ რაღა უდგას, მაშასადამე, მისი რეალიზაცია დანაშაულებრივი (უკანონო, მართლსაწინააღმდეგო) გზით შეძენილი ქონების კონფისკაციას ამართლებს.

კანონპროექტი ითვალისწინებს ქვეყნის მოქალაქეთა აქტიურობას კორუფციასთან ბრძოლაში. ასეთი პრაქტიკა როგორც უკვე ვნახეთ, ბევრ ქვეყანაშია. ზოგჯერ ამა თუ იმ პრობლემაზე მოქალაქე სახელმწიფოს კი არ ელოდება, თვითონ შეაქვს სასამართლოში სარჩელი. ცხადია, თუ დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს, იგი მარტო არჩევნებით არ გამოიხატება. სამწუხაროდ, ჩვენ მოქალაქეებს დაბალი სამართლებრივი კულტურა აქვთ და ის რაც ჩვენთან ხდება, ნორმალურ სახელმწიფოში წარმოუდგენელია.

თუ კი კანონპროექტი (შეტანილი შესწორებებით) მიღებული იქნება და უკანონოდ შეძენილი ქონება ჩამოერთმევა მის მფლობელს, სახელმწიფოს ფონდში ჩაირიცხება, თუ ნამდვილი პატრონი გამოუჩნდება მას გადაეცემა, თუ არა სოციალურ ხარჯებს მოხმარდება და მოტყუებულ მეანაბრეებს ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს.

მართალია, პირვანდელ პროექტში ცოტა ცვლილებები და შესწორება როდი შეიტანა პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა კომისიამ, მაგრამ მისი თავდაპირველი ვარიანტიც არ იყო პრინციპულად დასაწუნებელი, თუმც ნებისმიერ კანონპროექტში, როგორც წესი, შეაქვთ ცვლილებები და დამატებები.

თუ მთავრობის მიერ კანონპროექტი არ იქნა მოწონებული და მიღებული, პრეზიდენტს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით შეიტანოს იგი პარლამენტში განსახილველად და დასამტკიცებლად.

თუ როგორ შეხვდნენ კანონპროექტს გარკვეულ პოლიტიკურ წრეებსა და ბიზნესმენებში ეს ჩანს მათივე განცხადე-

ბებიდან. კანონპროექტს მხარს უჭერს მოქალაქეთა კავშირისა და საპარლამენტო ოპოზიციის გარკვეული ხაწილი. საყურადღებოა, რომ მას უდავოდ უჭერს მხარს ქართველ ბიზნესმენთა უმრავლესობა. როგორც პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რის შესახებაც უკვე ითქვა, ისინი სახელისუფლებო ჩინოვნიკებისაგან მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფებიან, დაუფარავად აცხადებენ, რომ ყოველ ნორმალურ ბიზნესმენს ურჩევნია იყოს გადასახადის მკაცრი კანონი, ვიდრე ქაოსი და აშკარა გამოძალვა. ზოგიერთი არაკორუმპირებული პარლამენტარის (ასეთები ალბათ ერთეულებია) აზრით, როდესაც „მოქალაქეთა კავშირის“ წარმომადგენელი სხვის ქონებაზე ლაპარაკობს, მან თავის თანაპარტიელის ქონებასაც უნდა მიაქციოს ყურადღება. როდესაც აღნიშნული კანონის მიღების შესახებ მსჯელობისას ობიექტურმა პოლიტიკოსმა არ უნდა გაარჩიოს თავისიანი და სხვისიანი, საკუთარი პარტიის თუ სხვა პარტიის წარმომადგენელი. საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ წარმომადგენლის აზრით უკანონო ქონების ჩამორთმევა აუცილებელია, მაგრამ თვლის, რომ დაუსაბუთებელი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს უკანონოდ არის მოპოვებული. ერთიანმა კომუნისტურმა პარტიამ, მისი ლიდერის სახით უპირობოდ დაუჭირა მხარი ახლა უკვე ყოფილ იუსტიციის მინისტრს, რომელიც მასზე ადრე განაწყენებული იყო კომპარტიის აკრძალვის მოთხოვნის გამო. ამ შემთხვევაში იუსტიციის მაშინდელ მინისტრს სრულიად მართალი კაცი უწოდა. მისი აზრით ჩინოვნიკებს დაუსაბუთებელი ქონება აუცილებლად უნდა ჩამოერთვას. რაც თვით ხალხს უნდა დაესაბუთებია.[1]

კორუფციის თემამ საქართველოში მთავრობის 2001 წლის აგვისტოს სხდომის შემდეგ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო და ქვეყანაში ისე დაძაბა ვითარება, რომ სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა სულ მალე 2001 წლის 4 სექტემბრისათვის სასწრაფოდ მოიწვია მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც მთავრობის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები, მეცნიერებისა

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2001 წ.

და კულტურის მოღვაწეები. განხილული იქნა ერთი — ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

სხდომის გახსნისას პრეზიდენტმა და გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს სერიოზული საფრთხე, რასაც უქადის ქვეყანას კორუფცია.

პრეზიდენტმა მიუთითა, რომ ჩვენ კარგა ხანია დავიწყეთ მზადება იმისათვის, რომ შევებრძოლოთ და დავძლიოთ კორუფცია, „ეს იყო ერთი წლის წინათ, ან ცოტა უფრო ადრეც, როდესაც შევუდექით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლას... მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი რჩევა იყო გავცნობოდით ჰონკონგის (ჰონკონგი სიანგანის ჩინური პროვინციის ინგლისური სახელწოდებაა. ა. მ.) გამოცდილებას, სადაც როგორც გვითხრეს, ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ფორმები დაინერგა".[1] გამოცდილების შესწავლის მიზნით იქ გაიგზავნა სპეციალური დელეგაცია, მაგრამ როგორც სახელმწიფოს მეთაური აღიარებს, „იქ მართლაც საგანგებო ღონისძიებანი განახორციელეს, საგანგებო რაზმები შექმნეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. საბოლოოდ მუშაობის ტრადიციული და ახალი ფორმები შეახამეს. თავისთავად ესეც საინტერესო გამოდგა გამოცდილების შეძენის თვალსაზრისით".[2]

ჰონკონგი საგანგებო ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსით 1997 წლის 1 ივლისს შევიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში. აქამდე იგი შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის უკანასკნელი კოლონია იყო. როგორც ვხედავთ, ჰონკონგი ცალკე სახელმწიფო არ არის, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ზოგიერთი საგანგებო ზომა მართლაც მიიღო კორუფციის დასაძლევად. რამდენადაც იგი ჩინეთის შემადგენლობაშია და ცხადია, ძირითადად ჩინეთის ცხოვრებით ცხოვრობს და არსებობს, ამდენად, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბოლო წლებში ქვეყანაში ფართოდ ფეხმოკი-

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 5 სექტემბერი, 2001 წ.

2 იქვე.

დებული კორუფცია ჰონკონგზეც ვრცელდება.[1] ამდენად თავიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ჰონკონგიდან კორუფციასთან ბრძოლის თვალსაჩინო და სასარგებლო გამოცდილებას ვერ შევიძენდით. ამდენად მსოფლიო ბანკმა ფუჭი და უსარგებლო რჩევა მოგვცა. სხვა საქმეა სინგაპურის გამოცდილება. ამ ქვეყნიდან (ქალაქი-სახელმწიფოა) მართლაც შეიძლებოდა ბევრი სასარგებლო გამოცდილება გადმოგველო, სადაც კორუფციასთან ბრძოლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმები და მეთოდები დაინერგა და როგორც ზემოთ ვნახეთ, მსოფლიოში კორუფციულად ერთ-ერთი სუფთა ქვეყანაა, აზიაში პირველია, ხოლო მსოფლიოს „ოთხეულშია".

პრეზიდენტს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ჩვენთან შეიქმნა „არა რაღაც საგანგებო დანიშნულების რაზმები, დამსჯელობითი სტრუქტურები და ორგანიზაციები, არამედ ეროვნული ანტიკორუფციული საბჭო, რომლის ძირითადი მიზანია თვალყური ადევნოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ჰქონდეს მუდმივი ანალიზი, თუ სად რა ხდება და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ რეალურ შედეგებს მივაღწიოთ".[2]

პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული გზით დაიძლევა საქართველოში ფართოდ გავრცელებული კორუფცია და მივაღწევთ საბოლოო მიზანს „საქართველო იქნება კორუფციისაგან თავისუფალი".

სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური დიდ ნდობას უცხადებს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც მისი სათათბირო ორ-

---

1 როგორც ზემოთ დავინახეთ, ბოლო წლებში ჩინეთში ფართოდ გავრცელდა კორუფცია. იქაური სს კოდექსით მექრთამეობისათვის სასჯელის უმაღლესი ზომაა გათვალისწინებული. 2001 წლის ოქტომბერში ჩინეთის სასამართლომ ქვეყნის საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრის მოადგილეს სიკვდილი მიუსაჯა (თუმცა განაჩენის აღსრულება გადაიდო ორი წლით), იგი ბრალეულად ცნეს ქრთამის აღებასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარებითი მიზნით გამოყენებაში. აი ასეთი გამოცდილების გადმოღება იქნება ჩვენთვის სასარგებლო კორუფციის დაძლევისათვის.

2 საქართველოს რესპუბლიკა, 5 სექტემბერი, 2001 წ.

გაწოა, მან უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედება პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ანტიკორუფციული პოლიტიკის სფეროში.

პრეზიდენტმა გააფრთხილა მთავრობის გაფართოებული სხდომის მონაწილენი, არ ყოფილიყვნენ პრეტენზიული საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილი მოხსენების მიმართ, „რადგან ის არის პირველი მოხსენება ახალგაზრდა კაცისა“ და მოუწოდა სხდომის მონაწილეებს მხარი დაეჭირათ მისთვის.

სამწუხაროდ, როგორც უაღრესად ვრცელი მოხსენების მთელმა შინაარსმა დაადასტურა, პრეზიდენტის გაფრთხილება საფუძვლიანი აღმოჩნდა. ჯერ-ერთი, მოხსენებამ ვერ დააკმაყოფილა არა მხოლოდ დამსწრე სპეციალისტები, არამედ სხდომის ბევრი სხვა მონაწილეც. სხდომაზე ისიც ითქვა, რომ ასეთი ხმაურიანი სხდომები ბევრი სხვაც ჩატარებულა, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლაში რაიმე პროგრესი არ შეინიშნება. რომ პირიქით, ეს სხდომაც რაიმე სარგებლობას არ მოიტანდა. მოხსენებაში არ დასახელებულა თუნდაც ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც აშკარად და რეალურადაა ეჭვმიტანილი კორუფციულ ქმედებაში, სხვებზე რომ არაფერი ითქვას.

მიუხედავად თავისი განსაკუთრებული სიდიდისა (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთელი სამი გვერდი), მოხსენებამ ვერ გასცა პასუხი მთავარ კითხვას: გვაქვს თუ არა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოებრივი სტრატეგია (თუმც მოხსენება იყო დასათაურებული: „ანტიკორუფციული საქმიანობა ახლადჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრალური სტრატეგიაა“). როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ასეთი სტრატეგია ხელისუფლებას არ ჰქონია, ე. ი. კორუფციასთან ბრძოლაში თუ საით უნდა წარმართულიყო „მთავარი დარტყმის“ მიმართულება და ამდენად ასეთი სტრატეგია მოხსენებაში ვერც აისახებოდა. რა თქმა უნდა ანტიკორუფციული პროგრამა შეიძლება გახდეს ანტიკორუფციული სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შე-

მუშაობის ერთ-ერთი საფუძველი, მაგრამ პროგრამა[1] თავისთავად სტრატეგია[2] არ არის. მოხსენება საინფორმაციო ხასიათს ატარებდა, მოვლენათა რაიმე ანალიზის გარეშე და არაფრისმთქმელი ციფრობრივი მონაცემებით იყო გადატვირთული, ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად შინაარსს იმეორებდა. მოხსენება დაშორდა ძირითად თემას. მასში არაფერი იყო ნათქვამი კორუფციის ცალკეულ და ფართოდ გავრცელებულ სახეობებზე საქართველოში, ქვეყანაში ისე ფართოდ გავრცელებულ საშიშ მოვლენაზე, როგორიც პოლიტიკური კორუფციაა, კორუფციის წყაროებზე, გამომწვევ მიზეზებზე, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კადრების შერჩევის მანკიერ მეთოდზე — ნათესაური, კუთხური, მეგობრული და არაპროფესიონალიზმის ნიშნებით, რომ კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა უნდა დაიწყოს უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ხელისუფლების (სამივე განშტოების) მაღალი ეშელონებიდან და არა საგზაო პოლიციელიდან, თუ ციხისა და სასჯელის აღსრულების სხვა დაწესებულებათა დარაჯებიდან. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები მოხსენების მიხედვით (რომელიც ისედაც გადატვირთული იყო უმისამართო ციფრობრივი მონაცემებით) დაიყვანებოდა სამინისტროების მიერ პრეზიდენტის № 95 ბრძანებულებით დაკისრებულ დავალებათა შესრულებამდე. გამოირკვა, რომ ფაქტობრივად არც ერთ სამინისტროს არ წარმოუდგენია მონაცემები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ვერც წარმოიდგენდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართვე-

---

1 პროგრამა (ბერძნ. programma, განცხადება, განკარგულება) — 1. მოღვაწეობის, სამუშაოთა შინაარსი და გეგმა; 2. პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, ცალკე მოღვაწის, საქმიანობის ძირითად დებულებათა და მიზანთა განსაზღვრა; 3. სასწავლო საგნის ძირითადი შინაარსის გადმოცემა; 4. თეატრალური, საკონცერტო და სხვა წარმოდგენათა მოქმედი პირების, შემსრულებელთა ნომრების ჩამოთვლა; 5. ინფორმატიკაში ინფორმაციის დამუშავების პროცესის სრული და ზუსტი აღწერა ზოგიერთ სპეციალურ ენაზე დასმული ამოცანის გადაწყვეტისათვის ეგმ-ით.

2 სტრატეგია (ბერძ. strategia stratos ჯარი+ago — წარვმართავ) — 1. სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ომისათვის შეიარაღებული ძალების მომზადების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. 2. რაიმე მთავარი ღონისძიების, [illegible] კორუფციასთან ბრძოლის წარმოების ხელმძღვანელობის ხელოვნება.

ლოს არცერთ სამინისტროსა თუ უწყებაში არ წარმოებს რეალური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. არადა, კორუფცია თითქმის ყველგანაა გავრცელებული, უწინარეს ყოვლისა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებში. გამკითხავი ჯერჯერობით არავინაა. თვით კორუმპირებულები ვერ წარმოადგენდნენ მონაცემებს საკუთარი კორუფციული ქმედების შესახებ და თავს „მახეში ვერ გაიბამდნენ“.

საინფორმაციო მოხსენებაში, მაგალითად ითქვა, რომ ავტოსაგზაო პოსტებიდან 41-ის ნაცვლად დარჩა 25, მაგრამ მას სიტუაცია არ შეუცვლია. პირიქით, შს სამინისტრომ „პრეზიდენტის № 95 ბრძანებულებით გათვალისწინებული დავალებები შეასრულა ფორმალურად ქაღალდზე, რეალურად კი მოსახლეობისა და მეწარმეების ძარცვა-გლეჯვის პროცესი კვლავ მიმდინარეობს და ამ სამარცხვინო პროცესში პოლიციელების რიცხვი ნამდვილად არ შემცირებულა“.[1]

კვლავ „საცოდავი“ პოლიციელები, რომელთაც თვით სახელმწიფო უბიძგებს ქრთამის აღებისაკენ, რომელთაც თვეობით და ზოგჯერ საერთოდ არ აძლევენ ხელფასებს.

როდესაც პირველი რიგის ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე ვლაპარაკობთ, პირველი რიგის ღონისძიებანი უნდა გატარდეს სწორედ „ზემოთ“ სახელმწიფო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დამკვიდრებული კორუფციის წინააღმდეგ. მაგრამ არა! მაღალი თანამდებობის პირები ხომ „აქლემის ქურდები“, ხოლო საგზაო პოლიციელები მათთან შედარებით მხოლოდ, „ნემსის ქურდებია“. „აქლემის ქურდები“ ხელუხ-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 8 სექტემბერი, 2001 წ., აღნიშნული და პრეზიდენტის სხვა ბრძანებულებათა შეუსრულებლობაც ცხადყოფს, რომ საქართველოსათვის ნაადრევია საპრეზიდენტო მმართველობა, ასეა მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში. რეალურად საპრეზიდენტო მმართველობა მსოფლიოს ერთეული სახელმწიფოების ხვედრია (აშშ-ი, საფრანგეთი, ფინეთი და ა. შ. აღბათ სულ რაღაც 10-15 ქვეყანა). სად გაგონილა, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ბრძანებულებები, ბრძანებები, განკარგულებები არ სრულდებოდეს, ცხადია თუ კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებიან. საპრეზიდენტო რესპუბლიკები „მოდის აყოლით“ გაჩნდნენ „სოკოებივით“ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, მათ შორის აფრიკაში, აზიაში. ყოფილ საბჭოთა კავშირში. ღიმიღის მომგვრელია საპრეზიდენტო მმართველობის აღმოცენება ყოფილ საბჭოთა ავტონომიებში. ესეც „მოდის აყოლით“ აიხსნება და არ არსებობს ფაქტობრივად ნიადაგი საპრეზიდენტო ხელისუფლებისათვის.

ლებლებია, ვინაიდან მათ უნდა დაიჭირონ „ნემსის ქურდები“ და ციხეში გააგზავნონ, მაშინ როდესაც თუ გვინდა გამძვინვარებული კორუფცია დავძლიოთ, პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფო აპარატში, ხელისუფლებაში გაბატონებული კორუფციის წინააღმდეგ წარვმართოთ „მთავარი დარტყმა“. ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ არის გავიხსენოთ გამორჩეული ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის სიტყვები:

„წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს,
ხდება ციხეში აგზავნის“.[1]

რაც შეეხება საგზაო პოლიციელთა ქმედებას, მართალია ესიც დასაგმობია, მაგრამ რამდენადაც ეს ქმედება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის, დანაშაულად არც კი ითვლება (იხ. საქართველოს სს კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი). იგი „საგზაო გადაცდომითაა“ მოხსენიებული საზღვარგარეთის ქვეყნების სს კოდექსებში, რისთვისაც დისციპლინური სასჯელია გათვალისწინებული, ცხადია, თუ ქრთამის სახით განსაკუთრებით დიდი თანხა არ არის აღებული, რაც იშვიათი შემთხვევაა.

ასეთნაირად ებრძვიან დღეს საქართველოში კორუფციას და სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ანტიკორუფციული ბაბჭოს მოხსენება, რომლითაც მისი მდივანი გამოვიდა, სწორედ ასეთ „ბრძოლას“ მიეძღვნა. როგორც ჩანს ისიც ასეთი დავალებით ხელმძღვანელობდა და ფაქტობრივად სხვანაირად არ შეეძლო, როგორც სათათბირო ორგანოს უფლებით აღჭურვილი ორგანოს წარმომადგენელს.

„ბაბჭოს“ სახელით გაკეთებულ მოხსენებაში ითქვა: „ქვეყნის ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების გასატარებლად. მთელმა სახელისუფლებო ვერტიკალმა სახელმწიფო მინისტრიდან დაწყებული, რომელსაც სხვა მინისტრების გაკონტროლება ევალება, სახელმწიფო ადმინისტრაციის ქვედა

---

1 შ. ნიშნიანიძე, რჩეული, თბ., 1984, გვ. 404.

რგოლით დასრულებული, უკიდურესად ფორმალური დამოკიდებულება გამოამჟღავნეს 95 ბრძანებულების მიმართ. რომელმა შეიძლება სამინისტროებში ამგვარ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ვეგუებოდეთ პრეზიდენტის ბრძანებულებისადმი?"[1]

როგორც ვხედავთ, იმის ნაცვლად, რომ საბჭოს მდივანს საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის შედეგები გადმოეცა (ყოველ შემთხვევაში რაც არის) მოხსენების ძირითადი შინაარსი № 95 ბრძანებულების შესრულება-შეუსრულებლობამდე და ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი დებულებების განმეორებამდე დაიყვანებოდა. ხელისუფლებას რომ არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება კორუფციასთან ბრძოლაში ეს სახელმწიფო მინისტრის თუ სხვა მინისტრების პირდაპირი მისია არც არის და როგორც ითქვა თითქმის ყველა სამინისტრო და უწყებაა თვითაა დაავადებული ამ სენით და მათი ხელმძღვანელები საკუთარი თავის განსასჯელებად ვერ გადმოგვიგებიან. კორუფციასთან რეალური ბრძოლის გასაღები ქვეყნის მეთაურის ხელშია, ამ ბრძოლის წარმატება უწინარეს ყოვლისა, როგორც ითქვა, მის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ეს არის სწორედ პირველი და თუნდაც მეორე რიგის („ზემოთ" და „ქვემოთ") ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გატარების გარანტია. როდესაც პრეზიდენტი მოხსნის სამინისტროების, უწყებათა კორუმპირებულ ხელმძღვანელებს, რომელთა მიმართ კორუფციულ დანაშაულში საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, გადასცემს გენერალურ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღსაძრელად, ობიექტური გამოძიებისათვის და ბრალდების წასაყენებლად, რაც დადასტურდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით და კორუმპირებულ ჩინოვნიკთა ციხეში გაგზავნით და შათ მიერ დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების კონფისკაციით, აი, მაშინ უკვე „წარბშეუხრელად" ვიტყვით, რომ საქართველოში ნამდვილად ებრძვიან კორუფციას.

რამდენადაც კორუფცია უწინარეს ყოვლისა თანამდებობრივი დანაშაული და ბოროტმოქმედებაა, მის წინააღმდეგ

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 8 ოქტომბერი, 2001 წ.

ბრძოლა როგორც ეს წესადაა მიღებული ნორმალურ ქვეყნებში, იწყება თანამდებობრივი კიბის ზედა საფეხურებიდან, ე. ი. მთავრობიდან, პარლამენტიდან, ხოლო შემდეგ ბრძოლა ქვემოთაც გრძელდება. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლები კი ფაქტობრივად სხვანაირად ფიქრობენ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იწყება თანამდებობრივი კიბის ქვედა საფეხურიდან, რამდენადაც არავის მიერ მათგან არ სახელდება (გამონაკლისი იუსტიციის ყოფილი მინისტრია) კორუფციის რეალური სუბიექტი, ე. ი. მინისტრები (თუნდაც ყოფილი, მაგ. ყოფილი ფინანსთა მინისტრები), მათი მოადგილეები, დეპარტამენტების თავმჯდომარეები და ა. შ. საკოორდინაციო საბჭოს მდივნის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში დასახელებული არ არის არცერთი კორუმპირებული მინისტრი ან მისი მოადგილე. სამაგიეროდ, „დაბალი ღობეა“ საგზეო პოლიციის თანამშრომლები, ციხის დარაჯები, სახელმწიფო დაწესებულებათა რიგითი თანამშრომლები და ა. შ. რომ ნაცვლად, რომ მხარი დაეჭირა იუსტიციის სამინისტროს მიერ შედგენილი კანონპროექტისათვის დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების შესახებ, მან უფრო სხვათა კარნახით, ვიდრე საკუთარი რწმენით აღნიშნა, რომ კანონპროექტი სერიოზულ წინააღმდეგობებს შეხვდებოდა, როგორც მთავრობაში, ისე პარლამენტში (მთავრობაში იგი უკვე წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობას და პირვანდელი ვარიანტი მოიხსნა განხილვიდან). მომხსენებელმა, იმის თქმაც კი ვერ გაბედა, რომ კანონპროექტი წააწყდებოდა წინააღმდეგობას სწორედ კორუფციის რეალური სუბიექტებისაგან, სისხლის სამართლის პოტენციური დამნაშავეებისაგან, რომლებიც მთავრობასა და პარლამენტში ბლომად არიან. მათ შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს „საბჭოს“ მომხსენებელს.

მოხსენებაში არ ჩანდა კორუფციის ქართული ფენომენის თავისებურებანი, რაც მეტად მნიშვნელოვანია საერთოდ ქვეყანაში კორუფციის დასაძლევად. საერთოდ არ იყო ნახსენები ევროსაბჭოს კონვენცია კორუფციის შესახებ და ჩვენი ქვეყნის, როგორც ევროსაბჭოს წევრის მოვალეობანი კონვენციიდან გამომდინარე, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზა-

ციების გადაწყვეტილებანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. საერთოდ, კორუფცია „ძვირად ფასობდა" მოხსენებაში, იგი როგორღაც ჩაძირული იყო ციფრებისა და სხვა „უმისამართო" ფაქტების „ოკეანეში".

როგორც ჩანს, ანტიკორუფციულ საკოორდინაციო საბჭოს სხვანაირი მოხსენების წარდგენა მთავრობის გაფართოებული სხდომისათვის არც კი შეეძლო, თავისი ფაქტობრივი უუფლებობის გამო (მისი ძირითადი მიზანი ხომ „თვალყურის დევნებაა" ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისათვის?). აკი ზემოთ აღინიშნა კიდეც, რომ საბჭო თავიდანვე „მკვდარი" დაიბადა, რამეთუ თავიდანვე არ იყო აღჭურვილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, გამოძიების, ბრალდების წაყენებისა და სასამართლოზე ბრალდებულის გადაცემის უფლებით.

ამიტომაც, როგორც ირკვევა, პრეზიდენტმა გააფრთხილა მთავრობის გაფართოებული სხდომის მონაწილენი არ ყოფილიყვნენ პრეტენზიული მოხსენების მიმართ. ანტიკორუფციული ხასიათის მოხსენების კრიტიკული ანალიზი ცხადია საქმიანი და ობიექტური, დღესაც და მომავალშიც საჭირო და სასარგებლო იქნება სახელმწიფო დონეზე კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის ხელშეწყობისა და მისი დაძლევისათვის.

ამას ვერ ვიტყვით „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის უცერემონიო განცხადებაზე, რომ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე „თითქმის ყველა გამომსვლელმა აღნიშნა მოხსენების უაღრესად მაღალი დონე". ასეთ განცხადებას შეუძლია მხოლოდ „დათვური" სამსახური გაუწიოს მომხსენებელს და მთლიანად ანტიკორუფციულ საბჭოს, ხოლო საქმეს მხოლოდ ზიანი მოუტანოს.

საყურადღებო იყო 2001 წლის 4 სექტემბრის მთავრობის გაფართოებულ თათბირზე მაშინდელი გენერალური პროკურორის გამოსვლა, რომელმაც სამართლიანად ამხილა საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა უხეში ჩარევის ფაქტები სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში.[1] მანვე აღნიშნა: „თუ კორუფციაზე ვიწყებთ საუბარს, მით უმეტეს,

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 8 სექტემბერი, 2001 წ.

როცა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება გამოხატავს **ამ მოვლენასთან რადიკალური დაპირისპირების პოლიტიკურ ნებას (ხაზი ჩვენია, ა. მ.)**, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ შემთხვევაში ყველა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, პარლამენტარი და ნებისმიერი ჩინოვნიკი მზად უნდა იყოს პასუხი აგოს თავის ქმედებაზე არსებული კანონმდებლობის საზომებით".[1]

კორუფციასთან უმაღლესი ხელისუფლების რადიკალური დაპირისპირების პოლიტიკური ნება ფაქტობრივად არ არსებობს, იგი მხოლოდ სურვილის დონეზეა, როგორც არაერთგზის დადასტურდა. იგი არ არის და ჯერჯერობით არც იარსებებს, ვინაიდან საქმე ეხება სახელმწიფოს მეთაურის ფაქტობრივ დაპირისპირებას საკუთარ გარემოცვასთან, სახელმწიფო მართვის აპარატთან, მთავრობის შემადგენლობასთან, პარლამენტთან. სურვილის არსებობის მიუხედავად, ამის გაკეთება მას არ შეეძლო გასაგები მიზეზების გამო. კერძოდ, ეს გამოვლინდა მთავრობის 2001 წლის აგვისტოს სხდომაზეც, როდესაც როგორც უკვე ითქვა, განიხილებოდა იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი „დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების შესახებ". იგივე დადასტურდა პრეზიდენტის გამოსვლაში 2001 წლის 18 ოქტომბერს ქუთაისის თათბირზე.[2]

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, თუნდაც ნაწილობრივ შეიძლება წაადგეს გენერალური პროკურორის უფლებამოსილების გაფართოება და საგანგებო რწმუნებებით აღჭურვა, სახელდობრ, კორუფციასთან ბრძოლის სფეროში, აგრეთვე უფრო ქმედითი და დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა, ვიდრე საკოორდინაციო საბჭოა.

როგორც მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა, „2001 წელს ოპერატიულ სამსახურებს არ გამოუვლენიათ ქრთამის დიდი ოდენობით გამოძალვის არც ერთი ფაქტი, მექრთამეობაში არ უმხელიათ

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 8 სექტემბერი, 2001 წ.

2 თუმც 2001 წლის 4 სექტემბრის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე დასკვნით სიტყვაში პრეზიდენტმა კორუფციასთან საბრძოლველად ხაღის ფეხზე დადგომისაკენ მოუწოდა.

არც ერთი თანამდებობის პირი, ქრთამის სახით არსებული თანხა 50-დან 300 ლარის ფარგლებში მერყეობდა, რაც არასაპატიმრო სასჯელების საფუძველი ხდება".

არც თუ იშვიათად კორუფციულ დანაშაულში რეალურ ეჭვმიტანილებს და ბრალდებულებსაც კი თვით საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები მფარველობენ, უცერემონიოდ ერევიან სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში. გენერალურმა პროკურორმა თავის გამოსვლაში ასეთი ფაქტი დაასახელა: 2001 წლის 29 ივლისს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყვნენ შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის აქციზური მონიტორინგის სამმართველოს ხელმძღვანელი და ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსი, რომლებმაც აზერბაიჯანიდან ტექნიკური დანიშნულების ზეთის შემომტან 12 ფირმას უკანონოდ შეუცვალეს სასაქონლო ნომენკლატურის კოდი, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს 388 ათასი ლარი დააკლეს.[2]

ეს თანხა აღმოჩნდა იმათ ჯიბეებში, ვისაც საჯაროდ ჯერჯერობით კორუმპირებულებად არ მოიხსენიებენ. აშკარა ხდებოდა ქრთამის აღება-მიცემის ფაქტი და დანაშაული ცხადი იყო, მას მხოლოდ სასამართლოს განაჩენი ელოდებოდა, მაგრამ დამნაშავეთა მფარველი 28 პარლამენტარის შუამდგომლობის საფუძველზე, რაც კანონით იკრძალებოდა, თბილისის საოლქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიება „შინა პატიმრობით" და გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალა. კორუფციული დანაშაულის ჩამდენ პირებს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება აზრადაც კი არ მოსდიათ. ასეთ შესაძლებლობას თვით კანონმდებლობაც უწყობს ხელს, რომელიც არ ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფმა შპს „მწყემსის" გენერალური დირექტორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული

---

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკა, 8 სექტემბერი, 2001 წ.
2 იხ. იქვე.

დეპარტამენტის დირექტორისა და სხვათა შემადგენლობით შემოსული ჰუმანიტარული ხასიათის ტვირთების უკანონოდ აღიარებით მიაღწია საბაჟო გადასახდელისაგან გათავისუფლებას. ამ მაქინაციით დანაშაულებრივმა ჯგუფმა უკანონოდ მიითვისა ერთი მილიონ 600 ათასი ლარი. არაერთი ფაქტით დასტურდება, როდესაც მძიმე დანაშაულში აშკარად ეჭვმიტანილი პირები პარლამენტართა შუამდგომლობის რეკორდულ რაოდენობას აგროვებენ. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი სამსახურის უფროსი 104 პარლამენტარის შუამდგომლობის „ღირსი" გახდა.[1] რა პარლამენტია ეს თავიდან ბოლომდე (გამონაკლისები „ამინდს" ვერ ქმნიან) კორუმპირებული? რაც თავის გამოსვლაში გენერალურმა პროკურორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. განა ჩვენი ე. წ. პარლამენტი და „სახალხო" დაწესებულება დაიცავს ხალხის ინტერესებს? სამწუხაროდ პირიქით, იგი ხალხის ინტერესებს „30 ვერცხლზე" ყიდის და მომავალშიც გაყიდის. ამასვე ადასტურებს გენერალური პროკურორის შემდეგი სიტყვები: „ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველოს „საფოსტო ბანკის" ინიციატივით, ზოგიერთი პარლამენტარისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოვნიკთა თანადგომით, ინტენსიურად ინერგება სახელმწიფო ქონებისა და ხალხის დოვლათის მითვისებისა და გაფლანგვის ახალი ფორმები და მეთოდები".[2] როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, სამწუხაროა, მაგრამ მწარე სიმართლეა ნათქვამი.[3]

მის მიერვე მოყვანილ იქნა კორუფციული დანაშაულის არაერთი ფაქტი (მხოლოდ კვლავ არა სახელმწიფო ხელისუფ-

---

1 სწორედ ამან გამოიწვია გენერალური პროკურორის მიმართ პარლამენტის დაპირისპირება, რომელმაც აიძულა 2001 წლის 1 ნოემბერს ამ საკანონმდებლო ორგანოს სხდომაზე განცხადება გაეკეთებია გადადგომის შესახებ.

2 იქვე.

3 ამის გამო რადიკალურად დაუპირისპირდა გენერალურ პროკურორს პარლამენტის თავმჯდომარე და მასთან სოლიდარული კორუმპირებული პარლამენტი (ერთეულები „ამინდს" არ ქმნიან) და რამდენიმე თვის წინათ იმავე პარლამენტის მიერ ერთსულოვნად და მჭუხარე ტაშით დამტკიცებული გენერალური პროკურორი იძულებული გახდა გადამდგარიყო. აი, ასე „ებრძვის" კორუფციას „სახალხო დაწესებულება" — პარლამენტი.

ლების მაღალი ეშელონებიდან) მთავრობის 2001 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე და ქუთაისში 18 ოქტომბერს გამართულ თათბირზე, რომელსაც ცოტა კორუმპირებული ჩინოვნიკი როდი ესწრებოდა.

2001 წლის 4 სექტემბრის მთავრობის გაფართოებული სხდომის დახურვისას დასკვნითს სიტყვაში პრეზიდენტმა განმარტა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ლოზუნგის „საქართველო კორუფციის გარეშე“ დედაარსი: „ეს ნიშნავს, რომ იგი საქართველოში ფეხმოკიდებული და გავრცელებულია, საესებით სამართლიანად ითქვა, რომ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რაღაც ფორმით მაინც არ იყოს დაკავშირებული ამ მოვლენასთან“.[1]

თუ აღნიშნულ ლოზუნგს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, იგი უკვე ნიშნავს ქვეყანაში არა მხოლოდ კორუფციის დაძლევას, არამედ მის საერთოდ აღმოფხვრას, საბოლოოდ მოსპობას, რაც სასწაულის ტოლფასია. დღეს დედამიწის ზურგზე არ არსებობს არც ერთი, ვიმეორებთ არც ერთი ქვეყანა კორუფციის გარეშე. და თუ ოდესმე მართლა მოხდა სასწაული და მსოფლიოში ყველაზე კორმპირებული ქვეყნების „ათეულს“ საბოლოოდ თავი დავაღწიეთ, ხოლო შემდეგ საერთოდ მოვსპეთ კორუფცია, საქართველო იქნება მსოფლიოში კორუფციისაგან თავისუფალი ერთადერთი ქვეყანა და სხვა ქვეყნებისათვის მისაბაძი და სანიმუშო, ხოლო მისი მეთაური უეჭველად ნობელის პრემიას დაიმსახურებს.

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე პრეზიდენტის დასკვნითი სიტყვიდან იგრძნობოდა, რომ ის ბოლომდე ვეღარ ეცნობა თავის გარემოცვას კორუფციასთან ბრძოლაში, ვერც ფორმალურ-იურიდიულად და ვერც ფაქტობრივად: „კორუფციას ყველანი უნდა შევებრძოლოთ... დ ღ ე ს ხ ა ლ ხ ი ფ ე ხ ი ზ ე უ ნ დ ა დ ა დ გ ე ს (ხაზი ჩვენია. ა. მ.) და ყველამ უნდა ჩათვალოს, რომ ეს არის ერის ღირსების, ერის პატიოს-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა. 6 სექტემბერი, 2001 წ.

ნების, მისი ყოფნა არყოფნის, ხალხისა და მთელი საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა“.[1]

სავსებით სწორი და შეიძლება ითქვას, მეტად მნიშვნელოვანი, დროული და მიზანმიმართული განცხადებაა. ხანგრძლივი თავშეკავებისა და მოთმენის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს ითქვა სიმართლე. თავისი გარემოცვის, მთავრობის შემადგენლობის, პარლამენტის იმედი კორუფიასთან ბრძოლაში პრეზიდენტს აღარ აქვს და სავსებით სამართლიანად და კანონზომიერად მიმართავს ხალხს, როგორც უმთავრეს ანტიკორუფციულ ძალას. დიახ, სწორედ ხალხმა საზოგადოებრივი რეფერენდუმის კონსტიტუციური უფლებით უნდა ისარგებლოს და პრეზიდენტის მხარდაჭერით მიიღოს სპეციალური კანონი კორუფციის შესახებ, იბრძოლოს მისი რეალიზაციისათვის, თავისი ჭეშმარიტი წარმომადგენლების და არა ახლანდელი კორუმპირებული სახელმწიფო აპარატის შემწეობით.

მსოფლიოში დღეს თითქმის არ არსებობს ქვეყანა, სადაც ისე ფართოდ იყოს გავრცელებული კორუფცია, როგორიც საქართველოა, იშვიათია კორუფციონერი, რომელიც თავის ქვეყანას, საკუთარ ხალხს ასე ურცხვად ყვლეფდეს და უკანასკნელ ლუკმას ართმევდეს, იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელიც ასე იოლად აძლევდეს საშუალებას ჩინოვნიკებს, ჩალის ფასად გაყიდონ ხალხის სიმდიდრე და ჯიბეები გაივსონ ხალხის ნაშრომ-ნაოფლარის გაყიდვისაგან მიღებული ფულით. არ არსებობს ქვეყანა, სადაც იოლი გზით მოხვეჭილი ფულის ხარჯვა, სასახლეების აშენება, საზღვარგარეთ ძვირადღირებული „ქოხების“ ყიდვა, და ა. შ., ასე თავისუფლად შეიძლებოდეს. ეს და სხვა ანალოგიური ანტიეროვნული, ნეგატიური ქმედებანი ქვეყანაში კორუფციის „აყვავების“ უშუალო შედეგია. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ საქართველოში ჩამოსულ, განსაკუთრებით განათლებულ უცხოელებს. ამ მხრივ კერძოდ, აღნიშვნის ღირსია ინგლისელი სოციოლოგი ენრიკო სალივანი, რომელიც ყურადღებით სწავლობს ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საინტერესოა მისი მოსაზრება საქართველოში კორუფციის ფართოდ გავრცელე-

---

1 საქართველოს რესპუბლიკა, 6 სექტემბერი, 2001 წ.

სასთან დაკავშირებით. იგი გაოცებას ვერ ფარავს საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული გზის გამო კორუფციასთან საბრძოლველად.

კორესპონდენტის მიერ დასმულ კითხვაზე, იწონებდა თუ არა საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის მეთოდს, ინგლისელმა სოციოლოგმა უპასუხა: „რა თქმა უნდა არა, თქვენ მოგწონთ? ისევე როგორც სკოლაში ანბანს, პოლიტოლოგიაში უპირველესად ასწავლიან, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას, ანუ ეკონომიკურად წელგამართულ ქვეყანას ამაყად შეუძლია საერთაშორისო ასპარეზზე საუბარი... ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთის სათავე ეკონომიკური ძლიერებაა. თქვენი ხელისუფლება კი ეკონომიკურად დაუძლურებულ მასას ჩასჩიჩინებს, ხელფასს ვერ მოგცემ, მაგრამ თუ ფულის აღების საშუალება გაგიჩნდა თითი არ დააკარო, რადგან ეს დანაშაულია და დაგიჭერო. ე. ი. კაცს ეუბნები, ვერც ჩვენ გაჭმევთ და ნურც თქვენ შეჭამთო! თუ კორუფციასთან ბრძოლა გინდათ, სახელმწიფო მოხელეს უნდა დაუნიშნოთ იმხელა ანაზღაურება, რომლის დაკარგვისაც შეეშინდება, ანუ გამუდმებით უნდა ფრთხილობდეს ქრთამი რომ ავიღო, სამსახურიდან გამაგდებენ და ცხოვრების სახსარს დავკარგავო. აი, ეს ერთადერთი ფაქტორი შეანელებს დღეს თქვენთან კორუფციას.ამას თუ მიაღწევთ, მერე საზოგადოებრივი აზრიც ამუშავდება და მექრთამეობა სამარცხვინო გახდება. საქართველოში მექრთამეობა ჩვეულებრივი ამბავია... ქვეყანაში გავრცელებულია შეხედულება: „ამას ვინ არ აკეთებს?“ და მართლაც ვინ არ აკეთებს! არ გააკეთებ და შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე დგები. ამიტომ დამკვიდრდა კორუფცია საქართველოში. ახლა ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ კორუფცია არ მოვსპეთ, ეკონომიკა როგორ გამოსწორდება? თქვენი ანტიკორუფციული პროგრამით მიპასუხებთ. ეს პროგრამა კრიტიკული თვალით წავიკითხე, ვიფიქრე უამრავ ნაკლს აღმოვაჩენ-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. პროგრამაში აბსოლუტური სიზუსტითაა გადმოცემული მექრთამეობის წარმოშობის და ფეხის მოკიდების და ა. შ., ყველა მიზეზი. ისიცაა ნათქვამი, რომ კორუმპირებულები სხედან იმ უწყებებ-

ში, რომლებიც თავად უნდა ებრძოდნენ ამ სენს, ანუ ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ არ არის ნება, იგივე სურვილი ამის დაძლევისა".[1]

როგორც ვხედავთ, ინგლისელი სოციოლოგი თავისი საქართველოში მოკლე დროით ყოფნის მიუხედავად კარგად გარკვეულა ქვეყნის უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში, იძლევა სასარგებლო რჩევას კორუფციასთან ბრძოლის გზების შესახებ. ამაში კიდევ უფრო დარწმუნდებით ენრიკო სალივანის შემდეგი სიტყვებიდან: „თუ სახელმწიფოს კორუფციასთან ბრძოლის რეალური ნაბიჯების გადადგმა სურს, მაშინ ის უნდა დაემსგავსოს სამურაის,[2] რომელიც თავისი ნებით და ხელით იკეთებს ჰარაკირს.[3] ახლა პკითხეთ თქვენ ხელისუფლებას უნდა მას ჰარაკირი? თუ ვერ გავითავისებთ იმას, რომ კორუფციის ძირები მმართველობითი სისტემის გარდა, ადამიანის ცნობიერებაშია, მაშინ ყოველივეს აზრი ეკარგება.

თქვენს ანტიკორუფციულ პროგრამაში (თავი 4, 2) ნათქვამია, რომ „კორუფციის შესახებ ინფორმაციის მოზღვავება იწვევს საზოგადოებრივ შოკსა და სახელმწიფოსადმი ნდობის მკვეთრ დაქვეითებას". ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობა დაკარგულია. ღმერთმა ნუ ქნას და საკმარისია გარეშე ძალასთან ომი ან შინაარეულობა დაიწყოს, რომ ხალხი სახელმწიფოს გვერდში არ დაუდგება.

ქართული საზოგადოების ნაწილი მართლაც შოკირებულია და სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ადამიანი ხედავს, რომ მუშაობს და ვერაფერს ქმნის, მეტიც, ჭამაც კი უჭირს, ხოლო ვიღაც არ მუშაობს, არც არაფერს აკეთებს და ყველაფერი აქვს. ეს ცხადია ნერვიულ განწყობილებას ქმნის ადამიანებში, ... კიდევ ერთი რამ მაკვირვებს: ხელისუფლების

---

1 კვირის პალიტრა, 9-15 აპრილი 2001 წ.

2 სამურაი (იაპონ.) იაპონიაში ფართო აზრით საერო ფეოდალები, ხოლო ვიწრო აზრით ყველაზე ხშირად იხმარება, როგორც წვრილაზნაურთა სამხედრო ფენა; იაპონელი სამხედროები.

3 ჰარაკირი (იაპ. ჰარა—მუცელი—კირი, გამოუატერა) იაპონიაში თვითმკვლელობის ფორმა, ცნობილია შუა საუკუნეებიდან სამუარაებს შირის.

სამივე შტოს წარმომადგენლებისაგან გამიგონია, ვიცი დამნაშავე ვინ არის, მაგრამ დასახელებისაგან თავს შევიკავებო. გასაკვირი ის არის, რომ ასეთ ხალხს საზოგადოება არ აძალებს, თუ კი იცი დამნაშავე, მაშინ დაასახელეო, ანუ საზოგადოებაც ინდეფერენტულია. ასეთი რამ ინგლისში რომ მოხდეს, მთქმელს დამნაშავის დაფარვისათვის დასჯიან".[1]

არა გვგონია, რომ უადგილო იყოს მოყვანილი ორივე ვრცელი ამონაწერი ცნობილი ინგლისელი სოციოლოგისა და პოლიტოლოგის ენრიკო სალივანის ინტერვიუდან. ორივე ამონაწერი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ კორუფცია თანამდებობრივი ბოროტმოქმედებაა და იგი ყველაზე უფრო საშიშია სწორედ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. საზოგადოების ხრწნის პროცესი კორუფციით სწორედ ზევიდან, ე. ი. თავიდან იწყება, როგორც თევზის ხრწნა (ცოტა უხეში, მაგრამ მაინც პირდაპირი შედარებაა). თევზის ორგანიზმი, რომ მთლიანად არ გაიხრწნას საჭიროა „ქირურგიული ჩარევა", ე. ი. „თავის წაცლა". ასეა საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული კორუფციის შემთხვევაში: ქვეყანა მთლიანად რომ არ დაიღუპოს მასობრივი კორუფციისაგან და შეჩერდეს დაღუპვის პროცესი, ხელისუფლებამ, საიდანაც ვრცელდება სწორედ ეს, „შავი ჭირი" საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი უნდა გამოუტანოს.[2]

ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ინგლისელი სოციოლოგისა და პოლიტოლოგის ინტერვიუდან.

ზოგიერთი შენიშვნით შეიძლება დავეთანხმოთ უკვე ზემოთ ნახსენებ საქართველოს ანტიკორუფციული ეროვნული პროგრამის ზოგად შეფასებას ინგლისელი სოციოლოგისა და პოლიტოლოგის ე. სალივანის მიერ. პროგრამა მეცნიერული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, სერიოზული დოკუმენტია, მაგრამ მოსალოდნელ პრაქტიკულ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, საფიქრებელია, რომ ჯერ-ერთი, მის რეალიზა-

---

1 კვირის პალიტრა, 9-15 აპრილი, 2001 წ.

2 ფაქტობრივად (და ნანიღბრივ) ასეც მოხდა 2001 წლის 1 ნოემბერს, პრეზიდენტი იძულებული გახდა მთლიანად გადაეყენებინა მთავრობა, გადაედგა პარლამენტის თავმჯდომარეც, ბევრი სერიოზული ბრალდების გამო. ეს არ კმარა, მთავარია რეალურად დადგეს მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

ციას დღევანდელი თაობა შეიძლება ვერც კი მოესწროს და მეორე, თავისებურ შეშფოთებასაც კი იწვევს, რომ იგი მარჯვედ შეუძლიათ გამოიყენონ ჩვენმა ოლიგარქებმა (მდიდრებმა, მონოპოლისტებმა, ადრე მიღებული კრედიტების „შემჭმელებმა"). მასში, როგორც უკვე ვნახეთ, არ არის გამოკვეთილი კორუფციისათვის მკვეთრად დამახასიათებელი ნიშნები. ზოგჯერ უფრო მეტად აქცენტი სხვა საკითხებზეა „გადატანილი". ზოგჯერ უფრო მეტად დაზუსტებას საჭიროებს ე. წ. „არაელიტური" მასობრივი კორუფციის ცნება. აქვე შევნიშნავთ: შესაძლოა ავტორები გულისხმობენ წვრილ, დაბალი დონის კორუფციას, რომელიც სახელმწიფო კორუფციასთან შედარებით, როდესაც საქმე ეხება ათასებისა და მილიონების მიტაცებას, „მოსათმენი" და „უწყინარია", თუმც კორუფცია როგორც უკვე ვნახეთ, მარტო აღნიშნულით არ განისაზღვრება.

გოლოთჟმა

(ზოგიერთი დასკვნა და რეკომენდაცია)

თანამედროვე საქართველოში, აგრეთვე სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მსოფლიოს მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში კორუფციამ მეტად საშიში და საგანგაშო ხასიათი მიიღო. იგი ფართოდ გავრცელდა საზოგადოების ყველა ფენაში და უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა განშტოებაში. კორუფციის დონის მიხედვით საქართველო მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების ათეულშია.

კორუფცია ხდება ან უკვე გახდა ნორმა და არა გამონაკლისი მაღალი თანამდებობის პირთა რიგებში. სამართალდაცვის ორგანოებს თვით მოსდგამთ კორუფცია, მათ არ გააჩნიათ რეალური შესაძლებლობანი და აუცილებელი დამოუკიდებლობა ებრძოლონ სახელმწიფო კორუფციას.

ჩვენს დროში კორუფცია გლობალურ მიდგომას საჭიროებს, მისგან „ბინძური“ შემოსავლები ჩართულია მსოფლიო და ეროვნულ ფინანსურ ნაკადებში.

საქართველოში ფსევდოდემოკრატიული წყობილების[1] ათწლეულმა მჭერმეტყველურად დაადასტურა, რომ მის შედეგად აღმოცენებულ სოციალურ-პოლიტიკურ ქაოსსა და განუკითხაობას ლოგიკური აუცილებლობით მოსდევს სახელმწიფოებრიობის დაღუპვა. ისახება საქართველოს გადარჩენისათვის პოლიტიკურ ცვლილებათა ორი გზა: ან რადიკალურად შეიცვლება სახელმწიფო ხელისუფლების სამივე განშტოება, მორალურად სპეტაკი, საქმიანი და პროფესიული კადრებით (დიახ! დღესაც „კადრები წყვეტენ ყველაფერს“),

---

1 ცხადია, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ანტიკორუფციულ პროგრამაში სახელმწიფო აპარატი კორუმპირებულია, რაც საეჭვოს ხდის ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების არსებობას, იგი მხოლოდ „ქაღალდზეა“.

რაც ალბათ ვერც შეაჩერებს ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს. რჩება მეორე — დიქტატურის (რაც უსათუოდ არ გულისხმობს პიროვნულ ძალმომრეობას) დამყარების გზა. დრო გვიჩვენებს თუ რამდენად გამართლდება ასეთი გზა ქვეყანაში მართლწესრიგის დამყარების, კორუფციის დაძლევისა და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის პირობების შესამზადებლად. უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ დამკვიდრებულა რეალური დემოკრატია ამა თუ იმ სახის დიქტატურის — ძალით თუ ნებით მართლწესრიგის დამყარების გარეშე.

კორუფციასთან ბრძოლა მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში გაფართოვდა XX საუკუნის ბოლო მეოთხედში, როდესაც იგი აშკარა თანამდებობრივ ბოროტმოქმედებად გადაიქცა და სერიოზული საფრთხე შეუქმნა კანონის უზენაესობას—დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ნდობას. სამწუხაროდ, როგორც ვნახეთ, კორუფციასთან რეალური ბრძოლა საქართველოში „კუს ნაბიჯებით" მიმდინარეობს.

საქართველოს მაგალითზე, კორუფცია არის ქვეყნის ყველა უბედურების ძირითადი მიზეზი: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის ფაქტობრივი დაკარგვის მთავარი მიზეზი კორუფციაა;

მოსახლეობის მასობრივ გაღატაკებას, ზნეობრივ დაკნინებას, მასობრივ უმუშევრობას კორუფცია განაპირობებს;

უცხოელთა მიერ საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების ძარცვა კორუფციითაა გამოწვეული;

უცხოელთა ფინანსური კაპიტალის შემოჭრა ეკონომიკაში და წარმოების ფაქტობრივი შეჩერება კორუფციითაა განპირობებული;

მეანაბრეთა პირწმინდად გაძარცვა ბანკირთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ კორუფციითაა გამოწვეული;

ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისი ქვეყანაში კორუფციის „პირმშოა";

პრივატიზაცია საქართველოში მთლიანად კორუმპირებულ ხასიათს ატარებდა, რითაც მილიონები დაიტაცეს სახე-

ლმწიფო მოხელეებმა (კერძოდ კუპონების შემოღების ინიციატორებმა და ქონების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელებმა);

განათლების სისტემის დეგრადაცია და სწავლების დონის მკვეთრად დაცემა კორუფციითაა გამოწვეული;

მეცნიერებისა და კულტურის დაკნინება (ცალკეული ენთუზიასტები „ამინდს ვერ ჰმნიან“), მეცნიერთა აბუჩად აგდება კორუფციითაა განპირობებული;

არაპროფესიონალთა მოზღვავება სახელმწიფო ხელისუფლებაში კორუფციითაა გამოწვეული;

ქვეყნის სამრეწველო განვითარების ფაქტობრივი „გაყინვა“ კორუფციით აიხსნება;

დანაშაულობის წინააღმდეგ სამართალდაცვის ორგანოთა ბრძოლის არაეფექტიანობა ძირითადად სისტემაში კორუფციის ფართოდ გავრცელებითაა გამოწვეული;

საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა (რომელიც ფაქტობრივად დასავლეთიდან იმართება) კორუფციითაა განპირობებული;

რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება და დასავლეთზე ორიენტირება უმთავრესად კორუფციითაა გამოწვეული;

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური დაუძლურება კორუფციით აიხსნება;

ისედაც მწირი ხელფასებისა და პენსიების თავის დროზე გაუცემლობა ან „გაყინვა“ კორუფციითაა გამოწვეული;

ბაზარზე უცხოური საქონლის მეტისმეტად სიჭარბეს და საკუთარი საქონლის (რაც გვაქვს) ბაზრიდან ფაქტობრივ განდევნას კორუფცია განაპირობებს;

გადასახადების კატასტროფული ზრდა, ისედაც მწირი ხელფასებისა და პენსიების არსებობის (არც თუ იშვიათად მათი „გაყინვის“) პირობებში კორუფციითაა გამოწვეული;

საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ ფაქტობრივად მონებად გაყიდვა ხელოვნურად გამოგონებული ფირმების მიერ სამუშაოზე მოწყობის საბაბით მხოლოდ და მხოლოდ კორუფციით აიხსნება;

2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სტუდენტი ახალგაზრდობის მასობრივი ანტისახელისუფლებო გამოსვლები, ქვე-

ყანაში ქრონიკული სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლების ხალხისაგან „ჩინური კედლით“ გამიჯვნითა და სახელმწიფო აპარატის სრული კორუმპირებულობით აიხსნება და ა. შ.

საქართველოში კორუფციის ფართოდ გავრცელების ნეგატიური შედეგების ამ არასრული ჩამოთვლიდანაც ნათლად იკვეთება ის უდაო ჭეშმარიტება, რომ თუ რეალურად არსებული კორუფციიდან, მასზე ეფექტიანი კონტროლისა და მასთან უკომპრომისო ბრძოლის ინტერესებიდან გამოვალთ, აგრეთვე გავითვალისწინებთ ამ პრობლემის ფართო მეცნიერული განხილვის აუცილებლობას, შესაძლებელია გაკეთდეს ზოგიერთი დასკვნა და წამოყენებული იქნეს ზოგიერთი პრაქტიკული წინადადება კორუფციასთან ბრძოლის სრულყოფისა და მისი დაძლევისათვის.

ამისათვის მთავარია თვით სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური ნების ფორმირება ანტიკორუფციული პროგრამის საფუძველზე „მთავარი დარტყმის მიმართულების“ განსაზღვრა, ე. ი. სახელმწიფოებრივი ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია, ქვეყნის მმართველთა „სუფთა ხელები“.

ბევრი სასარგებლოს მომცემი იქნება ანტიკორუფციული კანონების, სამართლებრივი აქტების და ნორმების შემუშავება და საქმიანი განხილვა, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყნების დადებითი გამოცდილება. ჩვენთან მოქმედი სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ კორუფციული ხასიათის დანაშაულზე კონტროლსა და მასთან ბრძოლას, გამოიყენება შერჩევით ან საერთოდ უგულვებელყოფილია.

კორუფციული დანაშაულებრივი ქმედებისათვის უმთავრესად სჯიან დაბალი კატეგორიის სახელმწიფო მოხელეებს და არა მაღალ ჩინოსნებს, რომლებმაც საბოლოოდ შეირცხვინეს თავი ხალხის თვალში. არადა, კორუფცია უპირატესად თანამდებობრივი ბოროტმოქმედებაა, რომელიც უფრო ხშირად მაღალჩინოსნებშია დამკვიდრებული. უნდა გვახსოვდეს;

რომ თვით კორუმპირებულები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ვერ გამოდგებიან.

უკომპრომისო პოლიტიკური ნების ფორმირება ფართოდ გავრცელებულ და ღრმად ფესვებგადგმულ კორუფციასთან ბრძოლისათვის უწინარეს ყოვლისა მოითხოვს მმართველი პოლიტიკური ძალებისაგან დაიწყონ გადამწყვეტი ბრძოლა ამ განუკურნებელი სენის წინააღმდეგ საკუთარი თავიდან. როგორც საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ადასტურებს, მხოლოდ ასეთ მიდგომას შეუძლია დაუბრუნოს (ან მოუპოვოს) ხელისუფალთ ავტორიტეტი და ხალხის ნდობა, მისი რწმენა სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების შესაძლებლობაში.

აუცილებელია კონტროლის ახალი ფორმების ზედმიწევნით და ყოველმხრივ გააზრება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათს უმოქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამმართველო პროცესების ბიუროკრატიზაცია, ეკონომიკური ინიციატივის დამუხრუჭება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესაძლო დარღვევა.

ჩვენთან, საქართველოში, სოციალურ-სამართლებრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმები ძალიან ნელი ტემპით და თანაც წინააღმდეგობრივად ყალიბდება. კონტროლის შემდგომი განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა გვახსოვდეს დისკრეციული კონტროლის სერიოზული საფრთხე, რაც არც თუ იშვიათად იჩენს ხოლმე თავს. ეს კი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მაკონტროლებელ პირთა კორუმპირებულობას (როგორც ესაა, მაგალითად საქართველოს კონტროლის პალატაში, რომლის თანამშრომლები თითქმის ყველა კორუმპირებულია, ასე იყო და გრძელდება) და სერიოზულ ზიანს აყენებს, ისედაც კრიზისის მარწუხებში მოქცეულ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.

სრულიადაც არ არის საკმარისი კორუმპირებული მინისტრების, სხვა მაღალჩინოსანთა თანამდებობიდან გადაყენე-

ბა, სამსახურიდან დათხოვნა. საჭირო და აუცილებელია დაისვას მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, ეძიოთ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, წაეყენოთ ბრალდება და საქმე გადაეცეს უზენაეს სასამართლოს პირველი ინსტანციით განხილვისათვის. სისხლის სამართლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას ყოფილი ფინანსთა მინისტრების მიმართ (დროის ყოველგვარი ხანდაზმულობის მიუხედავად), რომლებმაც პირწმინდად „გამოხრეს" სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკებთან ერთად სათავე დაუდეს მის ქრონიკულ კრიზისს.[1] ვითომ წინანდელი ხელისუფლების ფინანსთა მინისტრთან შედარებით, რომელიც ციხეშია, მათ ნაკლები დანაშაული მიუძღვით ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე?

საჭიროა სისტემური ზემოქმედება ეკონომიკურად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაზე კორუფციული დანაშაულის პროგნოზირებისას, საჯაროობის პრინციპის მტკიცე დანერგვის გზით (მხედველობაშია პრივატიზაციის, აქციონირების, აუქციონის მოწყობის, სხვა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები). საჯაროობის დადგენილი წესის დარღვევა თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განიხილებოდეს, როგორც კორუფციული ქმედება. ასეთი ქმედებისათვის შეიძლება გატარდეს არანაკლებ მკაცრი ზომა, ვიდრე კორუფციის სხვა სახისათვის, რათა საჯაროობის დარღვევა კანონით აბსოლუტურად მიუღებლად განიხილებოდეს.

კორუფციის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ინტერესები მოითხოვს საკითხის გადასინჯვას სახელმწიფო მოსამსახურეთა წარმომადგენლობის შესახებ სააქციონერო საზოგადოებებში სახელმწიფო კაპიტალის წილით. მოქმედი კანო-

---

1 ამიტომ ჩვენი აზრით თანამდებობის პირთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში მთავარი ის კი არ არის, როგორ იწყებენ საკუთარ კარიერას, არამედ თუ როგორ ამთავრებენ მას. ამ მხრივ მართლაც რომ „უნიკალურია" საქართველოს მაღალი თანამდებობის პირთა მოღვაწეობის გამოცდილება. ისინი თავიანთ კარიერას „წარმატებით" იწყებენ „როგორც წესი" პარლამენტის მიერ ერთხმად მხარდაჭერით, მქუხარე ტაშის „აკომპანიმენტით", რომელიც ხშირად ოვაციაში გადადის და სამარცხვინოდ ან უკეთეს შემთხვევაში სამსახურიდან გაგდებით ამთავრებენ.

ნმდებლობით სახელმწიფო მოსამსახურეებს ეკრძალებათ სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება, მათ შორის სამეწარმეო მოღვაწეობა, მონაწილეობა სააქციონერო საზოგადოებათა მართვაში და ა. შ. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში აკრძალულია ან შეზღუდულია სახელმწიფო მოსამსახურეთა თვით მეცნიერული და პედაგოგიური ანაზღაურებადი საქმიანობა.

განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო მოსამსახურეთა გადასვლა კომერციული საწარმოთა ხელმძღვანელებად, მათი გათავისუფლების შემდეგ სამსახურიდან. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირებს სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ დადგენილი ვადის განმავლობაში უნდა ჰქონდეს მთავრობის ნებართვა, ვიდრე მიიღებდეს მიწვევას სამუშაოზე კერძო სექტორში ან დაიწყებდეს კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დამოკიდებულება აქვს მის წინანდელ თანამდებობასთან.

აუცილებელია ადგილი მოეძებნოს კორუფციის მოქმედ ფორმებს და დამკვიდრდეს ისინი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი ვაჭრობისა და დემოკრატიის პირობებში კორუფცია არ დაიყვანება პრიმიტიულ მექრთამეობამდე („ფულის პაკეტამდე“).

კორუფციული ლობიზმი, პროტექციონიზმი, შენატანები პოლიტიკური მიზნებისათვის, შენატანები არჩევნების ჩასატარებლად, კონფიდენციუალური ინფორმაციის გადაცემა, ნეპოტიზმი, სახელმწიფო ჩინოვნიკთა გადასვლის ტრადიციები კორპორაციათა და კერძო ფირმების საპატიო პრეზიდენტების თანამდებობებზე, კომერციულ სტრუქტურათა ინვესტირება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, სახელმწიფო ქონების გადატანა სააქციონერო საზოგადოებებში, შვილების სწავლება საზღვარგარეთ სპონსორთა ხარჯზე და სხვა მოქნილი კორუფციული ტექნოლოგიები წარმოადგენენ კორუფციის საშიშ და შენიღბულ ფორმებს, რომლებმაც განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა საქართველოში.

კანონმდებლობის წესით რეალურად უნდა გადაწყდეს საკითხი ყველა სახელმწიფო ხელისუფლების განშტოების თანამდებობის პირთა და მათი ოჯახების წევრთა ქონებრივ

მდგომარეობაზე. თანამდებობის პირთა ქონებრივ-ფინანსური კონტროლი არსებობს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

შექმნილი სიტუაცია საქართველოში სახელმწიფო თანამდებობის პირთა კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლისათვის აუცილებლად მოითხოვს სპეციალური დაწესებულების შექმნას, მისი ხელმძღვანელის დანიშვნისა და გათავისუფლების განსაკუთრებული პროცედურით.

აუცილებელია ზუსტად და გარკვევით იქნეს მოწესრიგებული და გამკაცრდეს ცალკეულ მეწარმეთა მხრიდან არჩევნებისათვის და სხვა პოლიტიკური მიზნებისათვის, აგრეთვე კომერციული და თვით კრიმინალური სტრუქტურებიდან შესატანებზე კონტროლი, რომლებიც ხარჯავენ უზარმაზარ სახსრებს მომავალში ხელისუფლებაში მოსასვლელად. საქმე შეეხება პოლიტიკურ კორუფციას, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და შესანარჩუნებლად, ფინანსურ და სხვა უპირატესობათა მოსაპოვებლად. სახელმწიფო თანამდებობებზე კანდიდატთა მიერ უზარმაზარი და აღურიცხავი რესურსების უკონტროლო გამოყენება გათვალისწინებულ ლიმიტზე ზევით, ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესს და აქცევს საარჩევნო კამპანიას „ფულის ტომრების“ შეჯიბრებად ძვირადღირებული და ბინძური ტექნოლოგიების გამოყენებით.

აუცილებელია პრაქტიკულად იქნეს რეალიზებული კონსტიტუციური პრინციპი: ყველა თანასწორია კანონისა და სამართლის წინაშე, რაც ჩვენთან თვით კანონმდებლობითაა დარღვეული. ამ პრინციპის სრული რეალიზაცია მოითხოვს სპეციალური კანონების მიღებას სადეპუტატო იმუნიტეტის დაზუსტების, ან საერთოდ გაუქმების შესახებ, აგრეთვე მაღალი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას კანონთა დარღვევისათვის, ხელისუფლების ყველა განშტოების სახელმწიფო თანამდებობის პირთა დაუსაბუთებელ სისხლისსამართლებრივ პროცესუალურ პრივილეგიათა გაუქმებას.

დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევითი თანამდებობის პირები პარლამენტის წევრები (კონგრესის წევრთა ჩათვლით) არ სარგებლობენ არავითარი იმუნიტეტით, მათ მიერ ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. გარდა ამისა, აღნიშნული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს

აქვთ ყველა მათი წევრების და თანამდებობის პირთა ქცევის (ეთიკური) კოდექსები.

ანალოგიური ნორმების შემოღება საქართველოში ხელს შეუწყობდა სადეპუტატო კორპუსისა და სახელმწიფო თანამდებობის პირთა ზნეობრივ (და არა მხოლოდ ზნეობრივ) გაჯანსაღებას, ხოლო თავის მხრივ არჩევითი თანამდებობანი დაკარგავდნენ განსაკუთრებულ მიმზიდველობას პოტენციური კრიმინალებისათვის, რომლებიც მაღალ თანამდებობებში ხედავენ დიდ შესაძლებლობებს საკუთარი მდგომარეობის გამოსაყენებლად კომერციული მიზნებისათვის, საიმედო ფარს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დასაცავად.

კორუფციულ ქმედებაზე სოციალურ-სამართლებრივი კონტროლი არ შეიძლება რეალურად განხორციელდეს სახელმწიფო ანტიკორუფციული სტრუქტურების საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გარეშე. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ წესებისა და საშუალებების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსახლეობაზე, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოებრიობას და ცალკე მოქალაქეებს ობიექტური ინფორმაციის წარმოსადგენად ჩინოვნიკთა კორუფციულ დანაშაულზე.

საზოგადოებაზე (მეტადრე სამოქალაქოზე) დაყრდნობა დანაშაულთან მთლიანად და განსაკუთრებით კი კორუფციასთან ბრძოლაში წარმოადგენს სამართალდაცვის ორგანოთა ძოღვაწეობის მნიშვნელოვან მიმართულებას დემოკრატიულ ქვეყნებში. ევროსაბჭოს კონვენციის „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ კორუფციისათვის“ 22-ე მუხლში ნათქვამია პირთა დაცვის შესახებ, რომლებიც თანამშრომლობენ მართლმსაჯულებასთან, ხაზგასმულია, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მათი ეფექტიანი და საიმედო დაცვა, ვინც აცნობებს კორუფციულ დანაშაულთა შესახებ და თანამშრომლობენ იმ ორგანოებთან, რომლებიც ახორციელებენ გამოძიებასა და საქმის განხილვას.

მიზანშეწონილია მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, კერძოდ ოცი სახელმძღვანელო პრინციპი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მიღებულია 1997

წლის 7 ოქტომბერს ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა 101-ე შეხვედრაზე.[1]

კორუფციასთან ბრძოლაში გარკვეული წვლილი შეიძლება შეიტანოს კანონმა „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ", აგრეთვე სხვა სამართლებრივმა აქტებმა, რომლებშიც კონკრეტულად და გარკვევით გაიმიჯნება სამართლებრივი რეგულირების სფეროები, სახელდობრ ესაა სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსის კონკრეტული განსაზღვრა.

კონკრეტულ პირთა (მათ შორის სახელმწიფო მოსამსახურეების) პასუხისმგებლობის დადგენა საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის, ზედამხედველობის წესისა და მექანიზმის განსაზღვრა.

საქართველოს ანტიკორუფციული ეროვნული პროგრამის შემდგენლებს უნდა გაეთვალისწინებინათ შემდეგი პრობლემები:

კორუფციაზე სრული გამარჯვება და მისი მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია;

სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოების ნორმალური არსებობის პირობებში კორუფცია წარმოადგენს სერიოზულ სიგნალს მოუწესრიგებლობაზე თვით ხელისუფლების მუშაობის მეთოდებში;

დანაკარგები, რომლებსაც კორუფციისაგან განიცდის საქართველო (იმდენად დიდია მეტადრე პატარა ქვეყნისათვის), რომ ნებისმიერი გონივრული დანახარჯები მისი დაძლევისათვის უზრუნველყოფენ ერთბაშ უკუგებას, რომელიც მრავალგზის გადააჭარბებს დანახარჯებს;

კორუფციასთან ბრძოლა მაშინ მიაღწევს წარმატებას თუ იგი კომპლექსურად და მუდმივად მიმდინარეობს, თუ ამ მიზნით დარაზმულია და ხელიხელჩაკიდებულად მოქმედებენ, როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების ძალები.

კორუფცია არ შეიძლება შეიზღუდოს და მით უფრო დაიძლიოს მხოლოდ საკანონმდებლო ღონისძიებებით.

ამ მოკლე ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ

---

1 იხ. დაწვრილებით: კორუფცია და ბიუროკრატიზმი: სათავეები და დაძლევის გზები (რუს.). მ., 1998.

ანტიკორუფციული ღონისძიებანი უნდა შეიცავდეს შემდეგ საერთო ამოცანებს:

ა. კორუფციასთან ბრძოლის ორგანიზაციას, მის ყველა დონეზე;

ბ. ყველა გამოვლინებაში კორუფციის მოუთმენლობისა და სიძულვილის ატმოსფეროს შექმნას;

გ. კორუმპირებულ ქმედებათა რაც შეიძლება მეტ გამოვლენასა და დასჯას, მიყენებული ზიანის გამო;

დ. პირობათა და გარემოებათა რაც შეიძლება მეტად შემცირებას, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის გავრცელებას.

ანტიკორუფციული ეროვნული პროგრამის აღმასრულებელ ორგანოდ უნდა იქცეს მუდმივმოქმედი დაწესებულება კორუფციასთან საბრძოლველად (და არა ის, რაც არსებობს ე. წ. საკოორდინაციო საბჭოს სახით), რომელიც დამტკიცდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ და მისი ფუნქციები განისაზღვრება სპეციალური კანონით.

მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ორგანოს მაქსიმალური დამოუკიდებლობა ან შეიქმნას არასამთავრობო ანტიკორუფციული ორგანო, რომელიც მთლიანად დამოუკიდებელი იქნება სახელმწიფო ხელისუფლებისაგან და მხოლოდ კანონმდებლობას დაექვემდებარება. ეს უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი რეფერენდუმის გზით. ასეთი ორგანოს ან სხვა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის ფუძემდებლურ ამოცანებად შეიძლება ჩაითვალოს:

საზოგადოების დროული ინფორმირება ანტიკორუფციული პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე;

ქვეყანაში არსებული კორუფციის შესახებ მასალების შეკრება და ანალიზი;

კონკრეტული პროექტების შემუშავება ანტიკორუფციული პროგრამის ჩარჩოებში;

კორუფციის ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევების გამოძიებაში აქტიური მონაწილეობა და შეძლებისდაგვარად სისხლისსამართლის საქმის აღძვრა, დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება, ბრალდების წაყენება, საბრალდებო საქმის სასამართლოსათვის გადაცემა;

საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან და სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობა კორუფციასთან ბრძოლის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ანტიკორრუფციული ორგანოს მუშაობის მეთოდები სანიმუშო უნდა იყოს და ინერგებოდეს ანტიკორრუფციული პროგრამის რეალიზაციის კვალობაზე.

აღნიშნული თვალსაზრისით შეიძლება შემდეგი პრაქტიკული ამოცანების რეალიზაცია:

შემცირდეს და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ხელისუფლების გავლენა არჩევნებზე, გაძლიერდეს ბრძოლა საარჩევნო პროცესების სიწმინდისა და გამჭვირვალობისათვის, გამკაცრდეს კონტროლი, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესის დაცვაზე;

ამაღლდეს საარჩევნო კამპანიების, კომისიების როლი და დამოუკიდებლობა;

გატარდეს ღონისძიებანი კორუფციის გავლენის შესამცირებლად საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაზე. გამკაცრდეს კონტროლი კანონშემოქმედების საპროცედურო მხარეზე.

სამართალდაცვის სისტემის განმტკიცების ინტერესებისათვის:

გაიზარდოს ხელფასები;

ამაღლდეს ტექნიკური უზრუნველყოფის დონე;

განახლდეს სამართალდაცვის ორგანოთა საკადრო შემადგენლობა, პროფესიონალთა საფუძველზე;[1]

შეიქმნას საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ან იუსტიციის სამინისტროსთან, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტთან უწყებათაშორისი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრი, რომელიც შეიმუშავებს და გამოსცემს ახალ სპეციალურ და სამეცნიერო

---

1 ამ მხრივ უნდა აღინიშნოს 2001 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის ზოგიერთი განახლება, ფაქტობრივად სამართალდაცვის ახალი მინისტრების ხარჯზე, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შს ახალგაზრდა, ერუდირებული და განათლებული მინისტრი, მის მიერ წარმოდგენილი პროგრამა სისტემის სერიოზულ რეფორმებს ითვალისწინებს, რაც დამაიმედებელია და ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

ლიტერატურას კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე იურიდიული ფაკულტეტებისა და სპეციალობების სტუდენტებისათვის.

იმის გამო, რომ საქართველოში დღემდე არ არის მიღებული სპეციალური კანონი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, ეს ფაქტი უნდა განიხილებოდეს როგორც აღნიშნული კანონის მიღებისა და რეალიზაციის შეგნებული ბლოკირება სახელისუფლებო სისტემის სხვადასხვა დონეზე, რამდენადაც ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული კორუფცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს უშიშროებას, ამიტომ მიზანშეწონილად და საქმისათვის სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს საკითხის გადასაწყვეტად მისი გამოტანა საყოველთაო სახალხო განხილვისათვის და კანონის მიღება კორუფციასთან ბრძოლის შესახებ რეფერენდუმის გზით.

აუცილებლად უნდა გამკაცრდეს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით, თანამდებობების პირთა შემოსავლებზე ფინანსური დეკლარაციების წარუდგენლობისათვის.

როგორც თეორიის, ისე სამართლებრივი პრაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კორუფციული ქმედებისა და მისი სუბიექტების სწორ იურიდიულ განსაზღვრას. შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალისტური ასპექტით კორუფციულ ქმედებას წარმოადგენს თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის შეგნებული, აქტიური, არასამართლებრივი მოღვაწეობა, რომლებიც იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ რწმუნებებს მატერიალური ღირებულების, მომსახურეთა შეღავათების, სხვა უპირატესობების უკანონო მიღებისათვის ანგარებითი მიზნით.

ასეთი კორუფციული ქმედება შეიძლება იყოს: ცალკე მეცნიერული კრიმინალისტური კვლევის ობიექტი;

მეცნიერულ-კრიმინალისტური შესწავლის, ორგანიზებულ დანაშაულებრივი ქმედების კომპლექსური კვლევის ობიექტი;

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა, სასამართლომდელი გამოძიების ჩატარების მსვლელობაში პრაქტიკული შესწავლის ობიექტი.

როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება

ცხადყოფს, განსაკუთრებული როლი ანტიკორუფციულ საქმიანობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უკავიათ. ისინი გამოდიან როგორც შედარებით „მეოთხე ხელისუფლების" წარმომადგენლები კორუფციული დანაშაულის მხილების საქმეში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ქართული დამოუკიდებელი პრესა და ტელევიზია. ზოგჯერ საქართველოს სამართალდაცვის ორგანოები ხელოვნურად გამოგონილი მიზეზებით ცდილობენ ზეწოლა მოახდინონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და აიძულონ შეარბილონ კრიტიკა მათი მისამართით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი 2001 წლის ოქტომბრის ბოლოს ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ოფისში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების უხეში შეჭრისას. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში მხილებებს არ მოსდევს პოზიტიური შედეგები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო ორგანოები არ ახდენენ სათანადო რეაგირებას მათ მიერ მხილებული კორუფციული დანაშაულის სერიოზულ ფაქტებზე, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირთა შორის. თუმც ისეც ხდება, როდესაც ჟურნალისტები ზოგჯერ პროფესიონალიზმსა და ობიექტურობას ღალატობენ.

სასარგებლოა დამკვიდრდეს კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების პროექტთა კრიმინოლოგიურ-ეკონომიკური ექსპერტიზა, რათა არ იქნეს მათში დაშვებული ხარვეზები, გამონაკლისები და სხვა ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკური და კორუფციული ხასიათის დანაშაულებრივ ქმედებას. სახელმწიფოს მიერ თავისი საკუთრების მასობრივი დაკარგვა საბაზრო ეკონომიკის გატარების პერიოდში მოხდა ნორმატიულ აქტებში წინასწარ გათვალისწინებული ხარვეზებითა და ნაკლოვანებებით, რომელთა საფუძველზე გატარდა სწორედ აღნიშნული საკუთრების კორუფციული პრივატიზაცია და აქციონირება.

თუ არ დავიწყეთ რეალური და არა მხოლოდ სიტყვიერი, როგორც დღემდეა, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გადამწყვეტი უკომპრომისო ბრძოლა კორუფციასთან, როგორც უპირატესად თანამდებობრივ დანაშაულთან და ბოროტმოქმედებასთან, თუ რეალურად არ გამოიჩინა სახელმწიფო ხე-

ლისუფლებამ ამ საქმეში მტკიცე პოლიტიკური ნება, სერიოზული საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ ახლად წარმოქმნილი დემოკრატიული ინსტიტუტების თვითარსებობას საქართველოში, არამედ ქვეყნის უშიშროებას.

სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე ფალსიფიკაციისაგან თავისუფალი ვადამდელი საყოველთაო, სამართლიანი არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარება (ხალხში გავრცელებულია მეტად საშიში ხმები ზოგიერთ პარლამენტარსა და მინისტრობის ცალკეულ ულირს კანდიდატს შორის ფინანსური გარიგების შესახებ), გარკვეული მიზეზების გამო უცხოელ დამკვირვებელთა მონაწილეობის გარეშე, (მათი დაპატიჟება შეიძლება როგორც მხოლოდ სტუმრების, რამდენადაც არჩევნები ჩვენი საშინაო საქმეა), სისხლის სამართლის რაც შეიძლება გამკაცრებული კანონმდებლობის მიღება კორუფციის შესახებ და მისი რეალიზაცია ცხოვრებაში, რეალურად დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური, კორუფციასთან ბრძოლის მეცნიერულად შემუშავებული საერთოსახელმწიფოებრივი სტრატეგია, სახელმწიფო მეთაურის ანტიკორუფციული პოლიტიკური ნება, ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა (არჩევა) მხოლოდ მორალური, საქმიანი და პროფესიული ნიშნების მიხედვით, კორუმპირებულ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში შიცემა, მათი გასამართლება და დასჯა, აი ყველაზე ქმედითი ზომები საქართველოს გადარჩენისათვის კორუფციულ დანაშაულთა კატასტროფული შედეგებისაგან.

---

1 2001 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მძაფრი დაუპირისპირება მოახდინა მინისტრებისა და გენპროკურორის კანდიდატურებს (ე. ი. მთავრობის ძველი—„ახალი" შემადგენლობა მისაღები აღმოჩნდა პარლამენტის კორუმპირებული უმრავლესობისათვის). პარლამენტართა „მრისხანე" გაცხადებას, რომ ჩაგვებენენ მთავრობის ძველ მინისტრებს, შედეგი არ მოჰყოლია. ყველა „ძველი" თანხმობაზე დამტკიცდა „სასაცილო წარმოდგენლობითი" ორგანოს მიერ. აქ გასაკვირი არაფერია: კორუმპირებულებმა მხარი თავიანთ თანამოძმეებს დაუჭირეს. ასეთია საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ფულზე არ იყიდება.

КОРРУПЦИЯ И ГОСУДАРСТВЕННАЯ ВЛАСТЬ

(КРАТКОЕ СОДЕРЖАНИЕ)

Проблема коррупции в Грузии и в мировом масштабе в наше время приобретает угрожающий характер. Она получила широкое распространение во всех слоях общества и среди всех ветвей государственной власти.

Высокий уровень коррупции наблюдается и в других странах и в том числе в индустриально-развитых демократических государствах. Она стала серьезно угрожать верховенству закона, демократии и правам человека, принципам государственного управления, равенства и социальной справедливости, препятствовать конкуренции, затруднять экономическое развитие и угрожать стабильности демократических институтов и моральным устоям общества.

За последнее столетие о коррупции в мире написаны «горы» фундаментальных работ и статьей, проведены сотни содержательных конференций, парламентских слушаний и круглых столов, разработаны международные и регнональные конвенции, руководящие принципы, типовые договоры, рекомендации о мерах преодоления коррупции и борьбы с ней. Однако, коррупция вновь и вновь как зловещий Феникс (лат. символ вечного возрождения) встает на пути развития мирового сообщества, государств, народов, законодателей, правительств, правоохранительных органов и научных учреждений.

Объяснение такой неиссякаемой национальной и мировой озабоченности очевидно: реальных, практических сдвигов в борьбе с коррупцией очень мало или почти нет, как в мире в целом, так и в отдельных государствах и особенно в нашей стране.

Все это вызывает большую и законную озабоченность властей, особенно юридической и политологической общественности. Меры, принимаемые в разных странах и международным сообществом в целом не дают заметных положительных результатов в борьбе с коррупционными преступлениями. Насущные интересы развития стран и народов настоятельно требуют глубокого критического научного анализа и

обобщения политических, правовых, экономических и организационных проблем коррупции и борьбы с ней на примере некоторых стран мира, особенно Грузии, на основе существующих материалов и личного наблюдения автора.

Освещению именно указанных проблем и посвящена данная книга. Она состоит из предисловия, четырех глав, шести параграфов и послесловия. Отдельной — четвертой главой — выделена коррупция в Грузии.

В книге приводится ряд определений коррупции (лат. подкуп). Коррупцию можно кратко, но емко определить, как это сделано в справочном документе ООН о международной борьбе с коррупцией: «Коррупция — это злоупотребление государственной властью для получения выгоды в личных целях, в целях третьих лиц или групп». Из этого определения видно, что коррупция выходит за пределы взяточничества. Кроме него она включает непотизм (лат. кумство, служебное покровительство родственникам и знакомым) и многочисленные формы незаконного присвоения публичных средств для частного использования. В более развернутом определении международной группы экспертов Совета Европы по коррупции сказано: «взяточничество и любое другое поведение лиц, которым поручено выполнение определенных обязанностей, в государственном или частном секторе и которое ведет к нарушению обязанностей, возложенных на них по статусу государственного должностного лица, частного сотрудника и иного рода отношений, и имеет целью получение любых незаконных выгод для себя и других».

Коррупция проявляет себя в следующих четырех основных формах: а) двусторонняя сделка, при которой лицо, находящееся на государственной службе, нелегально «продаёт» свои полномочия и связанные с ней возможности, физическим и юридическим лицам, группам, а «покупатель» получает возможность использовать государственную, либо иную структуру в своих целях; б) для обогащения, законодательного оформления привилегий, ухода от предусмотренной законом ответственности и социального контроля; г) вымогательство служащими взяток, дополнительного вознаграждения; д) инициативный, активный подкуп служащих, нередко с одновременным сильным психическим и иным воздействием на них. Последнее характерно и для организованной преступности.

Проблемы коррупции тесно связаны с проблемами организованной преступности. В результате недавних исследований в Италии получены данные, позволяющие осущест-

нить анализ коррупции путями, ранее незнакомыми. Они показывают структурное сходство проблемы коррупции и проблемы организованной преступности. Итальянская юстиция использовала сходные методы в первой половине 90-х гг. XX века для борьбы как с организованной преступностью, так и с коррупцией.

В странах с высоким уровнем коррупции и неадекватным контролем за процессом приватизации возникли гигантские возможности не только для коррупции, но и для проникновения организованной преступности в легальную экономику.

Обзор уголовного законодательства Запада об ответственности за коррупционные преступления предлагает констатацию ряда предварительных обстоятельств: во-первых, законодательство всех без исключения европейских государств предусматривает уголовно-правовые нормы об ответственности за различные коррупционные преступления. Другое дело, что в одних странах (например Англия, Италия) эти преступления именуются именно коррупционными, в других же (Франция, Испания) законодатель обходится без употребления термина «коррупция»; во-вторых, несмотря на различие законодательных формулировок соответствующих составов коррупционных преступлений, все их многообразие можно свести к «вариациям» (лат. видоизменение элементов чего-либо при сохранении того, что является основой) конструкций двух классических составов — злоупотребления служебным положением в корыстных или иных личных целях и взяточничества (как получения, дачи взятки или посредничества в этом). Законодательство европейских стран отличается в этом отношении набором специальных норм об ответственности за эти преступления (за их специфические разновидности); в — третьих, заметна очевидная тенденция к сближению такого законодательства и к устранению в нем принципиальных на этот счет различий. Такая тенденция едва ли не закономерно привела к созданию общеевропейского уголовного права ответственности за коррупцию в рамках конвенции об уголовной ответственности за коррупционные преступления Совета Европы 1999 года. Принятие последней обязывает государства — члены Совета Европы отразить общеевропейские нормы об ответственности за коррупцию в своем национальном законодательстве. Грузия, как член Совета Европы, обязана отразить общеевропейские нормы об ответственности за коррупцию в своем законодательстве. Комитет министров Совета Европы при принятии Конвенции

обратился к сторонам с призывом о максимальной унификации обязательств, ею предусмотренных, в направлении снижения до минимума возможных оговорок участниками Конвенции, ограничивающих ее действие и пределы имплементации в национальном законодательстве.

Разумеется, каждое национальное законодательство отражает специфические условия страны в борьбе с коррупцией, однако есть и общие проблемы ответственности за коррупцию, которые именно должны быть отражены в национальных законодательствах стран — членов Совета Европы.

Ряд международных экспертов ставит Россию, тем более Грузию, по уровню развития коррупции недалеко от Колумбии, Нигерии и Боливии. Грузия вместе с Россией входит в десятку самых коррумпированных стран мира. Это волнует как нас, так и все цивилизованное общество.

Особенность коррупционных преступлений заключается в том, что они предполагают соглашение двух сторон: во-первых государственного служащего, использующего свое должностное положение (в первую очередь коррупция ведь должностное преступление и злодеяние?!), и во-вторых лица (лиц), заинтересованного в том, чтобы государственный служащий в его пользу (или в пользу представляемых им организаций) совершил действия, противоречащие интересам службы.

Падение советской власти в Грузии многие деятели использовали в целях личного обогащения. Целые состояния были сделаны за счет обнищания населения в период перехода к рыночной экономике на разнице мировых и внутренних советских цен. Другими словами бывшие советские и партийные чиновники использовали сам процесс падения советской власти, как устранение преград к личному обогащению, за счет общественной и государственной собственности. Это самые богатые дельцы Грузии, бывшие руководящие комсомольские и партийные работники, активисты, бывший секретарь обкома или горкома партии и комсомола, бывший советский хозяйственный работник. Невольно, возникает вопрос: позвольте, а где демократы?

... Ваучерная (т. е. коррупционная) приватизация в Грузии была ничем иным, как более упорядоченным процессом передачи общественной и государственной собственности в руки организованной преступности (в частности, в руки известных банкиров, коррупционеров) и государственных слу-

жащих. С каждым витком приватизации коррупция усиливалась, ибо никаких механизмов контроля над преступной приватизацией не было создано. Начался этап «липовых» аукционов, выпуск ненужных (но нужных для инициаторов выпуска) купонов, захвата промышленных и торговых объектов, подкуп чиновников, подлог документов и ряда других усилий, для того, чтобы захватить производящий сектор экономики. Здесь нужно заметить, что захват всенародной собственности номенклатурой подавался как экономическая реформа, как «успешный» переход к рыночной экономике. Большее кощунство трудно придумать.

Главным последствием коррупционной приватизации в Грузии стало отсутствие ее легитимации. В сознании грузинского народа не было признания того, что владение является легитимным, т. е. законным. Такое понимание нельзя купить ни на какие деньги и нельзя привнести в сознание народа никакими репрессиями. Однако пока нет признания легитимности владения всеми членами общества владение нельзя считать постоянным. Оно временно по сути своей, его владельцы есть временщики, которые это владение потеряют рано или поздно. Этому процессу реально будут способствовать принятие и реализация законопроекта о конфискации необоснованного и незаконно присвоенного имущества и передача его государству.

Сами временные владельцы указанного имущества прекрасно понимают, что его владение может быть пересмотрено, и именно поэтому они занимаются не укреплением и развитием производства, а как можно скорее накоплением денег и их перекачкой за границу, или для построения домов, санаториев и т. д.

Создалась уникальная, беспрецедентная и характерная для Грузии ситуация — владельцы жизненно важных средств производств стремятся не к тому, чтобы усилить производство, а к тому, чтобы выкачивать все как можно скорее из этого производства, даже если это приведет к его разрушению.

Расширение коррупции в Грузии определяется многими причинами внутреннего и внешнего характера. Здесь особенно нужно выделить роль Запада, который не только не предпринял мер по пресечению коррупции в Грузии, но, наоборот, принимал самое активное участие в ее становлении и усилении. Вот несколько примеров.

По советам западных экспертов «надо было провести приватизацию» как можно быстрее, надо отпустить цены,

чтобы создать рынок спроса и создать стабильную валюту, опирающуюся на доллар. Эти «эксперты» и сейчас не станут отрицать, что именно это они пытались сделать. И что на самом деле произошло?

Либерализация цен, или т. н. шоковая терапия, привела к тому, что монополисты повысили цены, а так как конкуренции не было и быть еще не могло, то по сути, этот акт свелся к обогащению бывшей партийной и советской номенклатуры, ее сообщников путем экспроприации денежных средств у грузинского населения.

Здесь уместно спросить: почему грузинские экономисты не просчитали такое негативное последствие заранее? Если же было задумано с самого начала (что люди потеряют сбережения благодаря их советам), что номенклатура обогатиться за счет сбережений населения Грузии, то это явное предательство интересов простых людей, которые вроде бы должны были выиграть, а не проиграть в результате реформы.

В последующий период и во время ваучерной, коррупционной приватизации и липовых аукционов западные «эксперты» и советники продолжали повторять: так держать курс реформ. Однако, факт остается фактом, что до последних 3-х лет Запад предпочитал не видеть и не замечать коррупцию в Грузии. Более того, советы западных «экспертов» стимулировали рост коррупции, и некоторые журналисты свободной прессы Грузии утверждают, что отдельные западные советчики сделали себе состояния в Грузии вместе со здешними чиновниками.

Особенно нужно отметить о политике Мирового Валютного Фонда в Грузии. Это разумеется отдельная тема. В той ее части, что относится к проблеме коррупции, необходимо отметить, что МВФ советовал, рекомендовал, фактически диктовал Грузии такую политику, которая неизбежно порождала коррупцию.

МВФ всегда заявлял и сейчас продолжает защищать свою политику в Грузии, направленную на то, чтобы создать: стабильную валюту в стране без инфляции; макроэкономические параметры экономики как рынок ценных бумаг, как регулятор экономики рыночного типа.

Казалось бы нет ничего плохого в этих целях. Однако, нужно внимательно проследить за тем, что получилось на самом деле, когда грузинские исполнители рекомендаций МВФ проводили их в жизнь.

Таким образом дано задание показать Западу, что в Грузии есть стабильная валюта в качестве лари без инфляции. Как же добиться макроэкономического показателя? Это возможно очень просто — сократить эмиссию, т. е. не печатать деньги, и не будет инфляции, тогда польется поток западных инвестиций. Сокращение эмиссии отрицательно повлияло на экономику страны. Большая часть экономики страны не получала денежных знаков. Сокращение налоговых поступлений означало, что в госбюджете росла дыра, которую надо было чем-то заполнить, так как западные инвестиции не прибыли.

Так называемые реформаторы «нашли выход» из положения. Они стали все более полагаться на пополнение бюджета путем увеличения долгов.

Под огромные проценты государство одолживало деньги для пополнения бюджета. В Грузию полились одолженные деньги, которые дали реформаторам передышку и возможность посидеть у власти еще.

Лжереформаторы стали создавать «потемкинские» деревни капитализма с тем лишь, чтобы произвести впечатление на Запад, что все нормально, что валюта стабильна, обменный курс стабилен, инфляции нет (на первый взгляд). Они понимали, что это просто показуха, очковтирательство, ложь для того, чтобы перекачать деньги в свои карманы разными махинациями.

Западные банки, опытные в делах финансовых и махинаций приняли самое активное участие в грабеже уникальных и богатых ресурсов Грузии путем выкачивания диких процентов.

Грузинский феномен коррупции — уникальное явление в становлении которого сыграл свою роль Запад, его банки и советники. Ясно, что страна в тупике. Экономика стагнирует, государственный аппарат коррумпирован. Не может же страна бесконечно терять миллионы? Если в Грузии коррупционные процессы не будут остановлены, если будет все продолжаться так, как это есть сейчас, страну ждут оскудение, упадок и возможные социальные катаклизмы, явные симптомы которых выявились в октябре—ноябре 2001 года в процессе антиправительственного выступления студенческой молодежи г. Тбилиси.

Национальные интересы Грузии явно требуют обуздания коррупции, судить и жестко наказывать коррупционеров, создать нормальные условия предпринимательства и гарантировать права человека, все права, включая право на собствен-

ность, защищенную законом. Лишь тогда извлечение и возрождение станет возможным.

Основными причинами широкого распространения коррупции в Грузии можно считать отстающуюся закрытость, неподотчетность и бесконтрольность государственной власти высших чиновников; фактическое слияние властных и хозяйственных структур в условиях разгосударствления собственности. Благоприятствуют и экономическая и политическая нестабильность, неразвитость правовой базы, в том числе отсутствие четкого законодательного разрешения многих вопросов, действенного контроля за доходами государственных служащих и их источниками, неэффективность и коррумпированность государственного аппарата, слабость демократических традиций в политике. Кроме того накладывает отпечаток грузинская специфика, грузинский феномен коррупции:

Малоэффективность правоохранительной и судебной систем;

отсутствие развитой правовой культуры у населения и механизма защиты подчиненных чиновников от своеволия руководства, наличия бюрократических традиций.

Все это привело к тому, что коррупция став угрозой национальной безопасности Грузии вызывает тяжелые негативные последствия. В экономике Грузии это: во-первых, расширение «теневой» экономики, увод финансовых средств из легального оборота (для «левых», т. е. незаконных доходов), ослабление (фактический хронический кризис) бюджета, ограбление государственными чиновниками бюджетных средств, увеличение цен на потребительские и иные товары, хронический рост налогов, как прямое следствие — обнищание населения и приближение социального взрыва;

Во-вторых, катастрофическое снижение рыночных механизмов, потеря доверия к власти инвесторов и как следствие, хронический спад производства, разрушение мощностей, дискредитация рыночных идей в глазах общественности;

в-третьих, отсутствие реальной базы для формирования «среднего» класса, класса собственников, проникновение коррупционных отношений в негосударственную сферу, что ведет к снижению эффективности экономики.

Исходя из вышеуказанного к коррупционной преступности и злодеянию можно отнести преступные деяния, совершенные должностными лицами органов государственной власти и местного самоуправления, государственных предприятий, организаций и учреждений, вопреки интересам государ-

ства, общества, службы или граждан, с использованием своего служебного положения из корыстной и иной личной заинтересованности.

Главным направлением для преодоления и предупреждения коррупции и борьбе с ней является формирование бескомпромиссной политической воли государственной власти, особенно главы правительства и государства.

Поэтому вполне естественно от разрушительной угрозы коррупции Грузию не спасет отстранение от занимаемых должностей коррумпированных министров, других высших чиновников, без привлечения их к уголовной ответственности. Радикально нужно поставить вопрос о проведении объективного расследования. В частности, нужно возбудить уголовное дело в отношении бывших министров финансов, которые в буквальном смысле слова полностью ограбили государственный бюджет и вместе с другими высшими чиновниками положили основу его хронического кризиса.

Борьбу с коррупцией в Грузии серьезно осложняет также «народный представительный» орган — Парламент, в котором немало членов, — коррумпированных, защищающих интересы уголовных преступников. Об этом говорил, в частности, (не называя фамилий) генеральный прокурор Грузии на расширенном заседании правительства 4 сентября 2001 года. Он назвал почти 100 членов парламента, явно защищавших интересы опасных уголовных преступников. Под влиянием их областные судьи были вынужденными освободить из тюрьмы уголовников, которые в те дни ожидали приговора. Это обстоятельство фактически определило судьбу самого генпрокурора, который несколько месяцев назад единогласно был утвержден на этот пост этим же парламентом. Спрашивается: где же логика? Ответ: у нашего парламента логики нет. 1 ноября 2001 года по инициативе председателя парламента (сейчас бывшего) парламент потребовал его отставки (хотя на это не имел основания). Генеральный прокурор оказался вынужденным заявить об отставке. Ему даже не дали возможность огласить, имеющее с собой заявление, в котором уже были названы фамилии тех членов парламента, которые явно требовали освобождения от справедливого наказания уголовников, незаконно присвоивших миллионы. Что это за парламент, представительный орган народа? Ведь он же обязан защищать свободу слова. Нет, подавляющее большинство членов парламента защищает не интересы народа, свободу слова, а интересы опасных уголовников. Парламент явно отомстил Гене-

ральному прокурору, за его «упорство». На наш взгляд, бесцеремонное вмешательство членов парламента в судебные дела, достаточно для досрочных справедливых выборов законодательного органа. Всем было ясно, что Генеральный прокурор имел действенную программу борьбы с коррупцией в высших эшелонах власти, которая явно не устраивала нынешних многих членов парламента. Исходя из этого, не было неожиданным представление президентом нового состава правительства на утверждение парламента. В этом составе за исключением некоторых оказались старые фамилии, известные общественности по своим «добрым делам».

В ноябре—декабре 2001 года кандидатуры министров и генпрокурора, которые оказались приемлемимы для коррумпированного большинства парламента, несмотря на «грозные» заявления многих членов парламента о том, что они их провалят, ни к чему не привели. Все кандидатуры были почти единогласно поддержаны и утверждены «народным представительным» органом, хотя общественное мнение решительно против такого исхода[1].

Наш народ настоятельно требует досрочных выборов на всех уровнях государственной власти. Если это не произойдет в ближа4шее время, Грузии грозит социальный взрыв и установление диктатуры. Хорошее или плохое такое последствие для нашего государства и народа время покажет.

Таким образом, на примере Грузии коррупция является главной причиной всяческих бед страны: основной причиной нарушения территориальной целостности страны, является коррупция; коррупция стала основной движущей силой приватизации и массового обнищания населения;

разграбление иностранцами богатых природных ресурсов Грузии — прямой результат коррупции;

хронический бюджетный кризис в стране — «детище» коррупции;

деградация системы образования и научных исследований вызвана коррупцией;

распределение руководящих кадров во всех сферах страны происходит главным образом не по профессиональному

---

[1] На наш взгляд главным в жизни и деятельности должностных лиц не то, как они начинают свою карьеру, а как ее завершают. В этом отношении «уникальным» является опыт деятельности высших должностных лиц Грузии, которые «успешно» начинали свою карьеру при единогласной поддержки парламента, однако заканчивают ее позорно, как правило, или изгнанием с занимаемых постов.

и моральному признакам, а на основе коррупции;

неэффективность борьбы правоохранительных органов с преступностью вызвана коррупцией

ухудшение отношений с Россией и ориентация на Запад, главным образом определяется коррупцией;

в октябре-ноябре 2001 года массовое антиправительственное выступление студенческой молодежи, социально-политический кризис в стране главным образом объясняются коррумпированностью государственного аппарата и т. д.

Непременное проведение досрочных, справедливых (без всякой фальсификации путем реального контроля общественности) выборов на всех уровнях государственной власти, без участия в них по известным причинам т. н. иностранных наблюдателей (выборы — наше внутреннее дело и иностранцев можно пригласить лишь в качестве гостей), сокращение количества членов парламента, строгое, однако справедливое уголовное законодательство о коррупции и его претворение в жизнь, самостоятельная антикоррупционная служба, научно-разработанная государственная стратегия борьбы с коррупцией, реальная политическая воля главы государства, распределение высших руководящих кадров по моральным, деловым и профессиональным качествам, возбуждение уголовного дела против коррумпированных высших должностных лиц, вот наиболее действенные меры в спасении Грузии от катастрофических последствий коррупционных преступлений.

საქართველოს კანონი

(პროექტი)

თანამდებობის პირთა მიერ მითვისებული ქონების ხალხისათვის დაბრუნების შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების წესს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თანამდებობის პირი — საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, მისი მოადგილე; აგრეთვე საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირი;

ბ) ოჯახის წევრი — თანამდებობის პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;

გ) ახლო ნათესავი — თანამდებობის პირის ოჯახის წევრი, აგრეთვე თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მშობელი, შვილი, გერი და, ძმა; ამ უკანასკნელთა ოჯახის წევრები; აგრეთვე მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები; აგრეთვე მათი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი 2 თაობის მანძილზე;

დ) საჯარო დაწესებულება — საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლით გათვალისწინებული ორგანო, დაწესებულება ან პირი;

ე) უკანონო ქონება:

ე. ა) ქონება, რომელიც თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის მიერ შეძენილია სახელმწიფო

საბჭოს ანტიმონოპოლური დეკრეტის, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონისა და საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის განმსაზღვრელი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დარღვევით;

ე. ბ) ქონება, რომელიც თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის მიერ შეძენილია საჯარო დაწესებულების ქონების პრივატიზების კანონმდებლობით დადგენილი პირობებისა და წესის დარღვევით;

ე. გ) ქონება, რომელიც თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის მიერ შეძენილია უკანონო საქმიანობის შედეგად;

ე. დ) ქონება, რომელიც თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის მიერ შეძენილია აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი პირობებისა და წესის დარღვევით;

ვ) დაუსაბუთებელი ქონება:

ვ. ა) ფულადი სახსრები, რომლის კანონიერი შემოსავლებიდან მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია;

რომელთა შესახებ კანონიერი შემოსავლებიდან მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნიათ;

ზ) დაუსაბუთებელი ხარჯები — ხარჯები, რომელებიც აღემატება თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის კანონიერ შემოსავლებს და რომელთა კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნიათ;

თ) კანონიერი შემოსავლები — შესაბამისი საგადასახადო რეჟიმის თანახმად გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით დადასტურებული შემოსავლები, რომლებიც მიღებულია კანონიერი საქმიანობის გზით, კანონიერი წყაროებიდან და კანონით დადგენილი წესით;

ი) ანტიკორუფციული სარჩელი — სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სარჩელი, რომლის სასარჩელო მოთხოვნა შეეხება თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნებას ან თანამდებობის პირის მიერ დაუსაბუთებელი ხარჯების გაწევისათვის დაჯარიმებას;

კ) მოსარჩელე — ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი;

ლ) მოპასუხე — თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან დაკავშირებული პირი, რომლის წინააღმდეგაც კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილია ანიტკორუფციული სარჩელი; აგრეთვე ის პირები, რომლებიც იყვნენ თანამდებობის პირები, მაგრამ კანონის ძალაში შესვლამდე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

მ) დაზარალებული მეანაბრე — საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჰქონდა ანაბარი საბჭოთა, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის, სახელმწიფო საბანკო დაწესებულებებსა და შემნახველ სალაროებში.

მუხლი 3. ანტიკორუფციული სარჩელი

1. ანტიკორუფციული სარჩელი განიხილება პირველი ინსტანციით საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების მიერ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

2. ანტიკორუფციული სარჩელი დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგება მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

3. სასამართლო ანტიკორუფციული სარჩელის მიღებიდან 2 დღის განმავლობაში მის ერთ პირს გადაუგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და აჩერებს საქმის წარმოებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია ანტიკორუფციული სარჩელი გამოაქვეყნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში. საქმის წარმოება განახლდება სარჩელის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში.

ნებისმიერ პირს 3 დღიანი ვადის გასვლამდე უფლება აქვს მოითხოვოს თანამოსარჩელედ ჩართვა. სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს დაუყოვნებლივ ეს შუამდგომლობა.

5. სასამართლო ანტიკორუფციულ სარჩელს განიხილავს ამ კანონის, ნაფიცი მსაჯულების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

6. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. მოპასუხის მიერ მოყვანილი ყველა გარემოება უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

7. მხარეს აქვს ნებისმიერი პირის მოწმედ გამოძახებისა და ნებისმიერი დოკუმენტის გამოთხოვის უფლება.

8. ანტიკორუფციული სარჩელი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟისაგან.

9. ანტიკორუფციულ სარჩელზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა.

10. ანტიკორუფციული სარჩელის სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დაუშვებელია მოპასუხის ქონების ნებისმიერი ფორმით გასხვისება ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვა.

11. ანტიკორუფციულ სარჩელებზე არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის IV თავის მოქმედება.

12. თუ ანტიკორუფციული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხის მიმართ იგივე ქონებასთან ან ხარჯებთან დაკავშირებით განმეორებით ანტიკორუფციული სარჩელის წარდგენა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოვლინდება ახლად-აღმოჩენილი გარემოებები.

მუხლი 4. მოპასუხის ქონებრივი პასუხისმგებლობა

1. მოპასუხის უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება, ასევე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი სახის სარგებელი, ამ

ქონებისადმი მესამე პირთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ უბრუნდება სახელმწიფოს.

2. თუ მოპასუხის ქონების შეძენის წყარო ან მისი კანონიერება ან დასაბუთებულობა ნაწილობრივ დასტურდება, სახელმწიფოს უბრუნდება მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის კანონიერებას ან დასაბუთებულობას მოპასუხე სასამართლო წესით ვერ დაადასტურებს.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით სახელმწიფოსათვის დაბრუნება, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ექვივალენტური ფულადი თანხის გადახდა.

4. აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ამ კანონის დარღვევით მიღებული შემოსავლები დაუბრუნდება სახელმწიფოს.

5. ანტიკორუფციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოში მოპასუხის წილი გადაეცემა სახელმწიფოს.

6. მოპასუხის მიერ დაუსაბუთებელი ხარჯების გაწევის სასამართლო წესით დადასტურების შემთხვევაში ეს უკანასკნელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა დაუსაბუთებელი ხარჯების ორმაგი ოდენობის მოცულობით.

7. ანტიკორუფციული სარჩელის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 5. მოპასუხის თანამდებობრივი პასუხისმგებლობა

1. ანტიკორუფციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანამდებობის პირი დაუყოვნებლივ თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თანამდებობის პირს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი. 6. თანამდებობის პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ანტიკორუფციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს თანამდებობის პირის

წინააღმდეგ აღძრას კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 194-ე, 332-ე, 333-ე, 337-ე, 338-ე, 339-ე, 340-ე, 341-ე, 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე.

მუხლი 7. სახელმწიფოსათვის დაბრუნებული ქონების განკარგვის წესი

1. ანტიკორუფციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფოსათვის დაბრუნებული საქართველოში არსებული უძრავი ქონების განაწილება ხორციელდება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა შორის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით.

2. ანტიკორუფციული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფოსათვის დაბრუნებული სხვა ქონების რეალიზება ხორციელდება ღია აუქციონზე დაზარალებულ მეანაბრეთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მიღებული შემოსავლები, აგრეთვე სახელმწიფოსათვის დაბრუნებული ფულადი სახსრები ერიცხება დაზარალებულ მეანაბრეთა საკომპენსაციო ფონდში.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დაზარალებულ მეანაბრეთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცეს ბრძანებულება, რომელიც მოაწესრიგებს დევნილთა შორის სახელმწიფოსათვის დაბრუნებული უძრავი ქონების განაწილების წესს.

მუხლი 9. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 3

თავი პირველი

კორუფცია — უმძიმესი დანაშაული და თანამდებობრივი ბოროტმოქმედება

1. დანაშაულის ზოგადი დახასიათება . . 12
2. კორუფციის დედაარსი და ძირითადი მახასიათებლები 30
3. კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული . . 56
4. დროული და სწორი აღრიცხვა — ნებისმიერი დანაშაულის გახსნის წინაპირობა . . . 66

თავი მეორე

კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური პრობლემები . 81

თავი მესამე

კორუფციის დაძლევის ორგანიზაციული ფორმები და საშუალებები 137

თავი მეოთხე

კორუფცია საქართველოში

1. კორუფციის ქართული ფენომენი . . . 160
2. როგორ ებრძვიან კორუფციას საქართველოში? 187

ბოლოთქმა (ზოგიერთი დასკვნა და რეკომენდაცია) 267

КОРРУПЦИЯ И ГОСУДАРСТВЕННАЯ ВЛАСТЬ (краткое содержание) 282

დანართი

თანამდებობის პირთა მიერ მითვისებული ქონების ხალხისათვის დაბრუნების შესახებ (პროექტი) . . 293

АЛЕКСАНДР МУДЖИРИ

КОРРУПЦИЯ И ГОСУДАРСТВЕННАЯ ВЛАСТЬ

(На грузинском языке)

ТБИЛИСИ

2002 Г.

ტექ. რედაქტორი ლალი რაშოევა
კორექტორები: თამარ ცხვედიანი,
თალიკო ქობულია
ლინოტიპისტები: ციური გურაბანიძე,
მაყვალა კობახიძე, ლუბა მოდებაძე
დამკაბადონებელი ესმა ფხოველიშვილი

ფასი სახელშეკრულებო

გადაეცა წარმოებას 10. 10. 2001 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 03. 2002 წ., შეკვ. 908, ტირაჟი 1000.

შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კოსტავას 14.

შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემოდან	ქვემოდან		
5		9	წერიღი	წვრიღი
177		11	უამრავაღი აქვს	უამრავი ვაღი
198		7	ღობირებდნენ	ღობირებდნენ
210		13	სამისამართღო	სამოსამართღო
255	15		უწყებაა	უწყება
256	16		საგზეო	საგზაო
294		11	რომეღებიც	რომღებიც

148-ე გე. ზემოდან მე-10 სტრიქონი ზედმეტია;
294-ე გვ. ზემოდან 21-ე და 22-ე სტრიქონებს შორის უნდა ჩაემატოს: „ვ. ბ) ქონება, რომელიც შეძენილია ისეთი სახსრებით,"